

„ივერიის ბიბლიოთეკა“

მამათა ქვეყანა

360201
№ 7

1905
ციცლისი



7. 26

„ივერიის ბიბლიოთეკა“

35110

P. 146
8-118

მამათა ქვეყნის მოხრობა
ს. გუსევ-ორენბურგელის.



თარგმანი შემ დავ—ნა.

[ЕнілДзрб]

3 6 0 8 0 5

№ 7

1905
ფოლისი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9-го сентября, 1905 года.

მამათა ქვეყანა

მოთხრობა ს. გუსევ-ორენბურგელისა

ეს მოთხრობა ავტორმა უძღვნა
ალექსი მაქსიმის-ძე პეშკოვს—
მაჩსიმ გორკის

თქვენი მამების ქვეყნიდან განიდევნებოდეთ,
თქვენი შეიღების ქვეყანა-კი გიყვარდეთ.

ფ. ნიცშე.

I



ოვლათოვანის მაზრა, ამ ოცდახუთის წლის წინად, უმდიდრეს მაზრად იყო ცნობილი ძველების გუბერნიაში. სამაზრო ქალაქი ღოვლათოვანი, გარშემორტყმული მრავალ ბელლებით, რომლებიც განუწყეტლივ, დღე თუ ლამე, ივსებოდა და ოცლებოდა, ერთს დიდ ბაზარს წააგავდა. ხმაურობა და ყაყანი ისმოდა ატალახებულ ქუჩებსა, წყლის პირსა და თითქო საგანგებოდ გაკეთებულ, მუდამ ამღვრეულ ტბორეზე, რომელზედაც პატარა და დიდი ნავები დაცურავდნენ. ქუჩების ტალახი აქროს ფრად ბრწყინავდა, ისე იყო მოდებული ბჭყვრიალა ხორბლით. მთელი ქალაქი ერთ უზარმაზარ საქათმეს წარმოადგენდა, რაღგან ყოველთვის აუარებელი ფრინველი დასტრიალებდა. ტრედები კალიასავით მოსდებოდა უხვს საკენკს; ბერურა, ჭილუვავი და ქათამი თუ ბატი უჰვალავი იყო. ცილაობა და კინკლიაობა არ მოსდიოდათ, რაღგან საკენკი ყველასა ჰყოფნიდა.

მახლობელ და შორეულ სოფლებიდან ქალაქს მრავალი გლეხეაცობა ეტანებოდა, თითქო განუწყვეტელი დღეობა არიო. მოქალაქე შორიდანვე იცნობრა მომავალ გლეხებს—ლაპარაკსა, ტანთსაცმელსა და ეტლების მოწყობა-მოქაზმულობაზე ატყობდა, ვინ სადაური იყო.

— აგერ, შურიანელები მოდიან, — ამშობდა თივით წამოხურულ ალაყაფთან გამოსული მოქალაქე, — ჰეი, რა ხმაურობით მოდიან!.. მდიდარი ხალხია-და! მაგათი სოფელი მოკლეა, მაგრამ ღიპიანი.

გაეგებებოდა ქუჩის შუაგულ, ქუდს მოუხდიდა, თავი
დაუკრავდა და მიიპატიუებდა:

— მოილეთ წყალობა, ჩვენსა მობრძანდით, ჩვენ
ფართო ეზო გვაქვს.

სისხამ დიღაზე, მოესმოდა თუ არა ეტლების ჭრია-
ლი და წკრიალი, მოქალაქე საჩქაროდ გააღებდა ალა-
ყაფის ინ დუქნის კარსა და ფანჯარას.

— სარწყიოზეველები მოგოგავენ, — წაიღუდუნებდა
თავისთვის, — ღვთისნიანელები და ბასილეთელები... ესენი
დარბაისელნი და შუბლშეკრულნი იყვნენ. თავის ეტლებს
დინჯად მოსდევდნენ და არაოდეს ცხენებს არ უტევდნენ.
ზომიერადა სვამდნენ; ლაქლაქი არ უყვარდათ. თუ რომ
კვირა-უქმე ღლეს ქალაქში დარჩენა შეემთხვეოდათ,
წირვა-ლოცვას არ მოსცდებოდნენ, — ახალ ტანთსაცმელ-
ში გამოწყობილნი დარბაისლურად მიდიოდნენ ეკალე-
სიისკენ, მოწიწებით შევიღოდნენ, კანკელთან დადგებოდ-
ნენ, პირჯვარს მალიმალ ისახავდნენ და თითო მანათს-
აძლევდნენ საწირავს. თუ რომ მთავარი კრიაკოვი სეფის-
კვერს გამოიტანდა, უთუოდ ერთ-ერთ ღვთისნიანელისა-
თვის ანუ ბასილეთელისათვის უნდა მიერთმია.

მოქალაქეს უყვარდა მათთან ბაასი და თათბირი.

— სარწყიო-ზეველები ჩვენი საუკეთესო მეგობრები
არიან, — ამბობდა მოქალაქე.

და თუ ბუზიკისა ან ფანდურის ხმა მოესმოდათ და-
ნამიან საღამოს საღმე დაჭედილ ქუსლებს ხშირი ბაკი-
ბუკი გაჰქონდა, მოქალაქე ღიმილით იტყოდა:

— ბუდოვანელები ქეიფობდნენ... წელს კარგი მოსა-
ვალი აქვთ.

წითელ-ყვითელ ფართლეულობით, იღლიაში აჩლია-

ვებული, სიმღერით, ხმა-მაღლა ლაპარაკით, ყაყანით, სიცირლ-ხარხარითა და ლანძღვა-გინებით ირეოდა გლე-ხობა,—ეს მეტად სასურველი სტუმარი ქალაქ დოვლა-თოვანისა,—და აუარებელ მშრომელთა ჯარს წაგავდა, რომელმაც წყნარად და მშვიდად მთელი ქალაქი დაიპ-ყრო ანუ შეისყიდა ოქროსფერ ხორბლით.

„დოვლათიანის ფურცლის“ რედაქტორ-გამომცემე-ლი (გაზეთი საგუბერნიო ქალაქში გამოდიოდა), ბ-ნი ვესელუხა-მიროპოლსკი თავის მეთაურს წერილში ამაყაღ ამბობდა:

— რუსეთს ჩვენ ვასაზრდოვებთ!

სიტყვა „ჩვენ“-ში ვესელუხა-მიროპოლსკის თავისი თავიც ჰქონდა ჩარიცხული, თუმცა ეს შეუნდობელი შეცდომა იყო. სამოციან წლების კაცომოყვარეთაგანი— ბ-ნი მიროპოლსკი, თუმცა სტატსკი სოვეტნიკის ჩარჩოში იყო ჩაჭედილი, თავბრუ-დამსხმელ ნისლში დაფთხრია-ლებდა და ამცყობდა ამ „ჩვენ“-ის წარმატებით.

— ჩვენ მხვნელ-მთესველები ვართ,—ამბობდა ერთს კრებაზე,— ჩვენ მიწის შვილნი ვართ. ჩვენ კაცობრიობას ვუშზადებთ ხნულს, სადაც ითესება „გონებრივი, კეთი-ლი, სამარადისო“....

ბ-ნმა მიროპოლსკიშ ვერა მოხნა-რა.

დრო მიღიოდა და მის ხმას თანდათან გაბედულო-ბა აკლდებოდა და ბოლოს „დოვლათიანის ფურცელი“ აუქციონზე ვაჭარ ჩუგუნნიკოვმა იყოდა.

ამ დღიდან ნაცვალსახელი „ჩვენ“ თანდათან ჰქონ-ბოდა და იმ წყვდიაღში შიდიოდა, საიდანაც მცირე ვა-დით საზოგადო მოძრაობამ ამოათრია. მის ადგილს „ჩვე-ნი“ დამყარდა. ის უფრო რჩხიანი და ძლიერი გამოდგა.

„ჩვენი პოლიტიკა“, „ჩვენი მეურნეობა“, „ჩვენი ვაჭრობა“, „ჩვენი ნორჩი მრეწველობა“... „ჩვენ“ და „ჩვენი“ მედგრად შეებრძოლნენ ერთმანეთს — სუსტი „ჩვენ“, რომელმაც ძლივს ფეხი აიდგა და მაშინვე სახელმწიფო-საპოლიტიკო მზრუნველობის ქვეშ გაითელა, და ამაყი „ჩვენი“, რომელმაც ბორხონასავით სხვილი ღერო გაიკეთა და ფართო ფოთოლი გაშალა, ბიუროკრატიულ რეჟიმის მფარველობით. ახლა სულ სხვა სიტყვებითა. და ენით დაიწყეს წერა...

დოვლათოვანიდან ესეთი კორესპონდენციები იგზავნებოდა: „მამულის ექსპროპრიაცია“... „სოფლის პროლეტარიატი“... „ადმინისტრაციის თავგასულობა“... „დიდ-მამულიანი ბურჟუაზია“...

კორესპონდენციები ყუმბარასავით ეჯახებოდა რედაქტიის კედლებს. ისინი რაღაც განსაკრებულის აცდენას ეხებოდნენ, თითქო ქვესკნელიდან იძახისო აღშფოთებული კორესპონდენციის.

— მოგვხედეთ, თორემ ვიღუპებით!

კორესპონდენციების ნაწილს რედაქტიის გოდორი ჰყლაპავდა, რადგან იქ ჩუგუნნიკოვის ნაცნობებზე იყო სიტყვა გატარებული. ნაწილს წითელი ცენზორისეული გველი სთვლეფდა. და რაც დარჩებოდა, ისიც-კი გასაკიცხად მიაჩნდათ. ერთხელ სადღესასწაულო სადილზე ცენზორმა — ადგილობრივმა ვიცე-გუბერნატორმა — ძალზე გაჭალარავებულ და თავმოტვლებილმა მოხუცმა მკაცრად უთხრა ჩუგუნნიკოვს:

— ვინ გიგზავნით კორესპონდენციებს. დოვლათოვანიდან? მისი აღმატებულება მეტად უკმაყოფილოა!.. ჩვე-

ნი მწერლობა, თავისუფალია, ჩვენში გულახდილად შე-იძლება ლაპარაკი, მსჯელობა ყველაფერზე, ხოლო...

წარბი შეიხარა, თვალები გადააბრიალა და ხელი ამარტა.

— გაფრთხილებ—ლაღ-აზროვნებას ვერ ავიტან!

ჩუგუნნიკოვს ენა ჩაუვარდა და ძლივს წაილულ-ლულა.

— მესმის... თქვენო... აღმატებულებავ!

ერთის კვირის შემდეგ რედაქტურამ მიიღო ცენზორისაგან შემდეგი ბრძანება:

„უკანასკნელ კორესპონდენციაში დოკუმენტის დან ფარულად შეურაცხყოფილ იყო. ბ-ნი გუბერნიის უფროსი. თუმცა კორესპონდენცია დავიჭირე და ავკრძალე, მაგრამ მაინც გავალებთ, დაუყოვნებლივ მაცნობოთ ავტორის ვინაობა“.

ამ მოწერილობის გამო ალიაქოთი ასტყდა რედაქტურაში. ჩუგუნნიკოვი, რომელიც მუდამ ჩიოდა, წვეთის დაცემისა მეშინიანო, ამჟამად მეტად გაცხარდა, თავდავიწყებამდე გაბოროტდა, ყვირილით დახრინწიანდა კიდეც და რედაქტორს რაღაც აკადრა. იმავე დღეს სამშათანამშრომელმა რედაქტურა მიატოვა.

კორესპონდენციები ერთბაშად შეწყდა.

ნახევარ-წლის შემდეგ რაღაც ჯანაბეთიდან რედაქტურას მოუვიდა წერილი კორესპონდენციების ავტორისა, ვონორარი გამომიგზავნეთო.

ხოლო გაზეთი უკორესპონდენტებო როდი იყო. დაიწყეს წერა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა რაგინდარაზე: „მოსაფრილაქნებელი ქუჩები“, „მაწანწალა ძალლები“, „საიდანღაც მოთრეული მუშები“, „მათხოვართა გამრავ-

ლება“, „პოლიციის უყურადღებობა“, „ბოროტ-მოქმედება საკუთრების წინააღმდეგ“, „მემავთა გამრავლება“, „საჩაირების საჭიროება“ და სარგებლობა“. „პარაკლისი, მაზრის უფროსის თანადასწრებით, კანდაურების ქარხნის დაარსების გამო და მ. ოონა მონასტრელის სიტყვა პატრონთა უფლებისა და მოსამსახურეთა მოვალეობის შესახებ“...

ქალაქი დოვლათოვანი სულ შეიცვალა ოცდახუთის წლის განმავლობაში,

იქ უზარმაზარი ელევატორი ააგეს, ინჟენერ-მექანიკოს ბეროზინის სისტემით. რკინის გზის შტო გაიყვანეს. ახალი სასახლეები ააშენეს, ქუჩები მოაფილაქნეს, ელექტრონით გაანათეს და დედათა, მონასტერში მაღალი სამრეკლო ამართეს. ბელლებს უკან ახალი უზნები გაშენდა, თუმცა ბნელი და ბინძური, მაგრამ თხუთმეტაას მუშა-კაცით დასახლებული. წინანდებურად დღე-დღამ განუწყვეტლივ ჭრიალებენ ეტლები, ხორბლით დატვირთული, და ნავ-გემები წრიპინებენ; ტითქო ბოხად მოგუგუნე ქმათა კანდაურთა ქარხანის საყვირს უჩივიანო. ხოლო გაწყდა ტრედები და ჭილუვავი, და გლეხობაც წინანდებურად სადღესასწაულოდ აღარ იყრის თავს. ეხლა ეტლებს მისდევენ გაშხლარი, დაბრანძული, თავშაქინდრული და გულჩათხრობილი გლეხები. მოქალაქესაც დაავიწყდა: წინანდელი ზღილობა და მეგობრობა. ის ალაყაფ-თან ქუდჩამოფხატული გაჩერებულა, მწარე ფიქრებს მისცემია, მიმავალ გლეხებს შუბლშეკრული იდევნებს თვალს და ზოგჯერ ბრაზმორეული შეუტევს:

— სად მიეთრევი, შე მატანტალა!!

ისინი-კი სულ მოდიან, და მოიზლაზნებიან დან-

ჯღეულ ეტლებით, გაბრაზებით მიერეკებიან მამტკნარებულ ცხენებს და, თუ ლურჯ-ტანთსაცმლიანსა და წალა-გაპრიალებულ დარბაისელ კაცს დაინახავენ, მოწიწებით ქუთს უხდიან და მორჩილად ეკითხებიან:

— თქვენო პატიოსნებავ... პური სად უნდა დავ-ცალოთ?

„გლეხის“ პური „ვაჭრისა“ და „იჯარადრის“ პუ-რად გადაიქცა. ქალაქში სარქესავით სჩანს მაზრის გარ-დაქმნა.

ახალმა გმირებმა დაიპყრეს ქალაქი.

მოქალაქე ეხლა თავმომწონედ გაიძახის:

— ნახეთ, ჩვენი სოფელი რა ქალაქიდ გადაიქცა... ამბობენ, საგუბერნიო ქალაქი იქნებაო. დიალ, გუბერ-ნიის მოქალაქენი. შევიქმნებით. ერთი გაისარჯეთ, თვალი გააფლეთ, რა შენობებია. აი, სახლიც სწორედ ამასა ჰქვიან.

სახლი-კი არა, ეს ციხეებია. ჩუსეთის კაპიტალი-ჭმისა, რომელიც ობობასავით გაუმაძლარია, ხოლო ვე-მოვნებასა და ფანტაზიას მოკლებული. ეს სიმაგრეებია, სადაც მკვიდრად დაუბუღნია ახლად მოვლენილ არის-ტოკრატიას, ახალ არგონავოსნელთა ჩამჩს; წინანდელ კანონიერ მძარცველთა მოადგილეთ, იმავე ძველ ოქროს ვერძის მგლეჯელთ.

აი, ვაჭარ შაპოვალოვის სასახლე, ოთხ-სართულია-ნი, ოცდაათი ფანჯრით ქუჩის პირს. ძირს რკინის დარა-ბებიანი საწყობებია, სადაც ათო და ასიათასი ფუთი. ხორ-ბალი ინახება. გლეხების ეტლებით სავსეა ეს ქუჩა. ქარი აფრიალებს და ანიავებს გარშემო თივასა და ბზეს, ჯაგ-ლაგ ცხენების საკვება.

იი, სასახლე ვაჭარ სტრიუიკოზინისა.

ჯერ დასრულებული არ არის. მაგრამ ხარაჩოზე ეტყობა, რომ უზარმაზარი რამ უნდა იყოს.

— შაპოვალოვი?! აი, წუმწუმა რომ დაპქონდა ქუჩა-ქუჩა... ეხლა შვიდ-სართულიანს აშენებს.

აი, კიდევ „ლირს შესანიშნავი“ — შიროკოზაღოვის სახლი, უშნო და უხამსი, თითქო წყალმანკს გაუსიებიაო.

ყველა ქუჩაზე ამისთანა სასახლეა.

იმათ პატრონებს ყველა ფეხშიშველა ბიჭი იცნობს. ამ ახალ მცყრობელთა ვინაობა და მათი გამდიდრების ამბავი არამც თუ ქალაქში, მაზრასა და გუბერნიაშიც კარგად მოეხსენებათ და ახსოვთ.

შაპოვალოვი პირველად დატაკტა თავშესაფარში გაჩნდა. უინ იყო და საიდან მოვიდა — მაშინ არავის ეკითხებოდა. შესაძლოა, იმის დანახვაზე მოქალაქე ძალლს აუშვებდა, რომ არა ასწაპნოს-რაო. ხოლო შემდეგ, როცა თვით შაპოვალოვმა გაიჩინა ქოფაკები თავის ბეღლების დასაცველად, ბევრს აგონდებოდა მისი მრავალნაირი თავგადასავალი: აბრანძული, ფეხშიშველა მაწანწალა, მერე ქუჩის დარაჯი, დალალი, ჟეწვრილმანე, ბირჟის მაკლერი — აი, რა იყო შაპოვალოვი, ვიდრე შიძშილობა ჩამოვარდებოდა. შიმშილობის, დროს-კი ის ქერასავით დააცხრა სოფელს და სოფლის მამულები სულ შექთად შეიძინა — დღიურში ნახევარ-ტომარა ხორბალს აძლევდა. მთელ ზაფხულს საბანაკო კარავი გადაპქონდა აქეთ-იქით, ვიდრე აუარებელი მამული ხელთ არ იგდო... ამჟამად იმას აქვს ოცდაათი ათასი დღიური საკუთარი და იჯარით აღებული მამული, მრავალი სახლ-კარის აღგილები, დიდი სასახლე ქალაქში და ჰყავს თავისი ვლეხები.

სტრიუიკოზინი—გუშინდელი ტეტიაა.

იმას შერჩა კიდევ გლეხის გარეეგნობა და გულკეთილობა, თუმცა მისი შვილები ქუდ-კასრებსა და ფერად ყელსახვევს უფრო ეწყობიან. ის ეხლაც სიამოვნებით იგონებს იმ ღროს, როცა ფეხშიშველა დაიარებოდა სკოლაში, სადაც ხუცესი მოთმინებასა, სიმრაბლესა და სასოებას ასწავლიდა. ამ გაკვეთილებს ისეთი შედეგი მოჰყვა, როგორც საერთოდ ფარისევლობას.

— და, შეწევნითა ლვთისათა, მევითმინე, — აშბობზა ნელის სიცილით სტრიუიკოზინი და თან მსხვილ ოქროს ძეწკვს ათამაშებდა გულზე... მამა იუნა გვეტყოდა: იმედი გქონდეს მხოლოდ შემოქმედისა და დანარჩენში ემორჩილებოდე მთავრობას!.. არაოდეს არ შერცხვებიო. და მეც ვემორჩილებოდი, ვსასოებდი. და თუ დღეს ერთი მტკაველი მამული მაჭვს, არაოდეს არ მავიწყდება, ვინ დამაჯილდოვა... აიშვერდა ცხვირამდე ბეჭდებით სავსე თითს და კეთილსათნოიანის სახით იტყოდა:

— ღმერთმა! დიალ!

და გუშინდელი ფეხშიშველა ბიჭი, მძლავრ აგებულობისა, ქალაქში გადავარდნილი, დღეს შაპოვალოვთან ერთად ჰელენა ნაკერ-ნაკერ მოქლს მაზრას, რომლის რუკა, როგორც მკეთროვნიანის სხეული, აჭრელებულია მათის მამულებით.

მათ მწკრივად მისდევს კიდევ ასიოდე სხვა ამგვარადვე გამდიდრებული ვაჭარ-ბატონი.

მაგრამ ახლად მოვლენილ მთავართა და მცყრობელთა დიდს კრებულში უპირველესი ადგილი შიროკოზალოვს ეკუთვნის. მძიმე ნაბიჯით, ამღვრეულის თვალებით,

მრისხანე აჩრდილივით წამჩადგა ის დოკუმენტოვანის მაზრას და შავბნელად დაჩრდილა არე-მარე.

დოკუმენტოვანელის გაკოტრებულ ვაჭრის შვილი, პორფირი ვლასის ძე შიროკოზაღმარე, ალიზარდა-სასტიქს, გამათახსირებელ და გამრყვნელ გარემოებაში. გიმნაზიის ოთხკლასამდინ მიაღწია. და იქ სულ გამოუთაყვანეს ყოველი კეთილი მისწრაფება, ჰუკუ-გონება. მამის სიმკაცრემ გულჩათხობილად აქცია. ბაზარმა მიაწოდა მის ჰუკუ-გონებას. საზრდო და ხასიათს—მიღრეკილება. კარგა ხნის უთავბოლო ცხოვრების შემდეგ, მამის ბრძანებით, საყვრელი ქალი მიატოვა და ოქროს ზოდებზე იქორწინა. ერთხელ მამასთან ჯილი უსაბამოვნება მოუვიდა, წაეჩეუბა, გაეყარა და თავისუფლად დაიწყო „მოლვაწეობა“. ახალგაზღდა ცოლითა და პატარა ქალით დოკუმენტოვანები დასახლდა, ამდვრეულის თვალით მიმოიხედა და შეუდგა ქვეყნის დაპყრობას.

იმან ალლო აიღო და მიხვდა, როგორც უნდა მათ მულის შეძენა. ყოველ შემთხვევას, გლეხის მცირე გაჭირებას ის ხელს ჩასჭიდებდა და გამოიყენებდა. დროს შეურჩევდა, თავს წააზებოდა და შებოჭავდა.

ხარჯი თუ ჰქონდა გლეხს გადასახდელი, ის ფულს ასესხებდა იმისთანა პირობით, რომ ბოლოს გლეხის მაშულო იმას რჩებოდა. თუ სათესი დასჭირდებოდა, ის გულუხვად გაულებდა ბელელს, მოსავალი-კი იმისი იყო. შოუსავლობა ხომ უფრო ხელს უწყობდა და დამშეულუა ავლა-დიდება მამულს უფართოებდა და დოკუმენტით ავსებდა.

საითაც-კი ის გაივლიდა; უკან კვნესა და კრულვა ისმოდა. ის-კი თანდათან შორს მიღიოდა მაზრაში და სხვის ქონებას ეპატრონებოდა. სიყალბესაც-კი არ ერი-

დებოდა და ორც ეშინოდა, მიღიოდა და მისრიალებდა და-
ხავსებულ კანონის სასხლეტ და გამხრწნელ ნიაღაზე.

ერთი ნაბიჯით შურიანეთი გასრისა. ჯერ იჯარით
აიღო სასოფლო მამული თორმეტის წლით და უშველე-
ბელ ჯარიმით. შემდეგ შეუჩნდა, სამუდამოდ მომყიდეთო,
და დაიყოლია. ხოლო ნასყიდობის ქალალდი სხვის სა-
ხელზე დააწერინა. მერე წამოვიდა, უჩივლა და ჯარი-
მამ მამული ჩაყლაპა: შემდეგ კერძო მამულებიც შემო-
იტარებოდა და სოფელს მუხრუჭი წაუჭირა. კოხტა შური-
ანეთი, რომელსაც ყველა შურის თვალით უყურებდა,
ეხლა ოფიციალურად შიროკოზადოვოდ იწოდება; იგი-
ვე სახელი ჰქვიან რკინის გზის სადგურსაც, რომელიც
მუდამ ხორბლით არის გატიკნული.

გლეხებიც შიროკოზადოვისებად იწოდებიან.

შიროკოზადოველ გლეხს ადვილად იცნობ: დაბრან-
ძულია, ამობუზული, ფაძენძილი, გულ-ჩათუთქული და
ჭირვეული,—იმის მიხედვით, თვრალია თუ ფხიზელი,—და
უთუოდ თვრალია, თუ-კი სასმელი იშოვა. თუ რომ
სადგურზე ლანძღვა-გინება გაიგონოთ და დაფხრეწილ
პერანგიანი გლეხი დაინახოთ, რომელიც ერთის ხელით
ვაგონის მხარეს. ვიღასაც ემუქრება, როგორც ტრაგიკუ-
ლი აქტიორი, და მეორე ხელით ნახევრად ჩავარდნილ
ნიფხავს იწევს, რომ ადამის სიშიშვლე დამალოს,—ნუ იკი-
თხავთ იმის ვინაობას... ის შიროკოზადოველია. ნუ ჰკით-
ხავთ თითონ შიროკოზადოველს; მშვიდი და მშრომელი
გლეხი რამ გადაგაქცია ლოთად, მაწანწალად, ქურდად, სა-
ბაზრო მასხარად? ის ვერ გაიგებს, რას ეკითხებით, და
კიდევ კარგი, თუ ლაზათიანად არ შემოგიკურთხათ. არავინ
ისე გემრისელად არ იგინება, როგორც შიროკოზადოველი.

სულ სხვა-და-სხვა სიტყვებს შეურჩევს თქვენს მამას, დედას, ცოლს, მამიდას, ბიძას, ქმას თუ და... კრულვაც საუცხოვო იცის: დაგირისხავს ცოლს, შვილებს, გამოფიტულ მიწას, ულრუბლო ცას, დილას, საღამოს, დღესა და ღამეს! ის სისხლმორეულ თვალით ცასაც შეჰყურებს მუქარით და, ვინ იცის, იქნება ხვალ თვით ღმერთიც დაგმოს. ერთი შიროკოზადოველი გააქანეს კიდეც ციმბირს იმის გამო, რომ ხატებსა სჩეხდა-და კბილების კრაჭუნით დასხახოდა:

— წადით, ჩემს საქონელს საკვები დაუყარეთ!

ლვიძლი შვილებიც-კი სტოვებენ შიროკოზადოველს — დეე, მამებმა იჭირვეულონ სხვის მამულზე, რუებში ამოიგუნგლონ, სხვის სამანთან სული დალიონ. შვილები, ახალგაზდები დამორჩილდნენ შიროკოზადოვს, ეტუქსუნებიან გლეხებს, ატყუებენ წონასა და ზომაში. ქალები ხომ... სოფლურ წითელ თავშალს სწუნობენ და ქალაქელებისავით შლიაპებს იკოხებენ თავზე, მზისაგან გაბრწყინებულ მინდორ-ველის ლაუღაჟს ნათითხნი ფერ-უმარილი ურჩევნიათ, რომელსაც მთვრალი შიროკოზადოვი კოცნით ადორბლიანებს.

ამჯამად შიროკოზადოვმა სარწყი-ხეველების მამულ საც მოუჭირა მუხრუჭი.

ოდესლაც მდიდარი ლვთისნიანეთი დანებდა. ხოლო ბასილეთელები ძალიან მაგრობდნენ. სოფელზე მდინარე ჩამოდიოდა. მომეტებული ნაწილი სოფლის მამულისა ერთ მხარეს იყო. ხოლო გაღმაც ერთი მოზრდილი, მეტად ნოკიერი ნაკერი და კარგი საწისქვილეც ჰქონდათ.

დიღხანს უარა შიროკოზადოვმა ამ ნაკერს, უნდოდა იჯარით მაინც აეღო, მაგრამ ვერა გააწყო-რა.

— ეს ნაკერი, როგორც გასათხოვარ ქალის მზი-

თევი — საუცხოვო რამ არის. მაგას როგორ გავიმეტებთ, ჩვენ რაღა დაგვრჩება?! — ამბობდნენ გლეხები.

ბევრჯერ უდროოდ დასცემია სოფელს მოხელე, ხარჯი წარმოადგინეთო. ბევრჯერ შეუკრებია მამასახლისს ხალხი და განუცხადებია, სასოფლო ვალს გვაწუხებენო. სოფლის მწერალი-კი უკითხავდა კრებას წინადვე დამზადებულ სახარბიელო ხელშეკრულობას, რომელსაც ვითომბდა საბედნიეროდ ხელის მოწერა-ლა უნდოდა. მაგრამ სულ ამაოდ:

— ჩვენს სიკვდილს მოვუწეროთ ხელი? შიროკოზადოვის ხელიდან ველარავინ დაიხსნის!.. ხანდისხან შიროკოზადოვის მომხრები თითქმ იმარჯვებდნენ კიდეც და საქმის გათავებას. აპირობდნენ. მაგრამ გამოჩნდებოდა ახალგაზდა, პირყწლიანი გლეხი ნაზაროვი და საქმე ისევ ჩაიშლებოდა.

ნაზაროვი ცოცხალი ახალგაზდა იყო, მჭერმეტყველი, აზროვანი, სახალხო ორატორი, რომელიც მთელ ყრილობას ხიბლავდა და იზიდავდა. იმან საერო სკოლა გაათავა. წიგნის კითხვა უყვარდა.. გონიერი მოსაუბრე იყო და ერთხელ დასაჯეს კიდეც იმის გამო, რომ თავის სახლში ხალხს წიგნებს უკითხავდა. იმან ბევრჯერ ჩაუშალა შიროკოზადოვს ეშმაკურად მოწყობილი საქმე.

შიროკოზადოვმა ერთი რამ უხერხა სოფელს.

მწერლის, მამასახლისისა და მათ თანამოაზრეთა დაბმარებით, რომლებიც შიროკოზადოვმა დაქრთამა, შეადგინეს სოფლის ყრილობის დადგენილება, ვითომც შიროკოზადოვს მიწას აძლევენ იჯარით თორმეტის წლით. იმზაგხულს მოარული იყო სოფელში და ბევრი გლეხკაცი იმსხვერპლა.. იჯარის ქაღალდს გადაცვალებულების

სახელით ხელი მოაწერეს, მამასახლისს შეამოწმებინეს და ბეჭედი დაასვეს.

ბასილეთელებმა პირი გააღეს.

საჩივარი ასტეცეს, მაგრამ საქმე წაგეს, რადგან ფორმალური სიმართლე შიროკოზადოვისკენ იყო.

აღელდნენ ბასილეთელები. ამისთანა აშკარა უსა-
მართლობამ მთელი მათი რწმენა შეარყია. რის იმედიც
ჰქონდათ, სწორედ იმან მოატეხინა კისერი.

— არავის იმედი არ უნდა გვქონდეს, ჩვენ თითონ
უნდა ვუპატრონოთ ჩვენ თავს!

ასე უთხრა სოფელს ნაზაროვმა.

ამ სიტყვებს ბევრი ჩმეორებდა, კაცი და ქალი.

სოფელში განხეთქილება გაჩნდა. ზოგი მამასახლისს
ემხრობოდა, ზოგი ნაზაროვს. პირველ ჯგუფში „წარ-
ჩინებულნი“ იყვნენ. მეორეში—მთლიად ლარიბნი, ახალ-
გაზღობა, უსამართლობით აღელვებულნი. მალი-მალ-
იკრიბებოდნენ და მსჯელობდნენ. დედაკაცებიც მჟერ-
მეტყველობდნენ. მამაკაცები ჯერ კიდევ კანონიერ გზას
ეძებდნენ. დედაკაცები-კი არწმუნებდნენ, უმწვერვალეს
ლონისძიებას უნდა მივმართოთ. მდიდრების სახლებს
ჩაუვლიდა ახალგაზღობა სიმღერით, ზოგჯერ ფანჯრის
შუშებს უმსხვრევდა და უყვიროდა:

— გამცემელნო!

მთელ ზამთარს ესეთი მღელვარება იყო. გაზაფ-
ხულზე-კი უცნაური სიჩუმე ჩამოვარდა.

შიროკოზადოვმა მოხნა მითვისებული მიწა და ჭა-
თესა,

მაგრამ მომკის ღროს ხალხი, ნაზაროვის მუთაფრო-
ბით, შეესია ყანას, ერთს ღამეს მომკა, შეჰკრა და შინ

ჭამოილო. გაჩნდა მთავრობა, დაიწყო გამოძიება, აწერა, გაჩხრეკა, დაპატიმრება და სამართალი „თვითნებობისა“. გლეხები ჩუმად იყვნენ დი არავის ამხელდნენ. მაგრამ მოთმინება გაუწყდათ და ხელი გამოილეს. იმ ზამთარს მამასახლისს სახლი გადუწვეს, ორს მდიდარს, რომელთაც ხალხი ღალატს აბრალებდა, ორი ძირი ყანა გადუწვეს. ბოქაული თანდათან შემოეჩია სოფელს, მალიშალ ესტუმრებოდა და რაღასაც იძიებდა.

იმის მოწვევით, სოფელში მოვიდა ჯვარეთელი ხუცესი მ. მათე, ხალხი შეჰყარა და დაუწყო საუბარი.

— ყოველი სული დადგენილ უფროსთ ემორჩილებოდეს, ძმანო! რაისთვის ამხელრებულხართ, ვითარცა ეშმაკი უფლისა მიმართ, თქვენთა კეთილ-სათნოიანთა უფროსთა. წინააღმდეგ!

ამას მოჰკერდა ამბავი ერთ მოციქულ-იდეოლოგისა, რომელსაც მუდამ ციხიდან ციხეში გზავნიდნენ, და საუბარც დაბოლოვდა თქმულობით, როგორ გაჩნდნენ უფროსები.

ვიღამაც გაიცინა.

სხვები მდუმარებლნენ....

გლეხებმა კიდევ მისცეს ნება შიროკოზადოვს მოეხნა სადაო ჩიწა და დაეთვესა. კიდევ მკის დროს შეესივნენ ყანას სიმღერა-ყიუინით.

მაგრამ იქ სალდათები დახუდათ.

მდუმარედ და ჩაფიქრებით. იდგნენ სალდათები თოვებით.

მათ წინ გლეხებიც შეჩერდნენ,

სალაშოს ჟამს ბოქაული ეტლით მოფრინდა.

— რად მოსულხართ? წატით მშვიდობით, ნება-
ყოფლობით!

წარდგა ნაზაროვი.

— ეს ჩვენი მიწაა და უნდა მოვმკოთ!

— ეს შიროკოზადოვის მიწაა! — შეჰყვირა ბოჭაულმა.

— ჩვენი მიწა! — ყვირილითვე უპასუხა ნაზაროვმა,
არავის დავანებებთ.

— ჩვენ მოტყუებით ჩამოგვართვეს.

მაშინ გლეხებმა ერთხმად შესძახეს:

— ჩვენი მიწა! შიროკოზადოვმა გაგვქურდა! ეს
ჩვენი ყანაა! თქვენ თითონ ჩამოგვეცალეთ! თუ არა და,
გაგრეკავთ!

— ხმა ჩაიწყვიტეთ! — გაცხარდა ბოჭაული, — ეი,
დარაჯნო, შეჰყარით ნაზაროვი! მე შენ გიჩვენებ, წუწკო...
„ბუნტოვჩიკო“!

ნაზაროვს ხალხი შემოერტყა.

აღელვებული გლეხები რალასაც ჰყვიროდნენ. დედა-
კაცები ბოჭაულისკენ იწევდნენ მუშტებით და „შიროკო-
ზადოვის ძალლს“ ეძახდნენ. ერთმა მოხუცმა დედაბერმა
ნამგალი ესროლა და ხელი გაუკაწრა.

ბოჭაულმა დასისხლიანებული ხელი მაღლა აიღო
და აფიცერს დაუყვირა:

— უბრძანეთ ესროლონ! გაჰფანტეთ ეს საძაგლები!

ბძანების ხმა გაისმა. სალდათებმა საოფები მო-
მარჯვეს და წინ წაიწიეს.

— სალდათებო! — შეჰყვირა ნაზაროვმა, — თქვენც
ისეთივე გლეხები ხართ, როგორც ჩვენ. თქვენ ხვალ-
ზეგ თქვენს ხნულებს უნდა დაუბრუნდეთ და თქვენს
ადგილს ჩვენ დავიჭერთ და წამოვალთ თოფებით თქვენ

წინააღმდეგ, როცა მართალ საქმისთვის თავს გამოიდებო. სალდათებო, ძმებო! იფიქრეთ, ვის ემსახურებით, ვის ებრძვით!

— გაჩუმდი, საზიზლარო, გაჩუმდი! საპატიმროს ძალ-ლო! — ხრინწიანის ხმით გაიძახოდა ბოქაული.

და თან ხელს უქნევდა აფიცერს:

— ესროლეთ. ბრძანებისამებრ! აჯანყებულებს! ... შე ვაგებ პასუხს.

ახალგაზრდა აფიცერმა ალელვებით უთხრა ხალხს:

— ხალხო, ბატონებო! წადით, ლვთის გულისათ-კის! ჩვენ თოფს გესვრით, ჩვენ უნდა გესროლოთ.

— გვესროლეთ, — შესძახა ნაზაროვმა, — გვესროლეთ, თუ თქვენც სული მდიდრებს მიჰყიდეთ! გვესროლეთ! ჩვენ სიმართლეს ვეძებთ. დავიხოცებით და აქედან კი ფეხს არ მოვიცვლით.

— აბა, აბა, გვესროლეთ! — გაჰკიოდნენ დედაკა-ცები და თან წინ მიიწევდნენ.

ფანრების სინათლეზე ბრწყინავდნენ ერთ მხარეს ნამგლები და მეორეზე — ხიშტები.

— ვასო! შვილის-შვილო! — შებლავლა ერთშა მო-ჭუცმა. — შენც ჩვენზე მოდიხარ?

ხალხი საშინაურდა ახმაურდა.

— ვასილ! პოვალიხინ! ჩვენზე მოდის!

ახალგაზრდა სალდათმა თოფი გიდააგდო და შე-ჩერდა.

სალდათები გლეხებს დაუპირდაპირდნენ და თითქ-მის ხიშტებით სწვდებოდნენ.

ახალგაზრდა აფიცერმა მღელვარებით შესძახა:

— შეჩერდით!

სალდათები სწრაფად შეჩერდნენ.

— უბძანეთ ესროლონ! — ყვიროდა ბოქაული.

— უიარაღო ხალხი დავხვრიტო! — სთქვა გაჯავრებულმა აფიცერმა და სალდათებს უბრძანა: თოფი დაუშვი! დაიჭირეთ, შეჰქარით ყველანი!

სალდათები ხალხს დაერივნენ. იმათ დაატყდათ ნამკლები, ცელები, ქვაბები, პარკები, რაცა-კი ხელთ ჰქონდათ. დედაკაცების მუშტებიც საკმაოდ მუშაობდნენ...

დილით რვა გლეხი და მათ შორის ნაზაროვიც დამწყვდეულნი იყვნენ სოფელ ჯვარეთის სამმართველოსთან.

II

დოვლათოვანსა და საგუბერნიო ქალაქ ქველეთს შუალედში, დამკვიდრებული სოფელი ბუდოვანი. იქ ხუცესობდა მამა ივანე გონიბესოვი.

ერთხელ ხუცესის ფართო ეზოში თივით დატვირთული ურემა იდგა: თვით მ. ივანე ურემზე შემდგარიყო და თივის ზვინსა სდგამდა.

— ჰა, ნუ გძინავს! — უყვირთდა მოჯამაგირეს. ხშაჲექასავით გაისმოდა.

ყოველ მის მოძრაობას გოლიათის ძალა ემჩნეოდათ თითოების ღრმად ატარებდა თივაში, მოხერხებულიად ასწევდა, თავზე გადივლებდა, როგორც ვეებერთელა ქოლგას, სწ ზვინს თანდათან ამაღლებდა: თან ხმაურობდა, თითქმთავისი ღონე თითონვე მოსწონდა:

— ოჰო, ჰო, ჰო! აბა, პარამონ-ჯან, ყოჩალად!

ქარი ანიავებდა ხუცესის ქერა წვერს და ცელქად გადაჰქონდა მხრიდან მხარზე; კაბასაც უფრიალებდა, ქალის

ქვედატანსავით, ხშირად ორთავ კალთას გადუწევდა და ურემთან მდგარ გლეხს ხუცესის ზოლიან პერანგის ამხანაგს დაანახვებდა. ის-კი მორცხვად თვალს არიდებდა.

გლეხი ხნიერი იყო, ჭალარიანი, ცოტა ნაზარხოშევი. თბილი ქუდი, სიცხის გამო, უკან გადაეწია. ფეხთ კუპრით სქლად გაგლესილი წალები ეცვა. ერთ ალლიაში ხელსახოცმი გამოკრული დიდი თეთრი პური ეჭირა, მეორეში—ფეხშეკრული ჭროლა. ქათამი.

— ეხლა, ესე რომ ვთქვათ,—ხრინწიანის ხმით ამბობდა გლეხი, — მაგალითად, რომელიცა. ჩვენი გლეხების სიბრიუვე ბატონების ბრალია.

მ. ივანე თან ართითს ამუშავებდა და თან ჰკითხავდა:

— რომელ ბატონებისა?

— აი, იმ ბატონებისა... რომელიცა რომ... ბატონები! გლეხის საქმე, მამაო, წმინდაა. გლეხი, რისგანაც გირდა, — ნეხვი, ტალახი, ქვა, ქვიშა—ყველაფრისგან ფულს მოსჭრის. დათესა კანაფი—ნიფხავ-პერანგია, ჩააბნია მიწაში ხორბალი—მთელი წელიწადი ისაზრდოვე. აიღო ცული, დაიფურთხა ხელის გულზე, დაპკრა—მანათია... და ახლა მოდის შენთან მორთული კაცი და გეუბნება: „ჩვენ ბატონები ვართ, მოგვეცი, გლეხო, ათიშაური ხაზინისათვის! დღეს ათი შიური, ხვალ ათი შაური, ზეგ მანათი! ასე ხომ, მამაო, არც ნეხვი გეყოფა და არც ტალახი. და გლეხსაც მიაქვს ბაზარში თავისი ნიფხავ-პერანგი, თითონ-კი დაკონკალი დადის. ხორბალიც ბაზარში მიაქვს. თუ ცულიდა ჩორკნიდა—ისიც! ბატონი-კი ამბობს: „ეს ცოტაა, კიდევ მომართვიო“.

მოიტა და მოიტა... და გლეხიც აირია, დაიბნა, აღარ

იცის, რა მხარეს მიაწყდეს, ყველგან ბატონები დარაჯობენ. ერობის უფროსი ჯარიმას თხოულობს, ბოქაული სახაზინოს, მამასახლისი სხვა გადასახადს. ყვირილითა და მუქარით მორბიან შენკენ... მართლა, გლეხი ჯადოიანი ქისა ხომ არ არის, რომ მუდამ გამოულეველი მანათი ედოს. გლეხი ეხლა სახელით-ლა არის გლეხი, თორემ შიგნეული სულ გამოკორტნილი აქვს. იმიტომ რომ მიწა თანდათან უცოტავდება, —ზოგიგაუყიდნია... მანათებიკი მაინც ბლომად უნდათ. ეხლა ერობის მოხელეც, ვაჟარიც და იჯარადარიც სულ გლეხის ბატონები არიან. ბოქაულსაცა და ურიადნიკსაც, ყველას შეუძლიან გლეხს დაუყვიროს და ცუდი სიჭყვა ახალოს... გლეხს-კი თავის საჭიროებაზე ხმაც ვერ ამოუღია, —სოფლის კრებებსაც-კი ბატონები უძლვებიან. ჩვენი დაბეხავება სულ იმათი ბრალია. გაიფცვნა გლეხი და იმის მეტი აღარა დარჩენია-რა, რომ აჯანყდეს... გაიგონე, მამაო, შიროკოზადოვმა ბასილეთელებს კვდრები. რომ გაუცოცხლა?

— ჰო, გამიგონია, ვასილ!

— სასიკვდილე!.. ეხლა-კი ბასილეთელები უნდა გაასამართლონ. აი, ბატონების სიმართლე როგორია ქვეყნიერობაზე.

ვასილი დაფიქრდა, ოხრავდა და ირყეოდა, რის გამც ქათამს ბოლო ებერებოდა.

— ახალი ამბავიც გაიგე, მამაო, ჯვარეთელ მამას რომ დედა-ფოფოდია გაქცევია?

— რაოო?!

მ. ივანემ ისე უხერხულად გადაიტანა თივა, რომ სულ დაიშალა და ქარმა გაპენტა. დაეყრდნო ორთითს და გაშტერებული გლეხს დასცეკეროდა. მზისაგან მომწვარი და მუშაობისაგან აწითლებული სახე ოდნავ გაუფითრდა.

— შენ მანდ რასა სტყუი! — უკმეხად უთხრა გლეხს.

— რას უნდა ვტყუოდე! — უპასუხა. გლეხმა წყერით. — ჩემი შვილი ნიკოლა იყო ეტლით ღვთისნიანეთში, იქ ყველა მაგაზე ლაპარაკობდათ. წუხელის ფოსტის ეტლით გაქცეულან ისა და მედავითნე. თან მიღიოდნენ, — ამბობს კირუხა, რომლისაგანაც ცხენები უქირავნიათ, — თან უკან-უკან იხედებოდნენ, ხომ არავინ მოგვდევსო.

— შენი კირუხა რაღასაც მიედ-მოედება!

— კირუხა ტყუილს არ იტყვის, — დარწმუნებითა სთქვა გლეხმა, — კირუხას ბოშას თვალი აქვს, კედელსაც გასჭრის.

მ. ივანემ ორთითი მიაგდო.

სახეზე მღელვარება და მოუსვენრობა დაეტყო.

ჰარამონს დაავალა, გადიტანოს დანარჩენი თივა, და ეტლიდან ჩამოხტა.

— წამო, შინ მოდი, ვასილ, და ერთი რიგიანად მიამბე... რა სასულელეა! როგორდაც არა მჯერა, კარგა ვიცნობ მ. მათეს. და ჰაულას — ფოფოდიასაც კარგა ვიცნობ! ბავშობიდან ვიცნობ! მეგობრები ვიყავით! ისეთი კარგი, ისეთი გულკეთილი ქალია... ვერ დავიჯერებ ტყუილია, ტყუილი!

მ. ივანემ გაატარა გლეხი დიდ ეზოში, რომელიც სულ სავსე იყო ეტლებით, ურმებით, გუთნებით, სახნისებით, რომლებსაც ჯერ მიწა არ შეშრობოდა, და უკუღმა გადაბრუნებულ ფარცხებით.

— დედაო! — შეჰყვირა, ოთახში რომ ფეხი შესდგა, — გაიგონე, რა ახალი ამბავია!

ფოფოდია გამოვიდა, ფქვილში აგუნგლული და ნიდაყვამდე მაჯებ-ატიტვლებული, მაღალი, გამხდარი, სახე-

შოლუშული. ტანთ ეცვა უბრალო, მოშაო კაბა, რომელ-
საც არავითარი მართულობა არა პქონდა, და თავზეც თეთ-
რი ხელსახლცი მოეხვია, როგორც მონასტერში მოლოჩ-
ნებმა იციან. თავდაჭერილი და უქმეხი ფოფოდია, ოდეს-
ლაც ლამაზი, ეხლა-კი ჩამხმარი და ცივგული, მართლა რომ
მონასტრის მორჩილსა ჰგავდა.

— რა ამბავია? — მოჭრითა და მკვახეთ იკითხა ფო-
ფოდიამ.

და როცა მოისმინა ამბავი, ცივადა სთქვა:

— დიდი ხანია, მოსალოდნელი იყო. აქ გასაკვირ-
ველი არა არის-რა. მაგისთანა კოხტა-გრეხიასგან მეტი
რა გამოვა? სახეზეც გარყვნილობა ეტყობოდა...

მივიღა სარკესთან, გაისწორა თავმოსახვევი და თა-
ჯისთავს ისე შეხედა, თითქო სხვა ვინმე იყოს.

— როგორ არა გრცხვენიან, ლინა! — გაჯავრდა მ.
ივანე. — ქალს ეგრე სახელს გაუტეხენ! მერე იმისთანა
კარგს ადამიანს, როგორიც პაულა! ჩვენს ნაცნობს!..

— შენი ნაცნობი თუა... დატლოშნეთ ერთმანეთი!

— აი, შე უსინიდისო! იცი, მე შენ რა გითხრა:
ეგეთის ლვთაებრივის შეხედულობით მთლად შენ იმის
ფრჩილადაც არა ლირხარ.

აღელვებულმა ხუცესმა ოთახში დაიწყო სიარული.

— აღარ გაბედო, აღარ გაბედო ეგრე ჩირქის წა-
ცხება! ერთხელ და სამუდამოდ გიკრძალავ! სულ ტყუ-
ლია, რასაც ლაქლაქობენ, არაფერიც არა მჯერა. ჭო-
რია, მოგონილი! რაღაც გაუგებრობაა... და შენ როგორ
არა გრცხვენიან, რომ ეგრე ახსენე!

— ნუ დახტიხარ, — ცივად უთხრა ფოფოდიამ,
და ხელებსაც ნუ პარჭყავ. მე ვერ შემაშინებ... შხდალ-

თაგანი არ გახლავარ. ლურჯ თვალების იქარკლა არ ვიცი, როგორც იმ შენმა... პაა-ულამ! და არც მინდა! მე შენ, ჩემო მტრედო, დიდი ხანია, გაცქერდები და გატყობ...

— რას? — გაკვირებით მიუბრუნდა მ. ივანე და დააშტერა თვალი.

ისიც ბოროტის დაცინვით შესტკეროდა.

— დ შენც აღარ გაბედო ჩემი შედარება სხვებთან, — ერთბაშად ატელდა ისიც, — აღარ გაბედო... გესმის? ლიზუნა რომ არა მყავდეს, ეხლავ გაგეცლებოდი მონასტერში...

— ზარების წკრიალ-გრიალით! — დაცინვით უთხრა მ. ივანემ, მიბრუნდა და ფანჯრის შუშებს დაუწყო ფჩხილებით კაკუნი.

— წადი, მოილე წყალობა... გამეხარდება! მეც, დიდი ხანია, წავიდოდი. გგონია, ძალიან გამტკბარი მაქვს ხუცესობა. მაგრამ სად ჯანდაბას წაგვესვლება მე და შენ, ჩემო ძვირფასო? და შენც მარტო სიკაპასით არ გამეცლები: ვიღა უნდა სტანჯო და ღრღნა! იჭვით, ბრაზით სინათლესაც-კი ვერა ხედავ... ჩემი სიცოცხლე ესე ბინძური ჭაობი აღარ იქნებოდა, შენ რომ ცოტაოდენი ჩემი სიყვარული გქონდა.

— სიყვარული!!

ფოფოდის სახე აერია და დაელრიჯა, თითქო ტკივილებმა დაუარესო, და ჩაბნელებულ თვალებით შავი და ბნელი ტალღა მიახალა მ. ივანეს.

ვასილი მომთმინოდ იდგა კარებში და ისე აჩვენებდა თავს, თითქო ჭერს ათვალიერებს და დახეთქილ აღგილებსა სთვლისო. ის-კი არა თუ, ხარბად უგდებდა ყურა შინაურ კინკლოობას და სხვა ყველაფერი დაავიწყდა. ქათაშის მოსწყინდა დიდის ხნის მოსვენება, ერთბაშად დაიფთ-

ხრიალა, გაშალა ფრთები, გაღაფრინდა, ფოფოდიას შინ გაიშხლართა და ულონოდ გააშვირა კისერი. ვასილი უნდოდა ქათამი დაეჭირა და პურიც-კი ხელიდან გაუვარდა, რომელიც გაგორდა, გამოგორდა და ქათამთან დაბზრიალდა.

ხუცესს გაეცინა და ერთბაშად მოლბა.

— ეჭე, სულ გაიფანტა, ფრინავს, დაგორავს! — სთქვა იმან, ვითომც აქ არა ყოფილა-რაო. — შენ, დედაო, ჩიი დაგვალევინო მე და ვასილს, ისა სჯობია შვილს აქორწილებს და ძლვენი მოგართვა.

ფოფოდიამ უსიტყვოდ აიღო პური, გახსნა. ხელსახოცი, პური სკივრში შეინახა, ქათამი-კი სამზარეულოში გაიყვანა, შემობრუნდა და ჩიის კეთება დაიწყო. ჭიქა რომ მიაწოდა გლეხს, თან უთხრა:

— ეს რაო, ვასილ, ქათამი მოგიყვანია?!

— რატომაც არა! — გაუკვირდა ვასილს, — არ შეიძლება?

— განა ბატი-კი დაგაქცევდა.

— ბატი! ოჟ, ღმერთო!.. ბატი! თურმე რა ყოფილა... ჰა! ღმერთო ჩემო! დადაო, განა ჩვენ...!

მორცხვად და მორიდებით გააქნ-გამოაქნია ძალზე ქონწასმული თავი და განაგრძო:

— ბატსაც მოგართმევთ!

— ბატი კარგი საქონელია! — სთქვა დაბალ ბოხის ხმით მ. ივანემ, — მეტადრე... გასუქებული. საუცხოვო ფრინველია. რაღაც რამ აქვს ისეთი...

აქ თითებით გაატკაცუნა.

— დარბაისლური, გაიგეთ თუ ვერა, საფუძვლიანია ესე ვთქვათ, გაიგეთ თუ ვერა... ბატური! სუნიც-კი ისე-

თი არა აქვს, როგორც სხვა ფრინველს... ცხვირში სა-
ამოდ გეცემა!..

• სიჩუმე ჩამოვარდა.

საღლაც ძროხაშ დაიბლავლა. ცხენის ხვიხვინი და
ნალების ბაკა-ბუკი მოისმა. რაღამაც საქათმე ააფთხოი-
ლა. ფანჯრის წინ ბატების გროვა გადაფრინდა და ხავ-
სით ამწვანებულ ჭაობში დაეშვა, საღაც ღორს მყუდ-
როება შეუშალა. ყოველ მხრიდან სოფლის სიცოცხლის
ხმაურობა მოისმოდა.

— რა ცუდი საქმე დაგვემართა; ვასილ,— სთქვა ფო-
ფოდიამ,— ცხვარი ხომ დაგვიკოჭლდა.

— ჰო, მოხდება. კაცსაც დაემართება, არამც თუ
ცხვარს. რა-კი რომა, ცხვარია...

— ისეთი კარგი რამ იყო... და აკი დაკოჭლდა!
სულ გახდა, ძვალ-კანი-ღა შერჩა! მოდი, გამოგვიცვალე-
ხომ სულ ერთია, საქორწინოდ საკლავი გინდა... კოჭ-
ლის დაკვლა ისე არ დაგენანება..

ვასილმა უნებურად გაილიმა, ჯერ ჭერს შეხედა და
მერე ხელები გაშალა.

— გამოვცვლით!

— ჰო, აბა,— სთქვა ივანემ; — შენ მგონი ტყავსაც
გააძრობ. ჯიში მაინც დაუტოვე.

და ვასილს მიუბრუნდა.

— გამიგონე, ვასილ. შენ მაინც რიგიანად ვერ გა-
მაგებინე: ფოფოდის ვინ გაჰყვა?

— ამბობენ, მეღავითნეო. იი, ტანადი, ზორბა, კი-
რუხას სიტყვით, შაგვრემანი, ისეთი შავი თმა აქვს, რომ
ყორანსა ჰგავსო.

— დიდ-ულვაშა? — წამოიძხა ივანემ.

— ულვაში, — კირუხა ამბობს, — მათრახად დაიგრი-
ტებაო. ღრიალი! ერთი შეჰყვირა თურმე და კირუხას
ცხენები სულ დაუფთხო... ჩქარა შეაბი ეტლი, არქიე-
ლის ბრძანებაა, ორი ცხენი გამოიყვანეო.

— მედავითნე!.. სწორედ რუდომეტოვი უნდა იყოს.
უეჭველად, ის არის. მამა დეკანოზის ნათესავი. ჰო,
მო-
მაგონდა, მინახავს!

და მორცხვად წვერზე ხელი გადისვა.

— ეს სადაურია, ჰა? დიდი სისულელეა! დაუჯე-
რებელია! სირცხვილი, თავსლაფი! უნდა წავიდე მამა
მათესთან... უთუოდ წავალ.

და გულშემატკივრად დაიწყო:

— მე ხომ იმას ბავშობილან ვიცნობ... გიმნაზიაში რომ
აწავლობდა! მოკლე ბაკიანს! წიგნებს რომ აიღლიავებდა...
და ისეთი მხიარული! სულ სიცილი და კასკასი! რა კარ-
გი რამ იყო, რა სანდომიანი..., მიმზიდველი! როგორც
მზე. შემოგხედავს, გაიღიმებს... და გარშემო ყველაფერი
იღიმება... ამ წამს რომ ტიროდე და დაინახო, ცრემ-
ლი მაშინვე შეგაშრება. და, იცი, იმას რომ ვუცქერ-
დი, სულ ის ზღაპარი მაგონდებოდა, პატარა გოგონა
რომ უზრუნველად და უდარდებოდა მიღიოდა და მისი
კვალი ყვავილებით იმოსებოდა. საცა პაულა გაჩნდებოდა,
იქ სიმხიარულე, ხმაურობა, სიცილი ასტყდებოდა... ოჭ,
პაულა, პაულა!.. ჩვენ იმას ოქროსანს ვეძახდით.

თან ტკბილად იცინოდა და მის სახეს სიამოვნება
გადაჭვენოდა. ნახევრად თვალმოხუჭული ვასილს შეჰყუ-
რებდა, წვერი ხელში შეემუჭნა და მოგონებას მისცემოდა.
ლაპარაკი უნდა განეგრძო, მაგრამ ფოფოდიას თვალი
მოჰკრა და შეშინებულის სახით უკან გადიხარა. ფოფო-

დიას თვალები ნემსებისავით სჩევლეტდა; ხელებს-კი მაგი-
ლაზე პარჭყავდა შეშლილისავით.

— რა დაგმართვია! — კინალამ წამოიძახა მ. ივანემ,
მაგრამ ვეღარ მოასწრო.

ფოფოდიას ხელი ჩაის ჭიქას წაწყდა. აიღო და
იატიკს დაანარცხა. ნამსხვრევები რთახს მოწდო, ჩაით
წინწკლებით ფანჯრის შუშებიც-კი გაიწუწა. ფოფოდია
წამოხტა და საწოლ რთახში გავარდა.

ვასილი გაშტერებული იჯდა, თვალები დაეჭირი
და იმ ადგილს მისჩერებოდა, სადაც ფოფოდია იჯდა,
თითქო იმის ლანდსა ხედავსო. მამა ივანემ მწარედ გაი-
ცინა და ამოხვრით წარმოსთქვა:

— აი, სიცოცხლე!

ვასილი საჩქაროდ წამოდგა, ფეხის თითებზე შედგა
და წაიჩურჩულა:

— ცხვარის გამო ფოფოდია დაამშვიდე, მამაო! გა-
მოვცვლი! უჟ, გულ-ფიცხი... მრისხანე ყოფილა.

და კარებისკენ მიმავალი ნატეხებს ფეხქვეშ ამ-
სხვრევდა.

ქუჩიდან ხშირი უღარუნი მოისმა, თითქო ვიღაც
მოაქროლებსო.

უღარუნი მ. ივანეს სახლთან შეწყდა.

მგონი, ჩვენთან უნდა იყოს, — სთქვა მ. ივანემ და
ფანჯარაში გადიხედა. — სწორედ ჩვენსაა! ფოსტის ცხე-
ნებია! ვინ იქნება?

და მაშინვე მიხვდა:

— მამა მათე!

მამა მათე შემოვარდა და მ. ივანეს გულსე დაეცა.
მ. ივანემ ლონივრად მოხვია ხელი, გრილ სასტუმროში

გაიყვანა. ფანჯრები ნახევრად დახული იყო. მკრთალი სინათლე ოთახს ვერ ანათებდა. ბუზები უსიამოვნო ბზუილით შუშებს ეცემოდნენ. მ. მათე, ღონე-მიხდილი და უიმედო, ტახტზე დაეშვა. ის ტანდაბალი იყო, გამხდარ-მილეული, კინა პირისახათ, რომელზედაც ბაცი გინწერი ამოსულიყო. ცხვირი ნისკარტს მიუგავდა და ეხლა ტირილისაგან გალურჯებოდა. ნაცრისფერი ფარჩის კაბატომარასავით ჩამოსანსლოდა და გულისპირი ცრემლისაგან სულ დალაქავებოდა. ის ქვითინებდა და უღონოდლიფლიფებდა:

— აი, შენთან მოველ!.. მაშ სხვა ვინა მყავს?.. /შენ გაიგებდი, რა უბედური ვარ?.. აი, რა მალე ედება ქვეყნას ცუდი ამბავი. იოვანე, იოვანე! განა საამისო რა ჩავიდინე?..

— დამშვიდდი! — დინჯად და მკაცრად ურჩია მ. ივანემ.

— მე რაღა დამამშვიდებს? არა! დავილუპე... შევრცხვი... თავი მომეჭრა!..

— რა ფარჩეულით მორთულხარ? — აავლ-დაავლოთვალი მ. ივანემ.

— ფარჩეული?

გაკვირებით დაიხედა

— ისე, შეცდომით... სულ ერთია, თუნდ ჭილო-ფში... ეხლა სულ ერთია! ღმერთო, რაისათვისა მდევნი მე! რაისათვისა მსაჯავ მე!.. გამიგონე, იოვანე... ჩემო სულო, წამო! გამომყე!

— საღ?

— წავიდეთ! მიხსენ! ქალაქს!.. უნდა დავეწიოთ დავიჭიროთ! ვიდრე ხალხს არ გაუგია, ვიდრე უმაღლეს

მთავრობას არა სმენია! რა სირცხვილია! რა ლაფი დამასხა!.. ჩემი წარმატების იმედი სულ მომისპო... რისთვის? განა არ მიყვარდა, განა თავს არ ვევლებოდი, არ ვანაზებდი? ყველაფერს ვაძლევდი და ვუსრულებდი, რასაც სული და გული მოინდომებდა. რალა უნდოდა? სამრევლო საუკეთესო გვაქვს ეპარქიაში... შემოსავლიანი... მდიდარი სამრევლოა. ხავერდში დამყავდა. შლიაპები ხომ, რა თქმა უნდა, შლიაპები!.. ქალაქს რომ წავიდოდი, შლიაპას, შენც იცი, ათორმეტ მანათად ვყიდულობდი!

— ვიცი!

— კაბა... ამ დღეებში... ფარჩისა, წითელი, ახალ მოდისა!..

— ვნახე! — წარმოსთქვა შეფიქრიანებულმა მ. ივანემ, — ლია ფერისა!

— ატარე, რაც გინდა — არ გინდა! ავლა-დიდების პატრონია! ყველაფერი იმის ხელთ არის! რალა ბკლია? მოვარაყებულ ეტლით დადიოდა!.. ბლალოჩინის ფოფოდია შურით უყურებდა,.. დედოფალია, დედოფალი!! ფორტოპიანოც ვუყიდე... ლმერთო! რაისათვის მეწია ესე? და თან ხელებსა შლიდა.

— რაისთვის?

— გადიაცდი... არ, რასთვის! — მკაცრად უთხრა მ. ივანემ! — გარყვენი დედაკაცი... ჰო, და... ფარჩეულით მორთე!.. იცი, დიაცს რა თავის დაჭერა უნდა?..

ხელი გაიშვირა და მუშტი აჩვენა. მაგრამ მეორე ოთახს ცალი თვალით გადახედა, მუშტი ჯიბეში დამალა და გაუბედავად ამოიოხრა.

მამა მათე ყურს არ უგდებდა, გაწეწილი თავი დაუხარა, აქეთ-იქით არხევდა და დუღუნებდა:

— მოვკვდები... მოვკვდები! ვერ ავიტან! სირცხვილი, თავს ლაფი! მთელ ეპარქიაში! მე მიყვარს! როგორ ჩაიდინა! როგორ გაბედა! გავეყრები!

ერთბაშად წამოხტა, პაწაწა მუშტები ჰაერში ააკანკალა და სასოწარქვეთილად დაიწრიპინა:

— მოვკლამ!..

მაგრამ ისევ ტახტზე დაეშვა და უძლურად გაირინდა. ბუზებსაც-კი აღარ იგერებდა, ოფლიან სახეზე რო დათარეშობდნენ. მის გულში რაღაც ოდნავ-და ფათურობდა და კვნესოდა.

ხმა რომ მიუწყდა, მ. ივანემ მოხვია ხელი, ფეხზე წამოაყენა და გულ-კეთილად უთხრა:

— ტირილით ხომ მოიხე გული. ახლა კმარა, ნუღარ წრიპინებ! ცხვირი მოიხოცე! აფთრობას-კი თავი დაანებე! ერთი დამიხედეთ... რა ოტელოა! ზანგი! მოკლამ!.. წამო, ჯერ ჩაი დავლიოთ. ე შენი ცხელი სისხლი წყალით გაინელე. ტლოშები-კი აიწიე. ჯანმრთელი ტეტია და მირონი-კი გადმოსდის!

გაიყვანა სასადილოში, დასვა მაგიდასდან, ჩამქრალ ჩაიდანს ხელი დაადო, გაუბედავად საწოლის ოთახის კარებს გადახედა და ამოიხხრა.

— მანქანა ჩამქრალი! არა უშავს-რა, ნელთბილი დალიე... ცხელი გაწყენს, ისეც გაუცხელებიხარ!.. რასაკვირველია, ფოფოდიას რომ ვუთხრა... მაგრამ ის ანდაზა მომაგონდა: ლომს თავის ბუნაგში. ნუ შეაწუხებო.

ჩაი გააკეთა და მიაწოდა.

— აბა, ცოტა დავლიოთ, სტომაქს გამოვავლოთ და გზას დავადგეთ!.. წამოგყვები, რა გაეწყობა!

მ. მათემ თვალი გაიმშრალა და აბურცებული სახე
სხელსახოცით გაინიავა.

— გთხოვ, ივანე, ღვთის გულისათვის!.. შენ ის გა-
უიბონებს, ხათრი აქვს. ისე გენდობა, როგორც ღმერთი:
ჩემი სასოება სავსებით შენდამი მომიპყრია.

— ღმერთს ერწმუნებოდე, თავადისა-კი ნუ გჯერაო...
კარგი, კარგი მოვდივარ! ნულარ იცინდლები!

თავი გაჰყო ფანჯარაში და დაიქუხა:

— პარამონ!

— აო! — მოისმა შორიდან:

— აბდულას უთხარ, ეტლი შეაბას, საში ცხენი,
კურჯა შუაში, წკარუნებით... საქალაქოდ.

— რომელი აღვირ-მოსართავი?

— მაყვლისფერი!

და ისევ თავის სკამზე დაეშვა მშიმედ.

— აბა, ეხლა მიამბე!.. კარგი, თავს ნულარ ჰქინ-
დრამ!.. რა იყო, რა მოგივიდათ? ვინ მართალია, ვინ მტუ-
ანი? წინადვე გატყობინებ, მე მრისხანე მოსამართლე ვარ!
და პაულას დანაშაულობა არა მწამს. გიცნობ შენ, ჩემი
ბატონო! წრიპინი-კი იცი, როცა კუდზე ფეხს დაგად-
უამენ, მაგრამ შენც, კაი შვილი ხარ!

მ. მათემ პასუხი არ გასუა, ამოილო უბიდან დაჭ-
მუჭნული წერილი და მ. ივანეს მიაწოდა.

— წაიკითხე!

ეს ასკუპ-გადასკუპდური ხელი მ. ივანეს კარგად
ცენობოდა. დაიწყო კითხვა და, რაც უფრო ბოლოს
უახლოვდებოდა, მით უფრო სახე ენთებოდა.

„მათე! — სწერდა პაულა ქმარს: ერთხელ მაინც მე-
გობრულად მომეპყარ, გამიგონე და გაიგე. ფიალი პი-

რამდე აივსო, ალიცლიცდა და გაღმოიღვარა! შეტი ალარ შემიძლიან, გაიგე, ამისთანა სიცოცხლეს ვეღარ ავიტან! აი, თან გწერ და თანა ვტირი... ეს სიჩუმე სულს მიხუთავს. მე ვეღავ ვარჩევ დღესა და ნათელს, მზეც ალარ ანათებს... განუწყვეტელი წყვდიადია! აი, შენ იცოდი, რაც გინდოდა ცხოვრებაში, შენს წინ მრავალი გზა იყო და შენ ის აირჩიე, რომელიც შენს სულსა და გულს უფრო შეეფერებოდა; მიღიხარ მაგ გზით ლაღად, სია მოვნებით, არა შეგაფერხებს-რა, წინ შენთვის სასურველი სივრცეა. მე კი... მე უბედური ვარ... მე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ქვეყანა ტურფაა და, როცა ჩემზე მოდგება ჯერი, მეც დამიძახებენ და ფეხს შემადგმევინებენ! და როდესაც შენ მოხვედი ჩემთან, მე მზის ბრწყინვალებამ თვალი მომახუჭინა და ჩემს დედმამის სურვილზე გამატარა, თრთოლითა და იმედით... და როდესაც თვალი გავახილე, ჩემი თავი აკლდამაში ვიხილე! შენი გზა ჩემთვის ქვესკნელია, შენი სიხარული ჩემთვის სასოწარკვეთილებაა! კარგად გაიგე! მოიკრიბე შენი სიამაყე და, როგორც ძლიერმა, მე, უძლურს, მაპატიე! მე აღარ შემიძლია! ისე მოიქეცი, რომ ამ მხრივ მაინც მქონდეს შენი პატივისცემა! მშვიდობით! შენი უბედური და გამოუსადეგარი პაულა“.

მ. ივანემ. ხმა არ ამოილო, დაჲკეცა წერილი და მაგიდაზე დასდო.

— ამ წერილით,—სთქვა შემდეგ,—საშინელი ჯერ არა არის-რა. კაი წერილია, წრფელი, გულითადი!

მ. მათე აპილპილდა, მამალსავით აიფხვირა და წამოხტა..

— გაიგე და! საყვარელს გაჲყვა!

— არა-თუ! — ეჭვითა სთქვა მ. ივანემ: — ამისთანა წერილის შემდეგ ხომ სულაც ვერ დავიჯერებ. ცხელ-თავაა, ოცნებიანი. რასაკვირველია, ამ ცხოვრებას ვერ აიტანდა... და ის რაღაც რომ... ტყუილია, არა მჯერა! შენ ხომ წინად არა შეგიმჩნევია-რა? ხომ არა?

— არა, მაგრამ ქვეშქვეშაა... უუ, შშმაკია. ყველა-ფერი გამოვა: იმის ხელიდან... ყველა სისაძაგლეს ჩაი-დენს. იმას კაცი როგორ ენდობა! ჩვენ, დიდი ხანია, უთანხმოება გვქონდა... ხოლო არ ვამხელდი. ხან მთე-ლი დღე ტირის, დაიკეტებოდა ოთახში და რავდენსამე დღეს აღარავის დაგვენახვებოდა. ხან გაბრაზებული და-დის და ყოველ ჩემს სიტყვას კუდს. აბამს, ისარივი-თა მჩხვლეტს. ეს არ მოსწონს, ის არ მოსწონს! მრევ-ლის საქმეში ერეოდა, მამტყუნებდა, მკიცხავდა, თითქმ ქს დედაკაცის საქმე იყოს. იმას წანად ერთ გლეხის გა-მო კინკლაობა მოგვივიდა... ბაშტორთი მომთხოვა! დი-დი ხანია, იმას გაქცევა უნდოდა, დიდი ხანია... და ეხლა, ეს წერილი რომ მივიღე, სულ თავგზა ამერია, თვალს არ ვუჯერებდი. საღამო იყო, ბნელოდა, გესმის... მე სამრევლოდან შინ დავბრუნდი... და წერილი-კი დამხვდა... აქეთ ვეცი, იქით ვეცი, გოგო-ბიჭს გამოვ-კითხე. არავინ არა იცოდა-რა. ეკკლესიის მნათესთან გა-ვექანე. იმანაც არაფერი. ვნახოთ, მთავარი მოდის ქუ-ჩაში და იღრიშება: თქვენი ფოფოდია სად მიფრინავდა მედავითნესთან ერთადო?.. შენ ხომ იცნობ რუდომეტოვს, მამა დეკანოზის ძმის-წულს! ქურდი და ავაზაკია!... მე ფოსტაში გავექანე, ეტლი ვიქირავე. და... აი!..

მ. მათეს აწითლებული სახე ისევ დაემჭაჭა.

— დიალ, დიალ! — ახმაბოხებდა მ. ივანე, — მაშ წინადაც კინ კლაობა გქონიათ... არ ვიცოდი!

— კინ კლაობა..! ღმერთო, მაგას ვინ ჩივის! ჩხუბიცა აყალ-მაყალიც. მაგრამ რა... ეგ ხომ ყველა ოჯახშია, უმაგისოდ არ შეიძლება! ტკბილი ცხოვრება ვისა აქვა, მაგრამ ხომ არ გარბიან!

— ეგ-კი მართალია! — დაეთანხმა მ. ივანე.

ეზოში წკრიალი და ჯლარუნი გაისმა.

— ეჭ, უთავბოლო საქმეა, ქალაქში გავიგებთ! — სთქვა შ. ივანემ. — ხოლო ჩემი რჩევა — ნუ დარდობ, ნუ ნალვლობ და, მეტადრე, ნუ იცინდლები! იმისთანა დიაცებს, როგორიც შენა გყავს, მაგისთანა რამეები არ მოსწონთ... აბა, მოემზადე, საქმეს როგორმე მოვაგვარებთ.

— მერე, ფოფოდიას უნახავად — ხმა-ჩაწყვეტითა სთქვა მ. მათემ, — თუმცა მცხვენიან...

მამა ივანამ კისერი მოითხანა.

— ეხლავე შევატყობინებ. დღეს როგორლაც... ცოტა უქეიფობს. „ნუ შეაწუხებ ლომს ბუნაგსა თვისსა“. მეტი რა ლონეა, უიმისოდ ხომ ვერ წამოვალ.

ამოიოხრა და საწოლ ოთახისკენ წავიდა. კარი ფრთხილად შეალო, ჯერ თავი შეჰქო, მერე გვერდ-გვერდ მთლად შეხახუნდა, რომ კარს არ დაეჭრიალა. საწოლში ბნელოდა, ერთად-ერთი ფენჯარა ძეელ ჩითის საბნი პირით იყო ჩამოფარებული. შავი ფარდა ოთახს ორად ჰყოფდა. ერთ ნახევარში განიერი ტახტი იყო, საზიარო. სარეცალით, რომელიც მ. ივანეს დაესაკუთრებინა. ტახტი გარდა, რავდენიმე სკამი იღვა და კედლებზე ეკიდა. ათი-ოდე სხვადასხვა ფერის კაბა-ანაფორა. ოთახის მეორე ნა-

ხევარი-კი ფოთოლიას ეკუთვნოდა, მუდამ მოწითლო
კანდელით იყო განათებული და უდაბნოელის. სენაკს წა-
გავდა. უბრალო ტახტი საბნით იყო გადაფენილი. მაგი-
დაზე „სასულო“ წიგნებში „ნივას“ კრებულებიც იყო
არეული და ერთი უშველებელი ფრანგულიდან ნათარ-
გმნი რომანიც მოჰყოლოდა, ნახევრამდე გაჭრილი. კედ-
ლებზე ეკიდა ვიღაც კაცებისა და ქალების სურათები,
რომლებსაც მ. ივანე არ იცნობდა. ამას გარდა, იაფეთ-
სიანი ნახატობაც ეკიდა. პქვე იყო პატარა ტახტი, რო-
მელზედაც ეძინა წითელ-თმიანსა და ჭორფლიან, ხუთის
წლის გოგოს. აქ მართლა სენაკის მყუდროება იყო, ხო-
ლო ეტყობოდა, რომ იქ მყოფ განდგომილს საწუთროო
ჯერ. სრულიად არ უარ-უყვია.

ფოთოლია ხატების წინ იდგა და ლოცულობდა.

— ლინა! — წაიჩურჩულა მ. ივანემ.

ის მოტრიალდა. ტირილისაგან თვალები დასწით-
ლებოდა და ჩვეულებრივად სასტიკს სახეს ამჟამად თითქმ
ლმობიერება ეტყობოდა. მამა ივანეს ისე საცოდავად;
დაბერებულ, დავადებულ და დამჭკნარად ეჩვენა, რომ
გული აუკვნესდა, თითქმ პირველად ხედავსო. შეებრალა
და უნებურად მისკენ წასდგა ფეხი და ხელი გაუწოდა.

— ლინა! რად... სულ მუდამ რისთვის... მიჯავრ-
დები?

იმას სახე უშარო დაუმშვიდდა და უნებლიერვე ხელი
გამოუწოდა.

— არ ვიცი.. არ გიჯავრდები. ჩემში რაღაც. ისე-
თია... შენ უნდა მაპატიო.

ამაზე მეტი აღარ უთქვამთ-რა.

— ლინა! იქ... მ. მათეა.

— მერე რა?

— არ ეჩვენები?

იმან თავი ოდნავ გააქნია.

— არ შემიძლიან, ძალას ნუ დამატან!..

კიდევ გაჩუმდნენ ორივენი.

— ლიზა ხომ კარგად არის? — ჰკითხა მ. ივანემ,
რომ ეთქვა რამე.

მივიღა, ფთხილად აკოცა საბანს ბავშვის გულზე,
აილო თავი, შეხედა მხატვრობას და სთქვა;

— ლინა, მივდივარ... ქალაქს.

ფოფოდიას სახეს ისევ ნელნელა სიმკაცრედეტყო.

— მერე რა...

— მშვიდობით!

იმან ცივად უპასუხა:

— მშვიდობით!

მამა ივანე გამოვიდა და ისე გრძნობდა თავს, თი-
თქო რაღაც დაეშავებინოს.

— უქეიფოდ არის, ძმიო, ბოდიშს იხდის! — უთხრა
მ. მათეს.

ეტლი კარის წინ უცდიდა. ცხენები არ ისვენებდენ.
აბდულა თავის ადგილს იჯდა და ალვირები ეჭირა. პარა-
მონი ალაყაფს ალებდა, მამები ეტლში სხდებოდნენ; როცა
მოახლემ მამა ივანე ოთახში შეიხმო.

სასადილო ათახში ფოფოდია უცდიდა.

— აი, აქ ასი მანათოა და წიგნაკი. იქ კასახში შეი-
ტან.

— საიდან შეგიგროვებია? — გაოცდა მ. ივანე, — განა
არა, ვატყობდი... ქათამი და კავარი...

— მერე რა, ჩემთვის ხომ არ მინდა! ლიზას სახელ-

ზე შეიტან. ჩვენ ვწვალობთ, შვილებს მაინც გავუადვილოთ ცხოვრება.

და, ვითა შავი აჩრდილი, საწოლშივე შეცურდა.

III

ცხენები ფრინველსავით მიფრინავდნენ. აბდულა ძალას იტანდა, წითლდებოდა, იბერებოდა და მაინც თავს ვერ უჭერდა. ეტლი აღიოდ-დაღიოდა, მცირე ოლროჩოლრო, კენჭიც-კი ახტუნებდა და ათამაშებდა. მ. ივანეს წვერი მხრებზე გადაპფარებოდა.

ქარი ყურთან ზუზუნებდა.

ცხენების ნალები მიწას ჰელეჯდა და ნაკუშ-ნაკუშად აქედ-იქით ისროდა. მამებს სახე გაუშავდათ, შლია-პებსა და ანაფორებს მტვერი სქლად დაედო. ჩირგვები, ვერსების ბოძები, თუ ყორლნები ისე მიფრინამდნენ, რომ კაცი, ვერ გაარჩევდა.

— როგორია? — მხიარულიად იძახდა მ. ივანე: მან-ქანაა! წკარუნიც-კი აღარ ისმის. ეს განა ცხენებია? რა-შებია, ქარბუქი!! და იცი, როგორა მაქვს ნაყიდი? ზოგი ოთხად, ზოგი ხუთ თუმნად!.. აი, ლურჯაში-კი ოცი თუმანი მივეცი. ჰეი, სწორედ რაშია! მე, ჩემო ძამია, ისეთი ცხენები მყავს, რომ პირდაპირ დოლში, გაგზავნე! მე სკოლა მაქვს.

— სა-კვირ-ვე-ლია! — უნდოდა ეთქვა მ. მათეს, მა-ურამ მოზღიული გორისხი შიგ ტუჩებში მოხვდა. თან იწმენდ-და პირსა და ტუჩს და თან იფურთხებოდა.

— არა უშავს-რა! — ხარხარებდა მ. ივანე, — აქაური მიწა იგემე... წმინდაა... ხუცური.

და ეტლში წამოდგა.

— ჩემი მიწები დაიწყო... უყურე! მოგწონს? ებლავე ჩემს თივის ზეინებსაც დაინახავ. ეს მიწა მუქთად-კი არა მრგებია! ამ მხარეს საუკეთესოა. სამს წელიწადს ვიომე. არყით რავდენჯერ მოვრწყე!

და თან ჰყვიროდა:

— აბდულ! გაუტიე!

ეტლი მიჰქროდა, ქარი ზუზუნებდა, მ. ივანე-კი არა ჩუმდებოდა და თანამგზავრს არწმუნებდა, რომ ამისთანა თივის ძირები არსად არ გაგონილაო. ბლალოჩინ-საც-ი არა აქვს ესეთი სათიბი. გვალვაშიაც-კი ბალახი ჯაგრისავით იყრის ტანს მიწიდან. მ. ივანე ხან ახტებოდა, ხან დახტებოდა და თავის საზღვრებს ხელით უჩვენებდა:

— აი, იქ, ტყესთან არის საზღვარი! რა კარგი საფუტკრე ადგილია. ბალახი სულ თაფლიანია.

ერთბაშად ეტლში წამოხტა და საზარლად შეიღრიალა:

— სალ-ძა-გე-ბო!

— რა მოხდა? — აიწია თავი მ. მათემ, რომლის სახე ტალახისაგან შეთითხნილს ქანდაკს ემსგავსებოდა.

— ა-ვ-ა-ზ-ა-კ-ე-ბ-ო!!.. რას მიშვრებიან! ისევ მამასახლისი იქნება სწორედ. საძაგელი!.. უყურე, მათე, უყურე! აი, აი, ეს არის ხუცესის ცხოვრება!

და გაფიცხებული მუშტი აბდულის დააძგერა ზურგში:

— შეუტიე! რას დაგილია პირი! გადიყვა უგზოდ გადუჭერ!

ეტლმა უსწორ-მასწორო მინდორზე ხტუნაობა დაიწყო.

მამა გაჟემ ხელი მოიჩრდილა და დაცქერდა, მა-

მა ივანე ასე რამ აალელაო. მაგრამ ვერა დაინახა-რა, ორიოდ ფერდებ-გაბერილ ხარის გარდა, რომლებიც წყნა-რად სძოვდნენ ბალას. ზოგს მათგანს თავი აეღო, იცო-ხნებოდა და ბრძნულად შეჰყურებდა მათკენ მიმქროლავ-ეტლს; ზოგი კი თივის ზვინს ამოსდგომოდა და, უსაქმუ-რობისაგან გაბეზრებული, მაგარ და წვეტიან რქებით ერ-ჩოლოდა, თითქმ რქები აჰევებია.

— მ. ივანე ზეზე იდგა, აბდულას მხრებისთვის ხელე-ბი ჩაეჭიდნა და იჭაჭებოდა:

— მძა-რცვე-ლე-ბოოო!

თივის ძირიდან გამოძრნენ პატარა მწყემსები და ხა-რებს შოლტვა დაუწყეს.

— შე-ჩერ-დი! დაიგრგვინა მ. ივანემ და ეტლიდან გადაეშვა.

შეშინებულმა მწყემსებმა უფრო ფიცხად წაუშინეს-ხარებს შოლტები და დაირეკეს.

— ვისია? შე-ჩერ-დი! სულ ერთია, ვიცი! — ყვი-როდა მ. ივანე და მისდევდა მწყემსებს. — შეჩერდი! მა-მასახლისის ხარებია!.. აი, თქვე მძარცველებო! მე თქვენ გაჩვენებთ, ხუცესის მინდვრის მოძოვება როგორც უნდა, მე თქვენ... მაცალეთ!

მისი უშველებელი ტანი მინდორში მოჩვენებასავით-მიჰქროლავდა, კაბა გახსნოდა და ჰაერში მარაოსავით-მიფრიალებდა. გძელი მუხლ-ბარძაყებისაუნობით აბიჯებ-დნენ. განიერი შარვალი გაბერილიყო და შრიალებდა. უნ-დოდა მწყემსები დაეჭირა, მაგრამ პატარა ბიჭები აქედ-იქით მკვირხლად გაიფანტნენ. ხუცესი ხარებს გამოუდგა, ერთი მოიმწყვდია კიდეც და რქაში სტაცა ხელი.

ხარმა თავი გააქნია.

მ. ივანე წაბარბაცლა, მაგრამ თავი შეიმაგრა. ხელები გაქანებულ ხარის რქებს ასცდა, კისერსა და ზურგზე გაუსრიალდა და კუდს დაებლაუჯა.

— ა-ა-ა, საძაგლებო! — ლრიალებდა მ. ივანე მინდორში, — ამ საბუთს-კი ხელიდან არ გავუშვებ!

შეშინებული ხარი ხტუნავდა და გმინავდა. მაგრამ მ. ივანეს ორთავ ხელით მაგრა ეჭირა კუდი, ფეხებს მიწაზე აბჯენდა და ისე მისრიალებდა მინდორში, როგორც ყინულზე. ხარი ბლაოდა, ხტოდა, ხუცესი-კი ლანძლვითა და მუქარით უპასუხებდა.

მ. მათე ეტლში ხარხარით გორაობდა. აბდულა ყურებამდე იღიმებოდა. მ. ივანე-კი მიაჭენებდა მინდორში და აბდულას მრისხანედ უყვიროდა:

— აი, შე არა-წმინდავ, რას იცინი? მოდი, მომეშველე!

— ციხენი არ იქნება გოუშვა!

— მათეს გადაეცი აღვირები!

ხარი თანდათან უფრო სწრაფად გარბოდა, მ. ივანეც არ ეშვებოდა. კაბა გაებერა, როგორც კლდი ფარშავანგს. შლიაპა გადაუვარდა, თმა აბესალომსავით გაეწერა. ხან დაიყუნტებდა, რომ ფეხი მოემაგრებინა, ხან წელში გაიმართებოდა და უშველებელ ნაბიჯებსა სდგამდა, თან ხრინწიანის ხმით ყვირადა;

— შეჩერდი, საძაგელო! შეჩერდი, წუწკო!

ხარმა დაინახა, რომ აბდულა მოდის დასაჭერად, და პირი იბრუნა. აკი მ. ივანეს ხელიდან გაუსხლტა! მ. ივანემ ხელი მაღლა აიქნია, თითქო ცასა სთხოვს დახმარებასაო, და მიწაზე-კი გაიშხლართა... ხარმა თავს უშველა.

მამა ივანე წამოდგა აგუნგლული და შუბლშეკრული.

— ვისი ბიჭებია? — დაეკითხა აბდულას და თან
წვერს იბერტყდა.

იმან თავი გაიქნია.

— არ ვისი!

— ხარები?

— არ ვისი!

ივანემ თავისი რგვალი თვალები დაშტერა.

— შენ რა ხარ, ვინა ხარ? ეგეც არ ისი? აი, შე
ოსმალელო, შენა! იმ საძაგლებთან ერთად... შენც იმათ
ბრბოში ხარ განა? დამაცადე, თქვენთვისაც მოვიცლი! ..

ეტლისკენ მიღიოდა. და გზა-გზა არა სცხრებოდა,
სულ ჯავრობდა და იმუქრებოდა:

— აი, ქალაქს რომ ჩავალთ, არქიელთან მიგიყვან...
მოგნათლავ, შე ქვეშ-ქვეშა!

აბდულა-კი ყურებამდე ილიმებოდა და გაიძახოდა!

— ჩვენი არ ვისი, ჩვენი არ ვისი! შაბრა სოფელ
სულ ვისი. აქ არ ვისი!

მ. ივანე მოქუშული ჩემვა ეტლში და გაჯავრებით
გადახედა მ. მათეს. მაგრამ თავი ველარ შეიმაგრა და
ძალზე გადიხარხარა.

— აი, ლვდლის ცხოვრება! იცინე, იცინე! და რომ
კარგა დაუფიქრდები, მაშინ მიხვდები, რომ არა ტანთ-
საცმელი ისე. მწარე სატარებელი არ არის, როგორც
კაბა, ანაფორა და კალთა-გაშლილი შლიაპა... განა თა-
ვისი საძოვარი ცოტა აქვთ, მაგრამ, ჰაიდა ხუცესის ველ-
ზე! გამაგებინა, ვისი ხარებია, კარგა მოვუფხანდი. თავს
ქვიშითა და ნალეკით, ისე, რომ ქორწილამდე თავმო-
ტვლეპილი ევლო! .. განა ცოტა შრომაა ჩაყრილი!

მ. ივანემ მინდვრისკენ გაიშვირა ხელი და განაგრძო:

— აქ კუზია! და განა ღვდელს ისეთივე კუზი არა აქვს, როგორიც გლეხსა? ისიც ხომ ისე იწურება ოფლუში! ორი კვირა ვცელამდი სხვებთან ერთად, სულ წინა რიგს მივუძლოდი!.. ისინი-კი: „მამაო, შენ დიდი დოვლათი გაქვს! თივა-ბალახი ულეველი, პური—პირის ამოსამსები“. ასე ჰგონიათ, მუქთად მომსვლია...

— უჰ, ტეტიები!.. ერთი სიტყვით—მძაგან! ზიზღით წარმოსთქვა მ. მათემ და განაგრძო: ეჭ. რატომ. აკადემიაში არ შევყა თავი! ეხლა ხომ ქალაქში ვიმსახურებდი.

ეტლი გზატკეცილზე გადავიდა და გაჩქარებით, წავიდა. წყარუნი და ჟღარუნი მთელ მინდორს მოედო: მამა ივანე როგორლაც შეფიქრიანდა:

— ჩემ დოვლათს შევხარი, მაგრამ, აი, ამისთანა რამ რომ შემემთხვევა, სულ შემძაგლება. რა თავში სახლელად მინდოდა ღვდლობა? რა ბრმა ვიყავ!..

ცოტა ხანს ჩაჩუმდა და წარმოსთქვა:—დიდი სისულელელეა!

— აი, ჩვენსა,—ენა ამოიდგა მ. მათემ,—მადლობა. ღმერთსა, ჯვარეთში: მაგისთანა სისაძაგლე შეუძლებელია. ხალხს ღვთის შიში აქვს, თავდაჭერილია, მორიდებული. სულიერ მამას პატივსა სცემს. ჩვენში ღვდლის თივას ხელს არ ახლებენ, არა. ჩვენში ისეთი წესია შემოღებული, რომ გლეხი მიდის აქედ-იქით იყურება, და არამც-თუ არ გაკაღნიერდება, ერთ ვერსზე რომ დაინახოს, იმისი მოძღვარიც რომ არ იყოს, ქუდს მოუგლეჯს!.. სწორედ ოქროს კაცია არკადი მიხაილიჩი! შორიდან ხედავს, ამჩნევს, არწივის მხედველობით, და ყოველ უწესობასა სპობს.

— ეგ ვინ არქადი მიხაილიჩია?

— პუსტოვალოვი, ჩვენი ერობის უფროსი. ნუ, თუ არ იცნობ? აქ გარშემო სულ იმის მამულებია!

— რაღაც გამიგონია...

— მერე რა ადმინისტრატორია! რა მეოჯახეა! საჲელმწიფო ჭიუის პატრონია! დიდი წარმატება მოელის. რა კაცია, რა ყურადღებით ეპყრობა ყველას.

მ. მათემ გულზე დაიწყო ხელები, თითქო სალო-ცავად ემზადებათ და პაწაწა თავი გააქანქარა.

— იმისთანა კაცები სჭირდება რუსეთს.

— ჩვენი გლეხები, მგონი, ვიღაც პუსტოვალოვსა ლანძღავენ... თითქო სახელი მეცნობა.

— გასაკვირველიც არ არის! მეხია! მეფეა მაზრაში! როგორც ქალაქები მართალთა მეოხებით, ისე ჩვენი მხარე მაგისთანა კაცების წყალობით არსებობს. სწორედ რომ მინისტრია, მაგრამ მინისტრი თვით საქმის საფუძველთან, ფესვებთან, არა თეორიით აღჭურვილი, არა-მედ თვით სახელმწიფო ცხოვრების ნამდვილი მაბრუნებელი. თუ არ მაგისთანა კაცები, დედამიწა წარიყვნებოდა, სარწმუნოება წარიღებოდა, შიში ღვთისა გაქარწყლდებოდა...

— ძალიან რამ ყოფილა! არა, ჩვენი საერობო უფროსი ეგეთი დიდი-ვინმე არ არის. არც-კი არავინ ხედავს—ან სძინავს, ან თევზს იჭერს. და თუ საქმის გარჩევა დაიწყო, გლეხები სულ ხელებს ასავსავებენ. მართალია თუ დამნაშავე—ან ჯარიმა ან საპატიმრო... როცა-კი დალევს, ძალიან, ძალიან მხიაული კაცია. ამას წინად ეკლესიაში შემოვიდა. წინ ურიადნიკი იდგა და გულმოდგინედ ლოცულობდა, სეფისკვერს თუ მოელო-

და,—ჩასუქებული, სქელი, დაბალი, მელოტი. უფროსი—
კი მაღალ-მაღალია; ოდესლაც მეფის დარაჯად ყოფილა.
მიუახლოებდა ურიადნიკს უკანიდან, პირჯვარი გადიწე—
რა და მოწიწებით მოტვლებილ თავში აკოცა.

ივანემ ხარხარი მორთო.

— უბრალო კაცია, თავდაბალი!

— ჩვენიც თავდაბალია, მაგრამ... ბრძენი. და არა—
თუ ბრძენი, როგორც იტყვიან, სიბრძნის მოყვარე! ერთი
ამბავი შობდა, ბასილეთში აჯანყება რომ იყო, ამას
წინად. ერთი გლეხი... უთუოდ გაგეგონება, ნაზაროვი,
მეამბოხე და სახელმწიფო ავაზაკი! მე ნამდვილად ვიცო—
დი, რომ იმას ბელელი პურით სავსე აქვს. მე მოვითხო—
ვე, რომ ჩემთვის სათესლედან აერწყო. იმან შეასრულა.
ჩემი მოთხოვნილება, მაგრამ გაბრაზებული მიყურებდა
და კრიჭა შეკრული ჰქონდა. როცა გამოვბრუნდი და
მოვდიოდი, უკან მომაძახა: „მძარცველო!“—როგორ?
ეგრე უკადნიერდები ღვდელს, მაშ კარგი!.. რასაკვირვე—
ლია, საერობო უფროსთან ვუჩივლე. რა გვინდა? სხვა
იმის ადგილს რას იჩამდა? თავს არ შეიწყენდა განა?
იმან-კი ბრძანება გასცა, რომ სოფელი შეკრებილიყო.
მივიდა, გამოიწვია ნაზაროვი, მოვიდა ჩემთან. და მათ
წინ ლოცვა-კურთხევა მთხოვა. მერე ხალხს მიუბრუნდა:
„აი, როგორი პატივისცემითა და მოწიწებით უნდა
ეპყრობოდეთ თქვენს მოძღვარს და საერთოდ სულიერს.
შამას. შენ-კი, ნაზაროვ, რა ჩაიდინე? მე შენ მაგივრად
შენდობა ვთხოვე მოძღვარს. ახლა მე შენ რა გიყო?
რა სასჯელის ლირსი ხარ?“ და... მერე...

— რაო მერე?

— ერთად-ერთი სიტყვა სთქვა უფროსმა—მოკლე,
გასაგები და საგრძნობი: „დაკეტეთ!“ და დაპეტეს.

მ. ივანემ ამოახველა.

— ეგ-კი... ის არაა... ეგ არ უნდა ჩაგედინა, არა,
ძმაო... ეგეთი საქმე არ ვარგა... ჰო, კარგა გაგელანძლა,
რომ ფრთა და ბურტყლი აპფრიალებოდა... დასმენა-კი
საძაგლობაა, მე ეგრე მგონია, და არც გამოსადეგია! მაგ-
რე კაცი დაღუპავ.

— მაშ, მაგისთანა ავაზაკებს შიში უნდა ჰქონდეთ,
თუ არა?

— ვისაც რა მოუხდება... ზოგს სიტყვით უფრო მწარე
ოთვლს დაასხამ. ჩვენი საქმე ისეთია, რომ ხანდისხან
დარბაისელი კაციც თავს ვერ დაიჭერს... განა არ იცი,
ხანდისხან ცოტა მოუჭერ კიდეც, სადაც შეიძლება...
ზოგჯერ-კი უნდა გაჩუმდე! ეგეთი ცხოვრება გვაქვს...
რა გაეწყობა! ჰო-და, უნდა გახსოვდეს და... შეუნდო.
შენ გამოელაპარაკე და თბილი სიტყვა გააგონე, რომ
გული მოულბო, მაშინ ჩანახს-კი არა, ორს გამოგიტანს
და თან სხვა რასმე, იხვის მინაგვარს გამოაცოცებს. შენ-
კი... ეჭ, შენ-კი...

— ტეტიას თავი გავუყადრო? არა, ეგ არ შემიძლიან!
წყენით სთქვა მ. მათემ.—თავს წამოგაჯდება, თუ რომ
არ დააშინე. აი, ბასილეთში რა ამბავი მოხდა!

— მერე რაო, შენ გონია, შიროკოზადოვი მართალია?

— ის ღირსეული და გავლენიანი კაცია, ყველა
პატივა. სცემს, და სასამართლოც იმისკენაა.

— სასამართლო! სასამართლომ ის ხომ არ იცის,
რაც შედა შენ ვიცით. საძაგელია, ის შენი შიროკოზადოვი,

ჰო და ჰო! შენს მრევლს აღატაკებს. და შენც მხარს უჭერ. და ხაერთოდ იცი, რას გეტყვი: გლეხი, რაც უნდა იყოს, მაინც გულკეთილია. და მე მიყვარს გლეხობა, ლმერთმანი, მიყვარს!, მე, ჩემო ძმაო, დიდი ხანია, მათთან ვცხოვრობ და არაოდეს წყენა არ მახსოვს.

— თავის ძირები! — დაცინვით მოაგონა მ. მათემ.

— რა თავის ძირები? დამიფურთხებია! რა მომხდარა და?! ხარებმა ერჩოლეს!.. ეგ შინაურული საქმეა.. განა ხანდისხან მეც არ ვერჩი გლეხებს... თუ რომ გეწყინა რამე, წადი და პირის-პირ გულ-ახდილად მოელაპარაკე. მერწმუნე, გლეხი ნიფხავს გაიხდის და მოგცემს. ჩივილით კი რა უნდა გააწყო და ისიც მთავრობასთან? ის არაოდეს არ გაპატიებს და არც დაიგიწყებს. ეგ-კი არა, შენ თვით გლეხთან მიღი საჩივლელად. იმას ფართო გული აქვს, სამი კაცი ხელს ვერ შემთაწვდენს. ტანზე არა აცვია-რა, მორთული არ არის, მაგრამ დააცქერდი რიგიანად და გაარჩევ, რომ მაზარა ვერცხლისა ჰქონია. და ქალამანი ოქროსი. ის ყველას მასაზდოებელია, მკვებავი. მე ასე მგონია, რომ გლეხზე უკეთეს ადამიანს ვერა ნახავ. მერე წრფელი გულის პატრონია, იმის გულნადები ხელის გულსავითა სჩანს. სულით ისვენებ იმასთან: ალერსიან სიტყვითა და სასმელით ხომ, როგორც გინდა, ისე გოჰენი.

მამა ივინე ჩაჩუმდა

— მერე რა უბედურია! სეტყვა მოვა, თუ მეხი წამოვა, ჩვენ ოთახებში შევძრებით, იმას-კი კისერში უჩაკუნებს! ესეც-კია, რომ ვინ არ უკაკუნებს თავში? უფროსიც, ბოქაულიც, ურიაღნიკიც და სტრაჟნიკიც... აქ-კი, ჰუპლუც!.. მისი ღვდელიც საჩივარს აძლევს!

— ეგ გაკვეთილია მისთვის, გაკვეთილი — სთქვა
შ. მათემ: საქმისაებრ შენისა მოგეწყოს შენ! შენ, იცი,
სწორედ ისე ლაპარაკობ, როგორც პაულა, სიტყვა-სიტ-
ყვით! უჰ, რაც იმან მჩხვლიტა და მჩხვლიტა ნაზაროვის
გამო...

გ. ივანემ არ უპასუხა.

ორივენი დადუმდნენ.

მზე ცის კამარას შორდებოდა. დედამიწის ნაორ-
თვალში უფრო დიდად მოჩანდა და მთელი ველი აე-
წიოთლებინა, თითქო სისხლის ფვალი დაჭურებსო. არ,
ნახევარი კიდეც ჩაიმალა... აგრე მეოთხედი-ლა დარჩა-
თანდათან ისიც მიიღია და გაქრა. სხივები-კი კარგა
ხანს ჰქონდა ცაში გაფანტული...

კარგა მოღამებული იყო, მგზავრები რომ ქალაქს
ჩავიდნენ.

IV.

საგუბერნიო ქალაქი ძველეთი გაშენებულია განიერ
მდინარის. ნიპირებზე. მდინარე ქალაქს ორად ჭყოფს:
„შუაგული“ და „გალმა-უბანი“.

გალმა-უბანი ტალახში იფლობა.

ყველა მხრიდან შეზღუდულია შეშის საწყობებით,
სამხერხაოებით, ფაბრიკებით, აგურხანებით და კირის ქუ-
რებით. ყველაფერს სილარიბისა და დაბეჭავების ბეჭედი
აზის. შემოდგომობით ისეთი ტალახი იცის ამ უბანში,
რომ კაცს ქუჩაში არ გაესვლება; ზაფხულობით-კი სიცხე-
პაპანაქებაა და საშინელი მტვერი. დაბრანძულ ბავშვების
მეტს, რომლებიც მუდამ ტალახ-მტვერში ბანაობენ, ქუ-

ჩაში ხშვიაოად შეხვდები ვისმე. ეს ბავშვები მომავალო
მუშები არიან აქაურ ქარხნებ-ფაბრიკებისა. ქუჩა მათთ
სკოლაა, რადგან მათვან მხოლოდ უბედნიერესთაგანნო
თუ ეღირსებიან გაღმა-უბნის საჭალაქო. სასწავლებელში
შესვლას, რომელსაც გუბერნატორ ბეზაკის სახელი ჰქვიან.
ამ ბეზაკის სიტყვები დღესაც ყველას ახსოვს: „ღარიბთა
შვილნი მხოლოდ შრომას უნდა ეჩვეოდენ, მხოლოდ
შრომას!“ გაღმა უბანში ეხლაც ახსოვთ, ერთმა ღატაკმა
დედაკაცმა თვისი პატარა ქალი საღაბლო ქარხნიდან სა-
სწავლებლად გადაკეთებულ ულაზათო შენობაში რომ
მიიყვანა და სთხოვა, მიიღეთო. დედაკაცს უარი უთხრეს:
„ვურ მივიღებთ, რადგან ადგილი არ არის, სად დავსვათო“.
წავიდა დედაკაცი და თავისი სკამი მიიტანა — „აი, ამაზე
დასვითო“. ეს ბავშვები პატარაობიდანვე ეჩვევიან ბუზიკის
დაკვრასა და ბუქნას. იზრდებიან და სწავლობენ უშვერ-
ლანძლვა-გინებას, უწმაწურ სიმღერებს, ჩხუბსა და ყვი-
რილს. დედაკაცების კივილი ქალაქის მეორე მხარესაც
უწევს, რომელიც მაღლობიდან მრისხანედ დასკერის და
მოსვენებას მოკლებულია, ვიდრე გაღმა-უბნელებს ბნელი-
ლამე არ მიაგდებს საღმე ლობის ძირს, თხრილსა და რუში-
ანუ ბინძურ ქოხმახებში, რომლებსაც იდამიანი სადგომს
უწოდებს. ლამ-ლამით ამ მონათა ბუდის შვილნი, მში-
ერნი და მწყურვალნი, მგელსავით ანთებულ თვალებით
მიიპარებიან ქალაქის შუაგულისკენ, რომ ჩასახეთქებელი
იხელითონ რამე და გამხდარ-მიმტკნარებულმა ქალებმა მუშტ-
რები იშოვონ.

ქალაქის „შუაგული“-კი კეთილ-მოწყობილია.

მისი განიერი და ლამაზი ქუჩები მოფილაქნებულია
და ლამე ელექტრონითაა განათებული. შუაგული ბატონია

შიდამოებისა. მდინარის პირს, მაღლობზე, ფართო მოედანია და შეუაში მაღალი „ოქროს“ ტაძარია ამართული. მოედნის გარშემო დიდი შენობებია და მაღალი გუბერნატორის სასახლე, სახაზინო პალატა, ხაზინა, სემინარია, საპურობილე და ნაობახტი. აქვე, მდინარის ნაპირს, ქალაქის ბაღია და გძელი „ბულვარი“, სადაც საღამოობით სამხედრო მუსიკა უკრავს რჩეულ საზოგადოების დასატყმობად, რომელიც მწყობრად მიღი-მოდის განიერ ხეივანში, სადაც „საიდუმლო ოხვრა-კვნესის“ სამყუდროოც არის, თუმცა იქით გავლას აშკარად ვერავინ ბედავს. გუბერნატორის სასახლის აივანი ამაყად დაპუურებს გაღმაუბანს. ეს ისტორიით ცნობილი აივანია. ამ სასახლისთვის პუგაჩევს ზარბაზანი დაუშენია და ყუმბარით ერთი აღილი გამოუთახავებია. ხორველობას ხალხს სასახლის შეშები ჩაუმსხვრევია. ამ სასახლიდან გრაფი პეროვსკი გაჰყურებდა, აჯანყებულ სალდათებს რომ არჩობდნენ. ამავე სასახლეში მკვიდრთა მიწებს რუსის მოხელეებს ურიგებდნენ იშ დროს, როდესაც შილიონები იფლანგებოდა. ერთხელ გაღმაუბანს ცეცხლი მოედო. გუბერნატორი აივნიდან დაცუქეროდა. ოხუნჯობით განთქმულმა ხაზინადარმა გუბერნატორი ნერონს შეუფარდა, რომელიც ცეცხლმოდებულ რომს დაპუურებდა და სტკბებოდა. მას-აქედ ყველა გუბერნატორებს ეს სახელი დაერქვათ. უკანასკნელმა გუბერნატორმა რომ გაიგო, ცოტა არ იყოს, გაიოცა, ესიამოვნა და ამაყურად გადიხარხარა:

— ვიმედოვნებ, რომ არსებობს რაიმე განსხვავება ჰქმისა და ნერონს შორის!

ოლქის სასამართლოს თავმჯდომარებ კუპოროსოვმა ცბიერად შენიშნა:

— განსხვავება დიდია, თქვენო აღმატებულებავ: ნერონმა თავისი ქალაქი გადაბუგა, თქვენ-კი გაამშვენი-ერეთ.

გაღმა-უბანი აივნიდან გალიასა ჰგავდა, ისე გარ-შემოზღუდულიყო. უზარმაზარ ქარხნებით, ელევა-ტორებითა, მაღალ საბოლეებითა და ჭვარტლით მოცულ აგურხანებით, რომლებიც ლატაკთა სასაფლაოს წააგავდა. გაღმა-უბანი ფართო ბუდედ მოჩანდა, საღაც რაღაც ცეკვი ფუთარობდნენ და წვალობდნენ. იქიდან სულ მუდამ ტანჯვა-კვნესის ხმა მოისმოდა, სიმღერა მოთქმად გადა-ქცეულიყო, ყველა შეელა-შებრალებას იხვეწებოდა. კუ-პოროსვმა მართალი სთქვა: ქალაქი „გამშვენიერებულიყო“ იმ დიდის ხნის დაწყევლილ კეთილ-განწყობილებით, რო-მელსაც ხიშტები და პოლიციელების მახვილი განამტკი-ცებს, თუმცა ამით არც სიხარულსა და არც ბედნიერებას იმათაც-კი არ ანიჭებს, ფისთვისაც მოგონილია. გაღმა-უბანი ლატაკია და სიმღიდრისაგან დამონებული. შეა-გული მღიდარია და ბატონი. მაგრამ ორივე ერთგვარად უბედურია. შრომისა და კაპიტალისაგან დაჩრდილული ცრუმორწმუნეობისა და იატაკ ქვეშ ჩატელულ გონების დაუდგრომლობით შეწუხებული ეხლანდელი ქალაქები სულ-შეხუთულნი არიან და თავის ამონასუნთქით ამწვა-ნებულ მიღამოებსა შხამავენ, ეს უშველებელი ქარხნებია, საღაც მონების ჯაფა და ვაება ვითოშ ბატონის საკეთილ-დღეოდ უნდა გადააკეთონ, ქოხმახების მასალით სასა-ხლეები უნდა ააგონ, რომლებშიაც მათი მფლობელნი გულს იწუხებენ, რაღვან ცხოვრება ვერ შეუგნჩათ. ეს ჭამების გალიებია, საღაც უწინარეს ტირილითა და გოდე-ბით შვილნი თავს ქვას ახლიან, რომ შემდეგში ვითოშ-და

ბედნიერ მამებად გარდაიქმნენ, რადგან მოუსვენარი ძილი ცხოვრებად მიაჩნიათ. ამ ძილში ეზმანებათ: ვაჭარს — კალთა-გაშლილი ბეღლები, რომლებითაც ცის კამარა ამოუკვიათ; ადგილობრივს დეკანოზს — დღეობები ზა პარაკლისები ახალ დუქნების დაარსების გამო ან მტერთა დამორჩილებისათვის, თუმცა „მტერი“, დიდი ხანია, მეგობრად გაღაქცეულა; ჩინოსანს — ქალალდის. ზღვა, რომელიც უნდა გადალახოს, რომ ნაპირს მიადგეს; პოლიციის მოხელეს — სამოთხე, რომელიც რჩეულთათვის უალკენაჭრებად უნდა დაიყორლნოს...

ქალაქს ჯერ არ ეძინა, ბაღიდან მუსიკის ხმა ისმოდა და გაღმა-უბანში ქარხნების სტვენა არ შეწყვეტილიყო, როდესაც ბუღოვანელ ხუცესის სამცხენიანმა ეტლმა მოედანზე ააეღარუნა, ვიწრო ქუჩაში შეუხვია, ხაზინასა და ნაობახტს შუა, და მანდილოსან სკორპოვის ალაყაფთან თავი შეიკავა. სულიერ მგზავრების ბინა იქ იყო.

— მეონი, მამები! — მოისმა ხრინწიანი ხმა.

ალაყაფში გამოჩნდა მაღალი აჩრდილი, რომლის გაბურძნულ თავზე სკუფია აწოტებულიყო.

— მამები! მამები! წინასწარმეტყველნი და მოუიქულნი! — მთვრალისავით ლუღლუღებდა აჩრდილი, — ოჲ, რა კარგია, რა მიამა! მოგვნი, ვარსკვლავით წარმოვლენილნი... და წარავლინა უფალმან, სანუგეშებლად მთავრისა, კომპანია სასურველი.

— ეს თხაურის მთაჭარსა ჰევს, — წაიჩურჩულია მ. ივანემ, — აღარ მოგვასვენებს. მთავარი ეტლზე ასელას ცდილობდა და თან ლუღლუღებდა.

— მამანო, მამანო! ეჲე, ნაცნობებსა გვანან! რაშები

იოვანნისანნი არიან, ულარუნებიც იმისია. ბუდოვან ელო
მამაო?

— სწორედ ის გახლავთ.

— ღმერთო, ღმერთო! ოჯ სიხარულო დაუსრულე-
ბელო! ეგ ვიღაა? მამაო მათე, მახარობელო კეთილ-ზნეო-
ბისალ! გიხაროდენ, სულო ჩემო! ილხინე, გვამო ჩემო!
სახელითა უფლისათა... გვაკურთხენ, მამანო სულიერნო,
ტანჯული ესე მთავარ-დიაკონი!

— გამუდმებულ სმისაგან *ტანჯული? — ღიმილით
უთხრა პ. ივანემ.

მთავარ-დიაკონის დიდი თავი გაინძრ-გამოინძრა.

— რა გამუდმებულ! — სევდიან კილოთი დაიწყო
მთავარმა. — გამუდმებული იყო, როდესაც მთავრად უნდა
ვეკურთხებინე... გამუდმებული იყო, როცა ცოლი მო-
მიკვდა! ეხლა-კი გამუდმებული არ არის... ქურაა უშვე-
ლებელი და შიგ ცეცხლი უნელებელი. რამდონიც უნდა
ასხა არაყი, წამს დაიშრიტების! რამეთუ შვილთა ჩემთა
შინა დამსაჯა უფალმან...

ულარუნებმა თვით მანდილოსანი სკვორცოვისაც გა-
მოიხმეს სტუმართა დასახვედრად, — მამათაგან „დამატებო-
ბელ ნაზუქად“ წოდებული. ალაყაფი ყურამდე გაიღო,
გამოვიდნენ მსახურნი, რომლებმაც ეტლი დააბინავეს და
ცხენები ბნელ ქუჩაში აატარეს, ვიდრე ოფლი შეაშრე-
ბოდათ. სტუმრებს მასპინძლებმა საპატიო თთახი დაუთმო,
თავისი სასტუმრო დარბაზი, საღაც გდელი, უჯრებიანი
ტახტი ხალიჩით იყო დაფენილი და კედლები მხიარულ
ქაღალდით მორთული... დაბინავდნენ თუ არა მამები,
ხელშემოუწვდენელმა მოახლეო უზარმაზარი სამოვარი
შეიტანა და თან შავი ცნობის-მოყვარე კატა შეჰყვა.

მთავარ-დიაკონიც ვისარა ჩამორჩა.

ეს იყო მაღალი, წვრილი, გამხდარი კაცი. თითქო თავზე ძნები შემოუწყვიათო, ისე გძელი და გაბურდენული თმა ჰქონდა, რომელშიც თხელი წვეტიანი ცხვირი და მხდალი თვალები ოდნავ მოჩანდა. გულს შეუზარავ და მაყურებელის. ხან სევდიან კილოთი ლაპარაკობდა, ხან თითქო გამხიარულდებოდა, მაგრამ სიცილის დროს ისე იღმოვებოდა, რომ ჩამორჩობილს ემსჯავსებოდა. ხან დაჯდებოდა, ხან წამოხტებოდა, ხელებს გაშლიდა, გაპარჭყავდ, ჯიბეში ჩაიწყობდა და ფათურს მოჰყვებოდა, თითქო ეძებს რასმეო. მთელის ტანით ირხეოდა და მისი ჩრდილიც სულ თამაშობდა კედელზე.

— შეილები როგორა. გყავს? — ჰეითხა მ. ივანემ, როცა პირი დაიბანა.

— უნცროსს, ანდროს... სემინარიიდან ისტუმრებენ,

— რისთვის?

— განა არ იცით, რისთვის... მამაცობისთვის!

მ. ივანეს გაეცინა.

— შენ ხუმრობ, მთავარო!

მთავარმა ხელები აიქნია, თითები გაპარჭყა და ტანში სე მოიკავა, თითქო გაფრენას აპირობსო.

— შე ჩემ ანდროს არავის დავაჩაგვრინებ, არავის!

— შეჰყვირა ცხარედ და მწარედ. — რას უპირობენ, რა უნდა გამოიყვანონ? ისეთივე ლოთი და უგზო-უკვლო, როგორც მისი მამა? მე მეუფესთან წავალ! დიალ, მე ჩემს ანდროს ათას პეტრესა და პავლეში არ გავცვლი! მე ჩემ ანდროს... ოჯ, ღმერთო ჩემო, ჩემი ანდრო!

დაეშვა სკამზე და ისევ წამოხტო.

— დედა, ცხონებული... რომ კვდებოდა... გაუ-

ძეხო, გაუძებ, მთავარო... ანდროსო... გზა გაუკვლიერომ... ჩვენსავით არ... იმასაც გული აქვს... ღმერთო! მერე რა... ჰო, დაუნახავს, თვალი მოუკრავს!.. იცის, ყველას იცნობს, ვისაც წიგნთსაწყობიდან ის წიგნები გამოჰქონდა. „ყველას ვიცნობ,—ვიცი, ვისაც გამოჰქონდა და ვინც კითხულობდა,—ისე ხომ არ გვაძლევენ და ვერც გვიშოვნია, წაკითხვა-კი გვინდა! მერე ამხანაგებს ხომ ვერ გავცემო?“

— ჰო, იმ საქმეზე ყოფილა!, —წარმოსთქვა მ. მათემ გამომძიებლის კილოთი. — წიგნების მოპარვისა გამო. დიდი საქმეა!

— მერე რა მოიპარეს? — ყვიროდა მთავარი. — წიგნები! რისთვის მოიპარეს? წასაკითხად! ჩვენ არ გვაკითხებდნენ, არც ჩვენს შვილებს აკითხებენ! მაშ საროლიოდ უნდათ ის წიგნები? რისთვის სტამბავდნენ? რისთვისა ჰყიდდნენ? თახჩებზე რისთვის აწყობდნენ?

ყოველ კითხვაზე მთავარი მაღლა ისვრიდა ხელებს, თითქო საქანელაზე უნდა შეხტესო, და თვალებიც ნაკვერჩხალსავით ულაპლაპებდა.

— ტყუილია, სიცრუეა, სიცრუე! ყველგან სიცრუეა, ყველგან თვალთმაქცობაა! და არა მიძს მე ცხონება. მდევნიდე! მჭოლვიდე მე! ხოლო ძეთა ჩემთა რაისათვის? ჩემი ბალანები ქვის ტომარაში უნდა ჩასვან? ჰა?.. ისინი სულ მე მგვანან... ანდრო უკადემიაში უნდა გადასულებო, სახელოვნოში? დავასრულებო... ეხლარალა ქნას!.. ისევ ტომარაში უნდა გაეხვიოს... მონად გადიქცეს... სასულიერო უწყებაში!.. მაშ, შესამე კლასელს სხვა რა ჩარა აქვს. მე ღატაკ და უძლურ ვარ... რამეთუ შიშველ ვარ, რა მივცე, რაში გამოვადგე? პერანგს გა-

ვიხდიდი, საცვალს მივცემდი, შაგრამ ისიც აღარ შაოხჩია, სულ გადავჭიყავე! მამაო, მამაო, არ მიამნიჩ, პიტერს რომ გავემგზავრე? ერთმა სტუდენტმა ოცდახუთი მანათი მომცა. მამიქემის ნაცნობმა ვაჭრებმა ხარების ვაჯონში ჩამსვა მეხრეს თანაშემწედ. ხარებთან გავიარე ათას-ხუთასი ვერსი, ზამთარში... ისინი საკლავად მიჰყავდათ, მე სასწავლოდ... მხატვრობა! ჰა! ჰა! ჰა! ჰა! ჰა!

ჰა! ჰა! ჰა!..

მუცელზე ხელები დაეჭირა და ხარხარისგან წელში იჩხეოდა. შაგრამ ეს სიცილს-კი არა, ტანჯვასა ჰგავდა, საშინელ, შწვავე ტანჯვას.

მ. ივანემ ფანჯარა გამოაოლო, საიდანაც მაშინადვე მუსიკის ხშა მოისმა.

— ჩაი რომით არა გნებავს, მთავარო?

პასუხის მაგიერ მთავარმა სიმღერა შემოსძახა ხმის კანკალით:

მწირველსა ვერ ეხმარება,
თუ რომი არ გადახუხა...

მთავარი რომს მოუჯდა და მ. მათეს საბაასოდ მიუბრუნდა. მ. ივანე შეუმნევლად კარში გამოვიდა. ქალაქში ხეტიალი უყვარდა, სადაც წარსული იგონდებოდა და გაურკვეველი აზრები ებადებოდა. სოფელსა და ჩევეულებრივ ცხოვრებას მოშორებულს აქ სხვა კაცად მიაჩნდა თავისი თავი, თითქო ის მ. ივანე აღარ იყო, რომელსაც მინდორში ხარი კუდით მიაჩევინებდა. მ. ივანეს ეს დღევანდელი ამბავი მოაგონდა და გადიხარხარი, ნამიანი ლამე იყო.

მდინარეს ფრთქლი ასდიოდა. ნისლში გაღმა-უბნის ყანრები ოდნავ ბუუტავდნენ. ბალიდან შრიალი, ხმაუ-

რობა, სიცილი ისმოდა. მუსიკა „ტორეადორის“ ჰანგს უკრავდა.

ცაზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ.

მ. ივანე ჩაფიქრებული მიღიოდა. ელექტრონით განათებული ქურები, დიდრონი სასახლეები და მუსიკა საოცნებო ზღაპრად ეჩვენებოდა. აქედ-იქიდან ფეხის ხმა ისმოდა. სადღაც ქალი იცინოდა. თითქო კოცნის. ხმაც მოესმა და ზამბახის სუნმა მოჰყერა.

გულიანად ისუნთქა.

გამხდარ, გაფიტრებულ მემავმა ქალმა გზა გადულობა, დააცქერდა და სწრაფად მოშორდა.

გაეცინა.

რაღაც უცნობი, მხიარული და ნაზი სურათები წარმოუდგა, რომლებიც შორს, მაღლა ეპატიუებოდნენ.

მაგრამ სწორედ ამ დროს სემინარიას მოჰყრა თვალი და შეკრთა, თითქო იქიდან ვიღაც მის სულსა და გულში იხედებაო.

მოაგონდა მთავრის სიტყვები:

— ის იეზუიტები...

დააცქერდა სემინარიას და მისი ოთახები, დიდი დერეფნები, მთლად მისი მოწყობილობა. წარმოუდგა. ამ შენობას მ. ივანე შავად დაეჩრდილა, და არა მარტო ეხლა, არამედ სამუდამოდ. მთელი მისი ცხოვრება ამ შენობით იყო დაჩრდილული. თითონ სემინარიაც-კი დაჩრდილული იყო ტაძრისაგან. და ამ ჩრდილში დიდ ყუთს. წააგავდა, სადაც პაწაწა სულიერი არსებანი ხმაურობდნენ, რომელთა უმანკო თავებსა და მკერდზე პედაგოგიური ჩაქუჩი მძლავრად ურახუნებდა. და საფლავის ჭვების სიტყვებს ღრმად არჭობდა, რომ მათმა შერყეულში

ტვინმა და დაბეცებულმა თვალებმა სხვა ცხოვრება ვეღარ-
გაარჩიონ და ვეღარ წარმოიდგინონ, გარდა იმ მატლთა-
ცხოვრებისა, რომლებიც საფლავებსა ხვრეტენ... აი, აქ:
აღზდილან მ. ივანე, მ. მათე და ის მთავარიც, ყორანს.
რომ ჰგავს.

მ. ივანე შეაჩერდა ჩაშავებულ კედლებს. და წარ-
მოუდგა თვისი მასწავლებლები და აღმზდელები; რო-
მელთაც მისი ბედ-ილბალი გადასწყვიტეს. აი—რექტორი,
წითელწვერა, მარდი ბერი, ბაც და მჩხვლეტავ თვალებით,
თავის კუდისთანა ნაწნავით, მუდამ რომ დახტის; ათვა-
ლიერებს, სუნავს. იმას უნდოდა წესრიგი ყველგან დაემ-
ყრებინა ადამიანის ცხოვრებაში—გონებასა, გულსა და
მოქმედებაში. როცა „ბოროტ-მოქმედს“, მაგალითად,
პაპიროსის მომწევს დაიჭერდა და უკან გაიყოლებდა,
როგორც ბუქსირზე, დერეფნები აჩურჩულდებოდა;
„ბაბილონის ტყვეობაო“. ტყვეობა ხან საათზე მეტს
გასტანდა. დასაწყისი ყოველთვის ერთნაირი იყო:

— აბა?

ტყვე ოფლში იწურებოდა და იკვლანჭებოდა.

ის არაფერი, რომ პაპიროსსა სწევდა. ვინ არ იცის,
რომ ყველა შეგირდი/სვამს და სწევს. მაგრამ სხვამ არ
უნდა ნახოს.—ასწავებდა რექტორი—უიმისოდაც ჩვენ
მრავალნაირ საყველურს გვიცხადებენო.

— ჩვენ მოციქულები ვართ! და მუდამ უზადო და სპე-
ციკი სამოსელი უნდა ვატაროთ, რომ ხალხი პატივსა გვცემა-
დეს, ჩვენს მოწოდების ხმას ისმენდეს და მოგვდევ-
დეს, ვითარცა ცხოვარნი მწყემსა კეთილსა. ჩვენი
სისუსტე, ჩვენი ნაკლებულობა უნდა დავფაროთ მაინც,

თუ არ შეგვიძლიან უმწიკვლო ვიყოთ. ცხოვრებაში წერი
და რიგი უნდა იყოს!

მერე დაუწყებდა ლექციას, რაოდენად მავნებელია
თამბაქოს წევა, თუმცა თითონაც სწევდა, და თავის მჟერ-
მეტყველებით სრულიად მოხიბლავდა, დაიახლოვებდა ჰ
დაიმორჩილებდა დამნაშავეს. მაშინ თავგზა-არეულ შე-
გირდს ერთბაშად დაუწყებდა გამოკითხვას: ქვემო დერე-
ფანში ვინ გამოტეხა ფანჯრის რკინები, რომ ღამე გა-
დახტეს, გაიპაროს; წიგნთ-საცავის კარს ვინ აღებდა სხვა
გასაღებით და წიგნები ვის გამოჰქონდა; კლასის ფიცარზე
ვინ დახატა რექტორი ვირ-მონაზონად...

რექტორს თავისი თეორიები ჰქონდა მიწასა და
ვარსკვლავებზე.

— მეორე მოსვლის უამს დედამიწა დაირღვევა და
ის ნივთიერებანი, რომელთაგან არის იგი შემდგარი,
განცალკევდებიან. და რადგან მიწის ელემენტები იმავე
დროს სხეულის ელემენტებიც. არიან, ამიტომ მთელი
დედამიწა მკვდრეთით აღდგენილთა განსახორციელებლად
დაიხარჯება. და ეს ხორცებსხმულნი ვარსკვლავებზე დამ-
კვიდრდებიან, საქმეთაებრ თვისისა, ვინც რომლის ლირი
იქმნება. ასე განმარტავდა მოციქულის სიტყვებს:

„სხვა არს დიდება მზისა, სხვა აწს მთვარისა, სხვა
არს ვარსკვლავისა“...

— ცოდვილნი სადღა იქმნებიან?

— იხეტიალებენ, ვითა კაენი, ჩამქრალ ვარსკვლა-
ვებზე.

მისი ფანტაზია „დიადია“, ხოლო მისი მოძღვრების
მსხვერპლთ-კი სწორედ რომ ჩამქრალ ვარსკვლავებზე
გადასახლების მეტი გზა არ ექმნებათ...

დოლმატიურ ლეთისმეტყველების მასწავლებელი ვიზ
სოკოვი, რექტურის განგრძობა იყო და მის ვარსკვლა-
ვებზე მაღლა იყურებოდა. შაგვრემანი, პირმოხუშული
და სასტიკი, შეგირდებს არ ინდობდა და მკაცრის ლიმი-
ლით „ჯოხებს“ უნიშნავდა. წლის დასაწყისს ჩადენილა
„დანაშაული“, წლის ბოლოსაც არ ავიწყდებოდა. ბრა-
ლიან-უბრალო შეგირდების გამორეკას თხოულობდა
მაშინაც,-კი, მთლად მასწავლებელთა კრებული შენდობის
მომხრე რომ ყოფილიყო. მას სწამდა ღმერთი მრის-
ხანე, მომავლინებელი მხოლოდ შიმშილ-მოარულისა,
წარლვნისა, მიწის რყევისა და ყოველ უბედურებისა. იმას
ეგონა, რომ შეუბრალებელი ღმერთი მხოლოდ სასჯელს
უგზავნის ადამიანს, სიხარული-კი მხოლოდ გამოცდაა.
მისი მოძღვრება ბავშვებს შიშის ზარსა სკემდა, ყოველ
ნუგეშს უსპობდა. და ისინიც მიდიოდნენ ცხოვრებაში და
ამ შიშის მოძღვრებას ჰქადაგებდნენ.

მ. ივანემ უნებურად პირი იბრუნა, თითქო სემინა-
რიის ფანჯრებიდანა და კედლებიდან ვისოკოვები გამო-
იყურებოდნენ.

სატუსალის საათმა თერთმეტი დაჟკრა.

— მთავარო! — კადნიერად დაუძახა უქუდო და თმა-
გაწერილმა კაცმა: უდალოვის ცოლი ხომ არ შემოგხვე-
დრია? გამოქცეულა... გესმის?

— უდალოვის ცოლს მე არ ვიცნობ!

— რას ამბობ, ძმაოჯან... იმას ვინ არ იცნობს...
აი, იმისი... მოახელებს თუ არა, მაშინვე დუქნისკენ გარ-
ბის... უდალოვი იჯარადარია, არ გაგიგონია? მდიდარი,
ძველი იჯარსდარი! აქ ბევრი ქარხნებიცა აქვს. ცოლი
კი..., ცოტა აკლია. მე მისი დურგალი ვარ... და და-

მავალა, გამოუდექ, დაიჭიო... წინად საყვარელი ჰყოლია და ქმარს ისე მიუბეგვია, რომ სულ გაუსტუმრებია. ცოლს მას შემდეგ დასჩემებია... ეჭ, წავალ, „პლევნაში“ მოვნახამ...

უცნობი მოშორდა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ისევ კოცნა და ქალის კისკისი სხვადასხვა შერიდან, თითქო ციდან ყვავილთა ფურცლები ცვივა და ჰაეროვან სიმებსა ხედებაო. ბალში ისევ დასეირნობენ და იმავე აღგილს ტკეპნიან. მუსიკა „მკვდართა ცეკვას“ უკრავს. ეს ჰანგი მ. მათეს იმ დროდან ახსოეს, როცა ის და პაულა აქ დასეირნობდნენ...

მოაგონდა პაულა, მოაგონდა ცოლიც, ღრმად ამოიოხრა და ჩაფიქრდა.

ცხოვრებამ ისე ჩაითრია, რომ ხსნა აღარ არის... სულ-ამოხდილსა ჰგავს.

ნამდვილის სიყვარულით არავინ უყვარს: ყველა უცხოა მისთვის და ისიც უცხოა სხვებისთვის... ცოლ-ქმრობის უღელი ისე დაადგეს, რომ არც-კი დაფიქრებულა. და არც თუ მეტი ჩარა იყო. წაიყვანეს, აჩვენეს... იმ დროს თვრალიც იყო, ჯორი პატარძლად ეჩვენებოდა. გადახვიეს, მიულოცეს... ჯვარი დასწერეს. გაგონილი ჰქონდა, რომ ამ მაღალსა და პირხმელს, თითქო ამაყ ქალს „საიდუმლო ამბავი“ დამართვნია... ცრემლებიც-კი შენიშნა ჯვრის წერის დროს, ეწყინა კიდეც, მაგრამ იცოდა, რომ პატარძალი ყოველთვის ტირის.

მერე... ერთათ ცხოვრობენ... მერე... ერთმანეთი ვერ უცვნიათ. ერთანეთისთვის უცხონი არიან... შეუმჩნევლად ფეხი აუჩქარა და თან ბუტბუტებდა:

— უცხონი ვართ, ერთმანეთისა არა გვესძის-რა?
უცხონი ვართ, უცხონი... პაულა-კი სულ სხვაა, ის
უფრო ახლოა! პაულა რომ არ იყოს...

და ჰგონია, რომ უპაულინოდ დედამიწა უდაბნოდ
გადიქცეოდა. უიმისოდ რა ცხოვრება იქნებოდა ქვეყა-
ნაზე. აი, ფოთოლია ხომ იჭვიანობს, მაგრამ არაოდეს
ცუდი აზრიც-კი? არ გაუტარებია თავში. პაწაწას იცნობდა,
გიმნაზიაში რომ დარბოდა, მოკლე კაბით... განა თითონ
არ გაურიგა მამა მათეს?.. მაგრამ იქნება უყვარს
პაულა? რასაკვირველია, უყვარს... როგორც კარგდ
ადამიანი, როგორც სანდომიანი ქალი. განა ეს ცოდოა?
განა შეიძლება არ გიყვარდეს? ამას ესმის პაულას მდგო-
მარეობა, მისი გულის წუხილი და არა სჯერა, რაღაც
ჭორებს რომ ამბობენ... სულ ტყუილია, ცილისწამებაა! ის
წმინდა, უმწიკვლო... საუცხოვო არსებაა! აი, ხვალვე
მივა იმასთან და უკანვე წამოიყვანს, დაიყოლიებს... რა-
საც ეტყვის, ის შეასრულებს!

ხელების ქნევა დაიწყო და ხმა აუმალლა.

— აი, ისიც, თურმე... უბედური ყოფილა! მე-კი
ქეგონა... მამა მათე ხომ კაი კაცია! მაგრამ ეს რაღაცაა,
ისე მაგრა დაგვწოლია, რომ ველარ, ამოგვისუნთქნია.
ციხეში ხომ არა ვართ მომწყვდეულნი...

სატუსალოს საათმა თორმეტი დაჲკრა.

თოფების ჩხარა-ჩხური მოისმა. დარაჯებსა სცვლილ-
ნენ.

ბაღში მუსიკა გერმანულ „სალაშქროს“ უკრავდა.

მამა ივანე ნელნელა სადგომისაკენ წვიდა:

იქ მთავარს რომი გაეთავებინა, მაგრამ ხელის ქნევითა

და ტანში ნტვრევით ლაპარაკისთვის მოემატებინა. მამა
მათეს სახე უფრო დაელრიჯა.

— აბა, მთავარო! — უთხრა მ. ივანემ, — ახლა-კი
გვეძინება!

მთავარი ერთბაშად დაჩუმდა და გამოეთხოვა. სახე
უფრო შეიჭმუხნა, ეტყობოდა, რომ წასვლა არ უნდოდა
და არც იცოდა, სად და რისთვის უნდა წასულიყო. მ.
ივანეს შეეცოდა და ცოტა რამ დასამშვიდებელი და სა-
ნუგეშო უნდოდა ეთქვა:

— შენი უფროსი შვილი როგორ-ლა? .. შენ წელან,
რაღასაც ამბობდი, შვილებით უბედური-ვარო. უფროსი
ხარკოვში გყავს, მგონი, საბეითალოში სწავლობს. იმასაც
ხომ არა დაემართა-რა?

მთავარი უფრო მოიზუზა.

— დაჭერილია! .. პოლიტიკურ საქმეზე,

მამა ივანემ ერთბაშად უკან დაიწია.

V

მეორე დილას მ. ივანე გალმა-უბნისკენ გაემზადა,
მ. მათეს უთხრა, სამ საათამდის აქ მელოდე და მერე
რუდომეტოვთან წამოდიო.

— მე ეხლავ გრიგოლ პეტროვიჩთან მივდივარ. გუ-
ლი მეუბნება, რომ პაულა მამასთან უნდა იყოს. მე,
ძმაო, იმას კარგა ვიცნობ და არა მგონია... მაგრამ
თუ ის მართალია, რასაც ყბედობენ რუდომეტოვის ძმის-
წულზე, მაშინ დეკანოზს უნდა შევუჩინდეთ. ის ზღვის
ფსკერიდანაც-კი ამოათრევს და დაიყოლიებს.

მ. მათეშ ამოიოხრა და თვისი პატარა თავი დაიქნია.

— ნეტავი აგრე, ლმერთმა ჰქნას.

— შენ სასოებას ნუ დაჰკარგავ!

მამა ივანემ ჩაიცვა ახალი შავი ანაფორა, გახუნებული და გამტვრიანებული შლიაპა დაიხურა და დარბაისლურად გაღმა-უბნისკენ გაემართა. ხაზინის ქუჩაზე ერთი პირხმელი მოქალაქე დააკერდა, თვალი გააყოლა და მერე გააფურთხა და გაბრაზებით წამოიძახა:

— სამ-რე-კლოა!

მ. ივანემ გაიარა გძელი სახელდახელო ბოგირი და ვიწრო, ჭუჭყიან ქუჩებში შევიდა. კარგა ხანს ერთი სულიერი არსებაც არ შეხვედრია, თითქო ქალაქი ამოწყვეტილაო. მუშა-ხალხი ქარხნებში იყო და ჭუჭყიანი ჭავშვები-კი ჯერ არ გამოსულიყვნენ, რომ წუმპეში ეგორავნათ. მხოლოდ ერთი დიდი და სუფთა სახლი იყო ამ არემარეში, რომელიც მაღლიდან მეფეურად დაჰყურებდა ქოხებს. უს სახლი მამა ივანეს წინადაც ენახა. კარებთან ეტლი იდგა. ორს ზორბა ვაჟკაცს რაღაც აჰქონდა ეტლზე, მველ წამოსასხამში გამოხვეული. შიგ რაღაც იყო, ადამიანის მსგავსი, მილეული და მოკრუნჩასული.

— ეგ ვინ არის? — მკაცრად იკითხა პოლიციელმა.

— სტუმარია! — უბასუხა ერთმა ვაჟკაცთაგანმა, — უდალოვის ნოქარია. მესამე დღეა, აქა სვამს. შინ უნდა გავგზავნოთ. კაი კაცია, მაგრამ მისი ქალი უდალოვმა აიყოლია... და მას შემდეგ სმას მიჰყო ხელი.

წამოსასხამს ეტლში სდებდნენ. ის-კი გადად-გადმოდიოდა, თითქო ბედნიერებამ ძვლებიც-კი მოურბილაო.

მამა ივანე ვიწრო ტალახიან ქუჩას გასცდა და ფართო მინდორში გავიდა, რომელიც სულ ნათხარებით იყო

მოფენილი და ნასოფლარსა ჰგავდა. კარგა შოშორებით მოგძო ჩაშავებული შენობები მოჩანდა. ივანემ იცოდა, რომ ეს ალიზის საწყობები იყო. ამ საწყობებს შეამართული იყო აგურხანის ვიწრო და მაღალი საბოლო. ქურას ლაპლაპი გაჰქონდა. არსად ცოცხალი არსება არა სჩანდა.

ვიწრო ქუჩის ბოლოს მინდორს გაჰყურებდს ლაზათიანი, ცარცით გათეთრებული სახლი, მწვანე ბანიანი, რომელსაც წინ წალჩა ჰქონდა. მისავალ კარზე გაპრიალებულ თითბრის ფიცარზე ეწერა: კოლეგიის ასესორი გრიგოლ პეტრეს ძე პერეხვატოვი.

ფანჯრებიდან ფანდურის ხმა ისმოდა, ზედ ვიღონ ნაზად დამლეროდა.

მ. ივანემ ხმა იცნო და კარის ზარი ჩამოჰკრა.

ახალგაზდა მოახლეობა ჯერ ჰკითხა:

— ვინა ბძანდებით?

და მერე ლიმილით კარი გაულო.

მაგა ივანემ სუფთა გაპრიალებული დერეფანი გაიარა და სასტუმრო ოთახში შევიდა. წითელი ხელსახოცა ამოილო, ოფლი მოიწმინდა და ოთახის მოწყობილობა აათვალისწინერა.

ქაშანურის ფეხთან პაული ფანდურის სამებს მართავდა. ფეხი ფეხზე გადაედო, თავი გვერდზე გადაედო, პირში პაპილოსი ჩაჰქრობოდა, ლამაზი, მეტად თეთრი, ნარნარი და ბავშვისავით ფუნაუშა სახე ჰქონდა. ჭრილი თვალები ხან ეშმაკურად გაუბრწყინდებოდა, ხან მიღლულებოდა. ხუჭუჭი თმა თეთრს სახეს უფრო ალამაზებდა და ქვიანურ შუბლს ოდნავ ჩრდილოვდა. წითელი, თითქო განგებ შეღებილ ტუჩებზე ამაყური ლიმილი უთა-

შემცირდა, თუმცა მწარესა და მკაცრს ფიქრს თავისი კვალი დაეჩინა.

შაბა ივანე რომ დაინახა, უნებურად ფანდური და უშვა.

თვალები ჩაუბნელდა.

მაგრამ იმავ წამს მთელი სახე აუწითლდა. და თვალებიც ღიმილით აუთამაშდა. ფანდური იქით მიაგდო, პაპიროსი ისროლა, წამოხტა და აენთო.

— რა მიამა! როგორ გამახარე! — იძახოდა პაულა და თან ხელები მაგრად ჩასჭიდა.

— მეგონა — მამა! ის-კი არა თუ, აი, ვინ ყოფილა! ივანე! არ მოგელოდი, არ მეგონა! რა კარგ დროს მოხვედი, სწორედ დროზე მოხვედი, ჩემო ტრედო! იურა? დღეს უთუოდ, უთუოდ უნდა წავიდეთ და მუსიკა ვისმინოთ როგორც ოდესაც... ჰო? მე ბევრი რამ მაქვა მათქველი!

ამ დროს შენიშნა, რომ მ. ივანე გაკვირებული კუთხეს მისხერებია, იმანაც გააყოლა. თვალი, პაპიროსის ნამწვი დაინახა, ისევ სიხარულმა გაურბინა სახეზე და ეშმაკურად გადიხარხარა.

— შენ სწევ?! — წარმოსთქვა მ. ივანემ.

ქალმა სიცილ-სიმღერით უპასუხა:

— ე-მან-სი-პა-ცია!

და რამდენჯერმე შემოაპროწიალა.

— აჲ, რა მიხარიან! რა მიხარიან!

— რა დაგმართვია? — შეეკითხა შუბლ-შეკრული და განცვიფრებული მ. ივანე. — შენ... როგორდაც თითქო ის აღარა ხარ! დარბაისელი დედაკაცი, ფოფოდიად, დედად წოდებული... და ბავშვისავით, ...

ქალი ჩამოეცალა. დივანზე დაეშვა, თავი უკან გადილო. სახე ალის ფრიად ულაპლაპებდა. თან იცინოდა და თან ფანჯარაში იცქირებოდა.

— შეხედე! მზე რარიგად იყურება ფანჯარაში! თითქო პირველად ვხედავ! მზე! მხიარული, ბრწყინვალე მზე! უყურე, რა სითბო და სიამე მოუფენია!..

სიმხიარულე თანდათან ფიქრმა ჩაუქრო. ალის ფერი სახე გაუმჯრალდა.

— ივან ვასილიჩ! მე ხომ... მათე მივატოვე.

— ვიცი, — სთქვა მ. ივანემ.

ქალი თამამად წელში გასწორდა.

— საიდან იცი? საიდან? რა იცი?

და ერთბაშად მწარედ და მძულვარედ გადიხარხარა.

— ჰოო!.. შუაკაცი ხარ! მეს-მის, მე-სმის!

— მე ყველაფერი ვიცი! შენი წიგნიც წავიკითხე...
და ვისაც გამოჰყე, ისიც ვიცი.

ქალი შუბლს იკრავდა და ბლვერით შეჭყურებდა.

— ეგრეც რომ იყოს, მერე რა?

მ. ივანემ არ შეწედა და გვერდით-კი მოუჯდა.

— გამიგონე, პაულა! იქ რაღაებიც... ვინ იცის, რას არ ამბობენ. პირს ხომ ვერავის შეუკრავ!.. მათეც... ჩვენ სოფელშიაც ყბედობენ... მე-კი, აი... შენ სწორედ... სინიდისით, გულაპლილად მითხარ...
— რა?

იმან არ იცოდა, როგორ განეგრძო ლაპარაკი.

— აი, ის... ვითომც, რაკი შენ იმას... აი, იმ ვიღასაც რომ გამოჰყოლიხარ... ერთი სიტყვით, თქვენ შორის არის რამე?

ქალი ჩუმად იყო. მ. ივანე-კი პასუხს ელოდა.

ქალს რაღაც ეშმაკურმა ფიქრმა გაუჩბინა. ერთ
წამს ყოყმანობდა, რა პასუხი მიეცა, და მერე ერთბაშად
და გადაჭრით უთხრა.

— არაფერი!

მამა ივანე ერთბაშად მიტრიალდა ქალისკან, სახე
გაბწყინებული.

— აი, ეგრე! აი, ეგრე! მე ვიცოდი!.. აჩქარებითა
და მხურვალედ დაიწყო. ლაპარაკი.— მე ხომ ვიცი, შენ
თოფის წამალივით იფეთქებ! ერთი ბეწვა რამ არ
მოგეწონა, შენ მაშინვე... ატაცებული ხარ! მაგრამ
გონება და გული-კი კარგი გაქვს... ღმერთმანი! რაო
განა? მე განა დავიჯერებდი, რალაებსაც რომ ყბელობ-
დნენ! იქნება, ჩემს თავსე ათასი სისაძაგლე მეფიქრნა და
შენზე-კი... არაოდეს!

ქალს ტუჩები აუთამაშდა.

— არაოდეს? არ, დაიჯერებდი?

მ. ივანე, აენთო.

— არა! და იცი, რა გითხრა? მამა მათესაც ეგრე
ვუთხარი: ტყუილია წერილიცა და წასვლაც... სიცხარით
მოსვლია. მოწყენილია და... მერე რა? ჩვენ ყველანი
მოწყენილები ვართ. ეგეთი ცხოვრებაა. ნუ ფიქრობ,
დაბრუნდება-მეთქი! და აი, მოვდიოდი და ვიცოდი, რომ
აქა ხარ. ვერძნობდი, რომ აქა ხარ! მე ალლოს აღება
ვიცი... რას იცინი? აი, ესე, მოვდივარ და დაბრწმუნე-
ბული ვარ, რომ აქა ხარ. და ვფიქრობ: აი, ვეტყვი...
გამომყე, პაულა, ქმართან დაბრუნდი! ჩაინელე შენი
მხურვალე გული!

და თანაგრძნობით გაიცინა.

— ესე ვეტყვი და... დაბრუნდება.

ალერსიანად ხელი დაუჭირა.

— ხომ მართალია? გამომყები?

— აკლდამაში? — მკაცრად წარმოსთქვა ქალმა.

მ. ივანე აღელვებული წამოდგა.

— რა გინდა? რას ეძებ? რა ცხოვრება გინდა? ის, რაც არ არსებობს? აბა გარშემოიხედე, ყველა, ყველა ესე ცხოვრობს. შენ კიდევ სხვაზე ბედნიერი ხარ. მათე ჰქონიანი კაცია... ლირსეული. ის ეხლაც გამომძიებლად დაუნიშნავთ! იმას კააარგი თავი აქვს! ის გზას გაიკვლევს, დიალ? სამრევლოც კარგიგაქვთ! სახლი დოკლათით სავსე; შენ მხოლოდ მოინდომე, და თანხმობა, სიყვარული, სათნოება დამყარდება თქვენ შორის — შეიარულება! შენ უნდა სიცოცხლით სტკბებოდე, შენ-კი რაღაებსაცა სწერ წერილში. რად, რა სიტყვებია? სულ უადგილო, სულ ამაო.

ამ ლაპარაკში მ. ივანემ სიარული დაიწყო.

— გვიყურე... ჩვენ ყველანო ესე ვცხოვრობთ. განა ყოველთვის სიმხიარულეში ვართ! განა ისეა ჩვენი ცხოვრება მოწყობილი, როგორც გვინდა! იგივე ფიქრი, შარცხი, უბედობა და... სევდაც! განა ყველაფერი ჩვენს ხელთ არის? ჩვენ რა ვართ? ჩვენ ხარისავით შებმულვართ და ჭაპანს ვეწევით. და ყველა ამრიგად თავის უღელს ეწევა, რომელსაც ცხოვრება ეწოდება! და ვითმენთ, რას იზამ? ჩვენ ხომ არ დაგვიწესებია... მაღლით არის, ლვთისაგან! — თუ რომ სამძიმოა... მოითმინე! კაცის ხვედრი დედამიწაზე — მოთმინებაა... ეგრე არ არის? შენ-კი, აი... სადღაც გარბიხარ! საღ? რა გინდა? რას ეძებ? სისხლი გიდულს... ოკნებობ, აი, რა არის...,

ქალი მორჩილად ყურს უგდებდა, ხელები მუხლებზე
დაეყარა. ბოლოს მწარედ ჩაიცინა და უთხრა:

— ოცნებობ!.. მაშ რაღას ჩამციებიხარ? რა გინდა?..
აჲა, დავბრუნდები, მატყლის წეწას დავიწყებ, მოჯამა-
გირებს ვეჩხუბები, ქათმებს ბოლოს ავუწევ, კურტურს
ცერს მოვუსვამ, კვერცხს დავთვლი, ფოფლიერებს სამ-
ცხენიან ეტლით ვესტუმრები, ვიჭორაებ... მოდურ შლია-
ჰებით გავაოცებ, ფარჩის კაბით... ფორტეპიანოს მთელი
დღე ვაჩხარუნებ... სულ მერე? ეს არის?

მ. ივანე გაოცებული შექუურებდა. ცხოვრების სუ-
რაომა ცოტა შეაფიქრიანა.

— დავთვალე კვერცხები, დავსინჯე ქათმები, დავუ-
კარ ვალსები... მერე? ნუ თუ მთელი სიცოცხლე სულ
ამას უნდა ჩავდიოდე?! ყოველ დღე, თვე, წლითი-წლო-
ბამდე? მერე ხან ში შევალ, სახე დამიჭვნება, დამედარება,
თვალები ჩამიქრება... სათვალეს გავიჩენ... და სულ ქათ-
მები უნდა ვსინჯო, კვერცხები ვთვალო... ვაჩხარუნო...
ეტლები ვაქროლო...

მამა ივანე გაჩუმებული და ჩაფიქრებული იჯდა.
თითონაც სამძიმოდ მიაჩნდა ასეთი მომავალი რა არ
იცოდა, რა ეპასუხნა, რითი ენუგეშებინა.

— შვილები გეყოლებათ! — უთხრა ბოლოს.

ქალი შეშინებული წამოხტა და წამოიძახა:

— არა, არა! ლმერთმა ნუ ქმნას!! არ მინდა!!

ისე ცხადი და გასაგები იყო ქალის შიში, რომ მ.
ივანემ ხმა ველარ ამოილო. ქალი-კი თავზარ-დაცემული
ოთახში აჩქარებით დადიოდა და იძახდა:

— არ მინდა, არ მინდა! ლმერთმა მაშოროს! არ
მინდა, მეშინიან! რად მინდა შვილები? რა უნდა გადავცდა?

ყოველ ჩემს სიტყვაში სიცრუეს მეფე უნდა ვგრძნობდე..
არა, არა!.. და ხომ სამუდამოდ შემკვრენ, შემბოჭვენ...

ამ აზრმა სულ მოჰკუნტა, მოკრუნჩხა, სახე აულეწა..
ეტყობოდა, რომ მწარე ფიქრის მოშორება უნდა და ვერ
ახერხებს. მერე დასწვდა პაპიროსის ნამწვს.

— მე ამ ნამწვისთანა ვარ! — სთქვა მწარე ღიმილით:
ვიღამაც მომწია და გადამისროლა... ნაგვის ორმოში!
მაგრამ მე ხომ აღამიანი ვარ და არა ნამწვი? მე ხომ
მესმის, რომ ნაგვის ორმოში ვგდივარ? აბა, ახლა ეს
ნამწვი თოფის წამლით აავსე და მოუკიდე... ის იფეთქებს
და, ვინ იცის, სარ გადავარდება... მეც ეგრე!

მ. ივანემ თავი აიწია.

— მაგით რა გინდა სთქვა?

ქალი ისევ დივანზე დაეშვა და დადარდიანებული
ფანჯარაში იყურებოდა.

— მე ვგრძნობდი, რომ ნაგვის გოდორში ვეგდე-
და საძრაობაც არა მქონდა... სასოწარკვეთილებამ შემი-
კრო, წამოვხტი, წერილი დავწერე და... წამოვედი. მზე
ბწყინამდა, მხიარული დღეს იყო! შენ-კი მოღიხარ და
მეუბნები: მზე არ არსებობს, დღე აღარ არის!.. მე არ
ვიცი, რა გიპასუხო. ქალაქს ჩამოვედი და თითქო ერთ
ორმოდან მეორეში გადამაგდეს. აბა, აქ რაღა ვარ? რის-
თვისა ვარ? ვის ვუნდივარ? აი, ვთქვათ, ქუჩაში გავედი...
იქ რაღაა? ასეთი პატარა, ასეთი სუსტი საღ უნდა წავიდე?
რა გავაკეთო?.. მერე ეს მოწყობილობა! ბავშობაში
ძალიან მომწონდა, ახლაც კი მასევდიანებს. თითქო რკინის
ცხრილში იხედები და ლვთის ნათელს შორიდან, პაწაწა
ჭუჭუტანიდან უმზერო... ნაბიჯის გადადგმაც არ შეგი-
ძლიან! სწორედ ამას გამოვექეცი... და ამასვე შევეყარე!

ერთბაშად ხელები მძლავრად მოკუმშა, მ. ივანესკენ. მიბრუნდა და შეჰყვირა:

— განა მე თითონ, განა არ ვიცი, რომ გზა შეკრული მაქვს!

მ. ივანე არ უყურებდა.

— მაშ, ეგრე... დაბრუნდები? — დაბალის ხმით შეეკითხა და პასუხს გულის კანკალით მოელოდა, თითქოუარისა ეშინიანო.

ფანჯრიდან ლაპარაკის ხმა შოისმა.

— მამა მოდის! — სთქვა პაულამ: და ვინ უნდა იყოს? ვიღაც ქალი მოსდევს.

მ. ივანემაც ფანჯარაში გადაიხედა. მინდორზე კიდევ არავინ სჩანდა. წინადაც უნახავს ეს ადგილი, მაგრამ სიცოცხლით სავსე. მაშინ ხალხიც ირეოდა და აგურხანიდან გრიალი და ჩხრიალი მოდიოდა.

— რას დაუცალიერებია ეს მინდორი? — იკითხა მ. ივანემ.

— მუშები გაფიცულიან. — უპასუხა პაულამ და მამისკენ გაეჩქარა.

ოთახში პერეხვატოვი შემოვიდა და თან ახალგაზრდა ქალი შემოჰყვა.

პერეხვატოვი იმ დარბაისელ მოხელესა ჰავდა; რომელსაც თავისი სამსახური შეუსრულებია და პენსიით გამოსულა. მისი სახე გამხმარ ეტრატს ემსგავსებოდა, რომელზედაც მოხელენი ძველ დროში „ოტნოშენიებსა“ სწერდნენ; თვალები-კი ნახევრად გადასულ ასოებისავით გამოიყურებოდნენ.

— რა სტუმარი მოგვარე, პაულა!.. გაიცანით ერთმანეთი. სოვდაგრის ქალი, — ალექსანდრა პორფირეს-

ასული შიროკოზადოვისა! ნამდვილი ტახტის კეთილ-შობილი!

ეს სიტყვები მოკრძალებით წარმოსთქა და მერე პ. ივანეს მიუბრუნდა.

— ნუ დაუჯერებთ! მე გლეხი ვარ, დემოკრატი! — უთხრა ლიმილით უცნობაა ქალმა და პაულას ხელი ჩაჭოართვა.

საღა, ყავის ფერი კაბა გამოწყობილი ჰქონდა კოპწია ტანზე. თავზე, რომელიც ცოტა ამაყად ეჭირა, უბრალო ჩალის შლიიაპა ეხურა. ლაპარაკში პრანჭიობა სრულიად არ ეტყობოდა. დიდი და მიმზიდველი თვალები მოლაპარაკეს პირდაპირ შეჰყურებდნენ. ლაპარაკში ჭკუა და სიმტკიცე ეჩნეოდა.

— ეს გიმნაზიური კაბა გადავაკეთე! — უთხრა პაულას, რომელიც მის კაბას ცნობის-მოყვარეობით შეჰყურებდა.

— აქაურ გემნაზიაში სწავლობდით?

— დიალ. ოქვენ?

პაულა აწითლდა.

— მე მხოლოდ მეოთხე კლასამდე მივაღწიე.

— რა დაგემართათ?

— უსიამოვნება მოგვივიდა... ერთ ურიის ქალის გამო... დეზორცევისა, თვით დირექტრისას მკვაბე სიტყვა შევუბრუნე.

— მოიცადეთ! — გააწყვეტინა ალექსანდრამ: დეზორცევის ქალს ვიცნობ, ჩემი შეგობარია. მან ურთის წლით ადრე გაათავა გიმნაზია. მაშ, ის ოქვენ იყავით, დირექტრისას რომ უთხარით: „ბავშვება სდევნით მხოლოდ

იმიტოშ, რომ სხვა ტომისაა — ეუ ხომ სისამშეგლეა!“ რაკარგა გითქვამთ!

— ნუთუ ეგ ჩემი სიტყვებია! ღმერთო ჩემო, რახანშა გაიარა!

ახალი ნაცნობი მოეწონა, სანდო და სანდომიანი იყო. და მასთან ლაპარაკი უნდოდა.

— ახლა რალას აპირობთ? ნუთუ უნდა გათხოვ-დეთ... ეგეთი ახალგაზძა?

— ჯერ ერთი, მე არც თუ ისე ახალგაზძა ვარ, — სთქვა ალექსანდრამ, — შეხეტულობით ნუ მოტყუფდებით, მე ოცდაორის წლისა ვარ და მაინც ჯერ არა ვიცი-რა.

— რა უნდა იცოდეთ?

— აბა, ცოტა რამ არის საცოლნელი. მინდა ცხოვ-რება გავიცნო, შევისწავლო, შევემზადო და გონებრივად შევეთვისო. მინდა საზოგადოების სასარგებლო შევიქმნე, ახალ საზოგადოებისა, რომელიც ეხლა ჩნდება, ქვეყნიერობაზე. ამისთვის-კი დიდი სწავლაა საჭირო. შემოდგო-მას ინსტიტუტში ვაპირობ შესვლას, პეტერბურგში. თუ იქ ვერ მოხერხდა, საზღვარ გარედ წავალ..

— მამა ნებას გამლევთ?

— არა, არ მიშვებს.

— მაშ როგორ?

— სულ ერთია, წაგალ! — აჩქარებით წარმოსთქა-და ჰეითხა:

— თქვენ რალას აკეთებთ?

— რას ვაკეთებ?! — მორცხვად ჩაიცინა. ჰაულამ: — მე ისე... გათხოვილი ვარ... ლვდლის ცოლი.

ალექსანდრამ თდნავ შუბლი შეიკრა და მ. ივანეს შეხედა.

— ლვდლები არ მიყვარს, —წარმოსთქვა თამამად, —ისინი ბოროტებას ემსახურებიან.

პაულა აწითლდა, გაოცებული დააცკერდა და რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს მისმა მამამ შენიშვნა:

— პაულა! ჩაით არ გაგვიმასპინძლდები?

— ეხლავ! —სთქვა პაულამ და სასადილო ოთახში გავიდა.

პერეხვატოვი-კი ორთავ სტუმარს ესაუბრებოდა.

— მოხუცს მომწყინდა უსაქმურობა და გავიფიქრე, მოდი, ქარხნის კანტორაში შევალ, უდალოვთან, ციფრები ვიცი, მადლობა ღმერთს, ოცდა თხუთმეტი წელიწადი სახაზინო პალეტაში ციფრებს ვუჯეჭ. აბა, უიმათოდ როგორ გამეძლო. დავდიოდი და სულ ციფრები მელანდებოდა.

— ჩვეულება სჯულთ უმტკიცესიაო! —სთქვა დაბალის ხმით მ. ივანემ და თან გრძნობდა, რომ უცნობი ქალი მტრულად შეჰყურებდა.

— დიალ, ჩვეულება! —უფრო ცხარედ ალაპარაკდა პერეხვატოვი. და, აი, ახალ ცხოვრებას და ახალ ხალხს ვერ შევეჩვიე და არც მინდა... დავბერდი!.. ჯერ თოთონ უდალოვი, ჩვენში-კი იყოს, მოუხეშავი ტეტია. გაფიცვაა, ბატონო ჩემო! ამ დროს პატრონმა სიმტკიცე უნდა გამოიჩინოს, თავისი უფლება. ის-კი, ორი კვირაა, დაუინებით სვამს და ვერ გამოფხიზლებულა. უფროსი მოურავი გერმანელია, ძეხვი. მე ვეუბნები, საჭიროა პატრონის მტკიცე სიტყვა, წყნარი მოლაპარაკება, იმიტომ რომ ხალხს უფლება აქვს ითხოვოს, ხოლო უნდა დაარწმუნო, რომ არ გადააჭარბოს; კერპობით ვერას: გახდეთ-მეთქი. იმას-კი ამ დილით მთელი ბოჭკალუდი

ჩაუჭიაბავს... არა, თავი უნდა დავანებო, ვერ მოვისვე-ნებ!... ეჭ, რა მშვიდად ვიყავ სახელმწიფო პალატაში! რა მოსვენებით ვცხოვრობდი!

— მშვიდად გეძინათ? — ლიმილით შენიშნა ალექსან-დრამ.

— დიალ, მოსვენებით მეძინა! — კარელ მიუგო პერეხვატოვმა, თუმცა კითხვამ გააკვირა.

მ. ივანე-კი მიხვდა და ჩაიცინა.

— თქვენ პორფირი ვლასიჩის ქალი ხომ არა ხართ? ჰკითხა მ. ივანემ ალექსანდრას და გვერდთ მოუჯდა.

ქალმა ოდნავ უკან დაიწია.

— დიალ, მე იმის ქალი ვარ! — სთქვა ქალმა და პერეხვატოვს მიუბრუნდა.

— თქვენთან საქმე მაქვს, გრიგოლ პეტროვიჩ... ქალაქში წიგნები შევაგროვეთ მუშებისთვის...

— თქვენ და თქვენმა მამამ?

— არა, უმამოდ. მაგრამ აქ ახლო-მახლო წიგნთ-საცავისთვის ოთახი ვერ გვიშოვნია. ქარხნებთან-კი მოუ-ხერხებელია. თქვენ შეგიძლიანთ, აქ შეგვანახვინოთ წიგ-ნები და მუშებს აძლიოთ. თქვენ ხომ იმათთან მუდამ საქმე გაქვთ.

— შეგიძლება გკითხოთ... მამა თქვენი რა აზრისაა ამ საქმის გამო?

ქალმა გაიღიმა და მ. ივანეს შეხედა.

— ამ სახლში სულ მამაჩემზე მეკითხებით! მამაჩემმა თავის საქმე თითონ იცის, მე — ჩემი. მე ხომ პატარა არ ვარ. შემიძლიან ისე მოვიქცე, როგორც ჭკუა გამიჭრის. მე ოც-და-ორი წლისა. ვარ. შემოდგომიდან მაღალ სასწავ-ლებელში ვიქნები.

— და თმასაც შეიკრეპთ? გულუბრყვილოდ შეეკითხა.
მ. ივანე.

ქალმა მკაცრად შეხედა.

— რა საძაგელი აზრები გაქვთ!

— აა, რა! მე რა! — აშფოთებით დაიწყო პერეხვა-
ტოვმა — მე, რასაკვირველია... მაგრამ რაღა მე მომაგენით?

— მე თქვენთან ვექილმა ლევანდოვსკიმ მომასწავლა.

— აა, პავლე სტეპანიჩია... აჲ, ბატონო ჩემო...
ღიალ, ღიალ, ჩევნ მეგობრები ვართ! მაშ, რა გიყოთ?..
მე-კი მოხარული ვარ, მაგრამ ეხლა ისეთი მოუსვენარი
ქროა და წიგნთსაცავი ადვილი საქმე არ არის... საში-
შია!

— გეშინიათ? საკუთარ წიგნების მიცემას ვერავინ.
დაგიშლით და სამსახურიდან დათხოვნასაც ხომ, იღარ-
ერიდებით...

— დედილო! შე მოვხუცდი... დავბერდი, თქვენ
საქმესთვის იღარ ვარგივარ!.. ან მაგისთანა საქმეებზე
სიარული რამ გაფიქრებინათ?

— მამა! ჩაი მზად არის! — გამოიძახა პაულამ სასა-
დილო ოთახიდან.

— ჰო! ძალიან კარგი! — გაეხარდა პერეხვატოვს:
მობრძანდით, ბატონებო!

— ნახვამდის! — წამოდგა ალექსანდრა.

— არა, ჩვენში ეგ არ შეიძლება... ჩაი უნდა შიირ-
თვათ! გთხოვთ, გთხოვთ, ნუ გვიუკადრისებთ... აბა,
პორტფირ ვლასიჩის ასული... ძალიან მესიამოვნა, რომ
ჩვენსა შობრძანდით.

ქალი წინ გაიძლოლა სასადილო ოთახშიკენ და თან
მ. ივანეს წასჩურჩულა, ხოლო ისე-კი, რომ ქალს გავ-
გონა:

— შიროკოზადოვის სისხლ-ხოვრცია! ისინი სულ
ესეთები არიან! შიროკოსადოვები, ბატონო ჩემო, კაუე-
ბი არიან.

პაულამ ჩაი გააკეთა; ყველას მიაწოდა, თითონ ალექ-
სანდრას ახლო ჩამოჯდა და უთხრა:

— თქვენ ძალიან მომწონხართ.

ის თვალებში დაკვირვებით დააცემდა და უთხრა:

— თქვენც მომწონხართ.

— მითხარით რამე დეზორცევის ქალზე; სად არის,
რას აკეთებს? მე ის ძალიან მიყვარდა — პატარა, ნაზი,
ტანწვრილი, ხუჭუჭ-თმიანი. როგორლაც ლიკლიკებდა.
მოვიდოდა ჩემთან და მეტყოდა: „ხაწაპული ხომ ალ
გინდათ?“ მე ვიცინდი და თან ვკოცნიდი. გაძგო ჩვენ-
მა დირექტრისამ, რომ ძალიან დამეგობრებული ვართ,
დამიძახა და მითხრა: „თქვენ კარგი ოჯახის ქალი ხართ,
ქრისტიანი... თქვენ ურიის გომბიოსთან. მეგობრობა არ
გეკაღოებათ“.

— რა სისაძაგლეა! — წამოიძახა ალექსანდრაშ და
სულ აწითლდა. — რა უფლება აქვთ, მოიძულონ ის ტო-
მი, რომელმაც საუკეთესო აღამიანები აღუზარდა კაცო-
ბრიობას! სპინოზები, ლასალები, მარქსები და მრავალი
სხვა, რომელთაც ააღორქინენ საზოგადო ცხოვრება, მეც-
ნიერება, ხელოვნება, რომლებიც მედგრად იბრძოდნენ
იდეალებისთვის. ისინიც ებრაელები არ იყვნენ? და ამ-
დონი უსამართლობა რაღაც ზღაპრის გამო, რომელიც
წყვდიადით მოსილ წარსულის ნაყოფია! არა, სრულიად
დახშული გონება უნდა, გქონდეს აღამიანს და ქვის გუ-
ლი, რომ ებრაელებს ისე მოეცყროს, როგორც ის უტვი-

ნონი. იმათ ხომ თავისი მძულვარება ქუჩაში გადააქვთ
და იქ ებრაელების ბელ-ილბალზე მოქმედობენ — სდევნიან,
ებრაელების წინააღმდეგ პოლიტიკასა ჰქმნიან, ურთიერ-
თობას ამწვავებენ, ხოცვა-ულეტას ხელს უწყობენ. რავ-
დენი შრომაა საჭირო, რომ კაცში მხეცი აღმოიფხვრას,
უგონო, თავნება!

— ეგ შესაძლოა? — ჰკითხა პაულამ: — აღამიანში მხე-
ცი აღმოიფხვრება?

— მთელი ისტორია მაგისტვის ილვწის, — დამშვი-
დებით უპასუხა ალექსანდრამ, — კაცობრიობა ვითარდება,
მხეცური გრძნობები ქარწყლდება, ძველსა და ახალს შეა
მედგარი ბრძოლაა, ახალი საზოგადობრივი და სახელმ-
წიფო წყობილება მყარდება.

— საღ? — გულუბრყვილოდ შეეკითხა პაულა.

— ყველგან! — სიცილით უთხრა ალექსანდრამ — მი-
იხედ-მოიხედეთ, დააკვირდით, განა ახალ ისტორიას ვერ
ამჩნევთ?

გ. ივანე გაოცებული შეჰყურებდა. ქალმა შეამჩნია,
წარბი შეიხარა და თვალი მოაშორა.

— ძველ ცხოვრებას ბევრი მომხრეები ჰყავს, მაგ-
რამ ის გაიმარჯვებს, ვინც მისგან პირს იბრუნებს! ...

— არა, უნდა მოგახსენოთ, ბატონი ჩემო, ვის
ჩაუვარდება დოვლათი, ამოდენა სიმღიღრე? ვის, ბატო-
ნო? — მჭერმეტყველობდა პერეხვატოვი. — უდალოვი და-
ბერდა, ლოთობას გადაჰყვება, ეს ნამდვილია... უბედუ-
რი მისი ცოლი ხომ... ცოცხალიც მკვდარია... შვილე-
ბი? ნადირთა ჯგუფია... უფროს ქალს არ იცნობთ?
აღლაიას? შავგრემანს, შაკ-თმიანს, ჩასხმულ, გაფუებულს!
ყველა აფიცერი კარგა იცნობს. ვინ დააქროლებს ეტლს?

— ალლაია! ქმარი ვის უჩივის? — ალლაიას!.. ერთხელ,
ჩემო ბატონო, პოლიციის სოროშიც-კი გაუთენებია ღა-
მე. დილით გაუგიათ, რა ჩიტიც დაემწყვდიათ! დიალ!..
უფროსი შეილი? არ გაგიგიათ? სასტუმროში ამხანაგებ-
თან ქეიფობდა... და ეკითხება თურმე, რა ღირს ეს
ფორტოპიანო? — ათას ხუთნსიო! — აჰა, მიიღე!... მერე
როგორ გვინიათ, ჩემო ბატონო? ამდგარა, უხდია,
მთელ კომპანიასთან დამჯდარა და...

აქ სიცილით რაღაც' წასჩურჩულა მ. ივანეს.

— რა... თავდავიშეყებაა! — გაიქნია თავი მ. ივანემ.

— უმაგალითო... ჩემო ბატონო! და, მაგას გარდა,
კაცი სულ დაიარავებულია პატარაობიდანვე... მამისაგან!..
მხოლოდ პატარა ვაჟი, ამბობენ, იმათ არა ჰგავსო. კარგი
ახალგაზლაა და ნასწავლიც თურმე.. უნივერსიტეტს ათა-
ვებსო. მაგრამ ისიც ავადმყოფი ყოფილა, უიმედო!..

ერთბაშად პერეხვატოვი ალექსანდრას მიუბრუნდა:

— რას ლაპირაკობთ ეგრე საიდუმლოდ?

— იმას ვუამბობ, ერთხელ ეჭვი აიღეს; პოლიტი-
კური დამნაშავენი ხართო! — ღიმილით უპასუხა ალექ-
სანდრამ.

— ნუთუ? — ყურები აცქვიტა პერეხვატოვმა.

— მაშინ მეტად კლასში ვიყავი. ამხანაგები სალა-
მობით ხიდზე ვიკრიბებოდით და ვმლეროდით. ვიღამაც
დაგვასმინა დირექტორისასთან, ვითომც ჩვენ სარევოლუ-
ციონ სიმღერებსა ვმლერით, და იცით-კი, რასა ვმლეროდით?

კომიკურად თავი ააქნია და შესძახა:

— ტო-რე-ა-დორ... თამამად იბრძოლე!

— აჲ, რა მხიარული დრო იყო! — უთხრა პაულას.

— ნეტა მაშინ შენც ჩვენთან ყოფილიყავი!.. ჩვენ მაშინ

გადავწყვიტეთ, რომ ბავშვებისათვის უნდა გვესწავლებინა, მე და დეზორცევის ქალმა შევყარეთ სულ თავზე ხელ-აღებული ამხანაგები, გავინაწილეთ ქალაქი და დავი-წყეთ ფულის შეგროვება. აბა, გიმნაზიელ ქალს უარს ვინ ეტყვის! არა? ბევრიც შევაგროვეთ. წავედით მუშების ქოხმახებში, მოსარეცხეულითან, ხარაზებთან... ჯერ, რა-საკვირველია ამოთხერილ-ამოწუწული ბავშვები გავბანეთა-თმა დავუვარცხნეთ, სუთთად ჩავაცით. მოელ ლამეობით არ გვეძინა—ვკერავდით, ვრეცხავდით, ვაუთოებდით! მერე სწავლებაც დავუწყეთ. მოელი გაღმა-უბანი სკო-ლად გადავაჭიეთ... ჩვენ ამაყად დავდიოდით, გაჩქარე-ბით,—საქმეს ვაკეთებდით.

— მერე, რასაკვირველია, მთავრობამ გაიგო?—ჰე-ო-თხა პერეხვატოვმა.

ალექსანდრას სახეს უკმაყოფილება დაეტყო.

— რასაკვირველია.

სამოვარი ნელა შიშინებდა.

საიდგანლაც ხმაურობა და ფეხის ხმა მოისმა.

— უკვე, განა არა, ვიცოდი!—წაივლო თავში ხელი პერეხვატოვმა, წამოხტა, ფანჯარაში გადიხედა და წაი-ბუტბუტა:

— სწორედ ისინი არიან.

გარედ ხალხმა მოიყარა თავი. ზარი ჩამოაწერუნეს. ყველანი დერეფანში გავიღნენ.

— მე მომეწონა, წელიან ებრაელებზე რომ ლაპარა-კობდით!—უთხრა მ. ივანემ ალექსანდრას.—ხოლო თქვენ ქრისტე დაგავიწყდათ... ისიც ხომ ებრაელი იყო.

ქალი დააცქერდა მღვდელს და წყნარად უთხრა:

— მერე; ქრისტესაგან ჩვენამდე რამ მოაღწია, რა გვრგებია? — მარტო ხუცესები!

VII

ორმოცამდე მუშა-ხელოსანი შეგროვილიყო. აქ იყვნენ მიწის მთხრელები და მზელავები, აგურის-ფრად მტვერ-ტალახში ამოთუთხნული, შეკომლილი და შემურული მედლები და ქვის-მთლელები. ცოტა სუფთაობა ქარხნებში მომუშავეთ ეტყობოდათ, მაგრამ იმათაც აგურხანების ჭვარტლი და მტვერი დასდებოდათ. ორი კაცი წინ წამოდგა.

— ჩვენ შენთან მოვედით, გრიგოლ პეტროვიჩ, — დაიწყო ერთმა ისეთის ხმით, თითქმ ქვევრიდან იძახისო: მხოლოდ შენა ხარ აქ გონიერი კაცი... ჯერ არ გასაძაგლებულხარ! შენთან ადამიანური ლაპარაკი მაინც შეიძლება, უყეფოდ. აი, ამხანაგებმაცა სთქვეს: წავიდეთ მოხუც პერეხვატოვთანათ.

— მერე, ჩემგან რა გინდათ, ჩემო ბოტონო?

— მოიღე წყალობა, შუაკაცობა იკისრე! — შეპყვირეს ერთბაშად. — ამას, წინადაც შენ დაიყოლიგ ბუზწიწვენია. აბა, ვინ იცის, როგორ მოახერხე!

— ვინ ბუზწიწვენია?

— ჰენრიხი! — ჩაიცინეს მუშებმა, — ეგრე ვეძახით.

— ნამდვილი ბუზწიწვენია! — სთქვა ერთმა: — ლუდის ქვევრია! სული მიჰყიდა უდალოვს ლუდის გულის-ჭთვს. ათასობით ხვეტს. მერე ჩვენ-კი ადამიანები არა ვართ, შიმშილით ხომ არ უნდა ამოვწყდეთ? ჩვენც ოჯახი ვაკავს... აი, პოტაპს ექვსი სული აწევს კისერზე...

— დისლ, ექვსი, მართალია! — დაიძახა პოტაპშა. — უნდა გაზარდო... ასწავლო რამე! მაგათ-კი ქარხნებთან ერთი სკოლაც არ დაარსეს! ისე გვიყურებენ, როგორც ნადირს!..

— აარა, რაღაო... მხეცები რად ვიქმნებით! შავ საქმეს რომ ვაკეთებთ, ეგ არაფერი: შ.ვ. საქმეზეა დამყარებული მთელი კაცობრიობა. მდიდრულ სასახლეებში ოქრო რომ ბრწყინვს, ის ჩვენი ნაშრომ-ნადაგია, ჩვენი ამოთხრილ-ამოტეხილია, თორემ ეხლაც მიწაში იდებოდა.

მართალია! — ლიმილით უთხრა მ. ივანემ ალექსანდრას.

— მაშ, იმ ოქროს მტვერი მაინც გვერგოს, ჩვენც ადამიანურად ვიცხოვროთ და ბავშვები დავზარდოთ, რომ ადამიანები გამოვიდნენ და სიმართლე ეძიონ.

— რომელი სიმართლე გინდათ? — მოუსვენრად და ხელის ფშვნეტით ჰყითხა პერეხვატოვმა.

— ადამიანური სიმართლე! — დაიძახა ერთმა. — განა სიმართლე იმასა ჰქვიან, რომ ზოგს ყველაფერი ჰქონდეს და სხვებს კი არაფერი? ჩვენ გვეუბნებიან, სიმართლე ცაშიაო! არა, ის აქ არის, დედამიწაზე, მაგრამ... გვიმალავენ.

— ეი, შენ, ჩემო ბატონო, ძალიანაც ნუ გადააბიჯებ მოუკრეფავში! — შიშით შენიშნა პერეხვატოვმა. — მაგისთანა სიტყვებისთვის თავს არ მოგიქონავენ.

— მერე სხვა რისთვის გვიქონავენ თავებს? ჩვენს საქმეზე ლაპარაკიც არ შეიძლება, კითხვაც არ შეიძლება... მალე ფიქრსაც აგვიკრძალავენ... არა, ის დრო წავიდა! როცა კაცმა ავისა და კარგის გარჩევა შესძლო, იმას ეგრე ადვილად თვალს ვეღარ აუხვევთ!..

— გაჭირდა, ძალიან გაჭირდა! — დაიწყო ახლა მეორემ. — სულ აირია, უსამართლობაა. თუ არ მოგვიმატეს, ვეღარ შევძლებთ. აბა, შენ თითონ იფიქრე, გრიგოლ პეტროვიჩ, დიდ გასაჭირში ვართ. საჭმეც მოგვიმატეს, სამუშაო დროც, ხელ-ფასი-კი წინანდელია. განა ეს სა-მართალია?.. მერე დიდი ხალხი მოგვაწყდა — მუშა, იჯა-რადარი, ინუენერი... უველაფერი გაძირდა — სადგომი, სასმელ-საჭმელი. ხელ-ფასი-კი წინანდელია. აბა, როგორ უნდა ვიცხოვროთ?

— ჩემო ბატონებო! — დაიწყო პერეხვატოვმა. — რო-ცა მე სახელმწიფო პალატაში ვმსახურებდი... არა, აი, რა გითხრათ... დავბერდი, დავბერდი, არ შემიძლიან, მე თავს დავანებებ. მოსვენება აღარა მაქვს. თქვენს გერმა-ნელს მოველაპარაკე, ვურჩევდი, ვარწმუნებდი. ის-კი ციკს უარზეა: გაფიცვა! დათმობა არ შეიძლებაო! აბა, მე რა ვიცი, გაფიცვაა, თუ... როცა სახელმწიფო პალა-ტაში ვმსახურებდი.

— მერე რა თქვა გერმანელმა? რა თქვა? — ახმაურდა ხალხი.

— მე ვარწმუნებდი. მართლა, განა შეიძლება იმით იცხოვროს კაცმა, რასაც თქვენ იღებთ! ქარხანას-კი, დიდი სამუშაო აქვს, ასი-ათასებისა. სახელმწიფო პალატაში ციფრს თვალი შევაჩეირ, მაგრამ აქ მაინც თვალსა მჭრის... გერმანელმა დამიყვირა კიდეც და, საიდუმლოდ გეტყვით: სხვა მუშები შეუგულებია ბაზარში.

— ჰო? მაშ ეგრე?..

— თუ ეგრეა... უველა გაიფიცება!..

— მაგის უფლება არა აქვთ! ჩენ წლითი-წლობამ-

დე გვიმუშავნია, აქ დავსახლებულვართ. განა შეიძლება
ქუჩაში გაგვყარონ?

— ვნახოთ, ვნახოთ! მოთმინების ძაფი უნდა გავვიწყვი-
ტონ? აბა სკადონ! ძალას ძალა დაუხვდება, ვნახოთ, ვინ
უფრო ღონიერია!

— ყველანი გაიფიცებიან, ყველა ქარხნების მუშე-
ბი... ჩვენ თავს არავის დავაჩაგვრინებთ!

— ამხანაგებო! წავიდეთ ქარხნებისკენ.

— წავიდეთ, წავიდეთ!

მუშები ხმაურობდნენ, ყვიროდნენ და ერთბაშად
პირი ქარხნებისაკენ იბრუნეს.

— იმას გამოვუძახოთ, ბუზწიწკნიას! აბა, გამობ-
რდანდეს და, თუ ლაპარაკი უნდა, ჩვენ გველაპარაკოს,
ვნახოთ!..

— ბატონებო, სისულელე არ ჩაიდინოთ! — გადას-
ძახა პერეხვატოვმა.

ზოგმა მუშათაგანმა მოიხედა და ალექსანდრას ლი-
მილით თავი დაუკრა.

— მშვიდობით, ალექსანდრა!

— მშვიდობით, ამხანაგებო! — უპასუხა ქალმა.

მამა ივანემ და პერეხვატოვმა ქალს განცვიფრებით
შეხელეს.

— თქვენ იმათთვის ძალიან გაგიყადრებიათ თავი!

— შენიშნა პერეხვატოვმა.

— მაშ, როგორ უნდა!.. ყველა ჩემი ნაცნობია.

შარიდან სტვენა-სიმლერა მოისმა. მინდორი ერთ-
ბაშად გაცოცხლდა. მაწანწალა, ვეერდებ-ჩამხმარი ძალ-
ლი მინდორში გალახლახდა და ყმუილი მორთო.

— ვშიშობ, ცუდი რამე არ მოხდეს. პენრიხი არაბა

დაუთმობს. თათბირი ჰქონიათ და, მგონი, გუბერნატორისათვის უცნობებიათ...

საუზმის შემდეგ ალექსანდრა გამოეთხოვა. მ. ივანემა და პაულამ რუდომეტოვთან წასვლა დააპირეს, და სამნივე ერთად გამოვიდნენ.

— თქვენი ცოლი ძალიან მომწონს! — უთხრა ალექსანდრამ მ. ივანეს.

— ჩემ ცოლს საიდან იცნობთ? — გაოცდა მ. ივანე.

— როგორ-თუ საიდან? — გაოცდა ალექსანდრაც და ორთავეს დაცეკერდა — მამა ივანესა და პაულას.

პაულამ გადიხარხარა. მ. ივანეს ჯერ ვერაფერი გაეგო.

— მე მეგონა, პაულა თქვენი ცოლია.

— რად გეგონათ?

— მაგანა სთქვა, ჩემი ქმარი ლვდელიაო, და თქვენც თვალს არ აშორებდით.

პაულამ ნიდაყუში მოჰყიდა ჭელი, თვალებში დაცეკერდა და ეშმაკურის ლიმილითა ჰკითხა:

— მართალია?

— ნუთუ! — ხველებით ამბობდა მ. ივანე, — მე თითონაც არ ვიცი, არ შემიმჩნევია! თქვენ-კი, ალექსანდრა ქალო... გესლიანი ყოფილხართ!

— დიაღ, მე ევეთი ვარ! .. მე საერთოდ ლვდლები მეჯავრება. ჩემის აზრით, პატიოსანი კაცი ლვდლობას არ იკისრებს...

— ეშე! სასტიკი, თუმცა ცალმხრივი აზრია.

— დამსტრეზე არ ლაპარაკობენ.

— ეგ სულ ერთია.

— მგონი, კიდევ გაწყენიეთ. ნუ გამიწყრებით, ჩემ კარგო!

— არა, არა, უგ არაფერი, ჩემო სულო... მსუსხეთ! ზურგი მაგარი, ძალიან მაგარი მაქვს, უველაფერს გაუძლებს, თუმცა უპატიოსნო კაცი-კი ვყოფილვარ.

ალექსანდრას გაეცინა.

— რას იცინით?

— იმას, რომ თქვენ გეწყინათ. ეს მომწონს. მარტო კარგ კაცსა აქვს თავმოყვარეობა და ნიჭი წყენისა.

— ეგეც კაი ლოლიკა!

— ვინც მომწონს, იმას მკაცრად ვეპყრობი. აი, წელან არ მომწონდით...

— ეხლა?

ქალმა ჩაიცინა.

— ეხლა თითქო არა გიშაჟთ-რა. როგორც ადამიას ნი, მომწონხართ.

— მაგისთვისაც მაღლობას მოგახსენებთ:

გამდა, მაღლობზე მოხუცის შიროკზადოვის სახლი გამოჩნდა. წინ ლოდი ხეები აჭფარებოდა და ჩრდილავდა. გძელი და დაბალი სახლი ლურჯად ყოფილა ოდესლაც დაფერადებული. ეხლა-კი გახუნებულა. დიდ უფარდო ფანჯრებში არა სჩანდარა. საერთოდ სახლს არ ეტყობოდა, თუ-იქ ცხოვრობს ვინმე.

ალექსანდრა ალაყაფთან შეჩერდა და თანამგზავრებს უთხრა:

— იცით, მოტით, ჩემი პაპა ვნახოთ. ძალიან იამება. ეხლა ალარავინ ეკარება. წინად-კი მისი სახლი სულ სტუმრებით იყო სავსე.

მ. ივანემ პაულას გადახედა.

— სიამოვნებით, ცოტის ხანს! — წარმოსთქვა იმან.

გაიარეს ამწეანებული, უბილიკო ეზო, რომელსაც
ფეხის კვალი არ ემჩნეოდა. გასცდნენ საჯინიბოსა და
საეტლოს, რომლებიც თითქო დაცალიერებულიყო, და
შესდგეს ფეხი დიდია და გრილ დარბაზში. ძველი მოწყობი-
ლება თითქო გაყინულიყო. კედლის სარკეები მოწყენით
გამოიყურებოდნენ. ვეებერთელა ობობა თავის ქსელზე
საჩქაროდ მიბობლამდა ჭერისკენ. დიდ ჭალს ეტყობოდა,
რომ ადამიანის ხელი აღარ მიჰკარებია. იატაკის ფიც-
რები ფეხის გადადგმაზე ჭრიალებდნენ. პაულა შიშმა
აიტანა, მ. ივანეს მიეკრა და ხელი მკლავში გაუყარა.

— რა დაგემართა? — ჩურჩულით შეეკითხა მ. ივანე.

— არ ვიცი! თითქო აქ მიცვალებული ასვენიაო...

ალექსანდრამ კარი გააღო, რომელმაც დაიჭრიალა,
და სტუმრებს შეუძლვა. დიდი ოთახი სულ არეულ-და-
რეული იყო. კაცს ეგონებოდა, მეტი ნივთები. აქ გან-
გებ მოუგროვებიათ სხვა ოთახებიდან. ძველი სკამები,
სავარძლები, მაგიდები სულ უსწორ-მასწოროდ იყო
ერთმანეთზე მიღმულ-მიყრილი. კედლებზე ქველი, გა-
ხუნებული სურათები და ტანთსაცმელი ეკიდა. ერთი
არქიელი ხალათებსა და საცვლებს შეა დამკვიდრებუ-
ლიყო.

საშინლად გამხმარ-მილეული მოხუცი საწოლზე
წამომჯდარიყო და ისე მოკრუნჩხულიყო, თითქო
სცივაო, თუმცა მტვრიან ფანჯარაში მზე მხია-
რულად იცქირებოდა. მოხუცს კისერი დაგრძელებოდა.
ჭალარა თმასა და გძელს წარბ-წვერ-ულვაშში ოდნავ გა-
მოკრთოდნენ პატარა, ცივი, გამჭრიახი და დამცინავი

თვალები. მოხუცს მოუსვენრობა ეტყობოდა. ხელების კანკალით გულზე ხალათს ისწორებდა.

— ღროზე სტუმარი — მშიერს ძვალიო! — წარმოს-თქვა იმან მალალის ხმით.

— უდროო სტუმარი... მისკა ბანი მ. ივანემ.

— მაძლარს ხილიო! — ჩაიცინა მოხუცმა. და თვალები მ. ივანესა და პაულის ისარივით დააძგერა. — არ გიცნობთ, წმინდაო მამაო, და ორც თქვენ, დედა ფოფოდია... მაგრამ კაი ხალხნი იქმნებით! ჰე, ჰე, ჰე! საშიკოს მხოლოდ კაი კაცები მოუყავს. დაბრძანდით, წყალობა მოიღეთ! .. გმადლობთ, რომ მოხუცის ნახვა ინდომეთ. ბებერი შიროკოზადოვი დღეს აღარავის ახსოვს... და უძლეურდა, დაძაბუნდა, გახმა ბებერი შიროკოზადოვი! .. ცოცხს გააყოლეთ! .. დღეს სულ დადიდკაცინენ... მე-მა-მუ-ლე-ნი... მე-ურ-ნე-ნი... მე-ქარხ-ნე-ნი...

ხველა აუტყდა სიბრაზით, რის მიზეზიც მ. ივანეს ვერ გაეგო.

ამ ღროს კუთხეში აჩრდილივით აიმართა ზორბა, უშნო, ტანჩასხმული პორფირი შიროკოზადოვი და უსიტყვილ სტუმრებს შეჰყურებდა ამღვრეულის თვალებით, რომლებშიაც არავითარი არზი არ იხატებოდა. მერე სტუმრებთან მივიღა. და უფელას სათითაოდ სალამის ნიჭნად ტლანჭი, ხოლო ფაფუკი, ცივი ხელი გაუწოდა. შემდეგ მამას მიუბრუნდა და უთხრა;

— ჯერ სტუმრებთან გაერთეთ, გაგრილდით, მამა, და მერე მოვილაპარაკოთ.

მძიმე ნაბიჯით, რომლისგანაც ოთახში ყოველი წივთი ირყეოდა და ზანზარებდა, ასე გასინჯეთ, არქიელიც-კი შეირხა კედელზე, შიროკოზადოვი ითახიდან გავიდა.

მაგრამ მისი ფეხის ხმა დიდხანს არ შეწყდა და სხვა ოთხებიდანაც ისევ მძიმედ მოისმოდა, თითქო იქ შეიარაღებული დევ-გმირები დადიანო.

მოხუცმა მძულფარებით გააყოლა თვალი. ეტყობოდა, რომ შვილის ყოველი სიტყვა და მოქმედება აღელვებდა და აბრაზებდა.

— რას აბრაზუნებს! — თრთოდა მოხუცი: კუბოს ფიცრებს მილურსმავს?!

— მაგნაირი სიარული იცის, პაპა, თქვენ ნუ აღელვებით! — უთხრა ალექსანდრამ, გვერდთ მოუჯდა, ხელი დაუჭირა და აკოცა.

მოხუცი იმწამსვე შოლბა და დამშვიდდა. თვალები მხიარულად აენთო.

— საშიკო, ხაშიკო, — სთქვა მოხუცმა, — პაპა სულ შენთვის იბრძვის.

— გმადლობთ, პაპა, თქვენ ძალიან მქომაგობთ! მეც თქვენი იმედი მაქვს: ვიცი, პაპა, არავის დამაჩაგვრინებს!

მოხუცს ბავშური სიცილი აუტყდა.

— აი, როგორი შვილის-შვილი მყავს! — მიუბრუნდა მ. ივანეს და ხელები გაუწოდა, რისგამო ხალათი გადაელელა და გამხდარი გული გამოუჩნდა, საიდგნაც ხიხინი ისმოდა. — ოქროს ქალია! სულ მე მგავს ჩემი გოგონა! შიროკზალოვის სისხლისაა... ტეტიური!.. თავნებაა, მაგრამ ალერსიანი. ჩვენ, შიროკზალოვები, ხომ ტეტიები ვართ, ტყაპუჭ-ქალამნიანები... ჭკუით წამოვიწიეთ თავი! აი, აბა, ამ სურათს დააცეკერდით!

მოხუცმა უჩვენა დაფერადებული სურათი. გლეხ-კაცისა.

— მამაა ჩემი, გლეხი, მხვნელ-მთესველი. აი, როგორია! მე ჩემს საგვარეულოს არა ვჩქმალავ და არც ვთაკილობ, რომ გლეხის შვილი ვარ. ლმერთს ტეტიაც ისე გაუჩენია, როგორც აზნაური და გაჭარი, ერთის თიხისაგან... საჭმე ჭკუაა.. მაგით განსხვავდება კაცი კაცისაგან... და სულით. ვისაც სული სუფთა და მაღალი აქვს და ჭკუაც გამჭრიახი—აი, ის არის ნამდვილი კეთილშობილი, წინაპრები ტყაპუჭებიანიც რომ ჰყოლოდეს.

მოხუცს ისევ აღელვება დაეტყო. ყელს ისევ იჭიმავდა.

— აი, პორტირი ხომ ჩემი შვილია.. არ მიყვარს!

— მე, პაპა, გიყვარვარ?—ჰკიოთხა ალექსანდრამ, რომ სხვა ლაპარაკი ჩამოეგდო.

მოხუცმა ორივე ხელი ყურებზე დაადო, ქალის თავი მიიზიდა და მოკრძალებით შუბლში აკოცა.

— შენ ერთად-ერთი მყევხარ!.. გულმხურვალედ უთხრა მოხუცმა: ყველამ მიმატოვა... მოხუცი არავის უყვარს. მხოლოდ შენ... შენ მიცანი! შენ გაიგე, რა კაცია პაპაშენი! პაპა ცოდვილია, ქურდი, ავაზაკი... მაგრამ ერთი რამ-კი შეუძლია... თავის სულსა და ხორცი გასწირავს შენთვის!

ქალს თვალი აუცრემლიანდა.

— კარგო პაპა! დღეს შენ ეგრე აღელვებული. რადა ხარ?

მოხუცმა არ უპასუხა დი ყურები აცჭვიტა.

— კიდე არახუნებს! კიდე აბრაგუნებს!..

შორიდან შიროკოზადოვის ფეხის ხმა მოისმა. მთლად ცარიელი სახლი თითქო ბანს აძლევდა.

კარგ გაილო და შიროკოზადოვი შემოვიდა.

— მამა, მე გადავითვიქრე! — სოჭვა იმან უგულოდ
და არავისთვის არ შეუხედნია. — ხვალ სხვაგან მივდივარ.
სჯობს, ეხლავ მოვილაპარაკოთ და გავათავოთ... კარგი,
რომ ალექსანდრაც აქ არის და, აი, ღვდელიც: მაგანაც,
შესაძლოა, გონიერი სიტყვა გვითხრას.

ხენეშით დაეშვა სავარძელში, ხელები მუხლებზე
დაიდო და სოჭვა:

— ალექსანდრა! შენი განზრახვა მიატოვე, თუ არა?

— რა განზრახვა? — განცვითვრებით შეხედა ქალმა.

— პიტერში წასვლა, სასწავლებლად...

ქალს სახე აეტკიცა, კერპი თვალები მამის თვალებ-
სავით აემლვრა.

— მე ჩემს გადაწყვეტილებას არ შევცვლი!

— მე რომ... გიბძანო?!

— მე სრულწლოვანი ვარ და შემიძლიან ისე მო-
ვიქცე, როგორც სამჯობინოდ დავინახავ! ჩემი ცხოვრე-
ბის მისწრაფება გარკვეული მაქვს და ვერაფერი გზას ვერ
გადამახვევინებს!

შიროკოზადოვმა მოკლე თითები მუხლებზე აათამაშა.

— მე რომ... გიბძანო?! — მკვახედ და მკაცრად გაი-
მეორა იმან: მე... შენს სრულწლოვანობაზე დამიფურთ-
ხებია! მე მამა ვარ! მე გაგზარდე... მევე ვარ პასუხის-
მგებელი! მე ვიცი, რაც კარგია შენთვის და რაც ავი! შენ
გაფთხილდი, გოგო!.. მამა ყველაფერს ხედავს! შენ
ისეც ცუდს გზას დასდგომიხარ...

— რა ცუდი გზა შეგიმჩნევია?

— მევიცი... ვიცი! ყოველი შენინაბიჯი ვიცი! გაღმა-
უბნელო! გგონია, ვერავინ ხედავს, რა ვაჟბატონებთან და-

ბძანდები! მე მეუბნებიან და მაფთხილებენ კიდეც ძლი-
ერნი კაცნი!.. მამას არცხვენ! კმარა!

და ფეხით მძლავრად დააბრახუნა.

ქალი აენთო.

— კმარა! — განიმეორა შიროკოზადოვმა: გიმნაზია.
გაათავე... საკმარისია! ეგ ჩხირკედელაობაც გეყოფა! და-
სანიშნავ ქალს მეტი არა უნდა-რა. კმარა!

— როგორ თუ — დასანიშნავ ქალს?

— უდალოვი გნიშნავს თავის ვაჟისთვის, უფროს
ვაჟისთვის! უდალოვი... კომერციის სოვეტნიკი... მე-
ქარხნე, მილიონების პატრონი უდალოვი! გაიგე?

შიროკოზადოვმა ხელები ისე გაპარჭა, თითქმ
მთელ დედამიწას მკლავები უნდა შემოავლოსო.

— თვით ბერი გვივარდება ხელში... ღიღი ბერი!
კმარა, ქალო... სისულელეს თავი დაანებე. ამ ბერს ხე-
ლიდან ნუ გაუშვება! ის საუკეთესო სასიძროა მთელ გუ-
ბერნიაში... მაშინ უყურე, როგორ სწრაფად ავჭანდებით
აღმართზე! შენ ჯერ უჭიუო ხარ, ვერ მოგისაზრებია
დედოფალი. იქმნები, სამეფო ტახტზედ შედგები! ყველანი
შენს წინ გაიშლებიან, იმიტომ რომ ფული ძალაა, ღი-
ღი ძალა! უფლებაა! რაც მეტი გაქვს, მით უფრო ძლი-
ერი ხარ, ღიღი უფლების პატრონი!.. ყველაფერს შენ
გადმოგცემ! ოქროს ზოდების სიმძიმით ყველაფერს გა-
ნარცხავ, მეფური ძალა გექნება, ოლონდ ჭკუას მოუარე!
უდალოვი თავიდათავი მრეწველია! გუბერნატორიც
ხელში ჰყავს... ხშირად ესტუმრება... მინისტრსაც რავ-
დენჯერ გაუმასპინძლდა!

რაღასაც მოხვია ხელი სივრცეში და დაბლუჯა.

— იბრწყინებ, იდედოფლებ! სულ ბრილიანტებში

იჯდები, შენ, შიროკოზადოვი! უდალოვი მილიონერია, ოქროს მაღნები აქვს, თვალ-მარგალიტს ქვიშასავით ხვეტავს! შენ შიგ ილივლივე!

ალექსანდრამ სიბრაზისაგან ხელი ხელს დაჰკრა და დაიყვირა:

— ეგ რა მოგიგონიათ? გინდათ გამყიდოთ?

და უნებლიერ პაპის მხარს ხელით დაეყრდნო.

მოხუცი ბოროტად, გესლიანად იცინოდა.

— არაფერია, საშიკო, არაფერი! — უთხრა მოხუცა. — ეგ პირდაპირ მიდის, როგორც შიროკოზადოვი. მაგრამ ცოტა გზა არევია. წინ-კი აღარ მიდის, უკან უბრუნებია პირი... ჩვენკენ მოდის! ამიტომ, ჩემო ვაუბარონო, ნუ შემრისხავ, ჩვენ ერთმანეთს შევეჭიდებით!

და ცახცახით ხელები გაუშვირა.

— მე თქვენთან, მამა ჩემო, ბრძოლა არ მინდა! ჩვენ ეგ არ გვეკადრება. მე ვეცდები დაგარწმუნოთ. თქვენ დაბერდით... და თითქმ გადაყრუცდით კიდეც. თქვენი ხეირი, სარგებლობა ველარ შეგიგნიათ. თქვენ არ იყავით, რომ ოდესლაც, აი, სწორედ ესე გადამწერეთ ჯვარი? მერე რა ურიგო საქმე გამოვიდა?

— ვინანიებ ჩემს ცოდოს უფლის წინაშე! — სთქა მოხუცმა თავდახრით. — მართალია, შვილო!.. შენ უფლება გაქვს მისაყვედურო, დავიმსახურე! მაშინ სულ სხვა ვიყავ... არ მესმოდა! ჭკუას ვაბატონებდი და გულსკი არ ვეკითხებოდი... და, აი, შენი გულიც ჩავკალი... დავაშავე, დამხაშავე ვარ! ჩემი შექმნილი ხარ, ყორანო... მაგრამ საშიკოს მაინც არ დაგანებებ! ვერ დაგანებებ, ყორანო!.. მაგან მე... ჭკუა განმინათლა, თვალი ამიხი-

ლა! საშიკო თავის გზით ივლის... ოქროს გულსა და
შავარდენის გამჭრიახობას გზა არ აერევა...

— თქვენ შეშლილხართ, მამილო! — წამოლგა ში-
როკოზადოვი.

მოხუცმა ხმა აიმალლა და მტკიცედ, ბატონურად,
შიროკოზადოვისურად წარმოსთქვა:

— ეგრე მსურს!

შიროკოზადოვი გაცეცხლდა.

— მაშ მე მაგაზე ხელს ავიღებ! მემკვიდრეობას ჩა-
მოვართმევ! მიბრძანდეს, იაროს თავის გზით!.. მე ვიცი,
რა გზებიცაა: ეგ სულ სინაველის საჭმეა! ბლალოჩინის
შვილისა! სტუდენტების მიქარვაა. ვიცი, ვიცი! ჩურჩულ-
კურკური!

— როგორ არ გრცხვენიანთ, მაგას რომ ამბობთ?

— ვეღარ შეიმაგრა თავი ალექსანდრამ. — მე თუ... ის მი-
ყვარს... არა ვმალავ, არც მინდა დავთარო! მე თქვენ
გიცხადებთ, ის ჩემი საქრმოა!

— ჰო, ჰო, დიალ! აი, ხომ ხედავთ! — მიუთითა შვი-
ლმა მამას! — აღზარდეთ, წავიდეს, წაბძანდეს, სწავლა და-
ამთავროს! წავიდეს! მაგრამ ვიმეორებ: მაგისთანა მიქარ-
ჟებით. ჩემგან ერთ გროშსაც ვერ მიიღებს!

— ფული, ფული! — აჩქარებით წამოიძახა ალექსან-
დრამ. — ფული, თქვენი ფული! არ მინდა თქვენი ფული...
თქვენთვის შეინახეთ. ჩემთვის საჭირო არ არის... ქო-
მახში დავბინავდები, ვიშრომებ და ლუქმას ვიშოვი!
თქვენი არა მინდა-რა!

შიროკოზადოვი აილეწა.

— რაო, ჩემი ფული... მოპარული ხომ არ არის?

ახლა მოხუციც წამოდგა, აკახტახდა, ხალათში გაეხვია და ხიხინით დაიწყო:

— ფულს არ მისცემ? არც უნდა! მოხუც შიროკოზადოვს კიდევ მოეპოვება ორიოდე გროში, შავი ღლისთვის გადადებული... მოვნახავ, შვილო! შენი ფული-კი საჭირო არ არის! მოპარული ხომ არ არისო, ეკითხები? მე პატიოსნურ კომერციით შევიძინე ფული, შენი ფული-კი ლარიბების გამონაწურია.

— არ მინდა, პაპა, არ მინჯა! — გააწყვეტინა სიტყვა ალექსანდრამ. — ეგრე ნუ ლაპარაკობ!

შიროკოზადოვი-შვილი განცვითებით შეჰყურებდა მამასა და ქალს, თითქო პირველად ხედავსო. ამათი ლაპარაკიც მეტად ეუცხოვა. თითქო ეხლა გამოფხიზლდა, გამოერკვია და საგნები სულ სხვა-ნაირად ეჩვენაო. ამღვარეულის თვალით ცოტახანს დააცემდა მტირალ ქალს, მერე მამას, რომელიც ხელებს კედელზე აფათურებდა, თითქო რაღასაც ეძებსო, ერთბაშად გაბრუნდა, ოთახიდან მძიმე ნაბიჯით გავიდა და კარი გაიჯახუნა. მისი ნაბიჯი კიდევ კარგა ხანს ისმოდა ოთახებიდან.

— საშიკო, ფანჯარა გააღე და გაბრიელს გადასძახე, ცენები შეაბას.

— სად მიღიხართ, პაპა?

— გაჩუმდი, გაჩუმდი! ერთად წავიდეთ... რუდო-შეტოვთან. გაჩუმდი, საშიკო!

მოხუცი ცოტას ხანს შირმას შოეფარა და ტანთ ჩაიცვა. საბრალო და სასაცილო სანახავი. იყო. შავი ტანისამოსი გამხდარ ტანზე ისე ადგა, თითქო ჩიტირეკია-სათვის წამოუცვამთო. პატარა ქალარიანი თავი სულ ცახტახებდა გძელ და გამხმარ კისერზე.

როდესაც პაპა და შვილის-შვილი ეტლით წავიდნენ,

შამა ივანემ და პაულამ თვალი მოჰკრეს შიროკოზადოვს— შვილს, რომელიც ამღვრეულის თვალით გამტვრიანებულ შუშებიდან გამოიყურებოდა:

VII

ვინ არ იცნობდა ძველეთში დეკანოზ რუდომეტოვს? უზარმაზარი, ურმის თვალის ტოლა გული, რომელზე- დაც გამწკრივებულ ორდენებს ჰქონავდა შავი, გძელი და სქელი წველი, მსხვილი ცხვირ-ტუჩი, გაღმოკარკლუ- ლი შავი თვალები და დათვისებური ბოხი ხმა— აი დეკა- ნოზი რუდომეტოვი. ხმა, მართლა რომ, საოცარი ჰქონდა.

მრევლი რომ ეკლესის მიუახლოვოებოდა, თუ მამა რუდომეტოვის ჯერი იყო, არაოდეს არ იკითხავდა, ვინ არის მლოცველ-მწირველი. ეკლესიდან ისეთი ხმა გამო- დიოდა, თითქო მხეცი გრგვინავს გალიაშიო.

რუდომეტოვი მტკიცე და თავნება იყო. თავისი თავი საზოგადო მოღვაწედ მიაჩნდა და სხვის აზრს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. მისი ქადაგება აღამიანს შიშის ზარსა სცემდა. ჯოჯოსეთს ისე ხელოვნურად და დაწ- რილებით ასურათებდა, თითქო თითონ მოუვლია, ყველა- ფერი თავის თვალით უნახავს და ეშმაკაც პირისპირ შეჰყრიაო. სამღვდელოების კრებაზე იმან პირველმა აღძრა ლაპარაკი, მწვალებლებს შვილები წავართვათო:

— მამანო და ძმა-ნო! თუ ქურდს საპყრობილეში ვამწყვდევთ, ავაზაკს კატორლაში ვგზავნით, კეთროვანს სავაადმყოფოში ვკეტავთ, მაშ როგორ-ლა უნდა მოვექ- ცეთ მწვალებელს, რომელ არს: ქურდი, ვინაიდან ბავშვებს კვარავს ნათლის-ლებას,— ავაზაკი, ვინაიდან სულსა ჰქლავს, და— კეთროვანი, ვინაიდან ცოდვით აიარავებს უსუსურ

შავშეს. ხოლო ჩვენ, მოწყალებითა ჩვენითა, ვითარცა მოწყალე არს ქრისტე, თავისუფლებას არ ვუსპობთ ამ ავაზაკს, ვუცდით მოინანიოს, მაგრამ მისი მსხვერპლი-კი უნდა განვათავისუფლოთ, მშობელთა და წინაპართა ცოდოებით აღვსილ ბუდეს მოვგლიჯოთ!

თვალები ცეცხლსა ჰყრიდა და გულზე წვერი უცან-ცარებდა.

— ჩვენ ხომ პოლიციელნი არა ვართ! — შენიშნა ერთმა ახალგაზდა ლვდელმა.

მაგრამ რუდომეტოვი არ დაიბნა.

— ჩვენ სწორებდ პოლიციელნი ვართ ლვთისა მაღ-ლისა! დარაჯნი მისი ეკლესიისა და მწყემსნი მისთა ცხო-ვართა!

და ამავე დროს რუდომეტოვი ერთ უმთავრეს აქ-ციონერთაგანი იყო სავაჭრო ბეწვეულ-ტყაპუჭების ამხა-ნაგობისა, რომელსაც დადძალი საქონელი საზღვარ გარედ-გაჰქინდა. ამის გამო ადგილობრივი ინტელიგენტები ამ მოძღვარს ეძახდნენ — ანაფორიანი ბურჟუა.

როდესაც მ. ივანე და პაული მდიდრულად მორთულ და გაჩაღებულ დარბაზში. შევიდნენ, იქ სტუმრიანობა იყო. დეკანოზის უფროსი ქალი დაბადებას დღესასწაუ-ლობდა და სწორედ ამ დროს პიანინზე „ბურების სა-ლაშქროს“ უკრავდა. კედლებიდან ოქროსფრად მოვარა-ჟებულ ჩარჩოებში ჩასვენებული არქიელები გადმოიყუ-რებოდნენ. სარკეებს კაშკაში გაჰქინდათ. სამღვრელოე-ბას მრავლად მოეყარა თავი და მათ ბოხ-ბოხ ლაპარაკში ერთი ხმა უფრო ისმოდა, პროტოდიაკონის ფართო ყან-ყრატოდან ამონახეთქი. ის მაგიდას უფრო სწყალობდა, რომელზედაც სასმელები გაემწკრიებინათ. პროტოდია-

კონს მხარს უჭერდა მისი თანაშემწე დიაკონი, რომელიც
იმის ხმასა და მიხერა-მოხერას ჰბაძავდა, მოზღილ ჭიქას
ათვალიერებდა და ისე ხარბად სცლიდა, თითქო ჭიქაც
უნდა გადაყლაპოსო. ორი ახალგაზდა მთავარი ჭიქებით
ხელში სასმელს უგალობდა:

ეს მღინარე და ეს ხიდი;

წყალზე გადასასვლელია...

აბა, ჭიქა მოგვაწოდეთ,

თუ გადაგვრჩეს სასმელია!

— ჰა, ჰა, ჰა! — სკექდა პროტოდიაკონი.

და ფანჯრის შუშები ზანზარით ბანს აძლევდნენ.

მედავითნე რუდომეტოვი ულვაშზე ხელს ისვამდა
და პროტოდიაკონს ეუბნებოდა:

— აბა ერთი, მეცა ვცადო! ჰა, ჰა, ჰა!!..

მაგრამ როგორლაც ვერ მოსდიოდა, შუშები ხმას
არ იღებდნენ.

მ. მათე პიანინოს ახლო ჩამოჯდარიყო და თავი
ისე ეჭირა, ვითომც მუსიკით იყო გატაცებულიც მაგრამ
სახეზე მოუსვენრობა ეტყობოდა. დაინახა თუ არა მ.
ივანე და პაულა, სახე გაუბრწყინდა, წამოდგა და მიეგება.

— აჰა, ჩაიბარე შენი ფოფოდია! — უთხრა მ. ივა-
ნემ და მაშინვე მოშორდა. წავიდა, ფანჯარასთან გაჩერ-
და და იქიდან იყურებოდა. მ. ივანე ხელების შლით ძა-
ლიან ცხარედ ალაპარაკდა. პაულა-კი ცივად ეპყრობო-
და. მ. ივანეს გულში რაღაცა ჰკბენდა, ცოლ-ქმარს რომ
ერთად ხედავდა. იმას ეგონა, მ. მათეზე ჯავრობდა: „აბა,
რა მაგის“... ბუტბუტებდა თავისთვის მ. ივანე, თუმცა
ამ სიტყვების მნიშვნელობა თვითონაც არ გამოერკვია.

იმის გვერდით ჩუგუნნიკოვი და პიროგოვიჩი ლაპა-
რაკობდნენ.

ჩუგუნნიკოვი ზორბა იყო, წითელ-წვერა, წითური
და ლოკებ-გამობერილი.

— უჰ, უჰ, უჰ! — ისე ხვნეშოდა ჩუგუნნიკოვი,
თიხქო ამწამს აბანოდან გამოსულაო. — ჩვენ ღრმაში გა-
ზეთის გამოცემა... გასაჭირია. კომერსანტი ხარ, საბ-
ჭოს ხმოსანი, კაცომოყვარე საზოგადოების წევრი, ბან-
კის წევრი... ვიზედაც უნდა დასწერო, ყველა შენი-
ნაცნობ-მეგობარია და ყველასა სწყინს.

პიროგოვიჩი დინჯალ იცინოდა.

ის სულ დინჯი იყო, წყნარი, წარმოსადეგი, ზრდი-
ლობიანი, ტანმოქნილი, მარჯვე, წვერ-მოპარსული და
ბჟყვრიალა ულვაშიანი. მუდამ მოლიმარ თვალებში ჭკუა
და ეშმაკობა გამოსჭვიოდა.

— განა არ შეიძლება, საქმე სხვანაირად მომართოთ!
ყოველ მოვლენაზე იქონიოთ მსჯელობა, ხოლო კერ-
ძოობას არ შეეხოთ. „საერთოდ“ ყველაფერზე შეიძლება
ლაპარაკი. მაშინ არც პასუხის-მგებელი ხართ და ვეღარა-
ვინ დაგენდურებათ...

— განა არა, ვცდილობ!.. მაგრამ ის... თანამ-
შრომლები!..

და ჩუგუნნიკოვმა მწარედ ამოიხვნეშა.

— ფ-ფ-უ-უ!

მამა ივანესთან ალექსანდრა მივიდა და მხიარულად
უთხრა:

— იცით, პაპა, აქ რისთვის მოვიდა? იმას უნდა
თავისი ფული გაიტანოს ასათ. საქმიდან და მე მომცეს.

სიხარულით, მგონი, ტაშს დაჭკრავდა და შეხტებო-
და, აქ რომ არა ყოფილიყო.

— მერე რავდენი ფული ყოფილა!

— რუდომეტოვი რა შეუშია? — გაოცდა მ. ივანე.

— როგორ თუ? არ იცით? ცისა და ქვეყნის ვაჭრობა სულ მის ხელთ არის. წინანდელ უანგაროებას, კარგა ხანია, საანგარო საჭმე გაუამხანაგებია... ეხლა კაბინეტში არიან და ანგარიშს ასწორებენ.

— ციურს? — გაიღიმა მ. ივანემ.

— წავიდეთ იქით, საყურადღებო ლაპარაკია, ყური დავუგდოთ!

ორივენი დივანთან მივიღნენ.

გარშემო ხალხი შეჯგუფილიყო.

დივანზე იჯდა დაბალი, ჭალარიანი საკათედრო ტაძრის მეგასალებე, რომელიც გულუბრყვილოდ ხითხითებდა. მასთან სხვა ეკლესიის მღვდელი იყო, მ. კლავდი, ჩასუქებული, დარბაისლურის შეხედულობისა, ხუჭუჭ წვერ-ულვაშიანი.

აქვე იდგნენ და ისხდნენ: რუდომეტოვის შვილი, სემინარიის მეხუთე კლასელი, მაღალი და გამხდარი, მხნე და გამბედავი; მ. კლავდიის შვილი, თეთრი, გაბაღრული და ნაზი; რავდენიმე ღვდელი, რომლებიც სულ პირმოკუმულნი ისხდნენ, და უდალოვის შვილი — სტუდენტი.

უდალოვი ცხარედ ლაპარაკობდა.

ის გამხდარი ჭაბუქი იყო, სნეული, ჩალურჯებული და მუწუკებიანი. პაჭიროსს ხელიდან არ უშვებდა.

— მაგ ლაპარაკიდან გამოდის, — გადაჭრით ამბობდა სტუდენტი, — რომ თავები ციურ ქვიშაში უნდა წავიფლათ, როგორც ნიცშე სწერს. გვეყო, ბატონებო, ეგ ქვიშა! ჩვენ სხვანაირად უნდა მოვაწყოთ ჩვენი ამ-ქვეყნიური ცხოვრება, რომელშიაც დღეს სული გვეხუთ-

ვის! ჩვენი ტურფა დედამიწა ცრემლისა და ტანჯვა-
ვაების სამყაროდ გაგვიჩდია.

— ეგ ჩვენგან არ არის! — შენიშნა მ. კლავდიმ:
ჩვენ ხომ არ მოგვიწყვია?

— ვიცი!

— ჰო და, მეთანხმებით კიდეც. თქვენ შხოლოდ
სწორე შეხედულობა იქონიეთ: განა თქვენ სამუდამოდ
ამ მიწის მკვიდრი იქმნებით? განა თქვენი სამშობლო და
სამკვიდრო იქ არ არის, სადაც შემცდარი უონება მარ-
ტო ნიცშეურ ქვიშასა ხედავს?

— მე მართლმადიდებლურ აზროვნობის მომხრე არა
ვარ.

— მართლმადიდებლურისას რად ამბობთ? მომით-
მინეთ! ეს საერთოდ სარწმუნოებრივი მსჯელობაა, ადვი-
ლად გასაგები და სავალდებულო ყველა კაცისათვის,
რომელსაც სწამს, რომ ის წუთიერი მატლი არაა, არა-
მედ მუდმივი მოქალაქეა ზეცისა! ამრიგად, დედამიწა
შხოლოდ მკაცრი სასწავლებელია, ციურის სამშობლოს
მომავალ მოქალაქეთა საწვრთნელი. აი, ცრემლი და ტა-
ნჯვა-ვაება რისთვის არის! ამით ადამიანი განმტკიცება
და გამოიცდება.

— ტყაპუჭების ვაჭრობითაც? — ჩაურია სიტყვა სე-
მინარიელ რუდომეტოვმა ისე ღიჭვად, რომ ლიმილიც-კი
არ დასტყობია.

ყველას გაეცინა.

— ადამიანს ცხოვრება უნდა! — თავაზიანად უპასუხა
მ. კლავდიმ.

— გამოსაცდელად? — დინჯალვე სთქვა სემინარიელ-
მა: მაშ, არა სჯობია, ქონება სხვას დაურიგოს კაცმა,

წავიდეს და მთხოვარა გახდეს! მაინც ხომ იცხოვრებს და ტანჯვა-ვაებასაც მოიმატებს... ქრისტესაც ასიამოვნებს.

— მიხვევ-მოხვევა უიყვართ, ბატონებო,— ცოტა წყენით შენიშნა მ. კლავდიმ: სოფისტები ხართ! საერთოდ ეხლანდელი ახალგაზდები სოფისტები არიან. ახალ გზებს ეძებენ, ახალ კეშმარიტებებს, კეშმარიტება-კი მხოლოდ ერთია—მსოფლიო და საუკუნო! და მისი გზაც ერთია... ამაყი გონება ამ კეშმარიტებას ვერ მიაგნებს. დიდმა ფილოსოფოსებმაც ვერ მიაგნეს. ის-კი თვითონ ეჩვენება თავდაბალ სულსა და გულს. ვიმეორებ, ეს მართლმადიდებლური მსჯელობა არ არის, არამედ საერთოდ სარწმუნოებრივ-ფილოსოფიურია. რაც შეეხება მართლმადიდებლობას, რავდენადაც იგი კაცთა დაწესებულებაა, შეჩერდა და გაქვავდა; თვით მეც ახალ გზას ვეძებ, რომელმაც იგი ღვთის ნებას უნდა შეუთანხმოს.

— ცრუ-ბრძნებლობ, ახლად მოვლენილო მწვალებელო! — იცინოდა საკათედრო ტაძრის მეგასალებე: გზასა ბოროტებისასა დასდგომიხარ შენ!

— სულაც არა! რადა გგონია? ეკლესიას მრავალი რამე აქვს გამოსარკვევი: შეუღლება მოქალაქეთა და სასულიერო წოდების, წევრთ თავისუფლება სარწმუნოებრივის სინიდისისა, ურთიერთობა ეკლესიისა და სახელმწიფოსი... ამისთანა მოწიფული საკითხი მრავალია. მათი განხილვა და გადაწყვეტა, თანხმად სიმართლისა და ცხოვრების ახალ მოთხოვნილებისა, — აუცილებელი და გაღუდებელია.

— ამ შემთხვევაში მამაჩემს მეც ვეთანხმები, — სთქვა სტუდენტმა. — ცხოვრებას მოწყობა უნდა. ბევრი

ნაკლი უნდა შეივსოვ. მაგრამ, წვრილმან საჭიროებათა
გამო, არ უნდა გვავიწყდებოდეს საუკუნო, ძირითადი სა-
კითხი ჩვენის არსებობისა. განა შეიძლება სულ მიწა
ვჩიჩქნოთ, მტვერი ვქექოთ და ამით დავკმაყოფილ-
დეთ? ჩვენი თვალი ზეცას უნდა მივაპყროთ, ვარსკვლა-
ვებს... მხოლოდ ის გაგვინათებს კვალს... იქ ბრწყინავს
საიდუმლოების შუქი!

— მაშ მე და, თქვენ ერთი გზა არა გვქონია, ნა-
ხვამდის! — უთხრა სემინარიელმა.

ყველამ გადიხარხარა. ალექსანდრამ ტაში დაჰკრა.

— ვაშა, ვაშა, ვაშა!

სტუდენტმა უდალოემა პაპიროსი საფერფლეში გა-
აქრო. ჩაფიქრებული. და შუბლ-შეკრული სდუმდა.

— მოქალაქენო ზეცისანო! — სთქვა იმან შემდეგ, ტუ-
ჩების გრეხით. — მაგნაირი ცარომ იყოს კიდეც, ჩვენ იქ არ
შეგვიშვებენ! იმიტომ რომ მატყუარნი ვართ. ავადმყოფ
ბავშვს ზღაპარს ვეუბნებით, რომ არა მოეჩენოს-რა, და
ჩვენ თვითონ-კი მოჩენება ვართ.

— ეგ წარმოუდგენელი რაღაცა! — წამოიძახა სტუ-
დენტმა.

— წარმოუდგენელი-კი არა, კეშმარიტებაა. ჩვენ
საუკეთესო და მეტად ტურფა სამშობლო გვაქვს — დედა-
მიწა! და რას ვუშვრებით? რას დაგვიმსგავსებია? ოჯ,
უკაცრავად, მამა დეკანოზო! ჩვენ არ მოგვიწყვიაო,
ბძანებთ, დიალ, ვიცხ. ხოლო თქვენვე არა ბძანეთ,
დედამიწა სკოლა არისო, თუმცა სკოლა საპყრობილე-
საგან ვერ გაგირჩევიათ. ჩვენ უკვე საქმიად გვიგემნია
ამ სკოლის სიტყვბოება და კარგა შეგვიგნია მიზეზი ცრემ-
ლისა და ტანჯვა-ვაებისა... ეხლა საუკეთესო აღამიან-

თა შრომით ცხოვრების ხეს ფესვები გაღაქექილი აქვს
და ვხედავთ, რომ ეს ფესვები დამპალა. ამ სის
დამპლის მიზეზი მიკროსკოპით არის გასინჯული, გამორ-
კვეულ-შემოწმებული, დამტკიცებული. სენი მემკვიდრეო-
ბითი ყოფილა...

სტუდენტმა უდალოვამა ტუჩების კვნეტას უმატა.

— დაწყევლილ მემკვიდრეობისა, რომელიც შთა-
მომავლობასა ხრწნის. დამპალია ის საზოგადო წყობილე-
ბა, სადაც ყოველნაირი მონობა დამყარებულა, სადაც
მონათ-მფლობელნა „ციურ ქვიშებით“ ანუგეშებენ თა-
ვის მონებს და თითონაც მონობის ამყაყებულ ჰაერში
ირჩიბიან... არა, „ქვიშები“ ზავიწყებას უნდა მიეცეს!
დედამიწა უნდა გასაღდეს, მთლად გადიხნას და სიმართ-
ლის თესლით დაითესოს, რომ ნამდვილი სიმშვენიერე
აღმოცენდეს, რომელზედაც თვით თქვენს ღვთაებასაც-კი
თვალი ზედ უნდა რჩებოდეს!

ამ დროს კარი გაიღო და გაჩქარებით შემოვიდა დე-
კანზი რუდომეტოვი, რომელიც ხმამალლა მოხუც ში-
როკოზადოვს ელაპარაკებოდა.

ყველანი წამოდგნენ და დეკანზს მიეგებნენ.

ის რაღასაც შეეფიქრიან ებინა.

— გამარჯობათ, გამარჯობათ, ბატონებო! — მიე-
სალამა ყველას. — გმაღლობთ! გმაღლობთ, რომ ქალის
დღეობას მიღლოცავთ! მაგრამ მაპატიეთ! ერთს წუთს თა-
ვი დავაღწიე კრებას და ეხლა იქვე მივეჩარები! მეჩქა-
რება, მეჩქარება! მიბრძანდით, ბატონებო, სასაღილო
ოთახში, მიირთვით, რაც ღმერთს მოუცია... მე-კი ბო-
დიშს ვიხდი, მაპატიეთ, მივდივარ!..

სტუმრების მომეტებული ნაწილი სასაღილო ოთა-

ხისაკენ წავიდა, სადაც ეგებებოდა და უმასპინძლდებოდა
მღიღრულად, მორთული, ჩასუქებული და გაბუებული
დიასახლისი—ფოფოდია.

— ერთი ამას უყურეთ!—მიუთითა დეკანოზმა მოხუც
შიროკოზადოვზე: ფულსა თხოულობს... ჰა, ჰა, ჰა!
როგორ მოგწონთ! კარგი... მოგართმევთ! კაი დრო-კი
შეგირჩევიათ!

— ეხლა ხომ კრიზისია!—რბილად შენიშნა პირო-
გოვიჩმა:

— კარგი, ნუ მაშინებ მაგისთანა სიტყვებით! ვერ
ავიტან, დავბერდი. მე ეგენი არც ვიცი. ფული მჭირდება
და ამოყაჭე! ვაჭრობის თავი აღარა მაქვს!

— ფ-ფუ-უ!—იბერებოდა ჩუგუნნიკოვი: ბანკში ხომ
არ შეინახავთ, იქ მაგოდონა სარგებელს არ მოგცემენ:

— წინდაში შევინახავ და ზედ დავაჯდები!—იცი-
ნოდა შიროკოზადოვი: როცა დავატყობ, რომ ვკვდები,
თაფლში ავურევ და შევთვლიფავ. ან არა და... გიმნაზიას
ავაშენებ.

ჩუგუნნიკოვი გაკვირებით შეპურებდა და იბერე-
ბოდა:

— ფ-ფუ-უ!

შიროკოზადოვმა ალექსანდრა ხელით მიიხმო და
გამოემშვიდობა.

ამ დროს მედავითნე რუდომეტოვი მიპარვით მივიდა
პაულასთან. მ. ივანე შორიდან უთვალთვალებდა და ვერა-
გრძნობდა, რომ თვით იმას სახე აუწითლდა. პაულაშ
რაღაც მკაცრად უთხრა მედავითნეს და ზურგი შეაბრუნა.
ამ დროს მ. ივანეს მოჰკრა თვალი, აწითლდა, გაიღიმა
და იმისკენ წავიდა.

— აქ რა უნდა გავაკეთოთ? გასართობი არა არის-
რა. ისეა, როგორც ყველგან... სევდას ვერ იშორებ!

— რუდომეტოვმა რა გითხრა? — ჰკიოთხა მ. ივანემ.

— რას მეკითხები?

ქალი ეშმაკურად დააცქერდა და წასჩურჩულა;

— რანაირი... იჭვიანი ყოფილხარ! არ ვიცოდი!

მ. ივანე აიღეწა და შეუბლვირა.

— მაგისთანა სისულელეს ნულარ იტყვი! როგორ
არა გრცხვენიან!...

რუდომეტოვიანთ შინ რომ დაბრუნდნენ, ქალმა
გასეირნება მოინდომა. მ. მათემ დაიზარა. მ. ივანე-კი
გაპყვა.

ბალში შეისეირნეს. ჯერ მზე არ ჩასულიყო და
ხალხს-კი თავი მოეყარა. მუსიკა უკრავდა. ბუფეტიდან
ჭურჭლის ჩხარა-ჩხური, ხმაურობა და სიცილ-ხარხარი
გამოდიოდა. სადღაც ბილიარდს თამაშობდნენ. ხალხი
გაკვირებით აცქერდებოდა ზორბა ხუცესს და ჩურჩულით
ხუმრობდა. მ. ივანეს რცხვენოდა და არ იცოდა, რა
ექმნა.

— იქით წავიდეთ... საღაც ცოტა ხალხია!

მყუდრო ხეივანში პაულამ ხელი-ხელს გაუყარა.
გავიდნენ მდინარის პირს, სკამზე ჩამოჯდნენ და მალლო-
ბიდან ძირს იყურებოდნენ. იქ მდინარე ვერცხლისფრად
ელვარებდა. ნავები აქედ-იქით დასრიალებდნენ. ერთზე
„ბუზიკა“ უკრავდა. გაღმა-უბანი შავად მოჩანდა. ჩამავალ
შჩის სხივებში ქარხნებისა და ქოხმახების შეჭვარტლული
სახურავები უფრო შავად მოჩანდა. ქარხნებში სანთლები
აენთოთ, ჯერ მუშაობა არ შეწყვეტილიყო.

— შერიგდით? — ჰკიოთხა მ. ივანემ პაულას.

ქალმა მხარი ოდნავ წაჰკირა.

— რანაირი გაუგებარი ხარ! — მოწყენით უპასუხა.
ქალმა: ჩვენ ხომ ლაპარაკი არ მოგვსვლია.

— მაშ... ეტყობა... წაჰკირები?

ქალმა პასუხი არ გასცა.

— ამ სალამოს ნუ მომიშხამავ! უყურე, რა კარგია
აქაურობა! მე მინდა თავი დავიწყებას მივცე! შეხედე,
რა რიგად არის აქაურობა დაფერადებული. ოჟ, ნეტა
შხატვარი ვიყო!.. მაშინ საქმე გამიჩნდება ცხოვრებაში,
ცხოვრებას აზრი ექმნებოდა.

— მერე მხატვრობაში რა აზრია?...

საღლაც ქარხნის მანქანამ ბოხის ხმით დაიღრიალა—
ეტყობა, აუშაბაშნიათ. აქეთ-იქიდან სხვა ქარხნებმაც
სხვადასხვა ხმით მისცეს ბანი.

— ცხოვრობ დღითი-დღე... სთქვა შ. ივანემ და
თან მზეს აცქერდებოდა, რომელიც ყომრალ ნისლში
იმალებოდა.—და არ იცი, რისთვის ცოცხლობ!..

ქალმა თავი მიუახლოვა და ალერსიანად სახეში და-
აცქერდა.

— შენც ეგრე?

საყვირის ხმა მოისმა — ტრუ-ტრუ-ტრუ-ტრუ!

პაულინა და შ. ივანე წამოდგნენ და ისევ ხალხში
გაერივნენ. როდესაც ბუფეტიან მივიდნენ, იქიდგან ვი-
ღაც გამოჰყავდათ.

— უყურე! — სთქვა პაულამ, — ეს თვით უდალოვია,

ეს იყო ტანდაბალი, მხარბეჭიანი, ჩასუქებული მო-
ხუცი. სახის გამომეტყველება აღამიანს ხარს მოაგონებდა.
უდალოვს ორი კაცი შესჯდომოდა მხრებში და ისე
მოჰყავდათ — ერთ მხარეს მოსამსახურე და მეორე მხარეს

თვით პატრონი ბუფეტისა, ფრანცუზი შიკ. უდალოვი გადად-გადმოდიოდა, ქშინავდა, ყოყოჩინაობდა:

— მე მეფე ვარ... მე ღმერთი ვარ!..

— ჭაეტონი, ბიშო, შკარა! — იძახდა ბ-ნი შიკ.

მოსამსახურე ისარსავით გაექანა და დაიძახა:

— უდალოვის ეტლი! ჩქარა!

უდალოვი ფეხებს მიათრევდა და ხიხინებდა:

— მე მატლი ვარ!

ღმერთები მოლალულან და უდალოვს ჩამოშორებიან.

მუსიკა შესწყდა.

სწორედ ამ დროს გალმა-უბნიდან ხალხური სიმღერა მოისმა. უდალოვი დაავიწყდათ. ყველა მდინარის ნაპირს მიისწრაფოდა. ბ-ნი შიკი და მისი მოსამსახურენიც-კი იქით გაიქცნენ. ბალს იქით მეეტლეები წამომდგარიყვნენ. ეტლებში და გალმა-უბანს გაჰყურებდნენ.

ნახევარ ცას ჩამავალ მჭის სხივებისაგან ალის ფერი ედო.

— წავიდეთ, იქ წავიდეთ! — ეჩურჩულებოდა ხუცესს აღელვებული პაულა: რა ამბავია? წამო, ვნახოთ, რალაც ამბავია!

თან სახელოში ჩაევლო ხელი და ეწეოდა.

— წამო, აქ მოკლე გზა არის, მე ვიცი!

დაღმართზე თითქმის ჩაირბინეს ვიწრო ბილიკით და გაჩერდნენ მომუშავეთა სადგომებთან, საღაც სანთლები აენთოთ და რალაც არა-ჩვეულებრივი მოძრაობა იყო.

პაულა მ. ივანეს უჩვენებდა, რა სახლი რომელ ქარხანას ეკუთვნოდა. ის-კი გაოცებით აქედ-იქით იყურებოდა. ხალხი ირეოდა, ხმაურობდა, ბათბირობდა. პა-

ულა და მ. ივანე რომ მირბოდნენ, ერთმა მოხუცმა
უთხრა მეორეს:

— ეხლავე გუბერნატორს უნდა ვაკუნობოთ!

— გავგზავნე კიდეც მხედარი.

— ეს სულ უდალოვის მუშებმა ააღელვეს სხვა
ქარხნის მუშებიც.

სიმღერა თანდათან ძლიერდებოდა. თუ წინააღ
ასი კაცი მღეროდა, ეხლა ათასებმა დასძახეს. ამ ღრიან-
ცელში თითქო სახლებიც-კი ირყეოდნენ.

— ჩქარა, ჩქარა! — ეჩურჩულებოდა პაულა.

მაგრამ იმათზე მაღე სხვები მირბოდნენ, მუშურ
ტანთსაცმლიანები.

გარბოდნენ პოლიციელებიც პოლიცეისტერმაც
ეტლი გააქროდა.

სამხედრო ბრძანებაც გაისმა.

ხიდთან პაულასა და მ. ივანეს ალექსანდრა დაეწია.

— გესმით, ხომ გესმით! — გულამოვარდნილი ამბობ-
და: ჩქარა, ჩქარა!

ხიდს რომ გავიდნენ, აუგრეშელ ხალხში გაერივნენ,
რომელიც სითლაც დინჯაღ მიღიოდა.

ეს სულ მუშა-ხალხი თყოვა ზოგს წინსაფარიც-კი
ვერ ჩამოეხსნა. ზოგს მქრალი და გამხმარი სახე ჰქონდა,
ზოგს ისე უხაროდა, თითქო დღეობაშიაო.

ალექსანდრა უჩვენებდა, რომელი მუშები რა ქარ-
ხნისანი იყვნენ. მუშები ქალს მხიარულად საღამს აძლევ-
დნენ, ქუდს უხდიდნენ, მაღლა ასროდნენ და ეკითხე-
ბოდნენ:

— ჩვენთან? წინ აღმინდებოდა მათ ადამი

— თქვენთან! — უპასუხებდა ქალი.

ერთხელ ვაშაც-კი დაგრიიალეს. ქალის პატივსაცემ-ლად. ხალხი მოზვავდა. ხმაურობა უფრო ატყდა და გრგვინვა მუქარად გადაიქცა.

მუქარი იმათ შეეხებოდათ, მაღლობიდან რომ ლარიბთა უბანს დაჰყურებდნენ და შეშინებულნი ხელებსა პარტყავდნენ. მაღლობზე მზის სხივები ჯერ არ ჩამჭრალიყო.

ხალხმა დროშა ააფრიალა. მ. ივანე დააცქერდა წარწერას და შეკრთა. მიიხედ-მოიხედა, ხალხს თვალი გიდაავლო და მხოლოდ ეხლა მიხვდა, რაც ამბავი იყო. ათასმა მიძინებულმა ფიქრმა გაუელვა თავში და გულმა უცნაურად დაუწყო ძაგძაგი. ის ხალხის ტალღას მის-დევდა, მშვიდსა და მწყობრს. ხედავდა, რომ თავგზა-არეული პოლიციელები ხან აქედ გაექანებოდნენ, ხან იქით და არ იცოდნენ-კი, რად და რისთვის. ჯარს რაღაც ბძანება გასცეს. მაგრამ სალდათები უძრავად იღვნენ. მ. ივანეს ახალი ძალა წარმოიუდგა, რომელიც ასე საშინლად გაძლიერებულა, როცა ის თავის ყრუ კუთხეში ხუცესობდა. მოაგონდა ნახულ-გაგონილი და რწმუნდებოდა, რომ ეს „რაღაც ახალი“ სწრაფად ვრცელდება და ძლი-ერდება.

ლამებ უსწრო, ხალხი დაიშალა. სიმღერა თან-და-თან მისწყდა.

— გინდათ, კაი კაცები გაიცნოთ? — უთხრა ალელ-ვებულმა ალექსანდრამ და წინ გაუძლვა.

პაულა და მ. ივანე უხმოდ მიჰყვნენ და ერთ ეზოში შევიდნენ.

— ვასო შინ არის?

შოხუცებულმა ებრაელმა აათვალიერ-ჩაათვალიერა, ალექსანდრა იუნო, გაილიმა და წელით გძელ, მაღალ საჯინიბოზე მიუთითა, საიდანაც ხმაურობა გამოდიოდა. აქ მრავალ მომუშავეს მოეყარა თავი. შუაში საღურგლო დაზგუბი იდგა და ხალხი გარს შემოხვეოდა. მამა ივანეს ახალგაზიდა მუშებმა ეჭვით შეხედეს, მაგრამ ალექსანდრამ თავი დაუქნია და დაამშვიდა:

— ჩვენები არიან, ჩვენები!

ახალგაზდა ებრაელი წელფეხის ქნევით მჰერმეტყველებდა:

— მე ვამბობ... დიდი ამბები ხდება!!! ვამბობ... დადგა ის წუთი, როდესაც ჩვენ მტკიცედ, მკაცრად, ცხადად და უშიშრად უნდა გამოვსთქვათ და განვახორციელოთ ჩვენი მოთხოვნილება. მძაგს მონური შიში, შხდალი ზომიერება, რომელსაც ეშინიან მათრახს მათრახი უწოდოს მაშინაც-კი, როცა ზურგსა ხვდება!

გაბრაზებული ხელებს იქნევდა.

— მე მძაგს!!!

ალექსანდრასთან მივიდა მუშა-ჭაბუკი, მოთეთრო წვერ-ულვაშიანი. წებოს სუნი ასდიოდა და თმა—ტანისამოსზე ბურბუშელა უფრიალებდა.

— ვასო! — უთხრა ალექსანდრამ, — ესენი. ყველას გააცანი.

და იმანაც გააცნო.

ვასო დააცქერდა თავის კეთილ თვალებით და დაუწყო ლაპარაკი გერმანის რეიხსტაგსა, ბებელზე და სოციალ-დემოკრატების გამარჯვებაზე.

მამა ივანე ყურს უგდებდა. მაგრამ თვალს ალექსანდრასაც ადევნებდა. ქალი წინ წავიდა და მაგიდასთან

გაჩერდა. ლამფის სინათლეზე მისი აღგზნებული და გახარებული სახე კარგა სჩანდა. ზოგმა ტაში დაუკრა, ზოგიც გამოეხმაურა. ის-კი ყველას თავს უკრავდა სალაში აძლევდა.

— ბატონებო! — სთქვა ქალმა. — დღეს ისე კმაყოფილი, ისე ბეღნიერი ვარ! ... არა სიხარული არ შეეღრება იმ სიხარულს, როდესაც ხედავ გამარჯვებას, ერთეულსაც. მწყობრსა და გონიერსა! როდესაც ხედავ, რომ დამჩაგვარებული ძალა მარცხდება, უძლურდება. ახალმა ცხოვრებამ ძეველი დაამარცხა... მაგრამ ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვაბ-ნ მოსეს აზრის გამო...

... კარგა ხანს ილაპარაკა ქალმა, მაგრამ მ. ივანემ ვერა გაიგო-რა. ბოლოს პაულის გადახედა.

ის აღგზნებულ ციმციმა თვალებს აქედ-იქით აფაციცებდა...

... კარგა დრო გავიდა. პაულა შინ მიაცილეს, მამასთან, და იქიდან მ. ივანე ალექსანდრის გაჟყვა. გაჩუმებული და ფიქრებში გართული იყო.

— რას ფიქრობ? — ჰკითხა ალექსანდრამ.

— ისე, არაფერს..., რაღაც ახალია გარშემო... უცნაური... ყველანი როგორლაც... სულ ფიქრობენ და სხვანაირად ცხოვრობენ... ყველას რაღაც უნდა! და მიკვირს, რომ მე... არა მინდა-რა...

მოშაო თვალებით ქალს გახედა და განაგრძო.

— გულახდილად. გითხრათ, მრცხვენიან კიდეც-თითქმ. აქამომდე სულაც არ მიფიქრია და ეხლა გამოვფხნილდი. დღემდე რაღაც მკვდარ აღამიანებსა ვხედავდია ან მე თუ ვიყავი მკვდარი... და დღეს ვიხილე სიცოცხლით სავსენი, აღგზნებულნი, ვითა ძმანი. მაკაველნი! ..

კოტა შეჩერდა:

— თითქო აქამომდე არ მიუხოვრია!

გაღმა-უბანი წყვდიალით იყო მოცული.

გვერდზე მეძავმა დიაცმა გაუარა და რაღაზედაც
ვაღიხარხარა.

— ლვდლათ რად წახვედით? — დაბალის ხმათ ჰქითხა
ალექსანდრამ.

— რად?

ერთბაშად ვერ უპასუხა.

— მაშ სად უნდა წავსულიყა?..

გულზე თითქო მძიმე ტვირთვი დააწვა.

— ივან ვასილიჩ! — უთხრა ალექსანდრამ და ეს სა-
ჭელი პირველად უწოდა. მერე ოდნავ მის ხელს შეეხო.

— მაპატიეთ! მე ხომ... ისეთი თავდაუჭირელი ვარ...

შელან გაწყენიეთ.

— როდის? გაოცებით შეხედა მ. ივანემ.

— სიტყვით, აზრით... ლვდლებზე! ლვდლები საერ-
თოდ... ხალხის მტრად მიმაჩნია.

— არა! — ცხარედ წამოიძიხა მ. ივანემ და გულში
რაღამაც უჩხვლიტა. — არა, მე ხალხის მტერი არა ვარ! თუ
ლვდლად წავედი... ვინ იცის, როგორ მოხდა!.. რო-
გორლაც ისე, უცნაურად... ასე მგონია, დიდხანს ხვრელ-
ში დავდიოდი და, აი, რაღაც ნათელი ვიხილე! და ჯერ
ვერ გამომირკვევია, რა ნათელია. მაგრამ ჰკუა-გონებას
მოვიკებ და ვეცდები — მივხვდე, გავიგო!

ქალს კიდევ რაღაც აზრი უტრიიალებდა თავში. რო-
დესაც შიროკადოვის სახლს მიუახლოვდნენ, ქალმა
წარმოსთქვა:

— მე მაინც ვგრძნობ, რომ გაწყენიე! და არავი-

თარი უფლება-კი არა მქონდა... ჩემი ნამდვილი მა-
მაც ხომ...

ქალს კრიჭა შეეკრა, თითქო მახვილი აძგერესო.

— მჩაგვრელთა კლასს ეკუთვნის... მაგრამ რა...
უნდა შევუნდოთ, რადგან იმდონად დამნაშავე არ არის...
ის ძველ ცხოვრების კაცია. იმ ცხოვრებას ჩვენზე ვეღარ
უშოქმედნია, ჩვენ მამებს-კი მძიმედ დააწვა და ტალახში
ჩაჰვლა. მამის უმაღური არა ვარ: იმან მომცა სიცოცხლე;
და სწავლა—ორი უძვირფასესი საუჯე. მეც ვეცდები ის
ბოროტება მოვსპო, რომელიც იმან ჩაიდინა.

— როგორ?—გაოცებითა ჰკითხა მ. ივანემ.

— წელან გაიგონეთ, რას ამბობდა ახალგაზდა უდა-
ლოვი? კარგი ახალგაზდაა... არა? ცხოვრება მომპალა,
სიცრუის ფესვებიც დამპალია. ამ სიცრუეს, რომელიც
ცრემლს ამრავლებს, ძველი ჯურის კაცები დარაჯობენ-
გარეგნად მუშები ავარაყებენ, აბჭყვრიალებენ, თითონ-კო
თავის შრომით ვერ უსარგებლნიათ. ძალა რომ შეირჩინონ,
მოუგონიათ სალდათები, ხიშტები, ზარბაზნები. ფასი
რომ არ დაეკარგოთ, დაუარსებიათ ბანკები და ბირჟები.
პატივი და რიხი რომ არ მოაკლდეთ, დაუსვამთ მოსა-
მართლები და ლვდლები... კიდევ მაპატიეთ!.. ამ სიცრუის
მოსასპობად... გავჩნდით ჩვენ!

— ჩვენ?—გაოცებით შეხედა ქალს, რომელიც რწმე-
ნითა და სიმტკიცით რაღასაც უქადაგებს.—ვინ არიან
ეს... ჩვენ?

— ჩვენ—გრძნობით წარმოსთქვა ქალმა: ყველანი,
ვისაც სძაგს გამეფებული სიცრუე, ვისაც გადაუწყვეტია-
მედგრად ებრძოლოს და მკერდით გადელობოს... ჩვენ,
ვინც განაგდო მამების ცრუმორწმუნოება და გაარღვია

კედელი, რომელიც ხალხსა ჰყოფს მდიდრებადა და ლა-
რიბებად, კეთილშობილ ბატონებად და ყურმოჭრილ მო-
ნებად!.. ჩვენ — თაყვანის ცემელნი ამომავალის მზისა...
ჩვენ — დემოკრატები!

ალაყაფის კართან ერთმანეთს გამოემშვიდობნენ.

— ალექსანდრა! — ოდნავ შეახო ხელი მ. ივანეშ:
წელან რასა მღეროდით?

— მომავლის სიმღერას...

VIII

საღამო მოახლოებულიყო, სიცხე-კი არ ნელდებოდა..
გახურებული ჰაერი ადამიანს სულს უხუთავდა. ცას ნა-
ცრის ფერი დასდებოდა, გამტვრიანებულსა ჰგავდა. მინ-
დვრის ბალახი დათუთქულიყო. დახეთქილ დედამიწას
ბული ოშეივარსავით ასდიოდა. დასავლეთისკენ შავი ლრუ-
ბელი გამოჩნდა. მზე და ლრუბელი ერთმანეთს უახლო-
ვდებოდნენ. მზეს, თითქო შერცხვა, მოერიდა, პირბადე
გაღიფარა.

მამა ივანეს კაბა სულ ოფლით დაუსველდა და
მტვრისაგან გაუშავდა. მთლად სხეულს თრთქლი ასდი-
ოდა, როგორც ცხენის აქაფებულ ფერდებს. მ. ივანემ
პირი იბრუნა, ქოლგაში თავი შეჰყო, სადაც ცოლქმარი
იყო, და მორიდებით უთხრა:

— პაულა! ნება მომეცი, მოხუცს, კაბა გავიხადო...
სული ამომხდა!

— რაო, ივან ვასილიჩ, ცერემონიები დაიწყეთ? —
გაეცინა პაულას: უცხონი ხომ არა ვართ!

— პო და! აბა, რა ვიცი, თქვენს დასთან უცერე-

მონიოდარ შეიძლება! სულ სხვანაირ ზრდილობით უნდა... მე-კი წაგაებისა არა გამეგება-რა!

ლაპარაკობდა მ. ივანე და თან კაბას იძრობდა. დარჩა პერანგის ამარა, რომელზედაც აცენცილი ქამარი ეკრა.

მერე ქუდიც მოიხადა და მარაოსავით, წაიფრიალა. თან ისე სუნთქვავდა, რომ ვეშაპსავით ფერდები ებერებოდა და ეცლებოდა.

— აი, სიცხე ეს არის!.. წვიმა-კი უნდა მოვიდეს. საშინლად გაავდარდება. ბორნამდინ მივასწროთ მაინც და მდინარეს ღრუით გავცდეთ, თორემ ძალიან გაგვიკირდება.

— გაუჩქარეთ, — შენიშნა მ. მათემ.

— აბა, შენ თითონ შაები! ამისთანა სიცხეში განაცხენებს გააქროლებენ! ხედავ, სულ აქაფებულან!

მოწონებით დახედა ცხენებს და დასძახა:

— თქვენი სულისა!

მზე აწითლდა. ყველაფერმა ფერი იცვალა. მხოლოდ ღრუბელი ისევ ჩაშავებული იყო და იზდებოდა. ბუნებას კრთომა დაეტყო. ფრინვლები შეშინდნენ და დაფარულდნენ.

— კაი ამბავი იქნება! — ამბობდა მ. ივანე და შავ ღრუბელს შესცემოდა, რომელიც თანდათან წინ მოდიოდა.

— ამ ზაფხულს კექა-ქუხილი არ გამიგონია. სამაგიეროს ეს გადაგვიხდის! მალე მივალთ მდინარესთან, თუ არა? — ჰკითხა მეეტლეს.

აბდულამ თავი აიწია, გზას თვალი გააყოლა და მოკლედ სთქვა:

— ბესრი!

— ვერსი?.. მაშ, აუჩქარე. ავდარში ბორანი აღარ გავა. წყალის პირს ხომ ვერ გავათენებთ, ხის ქვეშ! ბალდათამდე შვიდი ვერსი უნდა იყოს. მამა ბლალოჩინთან შშრალები ვერ მივალთ. კარგა აშოვიზუზებით.

ბუჩქები და გორაკები სწრაფად ჩნდებოდნენ და ჰქონდნენ.]

— უჰ, რა სიცხეა! თბინეა სწორედ! — ხენეშოდა მ. ივანე. — რა გარგია, ეხლა წყალში ჩაეშო!

— დიდი სხალი მოდი! — უჩვენა აბდულამ ღრუბელზე.

— დიალ! იქუხებს და იჭექებს... შენ როგორ გგონია, — მიუბრუნდა მ. ივანე აბდულას, — ქუხილი საიდან არის?

აბდულამ ტუჩები პათაშა.

— ალლაჲ ბოლოთა აკეთე.

— იქნება მამადი სეირნობს? — გაეცინა მ. ივანეს აბდულა დატიქრდა.

— ჰო... საქმე არ არი... სოტა-სოტა დაიზინე, სოფა-სოტა ისეირე.

— კაი ცხოვრებაა!

— უფრო კარგი არ არის! სარმანის მოლლო თქო, იქ იყო.

— სად?

აბდულამ ხელი მალლა აიქნია.

— იქ! ორი დღე დაიზინე, უნდა დამარხო, ნახო, ადგა. დიდი გარგიაო.

— მერე იქ რას აკეთებდა?

— ბაღგანი ჩამე, ყუმისი დალიე, გოგო თამაშე.
უკ, გარგია!... მერე სოლი თვალი დათხარო.

— რისთვის?

— გოგოსი... მერე მოლლა თქო: ბაღგანი არი,
ყუმისი არი, გოგო არ არი.

მამა ივანემ გადიხარხარ.

— არა, აბდულ, ყური დამიგდე! შენ უთუოდ
უნდა მოგნათლო. ღმერთი ხომ ერთია, ჩვენი და თქვე-
ნი, სჯული-კი სხვაა. ჩვენი სჯული თქვენსას სჯობია.
აი, თქვენს სამოთხეში, როგორც აქ, ბატკნებსა ხოცვენ,
ყუმისსა სმენ. ეს რა სამოთხეა? მაშინ მდიდარ კაცს
აქაც სამოთხე ექნებოდა: ბატკანიც ბევრი ჰყავს, ყუმისიც
ბევრი აქვს და არამხანაც შეუძლიან იქონიოს... ჩვენ სა-
მოთხეში-კი ცხონებაა!

აბდულამ თავი გააჭინია.

— ღმერთი ერთია, რჩული ბევრია. ყველა რჩული
გარგია, რომელი კასი გარგია. ღმერთი ნახე, რომელი
გარგია, რომელი სუდია. თათარია, რუსი... სუ ერთია...
ბარ-ბირ... შაითან შორ იარე.

და დასჭყივლა ცხენებს თავისებურად, რაც ცხენებს
კარგა ეყურებოდათ.

მდინარიდან სიომ მოპერა. ცხენებმა სიამოვნებით
დაიხვიხვინეს და ნესტოები დაიგანიერეს, რომ გრილი
ჰაერი ბლომად ესუნთქნათ.

ღრუბელი გზას წამოაწვა.

მზე სულ მიიმალა.

ფრინვლები მიიყუენენ, გაინაპნენ. შორისან ჭილ-
ჟვავის ხმა-ლა ისმოდა.

ეტლში, ჭოლგის ქვეშ, ალაპარაკებდნენ.

— მე მითქვამს და კიდევ ვამბობ, — უკმაყოფილოდ
ბუზღუნებდა მ. მათე, — უმჯობესია პირველი. იყო სო-
ფელში, ვიდრე უკანასკნელი ქალაქში. აქ მე ბატონი
ვარ... პატივსაცემი! გლეხები ქუდს მიხდიან. აქ რამე
უფლება მაქვს. აქ მე ღვდელიცა ვარ, აღმინისტრატორიც
და თითქმის მსაჯულიც! ერთსა და იმავე დროს. და სა-
ზოგადოდ...

— საზოგადოდ რა? — მძულვარებით ჰქითხა პაუ-
ლამ.

— საზოგადოდ, ქალაქში მე არაოდეს არ გადავალ.
— განა გეუბნები, ქალაქში გამომყე?
— მაშ რას ამბობ? — გაკვირებით შეეკითხა მ. მათე.
— რა გინდა? რა გაკლია? ოჭ, რა ხარბი გული გაქვს!...

პაულა გაჩუმებული იყო.

— მე შენ გკითხავ უკანასკნელად! — გაბრაზებით
ამბობდა მ. მათე. — რას გაჩუმებულხარ? უნდა მოვილა-
პარაკოთ და გავათაოთ, თუ არა?

პაულამ არ უპასუხა, ქოლგიდან თავი გამოჰყო და
დაიძახა.

— ქუხს! რა კარგია!

საჩქაროდ ისევ ქოლგას ამოაფარა თავი და აღტა-
ცებით დაიწყო: აი, ეხლავ დაიჭექებს! ჰექა-ქუხილი,
ელვა! ქარიშხალი! ძალიან მიყვარს!.. ოჭ, რა ძალიან
მინდა, ჰექა-ქუხილის დროს გემზე ვიყო, როცა ზღვა
ლელავს, ბობოქრობს!.. ივან ვასილიჩ! უყურე, რა ღრუ-
ბელია, შავი, შავი!

ხელი გაიშვირა და განაგრძო:

— თითქო ციხის უზარმაზარი კედლები გვიახლოვ-
დება!.. აგერ სათოფურებიც! ეხლავ იგრიალებს! გამო-

ისვრის ტყვია-ყუმბარასა და ისრებს! ქვემოდ-კი, საცა
ცის კამარა დედამიწას ეკვრის, ხედავთ; რაღაც, მტვერი
თუ კომლი აღის! თითქო მხელრობა მოაჭენებსიო!

ტაში დაპკრა და დაიძახა:

— ქუხს, ქუხს!

— ზოგი მაშინ იხტუნე, გვერდებს რომ დაგილ-
ბობს! — გაეხუმრა მ. ივანე.

— არა მიშავს-რა! შაქარი ხომ არა ვარ, დავდნე.

მ. მათემ ამოათრია ვეება შალი. და ცოლს მხრებ-
ზე წამოასხა.

— სიცხის შემდევ აცივდა... წამოისხი.

ქალმა ღრუბელს თვალი არ მოაშორა და ისე უთხრა:

— მომშორდი!

ცხენები მიქროლავდნენ.

მგზავრები მაღლობიდან მდინარეს. დაპყურებდნენ.
ჰაერს სინოტიე დაეტყო.

— მე რომა ცოტა მოვიზარდე, — ამბობდა პაულა, —
ქუხილი ძალიან მიყვარდა. გავიგონებდი თუ არა, მაშინ-
ვე მინდორში მივრბოდი... ჩვენი სახლი ტყის პირს იყო...
ღრუბელს ვეგებებოდი... წამოვიტოდა ქარიშხალი; გამ-
წეწდა, გამლელდა, მე-კი მაინც ვებრძოდი, მიხაროდა, ძა-
ლიან მიხაროდა და... მასევდიანებდა კიდეც. ისეთი სევ-
და. შემომაწვებოდა, ი-სე-თი სევ-და, რომ!.. ვინმე რომ
მოსულიყო, ხელი დაეჭირა და მაღლა ავეტაცნე, სიხა-
რულით ავყვებოდი. იქ, ქარიშხალში, ვიბზრიალებდი, შიგ
ელვა-ქუხილში ვისრიალებდი!.. ასე ვსიამოვნებდი და
ვოცნებობდი ჭექა-ქუხილის ღროს. ჭექა დაწყნარდებოდა
და მეც სულ გაზუზული, ძვლებამდე სველი მივიზლაზნებო-
დი შინისკენ... და მთელი ღამე არ დამეძინებოდა... ბა-

ლიშ სულ ცრემლით დავასველებდი, დავალივლივებდი და, რა მატირებდა, მეც არ ვიცოდი...

— ყოველთვის სისულელე გდგომიათავში! — წაიპ ბუზლუნა მ. მათემ და შალში გაეხვიათ ეტლმა ორჯერ-სამჯერ მიუხვ-მოუხვია რიყეზე და ბორანთან გაჩერდა.

— აქ ხალხს მოეყარა თავი და ყვირილ-ურიამული გაუდიოდა.

— ჩქა-რა! ნი-ა-ღვა-რი წა-მო-ვა.

ხალხი მიეხვია მ. ივანეს ეტლს. ცხენები გამოუშვეს, ეტლი ბორანზე ააგორეს, სადაც რავდენიმე ურემიც იყო. და მერე ცხენების აყვანას შეუდგნენ. მ. ივანემ შენიშნა:

— ფთხილად, ძმანო, დაფთხობა იკიან, მეტადრა შეათანამ, კბილებს ჩაგილეწო.

დაბალი ტანის მებორნე, დალურჯებულ ცხვირითა და წირპლიან თვალებით, ლვდლის გარშემო დაფრატუნებდა, ვითომც რასმე აკეთებდა, და ყბელობდა:

— გვესმის წკრიალი, ვთქვით, უთუოდ ლვდელი იქნება! ვიცით, რომ უფროსებს მოდიდო ზარები უკიდიათ და მრისხანედ აწკარუნებენ... ლვდლების ზარები კი გალობენ, როგორც პარაკლისზე.

— აღვირს როგორ მიათრევა... დალახვრე ეშმაკი ვერა ხედავ, სასულიერო, ხავერდის აღაირია! თოკი ხომ არ არის!

— ჭო, კარგი! — შეუბლვირა გლეხმა, — ნუ მელაძუობ!

ბორანი დაიძრა ასახავა — თეატრის კუთხისა და სასახლის მიმართ დაიძრა ასახავა.

წყნარსა და ანკარს, მდინარეზე ბორანი ღრმა და განიერ კვალსა სტოვებდა.

დასავლეთისკენ-კი, საიდინაც შავი ღრუბელი მო-
ლიტლა, მდინარეს ფერი ეცვალა, თითქო სისხლითა და
მელნით შეუღებიათო.

პაულა ეტლშივე იჯდა. თვალები გაედიდებინა და
ხარბად შეჰყურებდა შავ ღრუბელს, რომელსაც აღარა-
ვითარი ფორმა-მოხაზულობა აღარა ჰქონდა და მთლად
ცას გადაჰქროდა. პაულას ხელები ისე დაეწყო, თითქო
ლოცულობს და რაღაც უცნაურ ღვთაებას წაყვანას
ეველრებათ.

— მიტრიჩ! გაჭიმე, კარგა გაჭიმე! — უყვიროდნენ
შებორნეს.

— მოდით, მიშველეთ! — ხრიალებდა მებორნე.

— აჟ, ნეტა, მალე გავიდოდეთ, ვიდრე ნიალვარი
წამოვა! წახე, როგორ მოიპარება! ლაპარაკობდნენ გლე-
ხები.

— არა გვიშავს-რა! მოძლვრები აქა გვყავს!

ხალხი ხარხარებდა.

— ეს რა საქონელი მიგაჭვთ, ძმებო? — ჰეთხა გ-
ივანემ და დადებულ ურემს ხელი წააფათურა. — ბაზრო-
ბაზე თუ მიდიხართ?..

— დიალ, ბალდათში ხვალ ბაზრობაა. ყველაფერი
მიგვაჭეს, რაც-კი მოგვეძებნებოდა... ჯამი დღე კოვზი,
საჭრაჭე და ქოთნები.

— კაი ვაჭრობა იცის?

— საძაგლობაა! — უპასუხა ეტლიდან მ. მათემ.

— არა, არა უშავს-რა! — ამბობდნენ გლეხები. —
წინად, მოგეცა ღვთის წყალობა, კარგი ბაზრობა სცო-
ლნია, ეხლა-კი, მოგეხსენებათ, ხალხი ყველგან გაღატაკდა.
პური არ არის, თივა არ არის... საქონელი გაწყვა...

— ხალხიც წელში გადაწყდა, დაბეჩავდა! — სთქვა
შუბლშეკრულმა, ქუდჩამოფხატულმა გლეხმა. — რაც იმას
გაჭირებას აყენებენ...

ამ სიტყვებზე დედაკაცებმა, თითქო პირი შეუკრაფთო,
ერთად ამოიოხრეს. გლეხებმა-კი თავი დაღუნეს.

— ერობის უფროსი... ყველამ იცის... მისი კეთილ-
შობილება... ცოტა ფიცხია... ისიც გვაწუხებს... ხან
უსაქმოდ, უარარაოდ, ტყუილ-უბრალოდ.

— იმისთანას ვაჟყაცურად უნდა დაუხვდე! — წარ-
მოსთქვა ვიღამაც დინჯედ და დაცინვით: ვინც ქუდს
იშვლებს და ქედს იხრის, თითონ, თხოულობს, თავში
ჩამიფაჩუნეთო.

მ. ივანემ შეხედა მოლაპარაკეს.

ის იყო მაღალ-მაღალი, გამხდარი გლეხი, ცოცხალ,
კვეიანურ თვალებიანი, ჭორფლიანი და წვერ-მოპარსული.
ჯაგარისებური ულვაში წვრილ, გამბედავ ტუჩებს გადაჭ-
ფარებოდა. მოხუშულ სახეზე დაცინვის ლიმილი უთამა-
შებდა.

— შენ ძალიან გულადი ყოფილხარ... რა გქვიან?
— ჰკითხა მ. ივანემ.

— სახელად-კი ალექსი მქვიან. — უპასუხა გლეხმა —
ხოლო გულადობა-კი არავის აწყენს. „ფიცხი ცხენი, მათ-
რას არ დაირტყამს“, „ავ ძალს ხელს არ ახლებენ.“ *
ინდოური დიღი ურინველია, მაგრამ რა გამოვი-
და. ბატი-კი ასისინდება და კისერს წაიგდელებს, ამი-
ტომაც ყველა ერიდება.

ეგ მართალია! — სთქვა მაღალმა გლეხმა: გლეხი
ბძანებას შეჩვეულია, როდი იღრინება... ამიტომაც ყველა

ბინძური კისერზე აჯდება... ეჭ, არა უშავს-რა! — დაუმატა
თავის სანუგეშოდ: ღრო იცვლება!

— ჭკვიანური სიტყვა კარგი მოსასმენია, — შენიშნა
მესამემ: ყველა გლეხი რომ ეგრე ფიქრობდეს... ერთის
ფიქრით!

— ეგრეც იქნება! — გადაწყვეტით სთქვა პირველმა,
გლეხმა.

მამა! ივანე გაკვირებული ყურს უგდებდა მაგრამ
ერთბაშად დაფაცურდა და შეჰყვირა:

— ეჭე-ჭე! აბა ახლა-კი ყოჩალად, ძმებო!

ბორანი მდინარის შუაგულ მიცურავდა.

მ. ივანემ შორიდანვე შენიშნა, რომ უძრავი ხეები
აშფოთდნენ, ტოტები მძლავრად გააქან-გამოაქანეს... და
მიწისკენ დაუშვეს. საშინელმა კორიანტელმა ხეები თავს
გადაუარა და მდინარეს დაეტაკა.

წამი... და სულ ერთმანეთში აირ-დაიროა: წყალი, მიწა,
ნაპირი. ხეები, ცა...

ქარიშხალი მდინარეს აპობდა, აზვირთებდა, ჰგლეჯ-
და.

ცხენები შფოთავდნენ, ფეხებს ატყაპუნიბდნენ, ხვი-
ხვინებდნენ.

ურემნე თივა იწეწენდა, იფანტებოდა: დედაკაცები
ზედ დასწოლოდნენ და მოთქმით ტიროდნენ:

— დედაო ლვთისაო! რა უბედურობაა! ჯვარო
ცხოველო!

— მიტრიჩ, გაჭიმე, მაგრა გაჭიმე, ალაქსეიო უშველე!

გლეხებს ქარიშხალი წვერებს უფრიალებდა, თითქმ უნდა მოგლიჯოსო, და თმას უბურძგნიდა.

ეტლში პაულა იდგა აღგზნებული და მდუმარებდა. ელვა დაიკლაკნა, ღრუბელში საშინლად იქცა, მეხმა წყალი აადულა, ააშიშინა.

ვაულას სჩხარულის ქრუანტულმა დაუარა.

— დაჯექ, დაიმალე! — ებუტბუტებოდა. შეშინებული მ. მთე.

— მოდი, დაჯექ... ეხლავ წვიმას დაუშვებს.

— მომშორდი! შეუტია ქალმა.

— გაჭიმე, გასწი, გასწი! — ყვიროდნენ გლეხები.

— მამაო, გვიშველე! --- ხუმრობით უთხრა ერთმა გლეხმა მ. ივანეს: შენ, გეტყობა, ღონიერი უნდა იყო.

— ჰა, ჰა! ჩრა უშავს-რა! სთქვა მ. ივანემ და დაიმკლავა: ცხენს კუდით გავაჩერებ.

— გაჭინებულს?

— არა, საჯინიბოში!

და ჯერ უნდოდა თოკისთვის დაევლო ხელი.

მაგრამ ამ ღროს ქარიშხალი მძლავრად ეძეერა ბორინს, ააყირბე-დააყირავა და გააქანა. თოკი მოეშვა, მებორნე გულალმა დაეცა და მისი მშველელი ზედ გადააწყდა.

ბორინი ეხლა თავისუფლად მითრინავდა.

— თოკი გაწყდა, თოკი!..

ხალხსა და ცხოველებს შიშის ზარი დაეცათ.

ქარიშხალი თავისას არ იშლიდა. ჭექა-ჭუხილი მძლავრდებოდა. გაიღო ცა და კოკისპირული წვიმა წამოედიდა.

გლეხები სულ დაიბნენ, არ იცოდნენ, რა უქმნათ.
საშველი არსაით იყო.

— ხალხო, ვიღუპებით!..

— ქვემოდ კლდეებია!..

— უთუოდ დაეჯახება!

მებორნე გიგისავით დარბოდა და იძანდა:

— ღმერთო, უფალო, ღმერთო!.. შიკვდილი მო-
სულა! ღმერთო! ჩემი ანიკო! ჩემი ქალი, ანიკო!.. შშვი-
დობით, მშვიდობით!..

— ო-ო-ო! — ბანს აძლევდნენ ქალები, რომლებიც
მებორნეს კული-კულს დასდევდნენ, თითქმ ძერაობას
თამაშობენო.

— ეს ღვთისგან არის, ღვთისგან... შენ გამო —
უწრიპინებდა ცოლს შეშინებული და გაფითრებული მ.
მათე. — სულ შენი ბრალია, ავაზაკუ, მოინანიე. ა ვითა
იონა...

— აქ გველეშაპები არ იცის! — ზიზლით უპასუხა
ცოლმა.

ქალი ძალიან გახარებული იყო, დიდის საამოვნე-
ბით იღგა წვიმის ქვეშ და მხოლოდ იმისი ერიდებულა,
ამ საზარელ ჭამს სიხარული არავინ შემამჩნიასო.

შ. ივანე გარინდებული და ჩატიქრებული იღგა,
დოინჯ-შემოყრილი. იმან იცოდა, რომ ერთი-ორივერსი
კიდევ, და ბორანი უთუოდ დაიღეწება, ხალხი მთლად
დაიღუპება.

— ღმერთო მიშველე! --- დაიძახა ჟიღამეც ქასოწარ-
კვეთილებით.

შ. ივანეშ მიხედვა და დაინახა, რომ მებორნე პირ-
ჯვარს იწერდა და წყალში გადავარდნას აპირობდა.

დედაკაცებიც! პირჯვარს იწერდნენ. და ბორნეს ჩაპირს
აწვებოდნენ.

მ. ივანე შერანგშილ შევდა მებორნეს და უაღმოანჯლია
შეორებდ ამ დროს, როცა იმან ერთ სქელ დედაკაცს
მოხვია ხელი, რომ მასთან ერთდღ წყალში გატავარდეს.

— სად მიიწევ, შე უგუნურო, გინდა დაირჩო? — შე-
კვირა მ. ივანემ.

მებორნე თვალტკუყეტილი გამოიდა, თავისთ ფეხამდე
შულ ცახცახებდა და არა ესმოდა-რა.

— გამოჩერჩეტებულა! — ბოხის სმინ სოჭვა მ. ივანემ.

ამ დროს ისე დაიჭირა, რომ ქარიშხალის ზუსუნი
სულ დაახშო:

— ძმანუ! გაჩერდათ გამოგონეთ!

კუველამ ხმა გდემიდა. ტექნებიც-კი დაწყინარდნენ და
შესრულებულს მისჩერდნენ, თითქო იმათაც იგრძნეს ამ კაცის
სიმძლავრე.

— რა დაგემართათ? გადირიეთ! — კვიროდა მ. ივანე:
გინდეთ თავი განგებ დაირჩოთ?!. აბა, ვა, ჩეარა, თოკი
მოიტატ! თოკი, ჩეარა!

არავინ არ იყითხა, თოკი ასდ სუნდოდა?

— ჩეარა, თოკი! დედაკაცებო, თოკი შოდვარს!..
კვირლედა ხალხი.

— აღვირ-ჩეურიც! დაჭრიხეთ გასამით! ბძნება
ლომბრდა მ. ივანე. — დამპალი არ იყოს! მაგარი, მოიტა,
ჩეარა! აბდულ, გადაბი! კველამ ხელი გასნძიეთ, გა-
დააბით!

ელვა-ჭუხილი თავისს არ იშლიდა.

მ. ივანემ კაბა გაიძრო.

— ფოფოდია, პირი იბრუნე, ნუ მიყურებ!..

გაიხადა წელები და განიერი თეთრი პერანგის ამხა-
ნავიც.

პერანგის ამპრა დარჩა. დასველებული გძელი თმია
უკან გადიყარა. წელზევით თოკი მოიბა, პირჯვარი გამ-
მოისახა და წყალში გადეშვა... ჯერ ჩაიყურჭუმალა, მერე ფშვი ვმოჰყო, ფაფართ
გაქნ-გამოიქნია, დაიფრუტუნა და დაიღრმალა.

— თოკი მოუშვით, ჩეარა, ნუ გძინავთ!

— ნუ გეშინიან! — უპასუხა მებორნემ.

— კიდევ მოუშვი, სულ, სულ, როცა დაგიძახო,
ყულფით დაამაგრეთ.

ძარღვიან ხელებით, როგორც ნიჩბით, წლონიერუდ
მოუსვა, მწყობრად, თანასწორად, და ტალღები გააპო...
ერთი... სამო!... მიცურავს, ფშვინავს, ფრუტუნებს...
გლეხები და დედაკაცები გაფაციცებით ადევნებდნენ
თვალს, შიშითა და იმედით. ის თანდათან იმალებოდა
წვიმის ნისლა, და ტალღებში. წაპირი შავად მოჩანდა,
კაცი ვერამ გაარჩევდა.

ორიოდეჯერ ელვამ გაიპრიალა და გაძებილი, ფავო
გამოაჩინა, რომელსაც თითქონათელი ედგა.

მერე სულ მიიმალა.

თოკი ისევ იჭიმებოდა და ეშვებოდა, თანდათან
იღეოდა. მხოლოდ ამით მიხვდებოდა კაცი რომ თავ-
განწირული მწყემსი ჯერ კიდევ მიცურავს, ეხლა ყველა
თოკა-ლა აცქერდებოდა, მისი მოქრაობა ყველას გული
უფან ცქალებდა.

ერთბაშად საეჭვო სიჩუმე ჩამოვარდა კაცი. და დედა-
მიწაზე... ქარი ჩავარდა. ქუხილი, შესწყდა წვიმა-ლა
შხრიალებდა.

თოკი შოდუნდა, სულ მრეშვა.

მრავალ გაფაციცებულ თვალს შიში, იმედი, საჭა-
წარკვეთილება დაეტყო... ცამ ერთხელ კიდევ იქნება,
მაგრამ არავინ შენძრეულა, არავინ შემხტარა, გული არ
აფანცქალებია, თითქო ყველანი გაქვავებულანო. ქარი-
შხალმა ერთბაშად დაპკრა, მაგრამ მხოლოდ ფშა-წვერი,
წამოსასხამი და ტანთსაცმელი ააფრიალა...

ერთბაშად ზოკი შეინძრა, ამოტივტივდა, გაიჭიმა,
შერე მოეშვა და ისევ გაიჭიმა სიმჩხვით. მებორნემ თო-
კის ბოლო საჩქაროდ ბოძს შემოსხვია და ტაამაგრა. ბო-
რანი შეირყა, უყირავ-დაყირავდა, გასწორდა, მოტრიალდა
და ნელნელა. ნაპირისკენ წავიდა.

...როდესაც ნაპირს ყველა მშვიდობით გადაფიდა,
მ. ივანემ სველი კაბა ძლივს. გადიცვა და თავის ბოხის
ხმით წარმოსთქვა:

— ქმანო, ეხლა რომ შესახურებელი რომ იყოს, რა
კარგია! არაყი არავისა გაქვთ, ხალხნო?

— ყველანი ერთად დაფაცურდნენ. ქალებმა კალთები
აიწიეს და ბოთლებს თავი მოაყოფინეს, კაცებმაც ჯიბეე-
ბიდან პატარპატარა მინები. ამოაძვრინეს.

— ეჰე, თქვენ ძალიან თაღარიგიანი ხალხი ყო-
ფილხართ!

— მამარი! შენთვის, აბარა! ღმერთო!

— ჩვენო მხსნე-ლო!

— კარგი, კარგი! შესატანებელი მომეცით რამე.
დიაცებო! ჩასახრამუნებელი გექნებათ რამე.

და გვერდ-გვერდ გახედა მ. მათეს, რომელიც საცო-
დავად ტახტახებდა.

— გასახურებელი გინდა?

— მაგ სისაძაგლებ ართოდეს პირში არ ჩავუშვებ! —
კვნესოდა მა მათე; ჩქრია წავიდეთ ცეცხლთან, გავთბეთ
საღმე, ისა სჯობია.

— მე-კი დავჭრეც! — წამოიძახა ტოფოლდამ
მივიდა მ. ივანესთან, თვალი თვალს ფაუყარა და
ალტაციებით შეჰყურებდა.

— ყოჩალ, ფოფოდია! — მოუწოდნა მ. რვანებზე ეს
სასმელი მარგებელია... სისხლს ამოქმედებს, აბრწყინებს!
მაგრამ კიქა არსად ჯრის, უკაცრავად!

— მე ისეც... ბოთლიდან მოესვამ! გამოართვა
გამოართვა პატარა მინა, კიქასავით აამაღლა, ანთე-
ბულის თვალებით მ. ივანეს დააცეკერდა და ხმამაღლა
წარმოსითქვა:

— გმირები აღლევრელოს... და ყოველნაირი გმი-
რობა ცხოვრებაში განაძლიეროს!

მოსვა და... ხველა აუტყდა, ცრემლები გადმოჰყარა.
მამა ივანემ აუჩქრებლად თავი გადილო, ნახევარ-
ბოთლი მოიყედა კარგარით დასცალა, წვერზე ხელი-
გადისვა, დაახრინტალა და სთქვა:

— ითფ, კარგია ეხლა-კი ეშმაკსაც ვითრენ, რომ
მეორედ ალარ გაბედს.

გლეხები იცინოდნენ. ის-კი განზე გადგა, მძვინვარე
მდინარეს მიუბრუნდა და ისეჭის ხმით დაიგრგვინა, რომ
ქარიშხალის შხუილი გააცრეა:

— ოპ-ჭო-ჭო-ჭო-ჭო-ოო!

IX

ბლაღოჩინის სახლი გაჩაღებული იყო ფანჯრებიდან
სხივები ქუჩის წლმპეს აელვარებდნენ, სახლიდან ბზუილ-

ზუზუნი სმოდაც თითქო ჟაფუტკრელ ვადაუქცევიათო-
როდესაც მამა ივანები სასტუმროს კარი შეაღო და თანა-
მგზავრებითურთ ფეხი შესდგა, ერთბაშად ხმაურობა შეს-
წყდა. მეორე ოთახში-კი ვიღაც ბოხის ხშით ხარხარებდა
და ამბობდა:

— ის ისეთი ქალია, უნდა მოგახსენოთ, რომ...
ჰო-ჰო-ჰო! შორს, უფრთხისტოდით!

აქ ქალის ხმაც ჩაერია:

— აბა, მოიგონეთ ჩემი სიტყვები, მე რას ვამბობდი:
ჯვარისეულ ფოფოდიასაგან კეთილს ნუ ჰოელით. არ
ვამბობდი?

და თითქო იატაკმა ჩანთქა ხარხარ-სიცილი...

მოხუცი ბლალოჩინი სტუმრებს ღიმილით მიეგება!

— აა, მ. ივანე! და მ. მათეც! ოჰო, დედა-ფოფო-
დიაც! ძალიან სასიამოენოა! მიამა, მიამა!

ხელი ჩამოარიცა და ეამბორა:

— გთხოვთ, ჩემი ქოხი რა მუქადრისოთ! წვიმაშ
მოგასწროთ? ხომ დაგასველებდათ? მობძანდით, შეიშრებ
ტანთსაცმელი...

— მწვანისა გვლისა მახლობლად?

— რომელი სასმელიც მოეწონებათ: ყველანაირი
მოგვეპოვება.

მ. ივანები მოკლეს გააგეშინა, რაც გზაში დაემარ-
თათ, და მშრალი კაბა სთხოვა. საჩქაროდ მოარბენინეს
კაბა, დერეფნის კარი მიხურეს და საერთო ხარხარში
მშრალი კაბა გადააცვეს ისეთის ცერემონიებით, როგორც
მთავრები არქიელებსა მოსავენ: კაბა ვიწრო და მოკლე
გამოდგა; ცოტად რომ შეინძრეოდა მ. ივანე, კაბას
ტკაცა-ტკუცი გაჰქინდა. სასადილო ოთახის კარი გაიღო.

გ. ივანეს ნიდაყვები დაუჭირეს და, დიდებულად, შეაბძა
ნეს. თან უცინოდნენ და გალობდნენ: — და წარავლინა, მოსეურ რომელ ხსნილ იქმნა,
ზღვისა უფსკრულისაგან.

ერთმა მთავარმა ბოხის ხმით შესძახა:

— მე-წა-მუ-ლი-სა ზღვი-სა კი-ტე-თა-

ოთახებში ხმაურობა განახლდა,

სტუმრების მომეტებული ნაწილი იმ მაგიდას ეხვეოდა, სადაც სასმელი იყო. აქ ხმამალლა, ახველებდნენ, წვერ-
ულვაშს იწმენდნენ და სხვა მაგიდასთან გადადიოდნენ, რომ
ფოფოდიების ლაპარაკში ჩარეულიყვნენ, ან სათამაშო
მაგიდასთან ჩერდებოდნენ, სადაც თამბაქოს ბოლში ჩა-
სუქებული სასულიერო გამომჭიერებელი თაბორელი, მას-
წავლებელი ზიგზაგინსკი და ორი ლვდელი ქალალდს
თამაშობდნენ.

თაბორელს რგვალი, ქალური სახე ჰქონდა, რომელ-
ზედაც ბალანი არც-კი სჩანდა; ყიყვი და ლიპი გამოპ-
ბეროდა, სულს ძლივს იბრუნებდა. სხვები ხუმრობით
ამბობდნენ: მადლი დამკვიდრებულ არს მას შინა, წყალ-
მანკისა სახითა. ოხუნჯობა უყვარდა, სათამაშო ქალალდს
სხვადასხვა. სახელი არქმევდა, თავის ახუნჯობაზე
თითონვე ხითხითებდა და იმ ღროს გულზე. რორდენებს
ათამაშებდა, ის რომ სიცილს მოჰყვებოდა, სხვებსაც
აუტყდებოდათ სიცილი და მუცლები აუტოკლებოდათ.

— მე რომ მოგიაგურო, ამბობდა თაბორელი, —
შენ რასა ღალად ჰყოფ?

— მე, ფქვენო მაღალუროთხევაო, დავანაზუქებ!
ჯპასუხა ზიგზაგინსკმა.

ორმა ღვდელმა ერთხმად წირმოსოთქვა:

— ფას! ეს მომა მიუკუნეს თე სოფელი და ერთად საუზმის მაგიდას გადახედეს? ა მარტო, თაბორელი ტუჩებს იგრეხდა.

— კიკოლა რომ გამოვალაშერო, რასა მარქზ მე?

— მაშინ დიაცსა წამოვამგზავრებ, ... და წარიხოცები!

— ჰა, ჰა, ჰა! — იცინოდნენ; მაყურებელნი.

— რა სოთქვა? რა სოთქვა? — ეკითხებოდა აქედ-იქით ახალგაზდა მთავარი, რომელსაც ცხვირი ნისკარტს მიუგავდა. პასუხი ჯერ არ გაეგონა და გასაცინად-კი მომზადებულიყო. — რა სოთქვა? რა სოთქვა, ძმანო?

— დიაცისაგან წარიხოცებით!

— აჲა-ჲა-ჲა-ჲა! — წრაპინით ბიცინოდა ნისკარტიანი მთავარი და იკლაკნებოდა, თითქო იღლიაში ულიტინებენო. და გიცეცა თავის მეულლესთან, იმისთანავე ცნობის-მოყვარესთან, და რაღაც უჩურჩულა.

— სტყუი! — ტაშის კვრითა და სიცილით უთხრა მეულლემ.

— ღმერთმანი, მართლა! აი, პირჯარი!

მერე საუზმის მაგიდასთან შიირბინა, ჲქაც ყველას შეატყობინა ახალი ნაკვესი. და ისევ კლაკნით იცინოდა.

მთავრის მეულლე ჯერ მარჯვნივ გადიხარა და მეზობელს წაჩურჩულა, მერე — მარცხნივ. ამჩინებად ახალმა ამბავმა მთელი სახლი მოიარა. ფოფოდიები ლა მთავრის ცოლები თავდაჭრით იცინოდნენ და თან ღვინო-ჩაისაგან. და სიცილით აწითლებულ ჭირს იწმენდნენ.

— სწორედ მამა პაკლეზეა გამოჭრილი! — სოთქვა დინჯად ბლალოჩინის მეულლემ.

— ზიგზაგინსკერ რომ იტყვის — იტყვისა — სთქვა გამხ-
მარმა ფორმიდიამ და სიცილის ღროს თხელი ტუჩები
კბილებს შეაწება.

— რაც მართალია — მართალია! ცოდორა დამამალია!

— ქვრივის საქმე ეგვეთია, რას იზამ!

— ქვრივი-კი ქვრივია... მაგრამ მორიდებული უნდა
ჰქონდეს!

— ამბობენ, სამრევლოში გასათხოვარ ქალს ვაჟი
რომ ეყოლება, პავლეს არქმევენო.

— ჰო და რა... პავლე პავლიჩი იქნება... სათქმე-
ლოდაც სამოა!

დედებმა სოკილი ასტეხეს და ერთმა გადაჭარბებულ
ალტაცებისაგან წრიპინიც დაიწყო.

ბლალოჩინის მეუღლე ჩაისა აკეთებდა და ოდნავ
იღიმებოდა.

— აი, იმას რომ... დაიწყო ბლალოჩინის მეუღლემ.

მაგრამ ერთბაშად მიიხედა და პაულა დაინახა ფან-
ჯარასთან. მაშინვე პირი მოკუმა, მარცხენა თვალი მო-
ხუჭა და მარჯვენა თვალი მოსაუბრებს ააყოლ-ჩამოა-
ყოლა.

ისინი ხერთითებდნენ და ისე იფხრიწებოდნენ, რომ
ზოგი კინალამ დატაკტე გაიშხლართა.

ბაულა წინ წადგა და დაბალის ხმით წარმოსთქა:

— მე აქ ჩემი თავი სტუმრად მიმაჩნდა!

— რატომაც არა? — უთხრა ბლალოჩინის მეუღლემ,
ვრთომ გულუბრიყვილოდ, და სახე-კი გაიძვერულად
ულიმოდა. — რა, ხომ არა ჭერიანათ-რა, ტმერთო ჩემო?
ჩვენ, მგონი, ისეთი არაფერი... ჰო, რასაკვირველია,

სოფლური დახვედრა ფურით, მდაბიო, არა წალალ-ფარ-
ლოვანი.

მერე დაუმატა:

— დიალ, ჩვენ მოქალაქენი არა ვჭროთ... სოფლე-
ლები გახლავართ, მაგრამ არა გაეწყობა... უკაცრავად,
ქალაქელები რომ გახლდეთ...

პაულამ ზიზღით აათვალისწინერა

ერთ წუთს ორთავეშ ერთმანეთს თვალი-ფურს გაუ-
ყარეს, როგორც ხმალში გასყლის დროს მოპირდაპირენი
მახვილებს გადააჯვარედინებენ. მერე უცბალ პაულამ გაი-
ცინა და ჰკითხა:

— განა მამა მიხეილი ქალაქელი არ, არის!... ის
კონსისტორიის წევრია?.. თქვენი ნათლობა!

ბლალოჩინის ფოფოდიამ თვალები დაირგვალა, პირი
დააღო, მაგრამ კრინტიც ვერ დასძრა.

პაულა ახლა გამხდარ ფოფოდის გადასწვდა:

— თქვენ, დედაო, ეგრე საეჭვოდ რას იღიანებით?
თქვენი ქვრივი დიაკვანიც, თუ არა ვცდები, ქალაქელი
უნდა იყოს? წინადან არქიელის დასში გალობდა?

— ამ, რას ამბობ, დედავ! — ამ, რას ამბობთ? —
ლითლითებდა თავზარ-დაცემული, უერმიხდილი ფოფო-
დია, თითქო აჩრდილს უნდა თვი მოარიდოს, და მაგი-
დის ქვეშ შეძვრესო.

ბლალოჩინის მეუღლე წამოდგა.

— რა გინდგათ სთქვათ, დედავ?

— არათერი საიმისო! მხოლოდ ის, რომ თქვენც
ქალაქისაგან სასესხებელი არა გიჭირო-რა... თავს რად
იმდაბლებთ!

პაულამ ფოფოდიები ზიზღით აათვალიერ-ჩათვა

ლიერა და წყნარად მერჩე ოთახში გაერდა, საღაცკა-
ცები იყვნენ. უკანიდან ჩურჩულ-სისინი ესმოდა, შაგრამ
არაფრად ჩააგდო.

— გესლიანი!..

გარედან მალიმალ წკარუნი ესმოდა. პხალ-ახალი
სტუმრები მოდიოდნენ. დერეფანშე წამოსასხამებსა და
ქუდებს იხდიდნენ, მასპინძლებს ეამბორებოდნენ და ესაუ-
ბრებოდნენ.

— როგორი ბაზრობა?

— არის რაღა, რა უშავსა-რა!

— ხელნა მინდა ვიყიდო... ურმისა! უკან ეზოში
იყო და იქიდანაც-კი მოიპარეს გლეხებმა, აი, იმათ-კი...
ლაპარონ თავები!

— ჰო, ჰო! ეგეთი ხალხია.

— ეხლანდელი ხალხი უბედურებაა! ჰე, ჰე!

— რა ნამიანი ამინდია!

— არა გიშაგთ-რა! მოდით მაგიდასთან, გაგაშრობთ!

— საშრობი გქონიათ, მაშასადამე? ჰე-ჰე-ჰე-ჰე!

— უხუცესი მოვალს, უხუცესი! — ახმაურდნენ ჯერ
დერეფანში და მერე ოთახშიც.

— მხურვანთა წინაშე აღდგებოდე! — აამაღლავა ხმა
ერთმა მთავარმა.

მერე ორმა მთავარმა დიდის ამბით შემოაბძანა
ოთახში მოხუცი, რომელსაც თოვლივით გათეთრებული
თმა ხვად ლომსავით ჰქონდა გაბურდებული და წვერი
იაკობისებურად დაგდელებული. ის კოჭლობით მოდიოდა,
თხთქო ცალი ფეხი აღარ ემორჩილებათ. წარბეჭი აჰქონდ-
დაჰქონდა. დიდშუშებიან სათვალით ყველის აცქერდე-
ბოდა.

— მმანო, და, შამანოქ, ახალი ამბები მოგიტანეთ! —
სოჭვა მოხუცმა, რარბაისლურად და ბოხის ხმით, დივანზე
დივანზე დაბძანეს და გარს შემოეხვივნენ. მძღოლი
დეპუტატს უხუცესის ადგილი!
— რა, ამბები, მ. დეპუტატო?
— პირველი ამბავი — ფრიად საწყენ არსა: თქვენ
ყველანი იცნობდით თხაურელ მთავარს.
— დიალ, დიალ, როგორ არა! — ერთხმად დასხახეს
აქედ-იქიდან.. მერე, რა? ლოთობას ხომ არ გატაჭყა? თუ
მონასტერში უკრეს თავი?

მ. დეპუტატი ცოტა ზანს გაჩუმდა, რომ უფრო
აეშალა ცნობისმოყვარეობა, და მერე წარმოსთქვა:

— შეშლილა!
— გუშინ შემხვდა! — წადგა წინ პაულა. — შეუძლე-
ბელია!

— მერე, რა დროს ინებეთ მისი ნახვა?

— საათის ხუთზე!

— ჰო და... ათ საათზე სემინარიაში, მივიდა. და
ფანჯრებს ქვები დაუშინდა, რომლითაც ჯიბები ვაშოეტენა.
რასაკეირველია, დაიჭირეს... ის-კი ყვიროდა: გამიშვით!
მე მკვდარს ვესვრი გოგრაში! მაშ თვალებს რად აბრია-
ლებს? ეგ ხომ თვალიც არ არის, ორი ხართა შეგ
ორი ნაბშირი ჩაუდვია მოსაჩვენებლად, ყალბია! ცრუა!
— ეგ! სიტყვები წინადაც მოსწონდა! — ამოიოხრა
ერთმა მთავარმა.

— ჩვენ კრებაზე ვიყავით და სქიდან შინ მდვდიო-
დით, მე და მ. კვირიკე. ელექტრონი მშვენივრად ანა-
თებდა. ვხედავთ, ხალხი ვიღასაც დასდევს. მოედანზე.
მაღალ-მაღალი კაცი იყო, ხმელი, როგორც ტელეგრაფის

ბოძი, თავი დიდ სარცხს მტკუგავდა. ტანი თითქო კაბა საკიდელაზე წამოუკუვამორ. და ტრის, თამაშობს, ფითა დავით კიდობნისა წინაშე. ვხედავთ — მთავარია. მახტის მთუგარი, თითქო ვარსკვლავებს იქვერსო, და ყვირისა „ზვლები ღალადებენ... ხორცი გავიშერი. ა. ქვლები-ლა ყვირიან!“ აი, დაქწივნენ, უნდა ხელო სტაციონ, ის-კი გადახტება და სხვა ადგილს ხტუნაობს. თვალები უბრიალებს, ხელებს იქნევს, თითქო ფთები შეუსხმესო, და სულ ძვლებზე ლაპარაკობს ლოყებს იბერაჯს და თან წელს მოტყავს: „ბუმ-ბუმ!“

— მს იმავთავის სულ მინების ზარებსა რეკდა! — იონ ხუნჯა ააბორელმა.

ყველას გაეცინა, პაულას გარდა, რომელმაც თავი ცოტა მაღლა აიღო და შეუკრად წარმოსთქვა:

— სამაგიეროდ, შვილებს არა სთესდა და ფეხ-იქ არა ჰეთანტავდა: რაც-კი ჰყავდა, შესატერად ზრდიდა.

ააქ ყველამ ჯიბიდინ ხელსახლცები აშოაცოცა, თითქო ყველას ურთბაშად სურდო გაუჩნდაო.

— მეორე ახალი აშბავი-კი, ძმანთ ჩემნო, სასამოქნა ხასიათისაა! — მოუჩქარა მ. დეპუტატმა და სქელ წარბეჭ ქვეშიდან პაულას გაბლვირა. — გუშჩ, კრება რომ თავდებოდა, ამის გამო მეუფემ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. განზრახვაა, რომელიც უეპველად შესრულდება, რომ, მთავრობის ნებით ყველა სკოლები სასულიერო უწყებას უნდა გადასცენ.

— აქ სულ სხვადასხვა-ნაირად აშმაურდნენ?

— გუნდა შესაძლებელია?

— ტყუილი იქნება? რაში ეტყობა?

— აი, ეგ კარგი საქმეა!

— შაგრამ, უნდა იკორექტი... უშეძლაც თავისი საღარ-
ღელი აქვა!

— დორო, დორო! დოდი ხახჩ, ფერე უნდა მომხდა-
რიყა!

— თანჭუუგრძნობთ, გულით თანსუუგრძნობთ!

ერთმა მთავარმა ჯერ ვერა გაიგორა. შერე ჰითქო
მთხველა:

— მაშ, როგორ? რაო? მაშასაღამე, ჯამაგირსაც
მოგვცემენ?

საიდგანლაც მ. მათეც მოცოცდა და წინ წამოდგა.

— მაშა სილიბისტრია! ნუთუ ეგ შართალია?

— განზრახულებაა!

— თქვენ დაუფიქრდით: უფ ხომ საოცნებოა! ეგ
დობდის, წარსულის მობრუნებაა! წარსული მომავლად
გადიქცევას ეგ პირველი რაზიჯია თეორიატიშვილმა... მე
მაგას ვნატრობდი და მრწამს კიდეც, რომ განზრახვა
განხორციელდება!

— უველა ლთახში ხმაურობა ასტყრდა. ემ ახალში ამბავში
უველა აალაპარაკა...

შიროვნობადოვის მოსელაც-კი უურავინ შენიშნა.
მხოლოდ ბლალოჩინი მიეგება დერეფანში და ივან შთელმა
მთავარმა მოწიწებით კალოში გაახდევინა.

— კარგა ხანია, ალარ მინახევსარო, კარგა ხანია! —
ალერსითად ეუბნებოდა ბლალოჩინი ალექსანდრას, რო-
მელიც შამას მოჰყოლოდა, — თქვენს ნახვას დაგვანატრუ-
ლეთ!

— შართლა? — გაიღიმი ალექსანდრამ. შერე აწით
ლებულის ლოკებით ბლალოჩინის შვილს მიუბრუნდა და
ამხანაგურად ხელი ფარწოდა.

ეს იყო „შუატანის ჰაბუკი“, გამხდარი, ცოცხალი და მოუსვენარი. სახის გამომეტყველება ჰკვიანური, და დამ-
ტინავი ჰქონდა, თვალებს სათვალე უმაღვდა. სტუდენ-
ტის გახუნებული ტუქური ეცვა.

შიროკოზადოვი მ. ივანემ მიიწვია „სხეულის მოსა-
მაგრებლად“ და, ისიც სიამოვნებრთ მიჰყვა.

— ბასილეთელების საქმე როგორ არის? — მოწიწე-
ბით ჰკითხა ერთმა დაღვრემილმა და შავმა ხუცესმა, —
ამბობენ ხვალ სასამართლოში მიჰყავთ და აქედ გამოატა-
რებენო?

შიროკოზადოვი თავის ამღვრეულის თვალებით და-
აცქერდა და მერე ლეპით უთხრა:

— მილიონი, მიწაში ჩაფლული, აგამოუსადევარია. შენ იპოვე, ამოსთხარე და ხელო-იგდე! გლეხი-კი რა!
თივაზე წევს, თითონ არა სჭამს და სხვებსაც ჰყეფს!

— ჰეშმარიტებაა! — წელში მოიკაკვა ხუცესი..

შიროკოზადოვმა ამღვრეული თვალები არ მოაშორა,
რის გამო ხუცესი. როგორდაც უხერხულად გრძნობდა
თავს.

— თქვენ ვინ გითხრათ, რომ ხვალ გაატარებენ? —
ჰკითხვა შიროკოზადოვმა.

— ამბობენ.

ჰიქები დასცალეს, მამა ივანემ, ჰიქა რომ გადააყირავა, ალექსანდრას,
მოჰკრა თვალი, რომელიც იმას უყურებდა, და შერცხვა.

— მგონი, ვაკარბები! — წაიბუტბუტა, მაგიდას მო-
შორდა და ფანჯარას თან დადგა, სადაც იმას სტუდენტი-
სა და ალექსანდრას ლაპარაკი ესმოდა.

— რის მაქნისია ამდონი კამათი და განხეთქილუბა;

— ამბობდა ქალი, — მეტადრე ამ საშინლად გასაჭირ და აუტანელ დროს, როდესაც საერთო საქმისთვის ყველანი უნდა გავერთდეთ. განა ჩვენ ყველანი საერთო მომავლისკენ არ მივისწრაფით? განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ზოგს იალქნიან გემით უნდა სიარული, ზოგს კი ორთქმავლით... მთელი უთანხმოება ამაზეა აშენებული:

— არა, ალექსანდრა, უკაცრავად! თუპასთხებდა სტუდენტი, — ჯერ ერთი რომ... ორთქლმავალი პირდაპირ და განსაზღვრულ სისტრაფით მიღის ნაპირისკენ, გზას არ ასცდება, არ მიუხვა-მოუხვევს; იალქნიანი გემიკი ქარისნებაზე დადის. ან რისთვის უნდა დავემორჩილო იალქნიან გემის მეზღვაურებს, რომლებიც ცდილობენ შორეული მხარე დაიპყრონ და იქ სამაგალითო სამზარეულო ააგონ, რომ შემწვარ-მოხრაკულები იმზადონ და შეექცნენ. მე საუკეთესო შემწვარ-მოხრაკულებისა და მეზღვაურთათვის-კი არა ვშრომობ, არამედ საერთო იდეალისთვის, კაცობრიობისთვის!

— ჩვენ ყველანი კაცობრიობისთვის ვიღვწით! — უთხრა ქალმა.

— დიალ, და ეგრეც უნდა იყოს, — მტკიცედ წარმოსთქვა, ვაუმა; — და უნდა განვაერთოთ ზოგადი ჩვენი სიყვარული და ზოგადი მძღვარება.

ვაუ ცოტა ხანს შეჩერდა.

— ვინ იცის, — სთქვა შემდეგ ჩატიქრიბულმა, თითქო თავისი მომავალი წარმოიდგინაო, — ამ შემოდგომას ვნახავთ კიდევ ერთმანეთს, თუ არა...

ქალის ზელი უნებლიერ წაფათურდა, ვაჟის ხელი

იპოვა და თითებზე მოუჭირა — ეს საიდუმლო ფიცი იყო. ამავე დროს მისი თვალები ისე ხარბად შეჰყურებდნენ ვაჟს, თითქო შორსა და საშიშ მხარეს ისტუმრებენ და მისი სახე დრმად უნდა შთაიბეჭდონო.

მ. ივანემ შორიდან დაატყო, რომ ქალს უყვარს ვაჟი და ეს სიყვარული აშკარაა, წმინდა და მასთან მწვავე... მერე მიუახლრედა.

— რაზე ცხარობთ?

სტუდენტმა მძულვარედ შეხედა, ალექსანდრამ-კი გაულიმა.

— ჩვენ იმაზე ვლაპარაკობთ, რაც ჯერ არ არის.

— მომავლის სიმღერებზე? — ლიმილით უთხრა მ. ივანემ.

ქალმა გაიცინა და თავი დაიწნია.

— აბა, თქვენ რა უნდა იცოდეთ მომავლისა, მაგისთანა ნორჩიმა! — გაეხუმრა მ. ივანე. — გიყურებთ და... გარეგნობით თითქო მშვიდი და წყნარი ხართ, გულშიკი... ცხელებაა!

— მერე ეგ ცუდია?

მ. ივანემ ჯერ გაილიმა. და ცოტა ფიქრის შემდეგ უპასუხა:

— არა, ცუდი რად იქნება! ვაი იმას, ვინც არც ცხელია და არც ცივი!

— ჩვენს დროს, როდესაც საერთოდ აზრი ირყევა და დაუდგრომელია, — წრიპინით მცერმეტყველებდა ვიღაც, — ჩვენს უბედურს საუკუნეში, როდესაც ურწმუნოება, გენიოს მწვალებლების დანერგიით, მთლად ინტელიგენციას გაუჯდა და, მის დახმარებით, ლამის ჩვენს მართლმადიდებელ ხალხსაც მოედოს...

მამა ივანემ მიიხედა.

— ჩენი აბდა-უბდა ყველგან გადასკუპდა!.. ჰეროვან მქერმეტყველი მამა მათე ბძანდებოდა, რომელსაც დიდი ჯვუფი შემოხვეოდა.

დივანზე, ჩაის მაგიდასთან, ქალატოდის მოთამაშეთა ახლო, ბსხდნენ ბლალოჩინი და დეპუტატი.

ბლალოჩინი ისე ბებერი არ იყო, როგორც კაცს უფრო უფროვოდ გაჭარავებოდა. სახე აბურ-ცებოდა.. თვალები ჭკვიანური ჰქონდა, მაგრამ მოუსვენარი, თითქო რაღაც ვარამსა და სევდას თავისი კვალი დაუჩნევია. როცა სხვა ლაპარაკობდა, ის სულ გაჩუმებული იყო. სახე-კი ულიმოდა. ხანდისხან ეტყობოდა, რომ ეს ლიმილი მხოლოდ ნილაბი იყო. ხანდისხან თავის ფიქრს მიეცემოდა, ლიმილი თანდათან გაეფანტებოდა, სახე ეჭმუხვნებოდა, თვალებში თითქო სიმკაცრე იხატებოდა, და ამ დროს ბლალოჩინი გიცხა ჰგავდა. მაგრამ გონს მაღავ მოდიოდა, და სახეზე ისევ ლიმილი გამოეხატებოდა. მაშინ ის რამე სიტყვას ჩაურევდა ლაპარაკში, თითქო დიდის უურადღებით უსმენდა მოლაპერაკეს. ზან თურმე უკლესიაშიც ისე გაშტერდებოდა, რომ აღარა ესმოდა-რა. მაშინ მისი მთავარი ფეხის თითებზე შეიპარებოდა საკურთხეველში და შეანძრევდა:

— მამაო, ასამალლებელი!

საბლალოჩინოში უყვარდათ, მეტადრე მთავარ-დიაკვნებს. ყოველ უთანხმოებას მორიგებით ათავებდა. როგორც სკოლების მეთვალყურე, დიდ მხნეობასთა და მზრუნველობას იჩენდა. მაგრამ ბევრს ლაპარაკობდნენ იმის თჯახურ საქმეებზე და ბევრს ახსოვდა მასწავლებელ ქალის ისტორია, რომელმაც მეუფებამდეც

მიაღწია. ქალი სადღაც მიყრუებულ კუთხეში გადაიყვანეს და იქ მომკვდარიყო. მას აქედ ბლალოჩინს სმადაუწყია და კომპანიებს შესჩევევია. მისი მოგზაურობა საბლალოჩინოში განუწყვეტელი დღესასწაული. იყო თუმცა თვით ის მცირე მონაწილეობას-და იღებდა ქეიფში და უფრო მღიმარე აჩრდილს ემსგავსებოდა, მეტადრე მას შემდეგ რაც ერთ გლეხთა პროცესის შემდეგ მისმა შვილმა, პროცესორის ამხანაგმა ძველეთში, თავი მოიკლა.

ამ საღამოს ჩვეულებრივი ღიმილი ბლალოჩინის სახეზე უფრო მაღიმალ ჰქონებოდა, ყველა ატყობლა, რომ ის მოუსვენრად არის, რაღუ აწუხებს. მთავარი სეკოროვი, წითელ-ფაფრიანი და წირპლიან-თვალებიანი, ყოველთვის ბლალოჩინის ახლო დატრიალებდა, როგორც მისი მდივანი და მორჩილი. იმან შენიშნა, რომ ბლალოჩინს ხელი უკან კალებდა, როდესაც კოვზით გაციებულ ჩაის ურევდა; თვალებს-კი სულ შვილს აყოლებდა, მაშინაც-კი, როცა დადიოდა ან ელაპარაკებოდა ვისმეროდესაც სტუდენტი კარში გავრდოდა, მამა უფრო აშფოთდებოდა.

ლაპარაკის საგნად ახალი ამბავი გაუხადნათ. ამიტომ ყველა ცინის გარშემო შეჯგუფილიყო. მამა ივანეც რა მივიდა. მხოლოდ ერთი შიროკოზადოვი არ მოშორდა საუზმის მაგიდას და იქ კერპისავით გაშეშებულიყო.

— ჭეშმარიტად; — ლალადებდა მ. მათე; თანამედროვე იერუსალიმი, რომელ არს ქრისტეს საყდარი, რაოდ დენადმე შერყეულ და შელახულ არს. მულები და ტურები ლაძრწიან მის კიდეთა შორის, რომელთაც ათას, წელთა ხავსი მოჰკიდებია. დამურები სთხრიან კოშკებსა

და გუმბათს და ლამობენ სრულიად გაანაღგურონ... და შორს ისმის გოდება იერემიისა... რამეთუ მოსულ არს დრო, ოდესცა აღიჭურვებიან ნაშობნი ჯოჯოხეთისანი, რათა შემუსრონ საყდარი!.. ოდესცა გამწვავდების ბრძოლა კრავსა და ვეშაპს შორის!

მამა მათე თავის საყვარელ რაშს მოახტა და თავ-დაუჭერად მიაჭენებდა უდაბნოთა ურწმუნოებისათა, ნან-ჯრევთა სარწმუნოებისათა და დაულალავად მიპქროდა აქით, სადაც თეოკრატიის სამეფო ეგულებოდა:

— რამეთუ რას ვხედავთ გარემოს ჩვენსა და პირ-სა დედამიწისასა? — იკითხა პაწაწა წელების პარკუვითა და პატარა სახის მოქმედვნით. — ინტელიგენცია იქ... უგრედ წოდებული... მოქალაქობრივი კლასი... ათეიზმი, ვოლ-ტერის ლვიძლი შვილი და, თუ არა, უსახო. პანთეიზმი შაინც — აი მისი სარწმუნოება! ტოლსტოველები... სო-ციალისტები, ანარქისტები. უარმყოფელნი ქორწინებისა და სახელმწიფოსა. ღმერთთა ღვთისა და შემოქმედისა მაგიერ, ვინ დაუმკვიდრებიათ საკურთხეველსა შინა?.. შეშლილი ფილოსოფოსი ნიკიშე, ანუ პოლიტიკურთა პურჯთა დამარღვეველი, რომელ არის გერმანელი ებრა-ელი მარქისი.

მ. ივანემ იგრძნო, რომ პაული მის აცქერდება. ეს პირველიად არ შენიშნა ამ საღამოს. ქალმა რავდენჯერმე თვალი თვალს გაუყარა გამედულად, მოუსვენრად, რა-ლაც ახალ გრძნობით, რომელიც ერთსა და იმავე დროს აშთნებდა, იზიდავდა და აოცებდა კიდეც. და მიაპყრობ-და თუ არა ქალი თავის გამგმირავ თვალებს, მის გულ-ში რაღაც ატოკდებოდა, თვალებს ბინდი გადაეკუროდა,

და შეშფოთებული მ. ივანე აქეთ-იქით ქურდულად შე-
ხედავდა მეზობლებს, ხომ არა დამატყეს-რაო.

მ. მათე-კი კვალად მიაჭინებდა და უცხო სამფლო-
ბელოშიც გადასულიყო.

— აი, საფრანგეთში სამღვდელოებას სდევნიან. იქ
მართალია, კათოლიკეთა შავი რაზმი დამკვიდრებულა-
მაგრამ ამ დევნულობაში მაინც ინტელიგენტთა კალიე-
რება ჩხატება. ისტორიული ღვაწლი დავიწყებას მისცე-
მია. ღვთისა მსახურნი, სიმართლის მატარებელნი, სკო-
ლებიდან განიძევებიან, ჯვარსა სასამართლოდან განიტა-
ნენ.

ფანატიკურის გატაცებით ხელი აღაპყრო და დაი-
ძახა:

— და გაუქმებულ იქმნება საყდარი მათი! ეს არს-
ნიშანი დროისა, ოდეს ანტიქრისტე აღამალლებს თავსა-
თვისსა! ხოლო ეს ყოველი უცხოსა, ნახვარად კერპთ-
თაყვანისმცემელთა სახელმწიფოში არს! და რასა იქმან
ჩვენი ცრუმზრახველნი? ესენიცა ღალად ჰყობენ! აღი-
ღებენ თავსა თვისსა და იწყებენ დევნასა სკოლისა და ეჭ-
ლესისისასა! გესმათ თქვენ, რაი მოიმოქმედა ერობამან
ტვერისამან? და არა ეს არს მარტოოდენ.... ხოლო არა
ჰერი ხუმრობა და ძრახვა უფლისა! და ერობამან ტვერი-
სამან უკვე განიცადა. რისხვა. და ფრანგნიცა. განიცდიან.
რამეთუ, თუცა ძლიერ არს ანტიქრისტე, ხოლო შებორ-
კილ და დამხობილ იქმნების! ძლიერ არს ღმერთი ჩვენი!
— „რომელ არს ღმერთი ძლიერ, ვითა ღმერთი ჩვენი!“
— წაიგალობა ფიქრებში გართულმა მ. სილიბისტრომ და
თან მაგიდაზე თითები აათამაშა.

მთავარმა სეკიროვმა განაგრძო:

„შენ ხარ ღმერთი, რომელ იქმოდი სასწაულს“.

ამ დროს უნებლივედ ხმამაღლა დაასლოკინა მ. თაბორელს, რომელსაც ლვთისა ძალიან ეშინოდა.

ყველას გაეცინა.

— მოძღვარს, ეტყობა, „ამინ“ უნდა ეთქვა და ვერ მოუხდა! — წაეჭომაგა ზიგზაგინი მ. თაბორელს.

— ნუ ცრუობ! — უთხრა თაბორელმა — ეგ გვამსა ჩემსა შინა რომი შეეჯახა ქადას.

მ. ივანემ ჯერ გაფუებულ თაბორელს შეხედა და მერე ისევ პაულას თვალთა ძეგრა იგრძნო. ქალი ისე გატაცებით უყურებდა, რომ მ. ივანეს სახე აუჭითლდა და გული თითქო მოსწყდა და გაღმოუგორდა. თითქო ქალი იმდონ ხალხში სხვას ვერავის ხედავდა. მ. ივანემ ამოიოხრა და თვალი მოარიდა. გამოურკვეველმა გრძნობამ გონება ბურუსში გაუხვია.

— რას მომჩერებია?.. თითქო მე... მომეკლას ვინმე...

მ. მათე, მსმენელთა ყურადღებით გამხნევებული, ყველაფერს ამხობდა, საძირკვლიანად სთხრიდა, მიჰქროლავდა სივრცეში და ვილასაც საბრძოლველად იწვევდა.

— მართლ-მაღიდებლობა! თვითმპურობელობა! ეროვნება! აი, სამი ქვაკუთხედი ჩვენის ცხოვრებისა. და მათ შორის მართლ-მაღიდებლობა პირველ არს. რამეთუ ვინ შეაგროვა გაფანტულნი ცხოვარნი და ვინ დაამკვიდრა თვითმპურობელობა? სარწმუნოებამ! ვინ გარდაქმნა მრავალნი თემნი დიად ერად? მან! რუსეთი მარად ყოფილა მართლმადიდებელ რუსეთად და იგია მისი ძალა, მისი ჯიდება, მისი სიწმიდე, მისი უპირატესობა უცხო ერთა წინაშე. უძლეველ და მორწმულ, თავზარდამცემ იყო იგი შინაურ და გარეულ მტერთა ზედა, ვიდრე მისნი მონასტერნი

მნათობლობდენ, ვიდრე მათ შინა ბრწყინავდენ მზენი სარწმუნოებისა, რომელ არიან პატრიარქები! ცისკარი ჭეშმარიტის მეცნიერებისა, რომელ არს წყარო სარწმუნოებისა და ძლიერებისა, ეკლესიის სასწავლებელთაგან მნათობლობდა. და, აჰა ესერა, მივეგებები განზრახვასა უმაღლესისა მთავრობისასა, ვითარმედ საერო სასწავლებელნი სამღვდელოებას უნდა გაღმოგვეცეს. ჩვენ უკვე გვეკუთვნიან იგინი უფლებათაებრ ისტორიისათა! არა თუ დაბალი სკოლები, არამედ... გიმნაზიები და უნივერსიტეტებიც ჩვენ მფარველობასა და მზრუნველობასა ქვეშე ენდა იმყოფებოთნენ...

— მომითმინეთ! — მოისმა მკვახე და ირონიული ხმა. — თქვენ სამღვდელოების სახელით ქადაგობთ, თუ მხთლოდ თქვენთავად?

მ. მათემ მიიხედა.

სტუდენტი ფეხს მიჰყუდებოდა, ზურგს უხახუნებდა, ოდნავ ირხეოდა და ისე ლაპარაკობდა:

— თუ სამღვდელოების სახელით, — მე დარწმუნებული ვარ, საუკეთესო ნაწილი სამღვდელოებისა თქვენს სიტყვებს უარპყოფს, და, თუ პირადად თქვენს აზრს ამბობთ, მაშინ მაგისტანა სიტყვები, ღვდლის ბაგეთაგან წარმოთქმული, გასაკიცხია! თქვენ ჩირქსა სცხებთ საუკეთესო მოღვაწეებს, თქვენ გინდათ წაართვათ, რაც ოფლითა და სისხლით მოუპოებიათ, რასაც მწარე ჯაფითა და ვაებით ჰქმნილნენ იმ ღროს, როდესაც თქვენ ქადებსა და ბეჭებს აგროვებდით, დატაკ მონებს არბევდით, რომელთაც თქვენვე ცხვრებს უწოდებთ...

თვის სიტყვებმა სტუდენტი თითონვე გაააღმასა:

— თქვენ ცრუ-მოძღვრები ხართ, მატყუარები!

თქვენ მონურ ხელებით რათ ეპოტინებით სკოლებს? თქვენ რა უნდა ასწავლოთ? გონების ბორკილი თქვენ ციურ ჭეშმარიტებად მიგაჩნიათ! ცხოვრების საზიზღარი სიცრუე—უმალლეს სიმართლედ!

მ. მათე აიბურძგნა და წრიპინით წამოხტა;

— მოითმინეთ!

— მიტრო, მიტრო! — შეშფოთდა ბლალოჩანი. — მე ხომ გთხოვე... შენ ისევ...

დივნილან წამოიწია და ჩაით სავსე ჭიქას ხელი ჰკრა.

— არ შემიძლიან, მამა ჩემო! — დაიძახა სტუდენტმა: მაგისტრა სიტყვებს რუგორ არ გავცე პასუხი? სამარცხვინოა!

მ. მათე ყოყლოჩინაობდა:

— მომითმინეთ!

მაგრამ აქ თვით სამღვდელოება აიშალა. ფართო სახელოები აფრიალდა, თითქმ ქარმა დაპბერა, და თვით მოძღვრებიც დაპროწიალდნენ.

— მართალია, მართალი! — ყვიროდნენ ახალგაზდები: ჩვენ მაგას არ ვეტანხმებით!

— ეგ ფანატიკოსობაა!

— ჩვენ ჩვენს საქმეს ვაკეთებთ, ერის კაცნი — თავისას! ჩვენ რაოფონ ჩამოვიშორეთ ინტელიგენცია ჩვენის უდიერობით!

— მერე განა მატყუარები ვართ?

— მოითმინეთ, მოისმინეთ!!

— მამა სავლე, ნუ ცხარობთ!

— მართალი ხარ, მ. მათე!

აბლი მ. თაბორელი წამოდგა და სთქვა:

— რაც წართმეულია, ის უნდა დაუბრუნდეს. ეს ნამდვილი ჭეშმარიტებაა! ის კი, ვითომეც ჩვენ მატყუა-

რები ვიყოთ, ეს... ეს... თქვენის მხრივ, დიმიტრი, კარგი არ არის... შეუსაბამოა! რადგან თქვენ თითონ შთამომავლობით, ესე ვთქვათ... იესეველთაგანი ხართ! ძალიან გასაოცარია თქვენი სიტყვა ამ სახლში, მარად კეთილწესიერში...

მ. ივანე ყურადღებად იყო გადაქცეული, ვნახოთ, საქმე რით გათავდებათ.

მოუკრეფავში გადატოპა მ. მათემ! — ფიქრობდა თავისთვის:

ამ დროს ვიღამაც სახელო დასწია. ის შეკრთა და მიბრუნდა.

პაულა თვალით ანიშნებდა, გამომყეო.

ისიც გაჲყვა.

გაიარეს დერეფანი. აქ მ. ივანეს ძალლმა სველი ცხვირი მოუსვა ხელზე და დასუნა. პაულა სადღაც შესხლტა. მ. ივანეც შეჲყვა.

საკუჭნაო იყო.

იქ ვიღაც ცხოვრობდა, რადგან კუთხეში ჭუჭყიანა ლეიბი იყო გაშლილი და იქვე, წითელ სკივრზე, ჩამტვრეულ შუშებიანი ფანარი იდგა. შიგ ჭრაქი ღდნავ ბუტავდა. თახჩებზე საცერი იყო და ცხრილი, კვერცხით სავსე. აქ-იქ მატყლი დაეგროვებინათ. ჭრაქის შუქი თრთოდა და დიდ ქილების ჩრდილს ათამაშებდა. შმორისა და საჭმლის სუნი იდგა, უფრო-კი ლორისა.

— რაღაც საიდუმლო გაქვს სათქმელი! — სთქვა მ. ივანემ.

პაულა ახლო იდგა და ქვემოდან ზევით შეჲყურებდა. ჭრაქი ხან გაუნათებდა სახეს, ხან დაჩრდილავდა. თვალის გამომეტყველება ისევე უცნაური ჰქონდა, როგორც

წელან თთახში—სახიფათო და მიმზიდველი. და ამ წყვდი-
აღში მ. ივანე თითქო პირველად დაანახა ეს ქალი, მისი ამომჯდარი მკერდი, მოელვარე თვალები, ნაზი და
სანდომი სახე.

ისრის წვეტმა გულს უჩვლიტა, თუმცა ნაზად და
მსუბუქად.

უნებლიერ უკან დაიწია.

— რაო?

ქალმა სწრაფად, თითქო უგონოდ, მისკენ მიიწია.

— ნება მომეცი...

— რაო?—გაიმეორა მ. ივანე და თან გრძნობდა,
რომ დუნდება.

— მე შენ ისე... შენ ისე... პატივსა გცემ... ნება
მომეცი... სულითა და გულით... ერთხელ გაკოცო!

— ეგ რამ გაფიქრებინა!—უნდოდა ეთქვა.

მაგრამ უთხრა:

— მერე... რა!

ქალმა ოდნავ შეჰკივლა, ახტა, კისერზე ჩამოეკონ-
წიალა და მის ტუჩებს ხარბად დაეწაფა, თითქო დიდი
ხნის უინი უნდა მოიკლასო.

— მეტი აღარ შემიძლიან!.. აღარ შემიძლიან!..
თრთოდა ქალი მ. ივანეს მკერდზე: მე შენ... მინდა
მიყვარდე!.. მე... შენ... მიყვარხა! გმირო! შენ გმირი
ხა!

და ეკეროდა, უერთდებოდა, მასთან შეზავება უნ-
დოდა, მის სიმძლავრის ნაწილი უნდა შეესვა, რომ თითო-
ნაც ძალა მომატებოდა, გამხნ ევებულ-გამძლავრებულიყო...

და ამ ცხოველმა გრძნობამ, რომელიც მ. ივანეს
არაოდეს არ უგემია, ელექტრონის ნაკადულსავით, სწრა-

ფად დაუარა ტანში, ცეცხლის ალი ჩაპერა, აანთო მისი ჰელი-გონება, აზრი, ეჭვი, შთანთქა მისი წარსული და აწმყო. სიხარულისა და უზომო ნეტარების კარი გაეღო, უცნაურმა შუქმა დაუბნელა თვალები. რაც-კი რამ მასში აქამდე უხილავი და უგრძნობი, საიდუმლო ძალა იფარებოდა, ეხლა სულ თავში აუვარდა... აგუზგუზდა, ალაპლაპდა. ერთი ისუნთქა და მტირალ ქალს თვისი მძლავრი ხელები ჟინით მოხვია, დათვისავით მიიზიდა, შიიკრო გულზე, ჰკოცნიდა მთრთოლარე ბაგეში, წუწნიდა მის ცრემლს.

— წავიდეთ! წავიდეთ! — ეჩურჩულებოდა ქალი.

— წავიდეთ! — იმეორებდა ისიც, თავდავიწყებული:

იმას ეგონა, რომ მუდაშ უყვარდა ეს ქალი. არ ყოფილა წუთი, როდესაც არა ჰყვარებოდა.

— შენ ლონიერი ხარ!.. ძალოვანი! — ჟინით ამბობდა ქალი. — წავიდეთ... მიატოვე ყველაფერი!.. აქ ჩვენ უცხონი ვართ! შენცა და... მეც!

— მეც! — ამოიძახდა ისიც ჩაბახილს.

— ჩვენ უკეთესად მოვაწყობთ ცხოვრებას! ჩვენ ყველაფერს მოვახერხებთ! აქ რად უნდა გვეხუთებოდეს სული? რად, რისთვის? განა შენ არ გიშუხს სული? განა შენ არ გინდა მოიშორო?

— ვინ? — გამოურკვეველის შიშით ჰკითხა მ. ივანეშ.

— ანაფორა!!

ის გონს მოვიდა, გამოერკვია.

ჯაფითრდა და ქალს ხელი ჰკრა.

მთელი მისი წარსული აეშალა, შეებრძოლა.

— გამიშვი! შენ გადარეულხარ! დაგვიწყებია, ვინა ვართ, ან მე და ან შენ!

და ისეთი სიტყვა ახალი, რომელიც ამჟამად მისმა
წოდებრივმა წარსულმა წასჩურჩულა:

— ბაბილონელო დიაცო!..

როგორც ნამშინარევი, ხელფეხის კანკალით, შევიღა
მ. ივანე სასტუმრო ოთახში და დაიწყო წინდაუკან სია-
რული. არ, ესმოდა და არ ამჩნევდა, რომ იქ რაღაც
ცუდი ამბავი იყო.

ქალალდის მოთამაშეები წამოღვნენ.

— მიტრო! მიტრო!

შეილი მამას ყურს არ უგდებდა.

არა, არა, ის ვერ გაჩუმდება, იმან უნდა სთქვას,
რაც სათქმელია, მოვალეა თავპირში ახალოს მწვავე სი-
მართლე.

— ახალი ცხოვრება აგვით დედამიწის ზურგიდან!

— ყვიროდა გაშმაგებული. და მ. მათეზე უთითებდა. —
მხოლოდ ისტორიაში-და დარჩება შავი ფურცელი! თქვენ
მარილი-კი არა... ტალახი ხართ! თქვენ საფრანგეთზე ლა-
პარაკობთ და უდარებთ თქვენ თავს დასავლეთის სამღვდე-
ლოებას... თქვენ მაგ შედარების უფლება არა. გაქვთ.
დასავლეთის სამღვდელოება ნასწავლია, განათლებული!
კათოლიკეთა სამღვდელოებამ შეჰქმნა მეცნიერება, ხე-
ლონება, მწერლობა, ჩაუყარა საძირკველი. ესლანდელ
მოქალაქეობას, ცივილიზაციას! ეს დიდი ღვაწლია! აბა,
თქვენ რა ღვაწლი მიგიძლით? რითი მოგაგვთ თავი? იმ
დამცირებულ და დამდაბლებულ მდგომარეობით, რო-
მხლშიაც იმყოფებით საუკუნოთა განმავლობაში? იმით,
რომ ემსახურებით ძლიერს უძლურისა და დავრდომილის
წინააღმდეგ? თუ იმით, რომ დაგვიწყებიათ მოვალეობა,

მოციქულთა ზნე-მოძღვრება, ყოველი თავმოყვარეობა ჭ
სინიდისი?

— ეს რა არის? — იქნევდა ხელებს გაალმასებული
მ. მათე: ეს ხომ ღვთისაგან განმტკიცებულ ცხოვრების
კიდეთა შერყევაა... გმობა!

— მიტრო! გთხოვ! — ეხვეწებოდა ბლალოჩინი.

— დიმიტრი! თქვენ თითონაც ხომ სასულიერო
წოდების კაცი ხართ! — უთხრა წარბების თამაშით გ.
სილიბისტრომ.

სტუდენტი ახლა იმას მიუბრუნდა, გაბრაზებული:

— მერე, თქვენა გვინიათ, მე ძალიან მესიამოვნება,
ამას რომ ვამბობ? მე გული მტკიცა!.. ჩემშიც თქვენი
სისხლი ტრიალებს... მემკვიდრეობითი. ჩვენ წინაპართა
ხმა მალაპარაკებს, თქვენ უძველეს წინაპართა, რომელთაც
ხალხი მონობიდან გამოჰყავდათ, მეფებს პირში ამხელ-
ლნენ, მართალს ეუბნებოდნენ, საპყრობილეებისა არ
ეშინოდათ! სადღაა ის ღვთაებრივი გამაპატიოსნებელი
სული თქვენი წინაპრებისა? სად არის ის მარილი?

ხმა უწყდებოდა. სუნთქვა ეკვროდა.

— თქვენს კუუასა და სინიდისს ბორკილი აქვს
შეყრილი, რომელსაც თქვენვე ემთხვევით უძლურ მუხლს
იყრით თქვენის დამაპატიმრებლების წინაშე.

— დიმიტრი, მათქმევინე!..

— თქვენ მონები ხართ. და გინდათ სხვებიც და-
მონაოთ. მაგრამ სულს სამუდამოდ ვერ მიაძინებთ — ის
გაიღვიძებს... და გაიღვიძე კიდეც, გამოფხიზლდა. სული
თავისუფალი, ამაყი, ძლიერი, მძლეულა-მძლე. და და-
ცვივა ჯაჭვი, თქვენი ჩაუანგებული ბორკილი! .. თავი-

სუფლების ჭეშმარიტი მქადაგებელნი მოვლენ... თქვენ-კი
წყვდიადში გადიკარგებით.

— არა, ეს მეტის-მეტია, მა ბლალოჩინო! — დაი-
წრიპინა მ. მათემ და ყველამ დუღუნით მხარი მისცა:
ამნაირად მხოლოდ ცნობილი მწვალებელი და ეკკლესიის
მტერი ლაპარაკობს, ტოლსტოი.

სტუდენტი ეცა მაგიდას, აივსო ჭიქა და წარმოსთქვა:

— დღეგრძელ იყოს... ლევ ტოლსტოი!

თითქო ყუმბარა შეუგდეს სამღვდელოებას.

ოთახი ახმაურდა, აყაყანდა, აიშალა, აყვირდა.

თაბორელმა სათამაშო ქალალდი დაანარცხა და გა-
ნაცხადა, მე ეხლავ აქედან მივდივარო. სადაც ასე ჰკი-
ცხავენ სამღვდელოებას, იმას, როგორც ღვდელსა და, მე-
ტადრე, სასულიერო გამოშხიებელს, დარჩენა არ ეკად-
რება და არც შეუძლიან.

ბლალოჩინი თან შეილს ეძებდა თვალით და ბუტბუ-
ტებდა — მიტრო, მიტრო! ეგ როგორ შეიძლება! — თან მ.
მათეს სთხოვდა დარჩენილიყო და ყმაწვილის ლაპარაკი-
სთვის ყურადღება არ მიექცია.

— ახალგაზღობად! რას იზამ? ჩვენ, მოხუცებმა,
უნდა შევუნდოთ.

მაგრამ მ. მათე სულ გადარია. ამ სიტყვებმა.

ჯერ ერთი, აბა სადაური მოხუცია...

— აქ საერთო მღელვარება ერთბაშად სიცილ-ხარხარუდ
გადაიქცა. ერთმა მთავარმა ოთახი შემოიარა და ყველას
ეუბნებოდა:

— არ დაბერებულა! შეი-ში-ში! ეს მართალია: ამა-
ში-კი ბევრი დაემოწმება, მეტადრე იმის სამრევლოში.

— დაღუმდი! — გაჯავრებით შეაწყვეტინა ხმა მთა-
ვარმა სეკიროვმა.

— ძმანო! — ეხვეწებოდა ბლალოჩინი: განვაგდოთ
კამათი და უთანხმოება! გოხოვთ, მამებო, სუფრას მო-
უსხდეთ!

— სადა არს სასმელი და საჭმელი! — გაჭიმა სეკიროვმა.
თაბორელმა-კი დაუმატა.

— ტოლსტი *) პავლეს სადლეგქელო მიირთვით,
ეგეც ხომ აკრძალული არ არის?

სიცილი ასტყდა.

სუფრას შემოუსხდნენ.

X

ჰაერი შეკრული და ნამიანი იყო.

დედამიწას შავ-ბნელად რაღაც დასწოლოდა. ლრუ-
ბლები ნაკერ-ნაკერ ნელა მიიზლაზნებოდნენ ცაზე და
დედამიწისთვის ცვარს აღარ იმეტებოდნენ. მიწას-კი უხვად
ასდიოდა ოშეივარი, რომელიც ლამეს უფრო აბნელებდა
ბლალოჩინის სახლს ეძინა.

ფიჩხულისავით ერთი-ერთმანეთზე მიყრილი სტუმრე-
ბი ოხრავდნენ, კვნესოდნენ, ბოდავდნენ. თუმცა ყველას
ეძინა, სახლი მაინც ხმაურობდა.

მ. ივანეს სტუდენტის პატარა ოთახში ეძინა, რო-
მელსაც ერთი ფანჯარა ჰქონდა ეზოსკენ. ლვდელს ერთ-
ბაშად გამოელვიდა, შუოთვითა და ყვირილით. ოფლში
გაწურულიყო. თვალებ-დაჭუეტილი აქედ-იქით იყურებო-
და და ვერ გაეგო, საღ იყო. ფანჯარასთან მიედიდა, ლა-
ეყრდნო და თავი ჭარში გაჲყო. ჯერ ვერ გამორკვეუ-
ლიყო ტანში ცხელი სითხე უვლიდა, ძარღვები ებერე-

*) სქვლი, მსხვილი, განიერი.

ბოდა; თავს ტკუვიასავით შძიშე რაღაც დასწოლოდა... თან-
დათან გამოერკვა, გონს მოვიდა და მოიაზრა, რომ
ბლალობინისას იყო. პირდაპირ ქვიტკირით ნაშენი საჯი-
ნიბო იცნო. მოაგონდა, რომ იმ ღამეს სუფრას ძალიან
უმუყაითა. მერე ბაზარში უაზროდ დაყიალობდა, ეტ-
ლებსა და ფარდულებს შეა,—თითქო უნდოდა საღმე და-
მალულიყო და უფროუკი თავის თავს გაქცეოდა. დაღ-
ლული და დაქანცული დაბრუნდა, ფარდაგზე გაწვა და
სცდილობდა დაეძინა... თითქო ისიც ახსოვს, რომ აქვე
სტუდენტიც იწვა ტანგაუხდელი, წალებით,—ესე თუ იყო
ჩვეული; თუმცა კვდარივით უმოძრაოდ იწვა; მაგრამ არ
ეძინა: ხშირად თავს წამოიწევდა, წამოდგებოდა, ფანჯა-
რასთან მივიდოდა და წყვდიადში რაღასაც აცქერდებო-
და. ისიც ახსოვდა მ. ივანეს, ან ძილში თუ მოეჩვენა,
რომ ორიოდჯერ კარი გაიღო, ბლალობინი თავსა ჰყოფ-
და და ოთასს ათვალიერებდა. თითქო შვილს უძახდა
კიდეც. სევდა და შიში სჭეიოდა მის ჩურჩულში. შვი-
ლი-კი. ხმას არა სცემდა. მერე ყველაფერი გაქრა, მ.
ივანეს ძაფი გაუწყდა, აღარა ახსოვდა-რა.

მ. ივანეს ჩასძინებოდა.

სიზმარი ნახა. ღილაა, რიერაჟი. ის შემოსილი,
ჯვარ-ხატებით ლიტანიად მიღის. ხალხი მიუძღვის და-
მისდევს. ზარები წკრიალ-გრიალებენ. მიღიან დიღ მო-
კრიალებულ მღინარისკენ, რომლის სახელი დავიწყებია.
ერიდება და შიშობს, რომ სახელი აღარ იცის და საჭი-
რო-კი. არის, უთუოდ უნდა მოიგონოს. ცდილობს,
ხალხი შეჰყურებს, ეღის და უკმაყოფილებას აცხადებს.
თანდათან ხალხი აბობოქრდა, ყვედრება და მუქარა ეს-

მის... და მოულოდნელად შშვიდ და ანკარა მდინარიდან ქალი გამოცურდა... ხელს უქნევს, თავისკენ იტყუებს, რაღასაც უყვირის უცხო, გაუგებარ ენაზე... ერთი სიტუაცია-კი გაარჩია:

— წავიდეთ!

შიშმა და სიხარულმა მთლად შეიპყრო.

ცდილობს, ერთი სიტუაცია უთხრას, მტკიცე და გადაწყვეტილი, რომელმაც ყოველი ეჭვი და ყოყმანი უნდა გადასჭრას, მაგრამ ენა დაბმია და მოსაზრებაც სულ დაჰკარგვია. ყვირის საზარლად...

ამ ყვირილმა გამოაღვიძა.

და ეხლა, საითაც უნდა მიიხედოს ანთებულის თვალებით, მის წინ სულ ის თეთრი სიზმარში ნანახი ქალი ეჩვენება. კარგად იცის, ვინც არის ის ქალი: სახით პაულაა. მისი თვალების გამოშეტყველება, მაძიებელი და მიმზიდველი:

მ. ივანემ ლონივრად ამოიფშვინა, როგორც დამეცხენები საჯინიბოში აფრუტუნებენ.

— მო-ჩვე-ნე-ბაა!

თავი მძლავრად გაიქნია და შლიაპას დაუწყო ძებნა მაგიდაზე, ნელა, ქურდულად, რომ სტუდენტი არ გამოელვიძებინა. მაგრამ იატაჭე საპანს ფეხი წამოჰკრა და წაიბორძია. საწოლს დახედა, — ცალიენი იყო. მაშინ მოაგონდა, რომ ფანჯარიდან რაღაც შტვენა მოესმა, და, თითქმ რაღასაც მიხვდა. კიდევ ამოიფშვინა.

— ოჳ, უფალო!.. გვამის მოლორებაა... ყველგან.

ყველგან!

გავიდა დერეფანში, ფთხილად გადააბიჯა მიყრილ-მიბნედილ სტუმრებს, გაიარა აიღანი და კიბეზე ჩამოჯდა.

საფეოქლები ძიგჩიგებდნენ.

ნესტიანმა და უმოძრაო ჰაერმა ვერა უშველა. რა. ჰაერს რომ ჩაისუნთქებდა, რაღაც დამასუსტებელი და დამარეტიანებელი ჩასდევდა...

მ. ივანეს თვალწინ სულ თეთრი ჭალი უდგა და უძახდა:

— წავიდეთ!

კაბა გაიხსნა და გული გაზიღედა. ქულიც მოიხადა. პირი ოდნავ გააღო და ულონოდ ქშინავდა, მოდუნებული. თან უაზროდ ცას შეჰყურებდა.

ვარსკვლავები აქა-იქ ციმციმებდნენ. ხან ღრუბელი წაეფარებოდა, ხან ისევ გადუვლიდა;. ხან ერთს ვარსკვლავს გამოაჩენდა, ხან მეორეს.

უკან კარმა დაიჭრიალა.

ივანემ მიიხედა.

ბლალოჩინის გაფითრებული სახე იშას აცქერდებოდა.

— შენა ხარ, მ. ივანე? — ჩურჩულებდა ბლალოჩინი: — მე-კი ეხლა თქვენს ოთახში ვიყავი. მიტრო ხომ არ გინახავს? მე მეგონა, ერთად გამოხვედით.

კარებს გამოსცდა და, ეტყობოდა, რომ პასუხს არ ელის.

მ. ივანეს ეჩვენა, რომ ბლალოჩინის სიტყვასა და ჩურჩულში რაღაც შიში იხატებოდა. ამიტომ ცოტა სიჩუმის შემდეგ უთხრა:

— ახალგაზღური სისხლია.

ბლალოჩინმა ულონოდ თავი გაიქნია და სთქვა:

— სულაც არა!

ის დღა, რაღასაც ყურს უგდებდა. სადღაც ცხენმა

დაიფრუტუნა. სადღაც ბატმა დაიყოყინა. ჰაერში რაღაც ფრინველმა დაიფთხიალა და წყვდიადში მიიმალა.

ბლალოჩინი წინ წამოვიდა და ივანესთან ჩამოჯდა — აი, დავფურთუტებ... ძილი არ მეყარება! — და-იწყო ჩურჩულით, თითქო ეშინიან სახლის მდუმარება არ დაარღვიოსო: ოჯ, შვილებო, შვილებო!

— ეგრე რა გაწუხებთ? — ჰეითხა მ. ივანემ. — ახალ-გაზდა კაცია... რა თქმა უნდა...

— მიხეილი რომ თავს იკლავდა, — უფრო თავის-თვის ლაპარაკობდა ბლალოჩინი, — მე წინადვე ვიგრძენ... ის რომ მოვიდა, მე რომ იმის გაფითრებულ სახეს შევხედე, იმისი პირველი სიტყვები რომ გავიგონე: „მამა, ცოტა ხანს დასასვენებლად მოვედი, იქნება, სამუდამოდაც“... თითქო შავი ორმო წარმომიდგა თვალწინ... და რომ დაიწყო ლაპარაკი ლალატზე და კიდევ, აღამიანი სუსტი და საძაგელიაო, რომ მეც... კაცის მკვლელი ვარო... მასუკან მე მთელი ლამეები არ მეძინა... სულ თვალს ვადევნებდი და მაინც ვერ ვუთვალთვალე!...

მცირე ხანს გაჩუმებული იყო.

— აი, ეხლაც... რაღაც არის ჩემს თავს, რაღაც უნდა დამემართოს... საზარელი! ცხადად ვვრძნობ... ვხედავ!

— რა უნდა იყოს? — გაკვირებით შეხედა მ. ივანემ...

— რო ვიცოდე, ხომ კარგი იქნებოდა... მიხეილი თავდაჭერილი კაცი იყო... მიტრო-კი ფიცხია, თავდაუ-ჭერილი, თავნება... მეშინიან! ასეთი დაუწყნარებელი ღროა... აი, სადღაც დაიარება... სულ გაჩუმებულია... და თუ ლაპარაკს მოჰყვა... სულ გასაბრაზებელს, დამა-ლუნებელს. ეხლა ათასნაირ რამეებს ამბობენ... სულ

უსიამოვნო ხმებია აი, წუხელის ივანივსკი რაღაზედაც
უჭვიანობდა.

— კაი ვინმე გიპოვნიათ, რომ იმის ყბედობას ყურს
უგდებთ! — და უინვით უთხრა მ. ივანემ: ჭრიჭინაა!

ბლალოჩინი წამოდგა.

— იქნება, საეტლოში წავიდა დასაძინებლად.
სახლში შეხუთული ჰაერია. წავალ, ვნახავ.

ნელის ნაბიჯით შავ შენობებისკენ წაფრატუნდა,
როგორც დასევდიანებული აჩრდილი დაეხეტება სასა-
ფლაოს მსგავს შენობებში.

მ. ივანე ალაყაფილან ქუჩაში გავიდა.

თეთრ ეკლესიას გასცდა. ბაზარი გაიარა, რომელიც
ბოშების უშველებელ ბანაკს წააგავდა, და შინდვრის
გზას დაადგა. ნაბიჯს უმატა, თითქო თავის ფიქრებს
უნდა გაექცესო. მაგრამ ფიქრები ეხლა უფრო მძლავრად
შემოეხვივნენ, ვიდრე წუხელ, ძილსა და სიზმარში. ეხლა
სულ შეიპყრეს და დაიმორჩილეს. თავში ტალღა ტალ-
ღაზე გადადიოდა, უფრო-და-უფრო მრისხანე და მძლავრი.
ის ქარიშხალი, რომელიც გუშინ მდინარეზე მძვინვარებდა,
როცა ის წყალში გადაეშვა და აქაფებულ ტალღებს
მედგრად და სიამოვნებით ებრძოდა, დღეს მის თავში
შხუოდა და ზუზუნებდა. ეს შინაგანი ქარიშხალი უფრო
აშინებდა, თავზარსა-სცემდა და აუძლოურებდა. ქარმა
დაპბერა, მოპგლიჯა და გადისროლა თვალთ-ამხვევი სი-
წყნარე და მყუდროება; მისმა სულმა თვალი გაახილა და
შემაძრწუნებელი სინამდვილე დაინახა. გრძნობა თითქო
გამორკვეული ჰქონდა, ხოლო გონება დახლართოდა.
ველარას აზრობდა. გონების ბურუსში იბრძოდნენ კაცი
ზა მღვდელი. და ეს ბრძოლა იმაში იხატებოდა, რომ

კაცი წარმტაცის უინით ხან თავს აიმაღლებდა. და წელში გასწორდებოდა, ხან ისევ მოდუნდებოდა და დაეშვებოდა. ლვდელი-კი სულ ლოცულობდა მისთვის და ლოცვა-ცრუემლს ერთმანეთში აზავებდა. ლოცულობდა, მისთვის რომ კაცი დამარცხებულიყო, სამუდამოდ დადუმებულიყო და წინანდელ, მისთვის ვიღასგანაც დატკეპნილ ბილიკა არ გადასცდენოდა... კაცი კვნესოდა, ჰგოდებდა, ხან წამოდგებოდა, ხან დაეცემოდა, ოოგორუ თოფნაკრავი, და გაიძახოდა:

— განა მე მინდოდა?! ეს ტყუილია! სიცრუეა! როდესაც ანაფორას მაცმევდნენ, მე მხოლოდ გაუგებრობა, უნახაობა მახარებდა. ის-კი, რაც მესმოდა, მაშინაც მაჭირებდა! რატომ ნება არა მაქვს გავიხადო, როცა მინდა? ისე რად უნდა ვიცხოვო, როგორც საფლავში განისვენებენ, როდესაც მთლად ჩემი არსება იქითკენ მიისწრაფის, საიდანაც მოჩანს ახალ, თავისუფალ ცხოვრების სხივი? რითია წამწყმედი ახალი ცხოვრება? აბა, მითხარით, გამაგებინეთ! ეს სულ სიცრუეა!

ლვდელი-კი წყნარად ამბობდა და თან ოხრავდა:

— იოვანე, იოვანე! ამაოდ ბობოქრობ... შენ მოგენიჭა მაღლი სულისა წმიდისა... განა შეიძლება მოისროლო, ვითა ჩვარი. ეგ ხომ გმობა სულისა, მიუტევებელი ცოდო. ნუ თუ ფიცს გასტეხ, რომელიც დასდე თვით ლვთისა წინაშე?.. და რისთვის? რა ახალ ცხოვრებას იპოვი ფიცის-გამტეხი! განა სინიდისი არ გამხელს, არ გაწამებს, არ მოშხამავს შენს ავაზაკურ სიხარულს? დიალ, დიალ... ავაზაკურს! იმიტომ რომ უნდა დაივიწყო შენი ცოლი, შენი ქალი-შვილი და სხვას უმზირო მრუშის თვალით? ხორცის მოღორება მეტყველობს შენში... დათრგუნე...

ჩიიკალ! უკეთუ თვალი. შენი გაცდენს შენ, განაგდე
იგი...

და ღვდელს ჰყავდა მომხრედ საუკუნეთა სიბრძნე,
ადათ-ჩეცულებათა ბურჯები, წერილთა სიმტკიცე. კაცს-
კი—მხოლოდ მწვავი ცხოვრება და სიყვარული.. კაცმა
არ იცოდა, რა ახალ ცხოვრებას ეძებდა. იმას წარმოედ-
გინა ცხოვრება ფრთა-გაშლილი, ფართო, ვითა უსაზღვრო
სივრცე, ბრწვინვალე, ვითა ამომავალ მზის სხივები,
ხოლო უსახო, უხილავი, გამოუხატელი. ღვდელმა გარ-
კვევით იცოდა თვისი გზა და კაცსაც იქით ეწეოდა:
მ. ივანე სულ დააუძლიურა ამ ბრძოლამ.

საზარლად ამოიხვნეშა და ნამდინარესავით თვალი
მოიფშვნიტა.

— ვიბანო მაინც.

თენდებოდა:

ვარსკვლავები ჩაქრა.

ცა თანდათან იღიმებოდა. ღრუბელი სრულიად
გადავიდა და გაჭქრა. მინდორს ნისლი ასდიოდა, რო-
გორც გაბაცებული კომლო. მ. ივანე სქელ და სველ
ბალახზე შავად სტოვებდა კვალს და სულ წინ მიდიოდა. მდინარესთან მივიდა, გაიხადა და წყალში გადაეშვა. წყალმა ისე დაიშხუილა, თითქო ასის წლის ხე დაეცაო.

მდინარე წყნარი იყო, ნაპირების სწორად, პირის-
პირ. ხშირსა და მაღალს ლერწამში, რომელსაც მდინარის
ნაპირები შეეკრა, აქა-იქ პატარა ტბები ვერცხლის ფრად
ბრწვინავდნენ.

მ. ივანე წყალში იჯდა და ფეხებით ცივ წყაროებს
ეძებდა. ხან ჩაიყურჭუმელავებდა, და მაშინ, მდინარეზე
მხოლოდ ფმა-ლა სჩანდა გაძენძილ ხავსისავით; მერე თავს

ამოპუოფდა, გაიქნ-გამოიქნევდა, ნეტარებით დაიფრუტუნებდა და ლერწამში გარეულს იხვებს აფთხობდა. დიღმა თევზმა ფეხთან გაუსრიალა. მ. ივანეს უნდოდა დაეჭირა, ჩაიყურჭულელავა, გამოეკიდა და წყალი ყლაპა.

ამით გაერთო, გამხიარულდა:

როცა ტანთ იცვამდა, იგრძნო, რომ მოლონივრებულიყო, ძარღვებში სისხლი ნაკადულსავით უჩხრიალებდა.

სიცოცხლე გაუტება... უნდოდა ეცხოვრა, მინდორ-მინდორ ერბინა, განთიადს მიჰებებოდა, ემლერნა, ეყვირნა... ანაზდეულად ჰაერი ღრმად შეისუნთქა და, რაც მის ფილტვებს ძალ-ღონე ჰქონდა, დაიგრგვინა:
— თჲო-თჲო-თჲო... წა-ვი-დე-ე-ეთ!..

და თითონვე შეეშინდა.

— იოვანე, იოვანე! — ბუტბუტებდა ღვდელი, როდე-საც მ. ივანე, ტანთ-ჩაცმული, და ვაკე მინდორში, წყლის პირად, ნისლში თეთრად ატუზულიყო: რა დღე დაგდგომია? რას მოესწარ? რას სჩაღიხარ, მ. იოვანე?

სწორედ ამგვარი სიტყვები, სხვის ქადაგება მოსგონ-და და გაეცინა, რომ ქურდობაში დაიჭირა. თავისი თავი, თუმცა ცუდი არა ჩაუდენია-რა.

ამ დროს საიდანლაც, შორიდან, მთიდან თუ ხეობიდან, თავის სიტყვის მოძახილი მოესმა:

— წა-ვი-დე-ე-ეთ!

მ. ივანემ უფრო მტკიცედ გადააღგა ბიჯი და ნელ-ნელა მდინარეს აჰყვა.

ერთბაშად რაღაც ხმაურობა მოესმა, გაჩერდა და ყური აცევიტა.

თითქო ლერწამში ვიღაც ფრთხილად დადისო.

მერე აშკარად მოესმა: ლერწამი შრიალებდა, ნა-

პირთან წყალი შხუოდა, ვიღაც ნიჩაბს უსვამდა, ეტყობა, ჩავს მიაცურებდა.

— მონადირეა თუ მოთევზავე? — ფიქრობდა მ. ივანე და მდინარისკენ გაიყურებოდა.

— სწორედ მოთევზავე უნდა იყოს, ღამე ნესკავ-ბადეს დაუგებდა და ეხლა ვასასინჯად მოსულა... ლერწამი უფრო ახლო აშრიალდა და ლაპარაკიც მრისმა.

— არ გეთანხმები! — ამბობდა ახალგაზდა. — მე მა-გისთანა ყოყმანისა არა ვიკი-რა! ვერ შევეთვისე! ო-დეს-ლაც რა-ლაც... დინ-ჯი მსჯე-ლობა! წინდახედულობა!.. მე მწამს სისწრაფე, ქარიშხალი!

— ქარიშხალსა და ცეცხლს არ უნდა აჰყვე... არიქა, წაუკიდე! — ეუბნება მეორე: მერე? რა მოჰყვება? აენთება, მოიტრუსება, ცოტას ხანს იღვიებს და... ჩაქრება: ქარი დაპერავს და ნაცარს გაანიავებს! არა, მე ესე ვფიქრობ: აი, ტყე როგორ იზდება: მიწიდან უთვალივმა რქამ ამო-ხეთქა, დაღერდა და სულ მაღლა იწევს. ხეები დასხვილდა. დიდი ტყე გახდა. ფესვები, ტანი, ტოტები გადიხლართა... და ლრუბლამდინ აიმართა... მაშინ...

— ცხოვრება შენს თეორიაზე ფართოა. შენ... რო-გორ გაგაგებინო... შენ შენი შეხედულობა დოლმად გა-გიხდია: არ იძვრის, გახევებულია!

— სულაც არა! მე შენ ძალა გაგითვალისწინე, როცა გაერთიანებულია, უაზროდ-კი არა, არამედ მო-ფიქრებით, საერთო შეგნებით... აბა, წადი და იმისთანა ტყეს ცული დაუკავუნე, როცა ის ლრუბელში იყურება... ურბინე გარშემო მათრახითა და წკეპლით... ვნახოთ!

მ. ივანეს ორივე ხმა ეცნობოდა, მაგრამ ისე დაბლა

ლაპარაკობდნენ, რომ ვერ შიხვდა. ნავში ისევ ახმაურდნენ.

— მოუსვი მარცხნივ, ნაპირისკენ!

— აქ საბალახეა! ეგ უკეთესი. მყუდრო ადგილია. ლერწამიც ხშირია. ნავი არ გამოჩნდება. გზა სულ ეკალას კილიანია.

— ეგ მართალია. საბალაზეც თითქმის ბელლებს აკრავს... აქედან სარწყალამდე-კი ჩავიდეთ და... აქ არ იყო, ეხლა რომ ვიღაც ლრიალებდა!

— არა. შორს იყო, სადღაც, გათენებისას, ხომ იცი, ხმა შორს მიდის.

— ეგეც მართალია.

— მიაყენე, ალექსი!

ნავი ლერწამში შეეხება.

მ. ივანეს ლაპარაკი აოცეპდა. ცნობის-მოყვარეობა აღეძრა, უნდოდა გაეგო, ვინ იყვნენ, და ადგილიდან ფეხი არ მოიცვალა. ნავიდან გადმოხტა სტუდენტი და ის ვლეხი ალექსი, რომელიც ბორანზე მ. ივანეს შველოდა. მ. ივანე მეტად გაოცდა. სტუდენტმა ქუდი კუთაზე გადია, დოინჯი შემოიყარა, ნავს დაჰყურებდა და ოდნავ, მარტო ტუჩებით სუნთქვავდა.

— ნავი დააბი, ისე-კი, რომ არავინ დაინახოს, და ნიშანიც გააკეთე. თოფს ბალახი წაყარე.

ალექსის ნავი უნდა დაება და ერთბაშად მ. ივანე: დაინახა.

— ხუცესი! — წამოიძახა უა წელში გასწორდა. მაგრამ იმავ წამს კილო შეიცვალა: ბუდოვანელი ლვდელია. სტუდენტი სწრაფად მიტრიალდა მ. ივანესკენ და შეკმუხვნით, შმაგად შეხედა.

— რა მინდაო, მამაო, რომ ასე სისხამ დილას და-
სეირნობთ?

— ვიბანე.

მ. ივანე მაინც გაკვირებული იყო და ჰქითხა:

— თქვენ რალას აკეთებთ?

— ისე, არაფერს...

— იქნება, ღამე ვისმე ეწვიეთ? — გულუბრყვილოდ
გაეცინა მ. ივანეს.

სტუდენტი აწითლდა და ჩიევ ბრაზით ლაპქერდა.

— მე მაგეებს არ მივდევ! — უპასუხა მკვახედ.

ცოტა ხანს სტუდენტმა და ალექსიმ რალაც იჩურ-
ჩულეს და მერე სტუდენტმა უთხრა:

— გმადლობ, ალექსი! იქნება, კიდევ გავისეირნო
როდისმე, უარს ნუ მეტყვი: გადავიხდი, ნუ გეფიქრება! ..

— მადლობელი ვარ...

სტუდენტმა ქუდი მოუხადა მ. ივანეს, სწრაფის ნა-
ბიჯით წავიდა და მალე ბუჩქარში მიიმალა. მ. ივანე
დაფიქრებული იდგა. ვერ მიმხვდარიყო, რა საქმე უნდა
ჰქონოდა სტუდენტს ამ ალექსისთან და ან ამ დროს რა-
დაასეირნებდა. მერე ალექსიც სხვა სოფლიდან იყო. თუ
სანადიროდ წამოვიდა?.. მერე რათ იტკიცა ჩემი სი-
ტყვები?

მ. ივანე. ალექსისთან მივიდა.

— გამარჯობა!

ის ნავს უტორლიალებდა და შუბლშეკრულმა თავ-
აულებლად უპასუხა:

— გაგიმარჯოს..

— ეგრე, რაოგორივანად სალამის მოცემაც არ
განდა?

— მაშ როგორ უნდა?

— ლოცვა-კურთხევას მომთხოვდი. საამბოროდ მოხვიდოდი... აი, შე!..

ალექსიმ თავი იიღო, გასწორდა, მივიდა, გადაჯვარედინებული ხელები გაუშვირა და ხელზე ემთხვია.

— სად იყავით ასე ადრე?

— ისე, აქ ახლო ვიყავით... საჭირო იყო, იცი... ერთ ადგილს...

ალექსი მტრულად შეჰყურებდა.

— სანადიროდ თუ რისთვის? — ჩაცივდა მ., ივანე.

— ჰო, ჰო! — სწრაფად უპასუხა ალექსიმ. — სანადიროდ!

— აბა, ეგ თოფი მომე! მომეცი-მეთქი... ვნახო! მეცოდესლაც ვნადირობდი... იყო დრო!

ალექსიმ ნავიდან თოფი ამოილო.

მ., ივანემ კონდახი მხარზე მიიღო და დაუმიზნა. ნაცი, ხეს, ცას.

და თავისუფლების სურვილი ხელახლა აეშალო.

— გატენილია?

— გატენილია.

— მოდი, დავმეგობრდეთ! გამომყე ნაპირ-ნაპირ, ვინადიროთ!

— აბა, რითი... სულ შემოვვეხარჯა... ალარც წამალია და აღარც საფანტი.

— არა უშავს-რა. თოფი ხომ გატენილია, ერთხელ გავისროლოთ.

ალექსიმ ჯაგრულ ულვაშებში ჩაიცინა:

— წავიდეთ, თუკი ეგრე ძალიან გინდათ.

გაიარეს ნაპირ-ნაპირ.

თენდებოდა. გრილმა ნიავმა დაჰერა. სოფელის
მხარეს აქა-იქ კომლი გამოჩნდა. ალბარ, დედაკაცებს
ცეცხლი გაეჩაღებინათ.

— სუ! სუ! — ჩურჩულებდა მ. ივანე.

ის ჩაცუცქდა და ალექსიც ჩააცუცქა. ახლო, ძალიან
ახლო იხვმა დაიყიყინა. ხმაზე ეტყობოდა, რომ მოზღილი
იყო და რაღასაც შეეშინებინა. მამა ივანე ეხლა ძალიან
გახარებული იყო. ფიქრები სულ გაეფანტა და სიმშვიდე
დაუბრუნდა. გრძნობდა, რომ სიმშვიდესთან თვითმოქმე-
დების ძალა და სიამოვნება ემატებოდა.. აი, ეხლაც
აკრძალულ ხილით სტკბება.

— სსუ!

იხვი უფრო მოუსვენრად ყიყინებდა. ეტყობა, რა-
ღასაც შესცეკეროდა, ელოდა.

სადღაც ცხენმა დაიხვიხვინა. მის ჩლიქების ხმაც
მოისმა.

სოფელში მამლები ჰყიოდნენ.

ჰაერში შრიალი და ფრთხიალი გაისმა.

იხვი მიფრინავდა.

დიდი, ჩასუქებული იხვი, კისერ გაჭიმული, მაღლა
აფრინდა და ყიყინით ჭაობს თავს დასტრიალებდა.

ვემოდან თოფის ლულა უთვალთვალებდა.

ერთაშად თოფმა იგრიალა. თითქო ჭაობს შეშინე-
ბულმა მინდორმაც ბანი მისცა.

ფრთა და ბუმბული ცაში გაიბნა. იხვისრიალით ძირს
წამოვიდა და მონაღირეს ახლო დაეცა.

— ყოჩალ! — შეღრიალა მ. ივანემ, თოფი გადააგდო
და თავის მსხვერპლისკენ გაექანა.

და იმ წამსვე წამოიძახა:

— ეს რა ამბავია?

იხვი სულ დაფლეთილი და შუაში გახვრეტილი იყო.

— რითი გაგიტენია თოფი?

ალექსი შუბლ-შეკრული უყურებდა.

— გესმის! ეს ხომ საფანტი არ არის. გამაგებინე, რა არის?

— ტყვია.

— ტყვია?!?

მ. ივანემ პირი გააღო.

— მერე ვიზე ნაღირობდი?

— ისე... ხან ტურა შეგვხვდება... ხან მგელი...

ბლალოჩანის მოუსვენრობა და შიში მოაგონდა და დაკვირებით დააცქერდა ალექსის. იმას ჯაგარისებურ ულვაშში ღიმილი აუთამაშდა და ჭორფლიან სახეზე ნდობა გამოესახა.

— გუშინ მე და შენ, მამაო, ხალხი გადავარჩინეთ, — დაიწყო ალექსიმ. — მე თოკი მექირა... და შენ მენდობოდი. დღეს-კი შენ უნდოდ მეკიდები... ცუდს რაღა-საცა ფიქრობ! და საქმე ისე მოდის, რომ მეც შენ არ გენდობი! გლეხები ამბობენ, ვითომც შენ კაი კაცი ხარ. მაშ კარგი, მეც მართალის გეტყვი. მე და ღიმიტრის ერთი საქმე გვაქვს, საიდუმლო საქმე... ჩვენ შორის. იქნება ჩვენ მფელს მახეს ვუგებდით. იქნება, მელას ვუთვალთვალებდით... იქნება, სხვა რამეც იყოს... ვინ იცის! ხოლო შენ არ მოგვიწვევიხარ, შენ თითონ მოხვედი და ნახე... თუ რომ შენ გამომძიებელი არა ხარ, რას მეკითხები? რად გინდა, იცოდე?

— კარგა ლაპარაკობ!

ალექსი დიმილით უყურებდა.

— კარგა და არ ვარგა! დასამალი რომ იყოს, არა
ვიტყოდი, მე ლაქლაქი არ მიყვარს... რაც მინახავს,
არავის. ვეტყვი! აც კაცს კარგ სიტყვას ეტყვი, თუ ავად
მოაბრუნებს...

— მესმის, მესმის, ნუ შილეჭამ!

ალექსიმ თვალი მოაშორა და ცას დააცქერდა.

— ამ ზაფხულს ცა შეტად მშვენიერია! ჩაფიქრდები
და სევდა მოგერევა, რომ ამისთანა ცის ქვეშ ხალხი სა-
ცოდავად ცხოვრობს.

— საცოდავად, ალექსი?

— საცოდავად, მამაო!

— ივანე გამჭრიახის თვალით დააცქერდა.

— შენ მწვალებელი ხომ არა ხარ, ალექსი?

იმას გაეცინა.

— ეგრე რადა გვინია? ეხლა არ იყო, შენდობა
გთხოვე.

— ეგ არაფერი! შენ როგორლაც გლეხს... თითქო
არა გევხარ. და ისე დალაგებით ლაპარაკობ... ტეტიური
არაა.

— დედამიწაზე დავხეტიალობი... ბევრი რამ მინა-
ხავს. მე ხომ გაძვებული ვარ, ჯირკამისეული. ბევრი
კაი კაცი შემხვედრია. ქარხნებში მიმღვავნია. წიგნი მიკი-
თხნია. კარგ წიგნებს, მამაო, თითქო მთაზე აჰყავხარ.
იხედები იქიდან... მთელი დედამიწა ხელის გულზე გა-
დაშლილი. და თავშიც ძალა გემატება. რაც მეტს კით-
ხულობ, უფრო ღონივრდები... ცხოვრებაში ვეღარ
თავსდები, გინდა ფართო, ლაღ მინდორზე გახვიდე, თა-
ვისუფალი იყო, არავინ გაწუხებდეს. აზრები გემატება,

დიდი აზრები გებადება. და სულ ახალ-ახალი. ოჰ, მამაო, ყველას რომ შეეძლოს მუდამ კარგი წიგნები იქითხოს და კარგ კაცებს მოურიდებლად ელაპარაკოს! მაშინ ხალხის მდგომარეობას დაუკვირდებოდა და სხვანაირად მოაწყობდა. და ცხოვრებაც უფრო განვითარდებოდა, გატკბებოდა... როდისმე-კი ამისთანა ცხოვრება უთუოდ დამყარდება!

მ. ივანე დაფიქრუბული შეპყურებდა.

— იქნება-კი, ალექსი?

იმან მტკიცედ და გადაჭრით წარმოსთქვა:

— იქნება, მამაო.

და დაფაცურდა.

— დროა! მშვიდობით!

— მშვიდობით, ალექსი!

ალექსიმ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მოტრიალდა.

— მამაო!

— რას იტყვი?

— ვინიცობაა... იქნება იქმოხდეს რამე... მოხდება თუ არ მოხდება, არავის უთხრა, ნავი ვნახეო.

მ. ივანეს უნდოდა ეკითხნა:

რატომო?

მაგრამ გაეცინა და სთქვა:

— კარგი, კარგი! არც მე ვარ ყბედი!

ალექსი გაბრუნდა და წავიდა.

მ. ივანე უყურებდა და ფიქრობდა, ცხოვრება გამოცანაა, გამოცანებით სავსეო. ეხლა ცხოვრება სულ სხვანაირად ეჩვენებოდა და თითონვე უკვირდა, რომ მცირე ხანში ამდონი აზრები დაებადა და ამდენი რამ გაიგო ყველა ახალ ცხოვრებისკენ მიისწრაფოდა და

თითონაც თითქო გამოება უხილავი ფრთები, რომლებიც
უცნობ მხარეს მიაქანებენ...

XI

აღმოსავლეთი თანდათან აწითლდა და დედამიწაც
თითქო ააწითლა, ნისლი ნაკუწ-ნაკუწად აღიოდა, თითქო
თეთრი ხელები მაღლა აუპყრიათ და ზეცას რაღასაც
ევედრებიანო.

— მამა ივანე!

მ. ივანე შეკრთა და მიტრიალდა.

ბუჩქნარიდან სტუდენტი გამოვიდა და მისკენ ლიმი-
ლით მიდიოდა. ოთხ დაუახლოვდა, ხელი გაუწოდა და
დაელაპარაკა.

— ინადირეთ, მგონი?

— ჰო, ისე... ძველი დრო მომავალდა, ჰერი
შევაშინე.

— მე წელან სალამიც ვერ მოგეცით, თქვენ საით
მიხვალთ? ერთად წავიდეთ.

ჭაობს მოუხვიეს და ისევ ნაპირ-ნაპირ აღმოსავლე-
თისკენ წივიღნენ.

— ალექსიძ მიამბო, მამაო, გუშინ რომ ბორანზე
თავი ისახელეთ... ძალიან მოგიხერხებიათ!

მერე ალტაცებით დაუმატა:

— იცით... ღმერთმანი! ეგ თავგანწირვაა!!

— აბა, რა სათქმელია:—გაოცებით შეხედა მ.
ივანემ.—ხომ არ დავირჩობოდით? ბორანზე ჩემი ცხენებიც
მყავდა.

მიღიოდნენ და გაბრწყინებულ ცას შეჰყურებლნენ.

— გუშინ ნახეთ ჩემი ბრძოლა სამღვდელოებასთან? —
დაიწყო ლიმიტრი. — ძალიან გავთათხე. არა?

— მეტის-მეტად!

— გავცეცხლდი განა? ეგრე მემართება ხანდისხან,
ერთბაშად. მე ხომ მოურიგებელი ვარ. რაკი გამაშფო-
თებელი აზრები ამეშლება, მერე თავს ველარ შევიკავებ.
მამის გამო მაინც უნდა დამეჭირა თავი, რასაკვირველია...
მაინც-და-მაინც ავაზაკობა ხომ არ ჩამიღენია! განა მარ-
თალს არ ვამბობდი? ჰა?

ის იცინოდა და მ. ივანეს გვერდ-გვერდ გაჰყურებდა,
თითქო აზიზლიანებსია.

— ცოტა რბილად უნდოდა! — უპასუხა მ. ივანემ.

სტუდენტმა მხარი აიშმუშნა. ხელები ჯიბეებში ეწყო.

— აი სწორედ ეგ სირბილე მაბრაზებს. ჩვენ, რუ-
სები, საერთოდ ჩვილ-ხორცა ხალხი ვართ... ლოკოვი-
ნასავით. იმიტომაც ჭაობში ვცხოვრობთ. აი, ინგლისელი
ულმობელია და, აბა, ნახეთ, რა თავისუფლება მოიპოვა,
რა სიმართლეა დამკვიდრებული მათ საზოგადო ურთი-
ერთობაში. მარტო ერთი სიმღერა რადა ღირს: „არაო-
დეს! არადროს, ძმებო, მონად არ გავხდებით!“ არაოდეს!
მე მომწონს ესეთი გადაჭრილი სიმკაცრე. აქ ტრფიალება
კი არ არის სიყვარულისადმი — არა, აქ პირდაპირ ზიზღი.
იხატება დამჩაგვრელთადმი... ეს სათავეა თავისუფლე-
ბისა! ჩვენ-კი, რუსები, შორიდან მოკითხვას ვუგზბენით
თავისუფლებას, ლიმილსა და კოცნას, როდესაც საჭიროა
ეს თავისუფლება დაიპყრო, ინგლისურ სიმტკაცითა და
ულმობელობით დაიპყრო... დამეთანხმეთ, მ. ივანე, რომ
ჩვენი ცხოვრება საშინელია. ვცხოვრობთ... მონურად.

მამა ივანე გულმოდგინედ ყურს უგდებდა.

— მერე ვისი ბრალია? — სთქვა მ. ივანემ. — ეს ცხოვ-
რება ჩვენ ხომ არ მოგვიწყვია ესე.

— ჩვენ არ მოგვიწყვია, ხოლო ჩვენ ვიტანთ. ამ
უცხო, მძიმე ცხოვრებას, რომელიც ვიღამაც დაგვაკისრა,
ჩვენ მორჩილად მხრებით ვატარებთ და არც გვინდა ვცა-
დოთ, მხარი შევიძერტყოთ, გადმოვანარცხოთ და ფეხ
ქვეშ გავთელოთ. უკრიტიკოდ, უპროტესტოდ ვემორ-
ჩილებით ის წესს, რომელიც მამა-პაპებს შემოულიათ, მა-
შინდელ მონურ იდეოლოგიით. აი, რად უქცევია ხალხი
მძლავრობას. კაცი კი ბუნებრივად კეთილია, სამართ-
ლიანი, საუკეთესო ცხოვრების მოსურნე და მძებნელი.
კაცი სამყაროა: — ენერგიისა, მუდამ მოძრავი, დაუდგრო-
მელი; — ნებისა, რომელიც სივრცეში ფართოვდება; — ჭი-
ნისა, დაულალავად მომქმედისა და უკვდავისა; — გონებისა,
რომელიც ცასა და დედამიწას გულადად ურახუნებს და
თავის კითხვების გადაწყვეტას ავალებს. ადამიანს განუ-
შაზლერელი ძალა აქვს, რომელსაც შეუძლიან მთელი
მსოფლიო დაიპყროს, რომ თავისებურად გადააკეთოს.

— ეგ სიამაყეა სულისა! — შენიშნა მ. ივანემ.

— დიალ! და განა სიმღაბლე, რომელიც თავს მიუ-
შვერს დამრტყმელს, თავისუფალ სულის სიამაყესა სჯობია?

და გაბრაზებით მუშტები აიშვირა, თითქო ვიღაც
შტერი მოსჩვენებია და უნდა შეებრძოლოსო.

— კრულ იყოს ის გარემოება, რომელიც ამ სულს
აუძლოურებს, ნების თავისუფლებასა ჰქლავს, გრძნობას
აქარწყლებს, გონებას ახშობს! წყეულ იქმნენ ის მტარ-
ვალნი, რომელნიც ამას სჩადიან! ეხლანდელ პირობებში
საუკეთესო ბუნებრივი ნიჭი, — ნება, გულის-თქმა და გო-

ნება — მომეტებულ ნაწილად ბოროტებას ხელს უწყობენ და აძლიერებენ. ყოველ ნიჭისა და ძალას თავისი გზა უნდა მიეცეს. რავდენადაც ბოროტება ძლიერდება, იძღონად უფრო მეტი ადამიანი სახიჩრდება. დამწყვდეულობალა ლონივრად იწევს აქედ-იქით, რომ განთავისუფლდეს, და ამ დროს ადამიანს ხან უმწვერვალეს სიმაღლეზე ააქანებს, ხან ძირს, წარმოუდგენელ უფსკრულში ანარცხებს.

— ეს ხომ მართალია, დიმიტრი! — მხურვალედ შენიშნა მ. ივანემ. — ჩვენ ყველანი ბურუსში ვცხოვრობთ! სადღაც მივისწრაფით... და სად? არ ვიცით! ბოლოს ისე გამოდის, რომ კარგის ძებნაში უფრო საძაგელ და მტანჯველ ცხოვრებასა ვქმნით. აი, მე... ძალიან არ მინდოდა ლვდილობა! და, ეხლანდელი გამოცდილება რომ მქონდა, არაოდეს არ ჩავებმოდი.

— ძნელია? — დააცქერდა დიმიტრი.

— ძნელია! ხშირად აუტანელია... მთელი ცხოვრება! შენს თავს ამშვიდებ, ატყუებ კარმიდამოთი, ოჯახის მოწყობილობით, ამით, იმით... მაგრამ ამაოდ. ეჭ, სჩანს ეგვიპტედი მქონია! წავიდოდი, გავექცეოდი... და სად? როსთვის ცხოვრობ? არ იცი!

— რამე იდეალი, მისწრაფება ხომ გაქვი? ცხოვრებაში?

— იდეალი!

მ. ივანემ ნაღვლიანად შეხედა.

— მე მაქვს... მომაკვდინებელი სევდა! სხვა არაფერია!

— მაშ უიდეალო სიცოცხლე განა შესაძლებელია! რა აზრი აქვს მაშ თქვენს სიცოცხლეს! ვის უნდიხართ? ან

თქვენ ვინ გინდათ? მაშ თქვენ ერთი უუბედურთაგანი ჟოფილხართ დედამიწაზე!

— რა ვქნათ, რა გაეწყობა! — წამოიძახა ივანემ. — ეცეთი... სვე-ბედია!

სტუდენტმა მხრები აიხარა.

— ბედი განსაზღვრულ პირობების შედეგია. უნდა შეისწავლოთ ეს პირობები, როგორც სწავლობთ ფიზიკასა და ქიმიას, და მოურიდებლად, უშიშრად მოსპოთ მიზეზი ცუდის მოვლენისა, მოსპოთ, როგორც დამპალი ფესვები. დააკვირდით თქვენს ცხოვრებას და მიზეზს ცხადად დაინახავთ... მოიშორეთ, გადასტყორუნეთ! ეხლა სწორედ მაგისთანა დრო დადგა... ყველასთვის!

და ისევ აენთო.

— მოვიდა დრო, როცა ახალი იდეური პირობები უნდა შემოვილოთ... დროა საზოგადო ძალთა განთავისუფლებისა, დროა ბრძოლისა! ან სიცოცხლე, ან სიკვდილი! ეს ბრძოლა — იდეალია. დაისახეთ, ეს იდეალი, ჩაერიეთ დიად ბრძოლაში ჩაგრულთა დასახსნელად, — ბრძოლაში, რომელიც კერძო პირთ, ცხოვრების გმირთ დაუწყიათ. თქვენც მიიტანეთ და ჩასდეთ ქვა თავისუფალ კაცობრიობის ტაძრის კედელში. მიწა საკმაოდ გაიკლინთა ოფლითა და სისხლით... მეტს ვეღარ შეიწოვს და შეიშრობს. ის ეხლა მძიმედ ოხრავს და კვნესის, როგორც მშობიარე. და მზადაა გააღოს თავისი გვამი და ამოაფრქვიოს ცეცხლი, რომ მთელ დედამიწას მოსდომს გამწმენდელი აღია!

შერე ნისლისკენ ხელი გაიშვირა.

— უყურეთ! აი, ბოლი ასდის ამ ტანჯულ დედამიწას!

უეცრად სიომ დაპბერა, ნისლი მაღლა აიტანა და
გაფანტა.

ოქროსფრად მზის ოკალმა თავი ამოჰყო.

არე-მარე გამხიარულდა, თითქო მზეს ულიმოდა.

სტუდენტმა ჰაერი ბლომად ისუნთქა და, რაც ძალ-
ლონე ჰქონდა, ნაზის სხივით განათებულ ველ-მინ-
დორს დასძახა, თითქო უხარიან, რომ ღონე მოეშატა და-
თავისი სიხარული ყველას უნდა განუზიაროს:

— ა-და-მი-ა-ნო! გა-მო-დი გა-ლი-ი-დან!

თითონვე გაეცინა და აღგზნებული სახე მ. ივენეს-
კენ მიიბრუნა.

ჯვარედინ გზაზე იღვნენ.

— მე მარჯვნივ უნდა წავიდე, თქვენ—მარცხნივ-
ნახვამდის!

— ნახვამდის! კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, უკ-
ჰველია?

— შესაძლოა. მაგრამ იცით, რა გითხრათ? ვაუკაც-
ნი ნავით მიუურავდნენ, არა თვალი არ მოხვედრია... ჰო?

— კარგი, კარგი!—სიცილით უთხრა მ. ივანემ და-
რაღაც უხაროდა.

ერთმანეთს მოშორდნენ.

სტუდენტი აღმოსავლეთისკენ მიღიოდა, მ. ივანე
ჭალაში შევიდა, საყდარს უკან.

ჭალაში ჯერ ნისლი და ბინდ-ბუნდი იყო.

ნისლი ნელა იძროდა და ხის წვეროებს ებლაუჭე-
ბოდა. ზემოდ მრავალი ჭილყვავი ტრიალებდა, მოუსცენ-
რადა კყიოდა, ხიდან ხეზე დახტოდა და მ. ივანეს მკაც-
რად დაჰყურებდა, თითქო ღანძლავსო. იმის ფეხთან დამ-
ფუთხალი კურდლელი გამოვარდა ბუჩქიდან, გადახტა და-

მიიმალა. ალაგ-ალაგ მზის სხივი ხეებს შეუა ისრებსავით ჩატრილიყო და ფოთლებზე ჯერ არ გამქრალი ნამი თვალ-მარგალიტისავით მრავალ-ფერად აეციმციმებინა. ბუზებიც აბზუილდნენ. რაღაც ჩიტი უსტვენდა, თითქო კვნესისო.

ჭალაში თეთრმა რაღამაც გაიფრიალა.

მ. ივანეს გული გადმოუტოკდა.

მისკენ მომავალი პაულა დაინახა.

ისევ ის, გუშინდელი კაბა ეცვა, წუხანდელი თავ-მოსახვევი ეხვია, თითქო არ გაუხდია და არა სძინებიაო, სახე ცოტად მქრალი ჰქონდა, თითქო ოდნავ გამხდა-რიყო კიდეც. დაინახა თუ არა მ. ივანე, ნაბიჯი აუჩქარა.

— მე ვიცოდი! — დაუძახა შორიდან ლიმილით და თვალი გაუსწორა.

მამა ივანემ არა ჰქითხა, რა იციო.

თვალიც მოარიდა, თითქო ჭილუყვავს დაჰკვირებიაო.

გაიფიქრა კი, იი, უთუოდ იცინის და თვალში მოუ-რიდებლად შემომყურებს; რა ურცვი რამ ყოფილაო!

— დილა მშვიდობისა! — უთხრა ივანემ. — დასეირ-ნობ?

ჭალმა ტაში დაჰკრა და ბავშურად გადიკასკასა.

— რაო? — მკვახედ ჰქითხა მ. ივანემ.

— უჯ, ძალიან კარგა... საუცხოვოდ მოგივიდა გუშინ!

სახე განგებ შეიჭმუხნა და დაბოხებულ ხჩით გაჭიმა:

— ბა-ბი-ლო-ნე-ლო!

კიდევ გადიკასკასა და ისე ხანგრძლივად, რომ ცრემ-ლები გადმოსცვივდა.

— არაოდეს არ დამავიწყდება: ბაბილონელო! შაშ

— ბაბილონელი დიაცი ვარ? ჰაი, უნ რა ნაირი.

— რა ნაირი?

ქალმა ხმა გაკმიდა, მაგრავ სახის გამომეტყველება
ისეთი აღვილი მისახვედრი ჰქონდა, რომ მ. მათემ ძალად
თავდაჭერით უთხრა:

— პაულა! როდემდის უნდა იმაცდურო! როგორ
არა გრცხვენიან!.. შენ ხომ დედა — ფოფოდია ხარ! მეც
ცოდოში მაგდებ! რა ეშმაკი შემოგჩენია! მე ყოველთვის
შენ... პატიოსან დედაკაცად მიმაჩნდი.

ქალი ახლო მევიდა და წინ დაუდგა:

— შენ ხომ... გიყვარვარ? მითხარი!

მ. ივანემ უკან დაიწია.

— რასაკვირველია, მიყვარხარ... როგორც კარგი,
გულ-კეთილი ადამიანი... და მასთან დედა — ფოფოდიაც.

— ოჳ, დედა, დედა! ფოფოდია! — უეცრად გაბრაზ-
და და გაცხარდა ქალი: დედაო! პატიოსანი ქალიო!.. მთე-
ლი ცხოვრება რაღაც სიტყვებით არის დაქსელილი, ნა-
ბიჯი ვერსად გადამიღვამს. თითქო ბოთლები ვიყოთ და
ზედ პატრონის სახელი და ფასი გვეწეროს! მე ხომ არ
მიმიკრავს გულზე ამისთა-ა ქალალდის ნაფლეთი? აბა, მე
დავაკარი? დე-და-ო! პატიოსანი ადამიანიო! თუ არ მინ-
და არც დედობა და არც პატიოსანი ადამიანობა! მე ის
მინდა ვიყო, რაცა ვარ — ჩემ თავად!!

— პაულა! შენ შეშლილხარ! აბა რაებს ამბობ!

— არა არ შევშლილვარ. სხვები შეშლილან! ყვე-
ლანი შეშლილან და უაზრო სიტყვებს ბოდვენ. საძაგე-
ლი ცხოვრებაა, ყველა ცრუობს. ყველა ერთმანეთს ატ-
ტუებს. აბა, სადაური დედა ვარ! მათე მძულს! მირჩიეს,
შემაგულიანეს, მითხოვდიო. შენ თითონ, შენ არ მირ-
ჩევდი? ლიალ, შენ: ჩი-ნე-ბუ-ლი სასიძოა! დედა — ფოფო-

დია იქნები!! რა ვქნა? ყოველი მისი სიტყვა მძაგს, მისი აზრები სულს მიშფოთებენ... მე ყური ვერ დამიგდია, როცა ისა ლაპარაკობს. გესმის შენ ესა, თუ არა? შორილანვე ვგრძნობ იმის ნაბიჯს, როცა მობძანდება... და გველივით ჩემთან მოსისინებს! იქნება, შესაძლოა, კაი კაციც იყოს, კაი კაცი!.. დიალ, მართალია! მე-კი ხვალ-ვე გავშორდები და ჩემს ღლეში აღარ ვინახულებ!.. ჩემთვის უცხოა! არ მიყვარს! და ხშირად საშინლად მეჯავრება, მეზიზლება!.. აი, იმ რუდომეტოვსაც-კი... თითქო სიზ-მარში ვიყო. განა შენ თითონ არ ვინახავს ჩემი საუცხოვო ცხოვრება? დე-და-ო!.. პატიოსანო ქალო!.. შეიგნე, მე მთლოდ ადამიანი ვარ... უბრალო ადამიანი! და საშინლად ვიტანჯები, საშინლად! აღარ შემიძლიან, ვეღარ შევძლებ? მე ვცადე... სხვებსავით მეცხოვრა... არ შემიძლიან, მეზიზლება, ყველაფერი მეზიზლება გარშემო! ყველაფერი! ქმარიც! სახლიც! კარმიდამოც! დაწყევლილი კარმიდამო, წყეული ხალხი მახვევია! სულ დაწყევლილები არიან! მეჯავრებიან! მეზიზლებიან!

ქალს კრიჭა ეკროდა. თვალები გაშეშებოდა, ტუჩები ეკვლანჭებოდა, თითქო მწვავე ტკივილი აწუხებსო.

— მძაგს ყველაფერი და ყველანი! — გაიძახოდა გაშეაგებული ქალი.

მ. ივანე თავზარ-დაცემული. შეჰყურებდა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ქალმა აღარ დააცალა, ხელი დაუკირა და ჰკითხა:

— შენ ხომ გიყვარვარ?.. რაღად მალამ? სიმართლისა რად გეშინიან?..

— ეგ ცოდვილი სიმართლეა! — უპასუხა შუბლ-შეკრულმა მ. ივანემ.

— მაშ მასწავლე, უცოდველი სამართლე სად არის! ასეთ ცხოვრებას ვეღარ გავუძლებ! ვირჩობი! ეს სიცოცხლე აუტანელია, სხვის სიცოცხლეა და არა ჩემი!

— მაშ როგორი სიცოცხლე გინდა, პაულა?

— აბა... როგორი! განა მე-კი ვიცი? აი, მე მგონია, რომ ახალი ცხოვრება გაჩენილა და იზღება... ხოლო ჩვენ თვალს ვარიდებთ და ბრმასავით ვერა ვხედავთ!

— მერე რა? — ჩაფიქრებით წარმოსთქვა მ. ივანემ.

— არ ვიცი! ვგრძნობ-კი! და რომ იცოდე, რა სევდა მაწვება გულზე! თითქო კუბოში ვწევარ... და კუბოს თავს ნელნელა მხურავენ! და მესმის, ჩაქუჩით რომ მიკაკუნებენ. ყრუდ-ლა ისმის კაკუნი. მერე მიმასვენებენ და... საფლავში მდებენ... მიწას მაყრიან ნელნელა... მიმატოვეს... ცივა, მარტო ვარ!!

ქალმა ხელი-ხელ ჰაგრა ჩასჭიდა.

— წავიდეთ! წამიყვანე, ამ ცხოვრებას გამაშორე! მე ვეღარ შევუძლებ, დავილუპები! თავს მოვიკლავ! ჩვენ ხომ გვიყვარს ერთმანეთი ყოველთვის გვიყვარდა! მე მხოლოდ ეხლახან მივხვდი და ჩემს თავს გამოვუტყიდი... ჩვენ ერთმანეთისა ვართ, სსვები-კი ჩვენთვის უცხონი არიან, ყველანი, ყველანი! შენ ძალა შეგწევს! გაიძრე ანაფორა! წავიდეთ, ერთად წავიდეთ, ხელი-ხელ ჩაჭედილნი! შენ გზას ყველგან გაიკვლევ!

— გაიგე მაინც, — ჩურჩულებდა მთლად დაჭნეული მ. ივანე, — რას ამბობ? დაფიქრდი!! მათე ვინ არის? ლვდელია! მე... ნუთუ მე... შენც ხომ ჩემთვის... გაიგე... მეც ლვდელი ვარ! მე ხომ მრცხვენიან, რომ მე, აი... აქ შენთანა ვარ.

ქალმა ხელები ულონოდ დაუშვა. მერე გაბრაზებითა
და სასოწარკვეთილებით წამოიძახა:

— კარგი, მაშ წავიდეთ... და ჩვენს საფლავებში
ჩავძერეთ! შენ შენსაში და მე ჩემსაში!...

ამ სასოწარკვეთილებამ სულ თავგზა აურია მ. ოვი-
ნეს. გაურკვეველმა შიშმა და სიბრალულმა შეიპყრო.
შეებრალა ისიც და თავისი თავიც. თავდავიწყებულ გა-
ტაცებით ქალს ორივე ხელი გაუწოდა...

ქარ-ცეცხლმა ააწითლა არე-მარე. ყოველი აზრი და
ფიქრი, ყოყმანი და ეჭვი გაჰქრა, მთელი დედამიწა
ფეხქვეშ გაუსხლტათ. დარჩნენ მარტოდ-მარტო ქალი და
კაცი. მ. ივანე დასცეკროდა ქალის სახეს და სტკბებოდა,
თითქო იმაზე უმშვენიერესი არა უნაბავს-რა თავის დღე-
ში და იმაზე უძვირფასესიც აღარა იყო-რა... დაიხარა
თავი და ქალის თმას ბაგე შეახო. გახურებული ტუჩები
ყურს მოხვდა, იქიდან გახაშხაშებულ ლოყაზე გადავიდა
და... ბაგე ბაგეს შეეწება...

სამრეკლოდან ზარის გუგუნი მოისმა.

მ. ივანემ ჰკრა ხელი პაულას, მოიშორა და ჩქარის
ნაბიჯით, ბარბაცითა და ბორძიკით, თითქო დაბრმავდაო,
ჭალიდან სოფლისკენ წაფრატუნდა...

მ. ივანე ეკლესიის შესავალში გაჩერდა და ცისკა-
რი ისე მოისმინა. წირვა რომ იწყებოდა, მაშინ-კი სა-
კურთხეველში შესვლა გაბედა. ბლალოჩინი ოქროს ვარ-
სკვლავებიან წითელ შესამოსში ნაწილს იღებდა. სახე გა-
ფითრებულ დათენთილი და დაუწყნარებელი ჰქონდა.
დიაკვნებს ვერცხლის ფოდნოსით სეფისკვერი, მოსახსენე-
ბელი სიები და ფული შეჰქონდათ და გამოჰქონდათ.
მწირველი ლვდლები — მ. პავლე და მ. სილიბისტრო — ჩუმად

საუბრობდნენ. მ. ივანემ რავდენსამე სიტყვას მოჰკრა ყური.

— ივანოვსკი სულ დადის და ალლოს იღებს! — ამ-ბობდა მ. პავლე. — სამრეკლოზედაც-კი ასულიყო და იქი-დან რაღაც დაუთვალიერებია.. წელან ეზო-ეზოც დადიოდა თურმე... გაიძვერა უნდა იყოს. თავის ლვლელსაც არ უსვენებს.

— დიალ, დიალ! დაეთანხმა მ. სილიბისტრო, — რა-ლასაც მიამბობდა: დაუწყნარებლობაა... გლეხები რალ-საც აპირობენ.. სულ ჩურჩულობენო...

— რას უნდა აპირობდნენ? — აცქვიტა ყური მ. პავ-ვლემ.

მ. სილიბისტრომ სიცილით წარბები აათამაშა.

— ეგ ჯერ არ იცის, ალლო კარგა ვერ მოუმართავს.

ბლალოჩინმა კვეთა გაათავა, ფილონი მოისხა და ტრაპეზის წინ დადგა. მწირველმა ლვლებმაც ფილონები წამოისხეს და მარჯვნივ-მარცხნივ მოუდგნენ. ამ დროს ბლალოჩინმა მ. ივანე დაინახა და თავისკენ მიიხმო.

— მიტრო ხომ არ შეგხვედრია?

და მოუსვენარის მღელვარებით თვალებში დააც-ქერდა.

— ეს არის ეხლა, მე და ის წყალის პირს დაუსეირ-ნობდით.

— ჰო, ჰო! — სთქვა ბლალოჩინმა და ამოიოხრა.

კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ მთავარმა სეკი-როვმა დიღის ამბით ალსავლის ფარდა გასწია, ლოცვა-კურთხევა ითხოვა, საკურთხევლიდან გავიდა და ბოხის ხმით დაიწყო: „გვა-კურ-თხე, მე-უ-ფე-ო!“

ბლალოჩინმა სახარება აილო, ოდიკზე ჯვარი გამო-

სახა, შეშფოთებული თვალები აღაპყრო და გალობით აღამაღლა:

„კურთხეულ არს მეუფება... მამისა და ძისა და სულისა წმინდისა აწ და მარატის“...

XII.

შუადღისას ბაზარში დიდი აურ-ზაური იყო.

სოფელი ბაღდათი ორ სერს შუა იყო მომწყვდეული: ერთ სერს მაღალი და ლამაზი თეთრი ეკლესია ამ-შვენებდა; აქვე იყო ბლალოჩინის სახლიც. მეორე სერი-დან ჭვარტლით ჩაშავებული უზარმაზარი არყის სახლე-ლი გადიყურებდა. აქედან ეკლესიამდე განიერი ქუჩა იყო გაყვანილი. ეს ქუჩა და ეკლესის გარშემო მთელი მოე-დანი ხელად მოეფინათ ფიცრულებითა და კარვებით, სა-დაც ათასნაირი საქონელი გამოეფინათ. მაღალ სარებზე-ფრიალებდა სხვადასხვაფერი დროშები, გძელი ყელსახვე-ვები და თავშლები. ჯოხზე ჩამოცმული ქუდები ქანაობ-დნენ, თითქო სარებზე თავები წამოუცვამთო. წამოსასხა-მი, ფეხსაცმელი, ჩითი, ხელთათამანები, ბჟყვრიალი სამ-კაულები, ხილი, ტკბილეულობა, სოფლელების თვალს იტყუილებდა. გლეხები შედგებოდნენ, ხარბად დააცქერდე-ბოდნენ, ხან ფასს შეეკითხებოდნენ, ახლა სხვაგან გადაივ-ლიდნენ, თუმცა ფული არ მოეძებნებოდათ და ყიდვის იმედი არა ჰქონდათ.

ლაპარაკი, ყაყანი, ყვირილი, წრიპინი, სიცილი, ხარხარი, ეკლესის ზარების ხმა, ჭილყვავის ჩხავილი და ათასი ვაი-ვაგლახი სულ ერთმანეთში ირეოდა.

ბრმა, უძლური დედაბერი შოწყალებასა თხოულობ-და და ილოცებოდა:

— დაითარე იგინი, უფალო, სამოსელ-საფარველი-თა... დაიცენ იგინი, უფალო, თეთრითა კიდე-კედლითა!

მამა ივანე კარგა ხანს უაზროდ დახეტიალებდა ჰაზარში. ერთბაშად ამ მოხუცს მოჰქმა თვალი, დაუცერა-და, მივიღა და უთხრა:

— შენ ფოკანოვნა არა ხარ? გამარჯობა, ფოკა-ნოვნა! რა დაგმართვია? შარშან თითქო თვალხილული გნახე?

ბებერი ჯვარს მიჰყუდებოდა, რომელიც მოედნის შუა მაღლად იყო ამართული, და თრთოდა. იმას გარს დასტრიალებდა პატარა ბიჭი, რომელიც აქეთ-იქით იყუ-რებოდა და მ. ივანეს გაოცებით აცქერდებოდა.

— მამაო! ბუდოვანელო ღვდელო! — ბუტბუტებდა ბებერი, — ხმაზე გიცანი, ჩემი მწალობელო! გამარჯობა, მამაო! დავბრმავდი, მოწყალეო...

— ეგრე ერთბაშად რა მოგსვლია?

— ცრემლისაგან, მამაო! ჩემი შვილი ხომ... არ გაგიგია? ხალხი აჯანყდა. ჯარი მოიყვანეს მოვიდნენ და შვილი-კი... მერე ჯარის კაცებიც ნანობდნენ! უბძანეს, რომ მაღლა, ჰაერში ესროლათ... და ერთმა უნტერმა... ბრაზიანი ყოფილიყო!..

ზარმა მაღლობზე დაიგუგუნა..

— განგებანი უფლისანი იდუმალ არიან! — სთქვა მ. ივანემ და დედაბერს დიდი შაურიანი მისცა, — თავი მოი-ხარ, ნუ დრტვინავ! უფალი გამოგვცდის ცოდვისაებრ ჩივენისა... ვითარცა მამა... განწესებულ მთავრობისადმი უმორჩილობა...

ერთბაშად თავის თავისა შერცხვა და აირია.

შეხედა მოხუცს, რომელიც უღრბნოდ თავს აკან-
ცარებდა, და გაჩუმდა.

— ეს ბავშვი შენია?

— შვილის-შვილია, უბედურის ობილია. ეგ არის,
მამაო, ჩემი იძედი. გაიზდება და ლუკმა პურს გაუჩენს
მოხუცს.

პატარა ბიჭი შიშველა ფეხებით ტკეპნას მოჰყვა და
ამაყად წარმოსთქვა:

— მე ეხლაც ვშრომობ, მომუშავე ვარ!

ივანეს გაეცინა, რომ პატია ბავშვს მოზღილისავით
ეჭირა თავი.

— სადა მუშაობ, მერე?

— ბატონთან, ქარხანაში, ჭურჭელს მარეცხინებენ!
დოქს შეძახიან.

— აი, ყოჩალ! მერე, რას გაძლევენ?

— დღეში შაურს!

მ. ივანე თავზე ხელს უსვამდა.

— ყოჩალ!.. წიგნის კითხვა იცი?

— მევ?

სახეზე ისეთი სიამაყე გამოეხატა, რომ უნებლიერ
კაცს გაეცინებოდა.

— ჰეი, მაშ ჩვენებურ მომუშავეებს წიგნს ვინ უკი-
თხავს! ძია ალექსიმ მასწავლა. რა წიგნიც უნდა იყოს,
წავიკითხავ!

და უკმაყოფილოდ თავი გააქნია:

— თავზე ხელს ნუ მისვამ, არ მომწონს!..

მ. ივანე ისევ ხალხში გაერია.

უყვარდა ამ ხალხის ტალღაში ტრიალი. მოედანი
და ჭუჩები ხალხით საესე იყო. აქა-იქ ნაცნობები ხვდე-

ბოდნენ ერთმანეთს და, სალაშის შემდეგ, დუქნისკენ მიღიოდნენ, სადაც დედაკაცები მაღალის ხმით სტუმრებს იწვევდნენ და ახლო-მახლო მეზობლებს მოურიდებლად ლანძღავდნენ. მ. ივანე გლეხებს აცქერდებოდა. ამ მხარის გლეხობას ყველას იცნობდა, ვინ სადაური იყო. აგერ, ზოგ ვლეხს ორა ზრდილობიანად ეპატიუება ვაჭარი და საუკეთესო ჩითეულს უშლის. ესინი მწვალებლები არიან. აგერ, ლვისნიანელებიც, გამხდარი, მილეული, დამშეული.

— რას გაჩერებულხარ? — უჯავრდება ვაჭარი, — ჩაიარე!

ის ახლა სხვა ვაჭარს წაადგება თავს, ვიღრე ისიც არ დაუტუქსუნებს.

— ნუ გვიშლი ჩაიარე? — უყვირიან ყველგან.

ის-კი ხარბად შესკერის ბაზრის სიმდიდრეს და ხანდისხან თავმოკატუნებული ეკითხება მყიდველს, როცა ის რამე ნივთით დუქნიდან გამოვა:

— რა ლირს ეგ უსინიდისობა, კარგო კაცო?

აგერ ბასილეფელებიც.

ისინი დაღვრებილები დადიან და თვალებს საეჭვოდ აფაციცებენ. თითქმ რაღაც განზრახვა აქვთ და გამომულავნებისა ერიდებათო. მ. ივანემ შენიშნა, რომ საითაკ-კი ბასილეთელი გაივლიდა, ყველგან იმათ ყურადღებით შესკერიან და გზას აძლევენ; ყველგან სიჩუმე ჩამოვარდებოდა, თითქმ ელიან, ვნახოთ, ბასილეთელი რას იტყვისო. ვაჭრებიც-კი, როდესაც ბასილეთელი რამე საქონელს სინჯავდა და ფასსა კითხულობდა, თავაზიანად ეპყრობოდნენ. ყველა ატყობდა, რომ ბასილეთელები რაღაც საიდუმლოებას ატარებენ. მ. ივანემ მთავარ ივანოვსკის მოჰკრა თვალი, რომელიც ბაზარში დაძრწოდა,

თითქმ რაღასაც ეძებს და ოლღოს იღებსო. მ. ივანეს უნდოდა გამოლაპარაკებოდა და გამოეკითხნა, მაგრამ პირი აარიდა, ისე საზიზღრად ეჩვენა ეს გაიძვერა მთავარი.

აქ მ. ივანემ ბუდოვანელი გლეხი შენიშნა.

ბუდოვანელი მოლაპარაკეა, ხუმარა, გულუბრყვილო, ლაქლაქა. ამასთანავე ფილოსოფოსიც არის და ცხოვრებას ეოხუნჯება. თავის ძველ ტანთსაცმელზე საკერებლებს „მიჭვრიტანებს“ ეძახის; როცა მშიერია, ირწმუნება, „ისე გავძეხ, რომ მუცელს მგვრემსო“; სეტყვა რომ ყანას ანადგურებს, ის გულდათუთქული მაინც ხუმრობს: „ილიას სხვა საკოჭაო ადგილი ველარ უპოვიაო“; ბუდოვანელი, რო კვდებოდეს, მაინც თავისას არ დაიშლის: „კარგა ხანს ვიცოცხლე; ახლა დროა ლვდელსაც ცოტა რამ ხეირი მივცეო“.

— ეი, პატივცემულო, ეს ბავშვის გასაზიზღებელი რა ლირს? — ეკითხება ბუდოვანელი ვაჭარს და თვალით ტკბილეულს ანიშნებს.

ის ბუნდოვანელი გლეხი, რომელიც მ. ივანეს შეხვდა, მაზარ-წამოსხმული, აკონკილ ტანისამოსში იყო, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქმ მილიონების პატრონი იყოს. სახე ასწიოლებოდა, თითქმ ცხელ აბანოდან გამოსულაო. ისეთი სიმხიარულე ეწერა სახეზე, თითქმ არაოდეს დარღის სახელიც არ გაუგონია.

მ. ივანეს ნახვა ძალიან გაეხარდა, ბუდოვანელ გლეხს, მაშინვე მანათს „დაესესხა“, და ტაპირდა, ვალს მაშინ გადაგიხდი, როცა წითელ ხბოს გავყიდი, — იმ ხბოს, მამაო, რომელიც სწორედ ვიტუშას, ხნისაა, ხომ გახსოვს

შენ არ მოშინათლეო! მანათი-კი ვითომც იმისთვის სჭირდებოდა, რომ ქალს ათხოვებდა...

— და, მაშასაღამე, მზითევი უნდა შევუმზადო!

მ. ივანეს გაეცინა და მანათი მაინც მისცა.

მაგრამ ჩამოუგდო თუ არ ლაპარაკი რაღაც საიდუმლო ჩურჩულზე, რომელსაც ბაზარში ყური მოჰკრა, ვლეხი როგორლაც აირია და თვალები სადღაც შორს გაიმგზავრა.

— ვინ იცის, ვინ რას მეტყვის, მამაო! — უპასლება პირ-არიდებულმა.

— მაინც ხომ არა გაგიგონია-რა, კარპ?

კარპმა წითელ წვერზე ხელი მოისვა და კისერი მოიფხანა.

— რა ჩვენი საქმეა, ვინც რასა ყბედობს ბაზარში. ყველა ლაქლაქს ხომ ყურს არ დაუგდებ!

— რა ლაქლაქს?

კარპი სულ ერთსა და იმას გაიძახოდა:

— ვინ იცის... ვინ იცის...

და რომ უსიამოვნო ლაპარიკი შეეწყვიტნა, ერთბაზად დაუყვირა დედაკაცს, რომელიც ეტლზე იჯდა და კარტოფილი მოჰქონდა გასასყიდად:

— ეი-ეი, დედო, ეი-ეი! თავი, თავი სად დაგვიწყებია?

დედაკაცმა უნებურად თავზე ხელი მოისვა, გააფურთხა და შეუკურთხა.

ყველა იცინდა, მ. ივანესაც გასცინა. მერე მოტრიალდა — კარპი გამქრალიყო.

„რა დამართვია ამ ხალხს, რა ეჭვიანები გამხდარან?“ — გაიფიქრა მ. ივანემ და ისევ ხეტიალი დაიწყო.

აქ ყველაფერი იყო, რაც კი სოფელს გააჩნია: ბატი

თხვი, ქათამი, მამალი, საქონელი, გუთანი, სახნისი, ფარცხი, ძროხა, ცხენი, ცხვარი.

მ. ივანეს ექიმი შემოეყარა და ლიმილით უთხრა:

— ამბობენ, რუსეთი ღარიბი ქვეყანაა. აბა, ამ ჭიმდიდრეს უყურეთ, მთელ სახელმწიფოს იყიდით!

— დიდი სიუხვეა! — დაეთანხმა მ. ივანე. — სწორედ აღთქმის ქვეყანაა.

— ნამდვილად, ნამდვილად! — სთქვა ექიმმა და ერთ-გლეხს გამოელაპარაკა:

— მაგ ძროხას რისთვისა ჰყიდი?

— ძალას მატანენ... მორიდებით უპასუხა გლეხმა.

— ძალას ვინ გატანს?

— კუზმა ათანასელი!.. სათესლე არა მაქვს. კუზმა-კი არ მაძლევს და „მემუქრება... წინანდელი გადამიხადეო, თორემ...“

ისეთივე ლაპარაკი ექიმმა ახლა სხვა გლეხს ჩამოუგდო, რომელიც ჯაგლაგ ცხენსა ჰყიდდა. გლეხმა გულ-დათუთქვით უპასუხა:

— ლალა ვერ მივეცი პუსტოვალოვს... წყალმა-კი ზი-დოს!

ესეთის მუსაიფით იქაურობა რომ მოიარეს, მ. ივანეს სულ სხვანაირად ეჩვენა ბაზარი. ეს ძალდატანებითი საჯარო ვაჭრობაა, სადაც გლეხობას ეყიდება მთელი მისი ავლა-დიდება. და ეხლა სულ სხვა თვალით დაა-ცქერდა ამ ბაზარსა და ხალხს, მყიდველს, გასასყიდსა და გამყიდველს.

— აღთქმის ქვეყანაა? — ლიმილით ჰკითხა ექიმმა.

მ. ივანე შეფიქრიანებული იყო.

— არა, ეს სულ სხვა რამეა... ეგვიპტის ქურახანებია...

კარგა ხანს იხეტიალეს ექიმმა და მ. ივანემ და, ის იყო, ბლალოჩინთან უნდა დაბრუნებულიყვნენ, რომ რაღაც ჩოჩქოლი და არეულობა შენიშნეს ბაზარში. აქეთ-იქითგან რავდენჯერმე მოესმათ:

— მოჰყავთ! მოჰყავთ!

ბიჭ-ბუჭები შეგროვილიყვნენ და სადღაც გარბოტ-ნენ ყვირილით:

— მოჰყავთ! მოჰყავთ!

გლეხებიც აედევნენ ბიჭებს და ერთმანეთს უძახდნენ:

— მოჰყავთ! მოჰყავთ!

შამა ივანემ დაატყო, რომ რაღაც ამბავი უნდა მომხდარიყო, და შეჩერდა.

ბლალოჩინის სახლთან კარეტა იდგა. ქაფისაგან გათეთრებული ცხენები ნესტოებსა ჰბერავდნენ და ჰაერს ხარბად იზიდავდნენ.

— ეჭე, ერობის უფროსი მოსულა... ეხლა-კი ვეღარ გამოგყვებით! — უთხრა ექიმმა, ხელი ჩამოართვა მ. ივანეს და ღონივრად მოუჭირა:

— მშვიდობით ბძანდებოდეთ. თუ საჭირო ვიყო, არ მომერიდოთ, შინაურულად მეწვიეთ!

— მოითმინეთ! — გააჩერა მ. ივანემ, განზე გაიყვანა და ჩუმად ჰკითხა:

— იქ რა ამბავია, ექიმო? ბაზარში რა ჩოჩქოლია?

— რაო? რას ხედავთ?

— თითქო რაღასაც ელიან... ვერ გამიგია... რაღაც უნდა მოხდეს.

ექიმმა წარბი შეიხარა, თვალებზე მოუსვენრობა დაეტყო და იქით მიიხედა.

— არა ვიცი-რა, არაფერი... თქვენ რა გვონიათ?

მაჭრამ პასუხს აღარ მოუცადა, ძალდატანებით გაიცინა და უთხრა:

— ეს მიბძანეთ, მამაო, თქვენ იცით, რა არის საპროფესიო საიდუმლოება? თქვენ განცვიფრებულ სახეზე გატყობთ, რომ უცოდველი ხართ. ჰო და, როცა შევხვდები საღს კაცსა, ვხედავ და ვატყობ, რომ გულის ფრიალი უნდა ჰქონდეს, შემიძლიან ყველას შევატყობინო? აი, ამასა ჰქვიან საპროფესიო საიდუმლოება. სწორედ ისე, როგორც აღსარებაში გაიგოთ სხვის გულის-პასუხი და ვერ გაამხილოთ!.. ეხლა-კი მშვიდობით!

თავი დაუკრა მ. ივანეს და გაეშურა.

ბლალოჩინის სახლში სრული სიჩუმე იყო.

მ. ივანეს ეგონა, ყველანი საღლაც წასულან და ოთახები დაცალიერებულააო. დაღალულ-დაქანცული შევიდა, სასტუმრო ოთახში შესდგა ფეხი და განცვიფრებული გაჩერდა.

აქ ყველანი შეგროვილიყვნენ, მთლად გუშინდელი კომპანია აქ იყო..

ბანქოს მაგიდაც-კი თავის ადგილს, იდგა და გუშინ-დელი მოთამაშები. შემოხვეოდნენ. ხოლო არ ისხდნენ და ქალალდს არა თავაშობდნენ, არამედ ფეხზე იდგნენ და მოწიწებით ვიღასაც შეჰყურებდნენ მ. ივანემ ანაფორაზე დაიხედა, ამ დღესასწაულის შესაფერი არის თუ არაო. ღვდლები შემოხვეოდნენ ერთს მაღალ-მაღალ მოხელეს, რომელიც სამხედრო კაცსა ჰგავდა და თავი მაღლა ეჭირა.

ეს იყო პუსტოვალოვი.

ფეხები განზე გაედგა და ლაპარაკის დროს ისე ირტეოდა, თითქო წელში გადატეხილიაო, ხოლო მიხვრა-

მოხვრა და მანერები მაღალ საზოგადოებაში აღზრდილ კაცისა ჰქონდა. კბილები სულ დასცვინოდა, ტლოშები გაღმოეკიდნა, ლაპარაკის დროს დორბლსა ჰყრიდა. გძელ, მსუქან ცხვირზე სათვალე ვერ მოემაგრებინა და ხშირად უვარდებოდა. უფერული თვალები შუშებიდან ოდნავ ბჟუტავდნენ. ამ კაცს თავისი ცხოვრება ტკბილად მოუჭამია, სიბერის დროს ლონე-მიხდილს სოლომონისებური სიბრძნე მოუხვეჭია და თავისი თავი ხალხის მამად წარმოუდგენია, თუმცა ეხლაც ძველებური ჩვეულება წამოჰკრავს და დამახინჯებულ აგებულების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ააცუნცრუკებს და ააბორგებს და ხანდისხან გააარშიყებს კიდეც. ერთხელ გუბერნატორამდე მიაღწია იმისმა საარშოც ამბავმა. გუბერნატორმა, რასაკვირველია, ჩაჩქმალა „საქმე“, მიგრამ თავიველარ დაიჭირა და წამოიძახა: „ამ პუსტოვალოვს, მგონი, მთელი რუსეთი საროსკიპო სახლად მიაჩნია!“

ეს პუსტოვალოვი ამჟამად ძვირფას სიგარას აბოლებდა და გულმოდგინე მსმენელთა შორის თავმომწოდედ და მედიდურად ლაპარაკობდა, ხმას არც აუწევდა-არც დაუწევდა, ხოლო დორბლს-კი უხვად აბნევდა-გარშემო:

— ხალხი... დიაღ... ხალხი! ამას მოგახსენებთ: რა არის ხალხი, თქვენო აღმატებულებავ? — ვეუბნები გუბერნატორს. მე ესე ვიჯექ, გუბერნატორი — ესე, სათათბიროს წევრები — გარშემო. მე ვამბობ: ხალხი, თქვენო აღმატებულებავ, დიდი გვამია, რომელსაც თავი აკლია... ჰა? რაო?.. მე ვამბობ, თავი უნდა გაუჩნდეს. მოგვეცით. თავი, თქვენო აღმატებულებავ!.. თავი იქით, თავი აქედ... სამინისტროს პროექტი საუცხოვოა! ხალხი უნდა განცალ-

კევებულად იყოს. გააფართოვეთ ჩვენი ძალა, ჩვენი უფლება... ჩვენი უფლება, თქვენო აღმატებულებავ!.. ჰა? რაო?.. და ყოველივე ჩინებულად მოეწყობა! ჩვენ მარად ხალხის მამებად ვიყავით! მე ვამბობ—მეც მამა ვარ ხალხის! მე ასიათას ხუთასი დესეტინა მამული მაქვს, თქვენო აღმატებულებავ, ამ მაზრაში, ქარხნები... მე ხალხს ვიცნობ და ხალხიც მე მიცნობს, ვამბობ—თავი იქით, თავი აქედ... ჰა-ჰა-ჰა! ხალხი!.. ჰა? რაო?.. მე თქვენ ერთ ამბავს ვეტყვით, ბატონებო... აქ, მეონი, ქალი არ არის? ეს საქალო ამბავი არ არის, ბატონებო...

ერობის უფროსში ხარხარი ღაიწყო, თუმცა ჯერ არაფერი ეამბნა, და თან დორბლებს აპნევდა.

იმასთან ახლო მდგომა მთავარმა ივანოვსკიმ მორცხვად თავი მხრებში ჩაიწია, გაბრუნდა და მოწიწებით მოიწმინდა სახე, მერე ხელსახოცს იმნაირად დააცქერდა, თითქო უნდა ემთხვიოს.

— დაბძანდით, არკადი მიხაილოვიჩ, თუ ინებებთ!
— მოკრძალებით უთხრა ბლალოჩინმა.

— თქვენი ფოფოდია სადა ბრძანდება?—ზრდილობიანად ჰკითხა ერობის უფროსში.

ბლალოჩინი კარს ეცა.

— დედა! ჩქარა მოდი! არკადი მიხაილოვიჩს შენი ნახვა უნდა!

ოთახიდან მაშინვე მორთულ-მოპრანჭული ფოფოდია გამოგოგდა, თითქო მერხილ გამოაცურესო. სახეზე მოკრძალება და თითქო შიშიც ეხატებოდა.

— ჩაის ხომ არ ინებებთ, არკადი მიხაილოვიჩ!—
უთხრა ფოფოდიამ და ისე აწითლდა, როგორც გასათხოვარი ქალი,—უკაცრავად-კი გახლავართ, საკადრიხად ვერ დაგიხვდებით!

— სიამოვნებით, დიდის სიამოვნებით!.. ჰა? რაო? —
უთხრა ფოფოდის და თან თვალი გაუშტერა.

— სასტუმროში მობძანდით!..

ერობის უფროსს მღვდლები შემოეხვინვენ, როგორც
არქიელს:

ის დარბაისლურად წავიდა სასტუმრო ოთახისკენ,
ტანი აქეთ-იქით გადაპქონდ-გადმოპქონდა და თან ლა-
პარაკობდა:

— ძალიან მოსწრებული სიტყვა იყო!.. ჰა? რაო?..
ხალხი, თქვენო აღმატებულებავ, დიდი გვამია...

ეხლა ყველის სავალდებულოდ მიაჩნდა გაეცინა,
ოცნება გამოეხატა და თავის მეზობლისთვის ექო საო-
ცარი ჭკუა-მახვილობა. ეს ჭება-ფიდება თვით უფროსმა
შესწყვიტა:

— თავი აქეთ, თავი იქით!..

ერთბაშად ქარმა ფანჯარა შემოარახუნა..

ოთახში ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ხოლო ბაზ-
რიდან ხალხის ხმაურობა მოისმა. ეს მხიარული ხმა აღარ
იყო. ახალი ჰანგები ისმოდა, უცნობი საიდუმლო, საშიში.
ოთახში მყოფთ ყურები იცქვიტეს და გაკვირვებით ერ-
თმანეთს შეხედეს. ხმაურობა თანდათან იზღებოდა და
ქარიშხალსავით ბაზარს სწრაფად ედებოდა.

ერობის უფროსი ზეზე წამოდგა.

ბლალოჩინი საშინლად გაფითრდა და გაშეშდა, თი-
თქო, აი, ეხლავ თავს დაატყვება ის უბედურება, რო-
მელსაც, დიდი ხინია, მოელისო. თაბორელი და ივანოვსკი
ფანჯარას ეცნენ, მაგრამ ფარდებში გაებნენ და ფან-
ჯრიდან ვეღარ გადიხედეს..

იმავ წაშს კიბეზე გაჩქარებული ფეხის ხმა მოისმა და
ათახში შემოვარდა სახე-ჩალურჯებული მთავარი სეკი-
როვი.

— რაო? რა არის? რა ამბავია? — მისცვინდნენ ყვე-
ლა მხრიდან.

ის უაზროდ ხელებს იქნევდა და თვალები სულ გა-
დეკარკლა. პირი დააღო, მაგრამ ჯერ ჰაერი ისუნთქა და
მერე ერთბაშად ამოიძახა, თითქო თოფტ გააგდესო:

— ბაზარში ბუნტია!

XIII

სამლელელოება ქშენით ბაზრისკენ მიეშურებოდა.
იქ, შუაგულში, შიროკოზადოვის ტრახტირთან, რაღაც
ჩოჩქოლი იყო. შორიდან სჩანდა, რომ იქ მტვერსა და
ვაი-ვაგლაბში დარბოდნენ, ყვიროდნენ, ხელებს იქნევ-
ლნენ, ცხენებს დაჭენებინენ. ათასი ხმა არეულიყო,
თითქო ყიუინა დაჭკრესო. მთავარი ივანოვსკი წინ გარ-
ბოდა, როგორც ალღოს ამღები მწევარი. მ. ივანე ბლა-
ლოჩინის გვერდით მიაბიჯებდა.

— ჯვარი არ გამოვასვენოთ ეკლესიიდან, მაშაო? —
აძახდა მთავარი სეკიროვი და თან გარბოდა.

— რისთვის? — გაკვირებით ჰკითხა ბლალოჩინმა.

— იქნება, როგორმე დავიყოლიოთ, ჩავაგონოთ,
დავასინდისოთ... ჯვრით უფრო იმედია.

წინად გაჩალებული და ხალხით სავსე დუქან-ფარ-
დულები დაკეტილ-დაცალიერებულიყო. აქა. იქ დუქნე-
ბის ბანზე ბიჭები იდგნენ, ერთ მხარეს იყურებოდნენ
და ერთმანეთს რაღასაც აჩვენებდნენ.

ხმაურობა თანდათან სამლელელოებისაკენ მოიწევდა,
აფთხობდა და შიშის ზარსა სცემდა. სქელი წითელი

კორიანტელი მზეს აბნელებდა. დასავლეთისკენ შევი ღრუბელი მუქარით მოიხლაზნებოდა, თითქო უშველებელი მთა დაძრულა და ვაკეზე უნდა გადმოიჭირეს. მაგრამ ცადა ღრუბელი ვიღას აგონდებოდა.

— რა ამბავია? რა ამბავია? — დახტოდა ხალხში მთავარი ივანოვსკი და ყველას ექითხებოდა.

ნისკარტისებური ცხვირი. ცნობის-მოყვარეობას უფრო წაეგძელებინა. თვალები წურბელასავით ყველას სახეს აკოშიწლებოდა. მაგრიმ არავინ ხმას არა სცემდა, პასუხს არ აძლევდა. ყველა იქითხენ მიიწევდა, საიდანაც ჟრიამული მოდიოდა, ფეხის თითებზე დგებოდნენ, რომ თვალი მოეკრათ რისთვისმე, და თან ხმაურობდნენ, ყვიროდნენ ხელ-ფეხს იქნევდნენ... ერთი მაღალ-მაღალი და ზორბა გლეხი ღრიალებდა:

— იქე-რენ! აგერ, აგერ!.. იქე-რენ!.. კიდე, კიდე დაი-ჭი-რეს!

მ. ივანევ ამ გლეხისკენ წაიწია, სახელო დასწია და ჰერთხა:

— ფოლალეი! — რა ამბავია?

— პატიმრებს იქერენ! — მიურბუნა გლეხმა გაშმაგებული სახე, — ბასილეთელებს იქერენ, აი, მამულის გამო რომ აჯანყდენენ. იმათი პატიმრები მოჰყავდათ... იქაურები დაეცნენ და გაანთავისუფლეს. ეხლა იმათ იქერენ...

ერთბაშად მთელი ტანჩ ააზანზარა, თითქო ტკივილებმა დაუარესო, და ხარხარი დაიწიო:

— კი-დე! კიდე! მეექვე დაიჭირეს!

— რას გიხარიან, შე შეჩვენებულო? — დაუყვირეს გაბრაზებულმა მეზობლებმა.

— რათა სუემენ! რათ აცემინებენ! — ყვიროდა აღელ-
ვებული გლეხობა.

— აგერ, პავალიხინიც გაბოჭეს... ეგ ხომ მოხუცია!

— ოჲ, სისხლი ნაკადულსავით გადმოსჩქეფს.

— მაშ, ნუ გარბიხარ! — წაიდუდუნა შავმა გლეხმა,
შავ ტანთსაცმლიანმა.

— მაშ ციხეში ჯდომა ვის ეხალისება? მერე, მაგათ
ხომ უსამართლოდ ეპყრობიან. სულ დაპერა შიროკოზა-
დოვმა. ან ვინ დარჩი გამოუხვრელი ამ მხარეში?

— ეგ-კი მართალია. ვინ ამბობს! — ერთბაშად დაე-
თანხმდა შავი გლეხიც და შუბლი შეიკრა: კაცი-ყლა-
პიაა!

ტრახტირის ბანიდან ბიჭები, დედაკაცები, თვრალი,
გლეხები გადმოიყურებოდნენ და ხელების ქნევით რაღა-
საც ყვიროდნენ.

ერთმა კაცმა გადმოიძახა იქიდან:

— ეი, შენ! წვერს რაზე აძიძგნი, შე ეშმაკის კერ-
ძო! არა ხედავ, მოხუცია?

პასუხად ქვემოდან ვიღამაც დაიღრიალა:

— შენ შენთვის ეგდე, თორებ!..

იქიდან, საღაც ხალხი შეჯგუფილიყო, ისმოდა,
ყვირილი, კივილი, კვნესა, ღრიალი, ცემა-ტყება, ტი-
რილი, ქვითინი. და ათასობით გარშემოხვეული ხალხი
სხვადასხვა ხმაზე ბანს აძლევდა...

მზე იქბინებოდა. ცაზე ღრუბლის ნაფლეთები დაწი-
ნაურებულიყვნენ. შავი ღრუბლის ქედი-კი უკან მო-
ზლაზნებოდა.

სეკიროვი ღვდლებს. წინ მიუძღვდა: და ხალხს უძახდა:

— ღვდელს გზა მიეცით!

შავრამ ყურს არავინ უგდებდა.

ბლალოჩინი შეშინებული და თავგზა-არეული სადლაც მიეშურებოდა, თითქო საზარელ რაღასაც მოელის და უნდა აიცდინოსო.

— ძმანო! ძმანო! გამატარეთ და... ძმანო!

მოულოდნელად ხალხი გაიპო, უკანიდან ბლალოჩინს მიაწვა და შიგ შუაგულში კი შეაქანა, სადაც ვაივაგლახი ტრიალებდა. ის დაპროწიალდა, წაბარბაცდა და გულდალმა წაიქცეოდა, მ. ივანეს რომ მძლავრი ხელი არ მოეხვია. მ. ივანე როგორლაც წინადვე შექრილიყო ხალხში.

— მიტრო სად არის? მიტრო სად არის? მიტრო აქ არის? — ეკითხებოდა გაბეცებული ბლალოჩინი და თვალებს უგონოთ ატრიალებდა. ტუჩები უთროთოდნენ, ხელები უკანკალებდნენ, სიდარბაისლე სულ დაჰკარგოდა. მამა ივანე სულ სხვა კაცსა ხედავდა, და არა ნაცნობ ბლალოჩინს. ის მოკუმშული, დაბალი, საბრალო, ბებერი და უძლური იყო. ყოველ მის მოძრაობაში შიში იხატებოდა. ის ბავშვსა ჰგავდა, რომელსაც საზარელი რაღაც მოსჩერენებია.

— რა დაგმართვიათ? — ჰკითხა გულმხურვალედ მ. ივანემ და უკან დაიწია, რომ უფრო კარგა გაესინჯა. — ეგ რა ფერი დაგდებიათ?

ბლალოჩინი იმას ყურს აღარ უგდებდა და შეშლილ-სავით გარშემო იყურებოდა.

სტრაუნიკებს ექვსი გლეხი შეებოჭათ.

ესენი ხნიერი კაცები იყვნენ და ძალჩე ნაცემი, დასისხლიანებული. კიდევ სცემდნენ, ისინი-კი ხმასაც არ იღებდნენ. მეშვიდეც ეხლა დაიჭირეს, ახალგაზდა კაცი,

და თოკით ისე ჰბოჭავდნენ, რომ ქვლები უხრაგუნებდა...
ის კი საშინლად და საზარლად გაჲყვიროდა:

— ძმებო, მეგობრებო, ჩე-მო ძმე-ბო!..

— გაჩუმდი, პავლე! უთხრა ერთმა შებოჭილმა მო-
ხუცმა.—მოძმეთათვის ტანჯვა უნდა აიტანო!

ეს იყო თეთრ და გძელ-წვერიანი მწვალებელი. სა-
ხე სულ დაჲეჲილ-დაბეჲილი ჰქონდა, წვერი ნახევრად
გასისხლიანებული.

მთლად გამტვრიანებული, უქუდო ურიაღნიკი ხალხ-
ში ცხენს მიაქროლებდა და გაიძახოდა:

— იქით, იქით! გზა! დაიღუპეთ!

ერთი გლეხი კინაღამ გასრისა. ხალხი გაიპო და გზა
მისცა, მაგრამ უყვიროდა:

— რად იცემებით! ძალები ხომ არა გგონივართ!
ეი, თქვენ შიროკოზაღოვის მწევრებო!

ურიაღნიკს მტვრით ყელი ამომსებოდა, სულს ვე-
ლარ იბრუნებდა, ყურს არავის უგდებდა. სტრაუნიკებია
რომ დიინახა, ხრინწიანის ხმით ჰქითხა:

— ყველა დაიჭირეთ?

— ყველა, თქვენო კეთილშობილებავ! — უპასუხეს-
სტრაუნიკებმა.

— ერთი, ორი, სამი... სიდოროვ, ვლასოვ, პოვა-
ლიხინ... ნაზაროვი სადღაა?

სტრაუნიკები აქეთ-იქით გაშტერებით იყურებოდნენ.

— აი, თქვე წყეულებო! — ერთბაშად დაულრიალა
ბრაზ-მორეულ მა ურიაღნიკმა. — რომელიც თავიდათავი ამ-
ჯანყებელია, ის ვერ დაიჭირეთ, თქვე სა-ზიზ-ლრე-ბო!

— ამოდონა ხალხია, თქვენო კეთილშობილებავ, —
გაუმედა ერთმა სტრაუნიკმა, — აბა ყველას როგორ და-
ვიჭერდით.

— თქვე საძაგლებო! ეს აურ-ზაური ხომ სულ ნაზაროვის ბრალია!

და დაუყვირა ერთ გლეხის ბიჭს, — რომელიც ცხენს წინ ელობებოდა:

— ჩამომეცალე, კუდიანო, თორემ გაგსრესამ!

— რათაო მერე? უზახრა მოხუცმა გლეხმა: უყუროს, ჭიუა ისწავლოს! ჩვენ დავიხოცებით, მაგან-კი უნდა იცოცხლოს...

— ხმა გაკმიდე, ძალლის ლეკვო!

ლრიაღნიკა ცხენი გააბრუნა, გააჭენა და ყვირილი მორთო...

— ნაზაროვი არ დაუჭირიათ! მოსძებნეთ ნაზაროვი! დასჩერიკეთ ეზოები! თჭვენ-კი, ეი, მინდორზე გაეჩქარეთ!.. ნაზაროვი უთუოდ უნდა მომგვაროთ!

სტრაუნიკებს მაგრა ეჭირათ პატიმრები და ხალხს ეჭვით უბლვეროდნენ. ყველგან, შორსა და ახლო ბასილეთელის აღელვეპული სახეები მოსჩანდა. ისინი თანდათან პატიმრების გარეშემო გროვდებოდნენ და მკვახე სიტყვებს ისროდნენ, რომლებიც ხალხს ხან აბრაზებდა ძალმომრეების წინააღმდეგ, ხან აცინებდა. ახალგაზდები კიცხვითა და დაცინვით ამბობდნენ, ანტიქრისტე გაჩენილა და მისი მსახურნი მის ნიშანს ატარებენო. სტრაუნიკები ერთმანეთს გასცეკეროდნენ, მაგრამ პასუხს ვერა ბედავდნენ, რაღგან ხალხი უფრო-და-უფრო დელავდა, გროვდებოდა და ზვავუებოდა, როგორც წყარო-ნაკადულებისაგან შემდგარი, თამამად მჩქეფარე მდინარე, რომლის შეჩერება არა ძალას არ შეუძლიან.

დუქნის პანიდან ერთი მწვალებელი დაცინვით გადმოჰყვიროდა ხალხს:

— უყურე, უყურე, მართლმადიდებელო ხალხო! უყურე და ისწავლე, შენი ადგმიანური უფლება და სამართლიანობა როგორ უნდა დაიცვა!

— გირჩევნია გაჩუმდე, ნიკიფორიჩ, — უთხრა ერთმა დედაკაცმა: ძალად ჭირი არ გადიკიდო...

— არ მეშინაან მაგ... საზიზლრებისა!

სტრაუნიკები ბრაზობდნენ, თვალებს უბდლვრიალებდნენ, მაგრამ ხმას არა სცემდნენ.

ამ დროს შენიშნეს, რომ ბასილეთელები ერთბაშად ამოძრავდნენ და აქეთ-იქიდან ერთად წამოიძახეს:

— აგერ, აგერ!.. უყურეთ... ის არის, ის არის!

ყველამ თავი მიატრიალ-მოატრიალა:

— ვინ? სად? ვინ არის?

და ყველა მიხვდა.

ეხლა ასობით და ორასობით ჰყვიროდნენ:

— აგერ... შეხედეთ! აგერ არის... მოსულა! აბა ჩახოს, უყუროს, დასტკებეს! სისხლის მსმელი აგერ! აგერ!

ღვდლებს უკან შიროკოზადოვი იდგა, თავი მაღლა აელო და მღვრიე თვალებით აქეთ-იქით იყურებოდა, — ეს ბურჯუა, ფაფუკ ზელებიანი, მაგრამ ტეტიასავით მოუხეშავი მემამულე და მონათ-მფლობელი, ახალ კლასის წარმომადგენელი...

ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე ძალა პირის-პირი იდგა და სიკვდილ-სიცოცხლეს მოელოდა.

ერთი ზღვასავით, მეორე კლდესავით.

ზღვა, რომელიც ამაოდ აჯახებს მძლავრს ზვირთებს კრულ-დაწყევლილ, უნაყოფო და გამოუსადეგარ შავ კიდეს. კლდე, ბნელ უფსკრულიდან ამონახეთქი და ის-ტორიის მყრალ განაკლით მოკირწლული, — სალი კლდე,

კაცობრიობის წინ-სვლის წინააღმდეგი და გზის გადამ-ჭრელი, თვით კაც-მონისაგან მოგონილი და გაჩენილი, ხოლო უფრესი და ურყეველი, მრავალ მებრძოლთა განმწირველი და მმუსვრელი, ყოველ აზრისა და იმედის დამხშობი, პატიოსნებისა და თავისუფალ მისწრაფების დამგმობი.

ასობით აიმართა ჰაერში მუშტები, მუქარითა და კრულვით.

უშველებელი და საშინელი მხეცი აიბურძგნა.

მთელი ხალხი, ახლო მდგომი თუ შორიდან მაყურებელი,—იცოდა თუ არ ესმოდა, რა ამბავი იყო.—ერთმა გრძნობაშ აიტაცა, ყველას სული ყელში მოაწვა, ყველა ყვიროდა და ხიხინებდა... ყველა ერთბაშად მიხვდა, რაც უნდა მომხდარიყო, და ათასმა თავმა პირი ბასილეთელებისკენ იბრუნა. შიროკოზადოვს ყველა იცნობდა, ძალიან კარგა იცნობდა. ყველა მათგანი იმის ბჟყალებში იყო; ყველას ახსოვდა და აგონდებოდა წყენა, სიავკაცე, მშობელ-ნათესავებისა და ნაცნობების დაჩაგვრა; ყველა, ასე თუ ისე, გულნატკენი და გაბრაზებული იყო... მოგროვდა და მოზვავდა ზიზლი და მძულვარება. ყველა შორიდან მუქარით მუშტს უღერებდა. გაბრაზებული ხალხი საშიში სანახავი იყო. თვით იმის ტრახტირის ფანჯრებიდან და ბანიდან გადმოსძახოდნენ:

— იუდავ!

მ. ივანემ შიროკოზადოვს მხარზე ხელი დაადო:

— წადი, ცოდოს მოშორდი!

ის-კი გაშტერდა. აქამომდე ფარულმა და ეხლა-კი მოულოდნელად გამომულავნებულმა საერთო მძულვარებამ თავზარი დასცა. გაფითრებულმა და სახე-ჩალურჯებულ შიროკოზადოვმა ხელი ჰკრა მ. ივანეს, რევოლვერი ამოიძრო ჯიბიდან და ჰაერში შეატრიალა. რევოლვერის და-

ჭერაც-კი არ ეხერხებოდა, თავის დღეში არ გაუსროლია, მაგრამ მთრთოლვარე თითით ჩახმახის ფეხს ეძებდა... სწორედ საოცარი სანახავი იყო ეს უზარმაზარი დამფთხალი კაცი, რომელიც სიმტკიცეს არაოზეს არა ჰქარგავდა, რომელმაც თავდავიწყება არ იცოდა. ის ეხლა პირისპირ შეხვდა იმ მძულვარებას, რომელიც მხოლოდ სხვებისაგან გაეგონა.

— ბუნტოვჩიკებო... არ გაბედოთ! — ლრიალებდა უაზროდ და ვერა გრძნობდა, რომ ის არა-ჩვეულებრივის ხმით თავის შიშა და თავზარ-დაცემას იჩენდა.

ერთი წუთი...

თითქო დაგუბებულმა წყალმა კალაპოტი გააპო.

გარშემო რკალი შემოერტყა აღელვებულ, აბობოქ-რებულ, გაბრაზებულ ხალხისა. სტრაუნიკები სულ მიჟყ-ლიტეს. თუმცა ისინი მუშტებითა და ფეხებით მედგრად იბრძოდნენ, მაგრამ ხალხმა ისინი პატიმრებს დააშორა. ეხლა იმათაც ენა ამოიდგეს. მწვალებელმა მოხუცმა მხრები შეიშმუშნა, გაიწ-გამოიწია, თოკი დაწყვიტა, ხელი მაღლა აიღო, რომელზედაც თოკის ნაწყვეტი შერჩენოდა, და ისე დაიგრვინა, რომ ხალხის ხმაურობა სულ დაახშო:

— წყეულ იყავ... ამიერ და უკუნისამდე!.. აბა, გვიყურე, რა დღეში ჩაგვაგდე! გვიყურე!..

გრძელ წვერ-ულვაშიანი და გაბურძენული, სისხლში წვერ-ამოსვრილი, ის წინასწარმეტყველსა ჰგავდა, რომელიც ჩასაქვავებლად გაემზადებინაა.

— ღმერთი გადავიხდის სამაგიეროს! არ შეგრჩება არ გეპატიება, იუდავ, არც ამ ქვეყნად და არც საიჭიოს... შენ გაზის ანტიქრისტეს ბეჭედი! აბა გვიყურე, რა გვი-

ყავი, გვიყურე! სიკვდილის ჟამს, როცა სული უნდა
ამოგხდეს, ჩვენ მრისხანე მოსამართლებად თავს დავად-
გებით შენს სულს, როგორც ეხლა შენ დაგვდგომიხარ.

და გატაცებით წინასწარმეტყველებდა:

— შენ დაგვიმორჩილე, დაგვჩაგრე უსამართლობით!
ჩვენი შვილები შენ დაგიმორჩილებენ სიმართლით! შენი
ლვიძლი შვილები ზურგს შემოგაქცევენ! და იქმნები
კრულ, ვითა კაენი... დაწყევლილი.

ხალხი კვნესოდა, ოხრავდა, უფრო ახლო მიიწევდა.

შიროკზადოვი უაზროდ რევოლვერს ატრიალებდა.

— გამშორდით! ყველას... ყველას... ამოგულეტ!

ლრიალებდა, ვითა დაჭრილი მხეცი, გაგიჟებული და
იმავე დროს მეტად დამტოხალი. ის უგონოდ ქარიშხალს
ემუქრებოდა, რომელიც ათასის ნასუნთქ ჰაერს პირში
ახლიდა, და სისხლ-მორეულ თვალებს აბრიალებდა, თი-
თქო მსხვერპლს ეძებსო. მის თვალში ყოველივე ირეოდა,
დახტოდა, პროჭიალობდა და კბილებს ულრჭენდა...
ათასი ხელი მისკენ მუქარით მიიწევდა.

მ. ივანე და ბლალოჩინი ცდილობდნენ გაეშორე-
ბინათ, რომ გასცლოდა ამ გაბრაზებულ ხალხს და ტრახ-
ტირში მაინც შეეფარებინა თავი, მაგრამ ამაოდ. ის
ახლო არ იკარებდა, თითქო მათი განზრახვა ვერ გაუგიაო,
და ისიც-კი არ ესმოდა, რომ თავით-ფეხამდე. წითელ
მტვრით მოდებული ურიადნიკი უძახდა:

— შიროკზადოვ! წადი აქედან!.. მოშორდი!!

სისხლის ნისლში იმას მხოლოდ ათასი თვალი ელან-
დებოდა, მძულვარებითა და ზიზლით აღსავსე.

ყვირილს ყვირილითვე გასცა პასუხი:

— გაა-მიი-შვით!

თუმცა არავინ იქერდა.

ის აკანკალებულ ხელით მაინც რევოლვერს ატრია-
ლებდა და ვერა გრძნობდა, რომ ათროთოლებული თითი
ჩახმახის ფეხს აწვებოდა.

ერთბაშად იფეთქა და იგრიალა.

ხალხი შეკროა, გმინვით მიაწყდ-მოაწყდა. წინა
მდგომებშა უკან დაიწიეს, უკანებმა წინ წამოიწიეს, ფე-
ხის თითებზე დგებოდნენ და კისერს იგძელებდნენ, რომ
რამე დაენახათ. ყველა ერთ ადგილს დასკეროდა, რასაც
ტყვია მოხვდა უცაბედად. ურიადნიქმა ცხენს უკან დასწია
და გაშრა. შიროკოზადოვს ხელიდან რევოლვერი გავარდა.
ნამდინარევისავით მღვრია თვალი დააშტერა უარარაოდ
დალვრილ სისხლს. მოზარდი გლეხის ბიჭი თრთოდა,
პატარა ხელებით ჰაერს ეპოტინებოდა, თითები ვილასაც
იწვევდნენ და შველასა სთხოვდნენ.

ხალხიდან პაულა გამოხტა და მომაკვდავთან დაეშვა.

ჯერ იმას დააცქერდა და მერე მწუხარებისაგან. შე-
შლილი სახე შიროკოზადოვს მიაპყრო:

— მკვლელ! საზიზლარო!!

თეთრი წამოსასხამი მხრებიდან ძირს გადუცურდა.
წამწამებზე ცრემლები უციმუიმებდა: ის სულ თრთოდა,
რაღაც სიტყვებს ეძებდა და ვერა პოულობდა. აკანკალე-
ბული ხელი-კი შიროკოზადოვისკენ მიიწვედა.

შიროკოზადოვის წინ აეყუდნენ მრისხანე აჩრდი-
ლები, შურის-მძიებელნი.

ის-კი სიზმარში იყო.

უგონო თვალებს აქეთ-იქით ატრიალებდა, თითქო
რაღასაც ეძებსო, თუმცა არ იცოდა, რა უნდოდა, რა
ეთქვა, რა გაეკეთებინა. და ამ დროს ხალხში თავისი ქალი

დაინახა. იმას ორთავ ხელით თავი ეჭირა და გადმოკარკლული თვალები მამისთვის მიეშტერებინა. ამ თვალებში, თავზარს გარდა, შიროკოზადოვმა რაღაც ახალი გრძნობა, მძულვარება და ზიზღი შენიშნა. შიროკოზადოვს სული შეეხუთა, თავის ქალს თვალი ვეღარ მოაშორა. მერე ერთბარ შად თავი დაღუნა და ხარისავით გატრიალდა. უნდოდა წასულიყო, გაქცეულიყო, გადავარდნილიყო სადმე, რომ სამუდამოდ მოშორებოდა — ხალხს კი არა, რომელიც სუნთქვით წაარჩინდა, — არამედ ამ თავის ღვიძლი ქალის თვალებს.

წინ ბლალოჩინის გაშმაგებული შვილი შემოეყარა.

უქუდო, თმა-გაბურძენული, ის ალექსის ხელიდან გუსხლოტა და მამას შეებლაუჭა, რომელიც არ უშვებდა..

— გამიშვით! გამიშვით! — ყვიროდა ხმა-წასული და გულ-გადმოვარდნილი.

— აი, ეგ საძაგელი! ხალხის მტერი! .. მე შენ საზიზლარი დამდა უნდა დაგასვა!

მამასაც გაუსხლოტა ხელიდან, გაექანა, შიროკოზადოვის წინ გაჩერდა, მაგრა მოკუმშული მუშტები უკან დაიწყო და რაღაც უნდა ეთქვა, ისეთი შწვავე და გულ-გასაგმირი, რომ მტარვალს იქვე გაეჭიმა ფეხი.

მაგრამ ანაზღეულიად ალექსანდრა გაექანა და მათ შორის ჩადგა.

— საჭირო არ არის! — ბძანეგით უთხრა ყმაშვილს.

თვალი თვალში გაუყარა და გაუმეორა:

— არა, დიმიტრი, საჭირო არ არის, არა სთქვა-რა! არ ივარგებს... იმათვისდა...

და ამ გაბრაზებოლ ხალხის წინაშე, რომელსაც მისი სული შეეთვისებინა და მის მამას კი ემუქრებოდა,

ქალმა მოურიდებლად და დაუპრანჭავად წარმოსთქვა,
თითქო აქ საჯაროდ ფიცსა სდებსო:

— ჩემი სიყვარულისათვის... ოქვენდამი!.. საუკეთესო
მომავალისათვის!

ყმაწვილი აწითლდა, განცვიფრდა, უკან დაიწია და
ქალს დააცქერდა.

პაულა ცვილობდა დაჭრილი ბიჭი წამოეყენებინა.
ზელები სულ სისხლში შეეღება.

— რას უყურები — უთხრა მ. ივანეს: წავიყვანოთ,
ჩაქრა, ჩაქრა!..

მ. ივანემ ქალი ხელით მოირიდა, დასწვდა, მთრთო-
ლვარე გვამს ხელი მოხვია უა წამოდგა. ამისთანა ბუმბე-
რაზს, მე ვიცი, გაუძნელდებოდა ამისთანა სიმძიმის ტა-
რება! ლომსავით თმა-გაბურძგნული, ალელვებული და
აწითლებული მამა ივანე ხალხს აპობდა. შავი ღრუბელი
სამგლოვიაროვ ჩრდილავდა არე-მარეს. შორს მრისხანე
ქუხილი გაისმა....

ერთბაშად ხალხი ახმაურდა:

— ერობის უფროსი! ერობის უფროსი! გზა მიეცით!
ურიაღნიკი ხალხში მიაჭინებდა:

— გზა, გზა!

საერობო უფროსი ქარხნიდან ეტლს მოაქროლებდა.
ქარხნის მოურავ-მოსამსახურები ცხენებით თან ახლდნენ.

ხალხი უფრო ახმაურდა და ოვზარ-დაცემული გაი-
ძახოდა:

— გვხოცავენ! გვჟღეტენ!

ერთი მთვრალი ყვიროდა:

— აი!.. ხედავთ... აგერ ისინი.. სამართალი არ
არის... ჰეი! წაგვართვეს, გაგვძარცვეს.

ვიღაც შრისხანედ იძახდა, თითქო დიდ ჩაქუჩას
სცემსო:

— დაჰკა! დაჰკა!

მ. ივანე უნებურად შეჩერდა.

ყველანი გარბოდნენ, ვინც საით მოასწრო. ტრახ-
ტირის წინ მტვრისაგან აღარა სჩანდა-რა. ერობის უფ-
როსმა ეტლი უკან გააბრუნა. ურიადნიკის ცხენი სახ-
ლებსა და ურმებში ტრიალებდა. სამღვდელოება ხან აქეთ
მიაწყდა, ხან იქით, თითქო გზა ვერ გაუგნიაო. ვინც
გაქცევა ვერ მოასწრო, სულ ერთმანეთში, ერთ უშვე-
ლებელ ჯგუფში აირია, ყვირილითა, ვაებით, კვნესითა,
კრულვით.

— პაულა, პაულა! — უძახდა მ. ივანე.

პაულა ჯგუფიდან გამოხტა და მისკენ გაიქცა.

— რა ამბავია! ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!

ტრახტირში ყვიროდნენ — გვიშველეთ, გვიშველეთო!

ბანზე ცეცხლის ალი აფრიალდა და კვამლში ჩაქრა. მთელ სახლს ცეცხლი მოედო. ფანჯრებიდან ხალხი ხტე-
ბოდა, ნივთებს ისროდნენ. ერთ მოახლეს დიდი ყუთი
გაღმოეყუდებინა, მაგრამ ფანჯარაში ვერ გამოტეულიყო.

საიდანლაც ჩაქუჩის ხმა კიდევ ისმოდა:

— დაჰკა! დაჰკა! დასწვი ეგ დაწყევლილები!

გაბოროტებული ხალხი გმინავდა. აჯანყება ძლიერ-
დებოდა.

ტრახტირის შესავალთან ალექსი იდგა და ხალხს
უყვიროდა:

— ხალხო, ძმებო! რას ჩაღიხართ! გაჩერდით!

ურიადნიკს გზა მიეცით! თავს იღუპავთ ტყუილ-უბრალოდ.
ამაოდ, ამაოდ!

თმა აბურძენოდა, ძლარბს ღამსგავსებოდა. საშინ-
ლად აღელვებული იყო. ხედავდა, ომ ველარას გააწ-
ყობს, და მაინც ყვიროდა:

— ძმებო, ჩემო საყვარელნო! ეგ უგუნურებაა!
დაწყნარდით!

იმისკენ ათასი ხელი მიიწევდა.

— შიროკზადოვი მოგვეცით!

ალექსი თვალიდან ცეცხლს ჰყრიდა.

— არ მოგცემთ!

— მოგვეცი! შენც მაგათკენ ყოფილხარ... მოლა-
ლატე!

— ხმა ჩაიკმიდე! მე მოლალატე არა ვარ! მე თქვენ
თქვენგანვე გითარავთ! თქვე მხეცებო! ხან მონებსავით
იკაკვებით, ხან მხეცსავით ბობოქრობთ: შიროკზადოვი
რად გინდათ? ისინი ასობით არიან... ერთი ხომ არა რის?
ერთის მაგივრად ათასი წამოპყოფს თავს... იმან თქვენ
გლახაკებად გაქციათ, ახლა ციმბირში წასვლაც მოგდო-
მებიათ? განა ბრძოლა ესე უნდა! ჭკუით, გონებით უნდა
ბრძოლა. იმას თუ ერთი ჭკუა აქვს, თქვენ ათასი, მილიონი...
მთელი მდინარე ჭკუა-გონებისა. დაანებეთ, დაირჩოს ამ
მდინარეში. ის ჩაირჩობა კიდეც სამუდამოდ. თქვენ-კი
ცხოვრების ბატონები შეიქმნებით. ნუ-კი ყვირით, ჭკუა
გაანძრიეთ და იაზრეთ, როგორც გონიერ ადამიანს შე-
შვენის...

ხალხი ჩაჩუმდა, და მორჩილად ყურს უგდებდა.

XIV

ბლალოჩინის კაბინეტის ფანჯრებს ფარდა ჰქონდა
ჩამოფარებული. მაშა ივანე მოსჯდომოდა დაჭრილ აზალ-

გაზდას, რომელიც კლიონკით გადაკრულ დივანზე დაეწვინათ. პაულა თავით უდგა. ექიმმა ჭრილობა შეუხვია.

— როგორ არის? თვალი აახილა? — წაიჩურჩულა მ. მათემ, რომელიც ფეხის თითებზე ოთახში შეიპარა.

პასუხი არავინ გასცა. მ. ივანემ ხელი გაიქნია.

— ვაზიაროთ! — კიდევ წაიჩურჩულა მ. მათემ.

— ნუ შეაწუხებთ! მოსვენება უნდა! — დაბალის ხმით უთხრა ექიმმა.

— მერე, მოუნანიებლად რომ გადაიცვალოს? როგორ შეიძლება! — შენიშნა შეშფოთებულმა მ. მათემ.

ექიმი დაშტერდა და მერე თვალი მოარიდა.

— მ. ივანე! — უთხრა ექიმმა, — ვინც აქ მეტია, სთხოვეთ, თავი დაგვანებონ.

— წადი, მათე! გადი აქედან!

მხარზე ხელი ჩაავლო და კარისკენ მიაბრუნა.

მ. მათე უნებურად გავიდა, თუმცა გასტუმრება სწყინდა.

პაულა თან დაედევნა.

— როგორ არა გრცხვენიან, მათე?! უთხრა ქმარს და გაჯავრებით შეხედა.

— მე მოძღვრის მოვალეობას ვასრულებ. აქ სასირცხვილო არა არის-რა!.. ჭკუაზე ხომ არ შეიშალე.

— შენ უგულო ფორმალისტი ხარ... აი, ვინა ბძანდები! სხვებს ლამის გული გაუსკდეთ ჯავრითა და სიბრალულით, შენ-კი მკვდარ სიტყვებით ყველგან ეჩრები.

— მკვდარი სიტყვები!.. რატომ ეგრე მიყურებ, თითქო უცხო იყო და პირველად მხედამდე!

— დიალ, მე შენთვის უცხო ვარ... ათასჯერ უცხო ვარ!

ქალს სახე დაეღრიჯა, თითქო ტკივილებმა მოუარესო.

— მეჯავრები, მძაგხარ!!

მ. მათეს საბრალოდ და მოკრძალებით გაეღიმა, მე-
რე ერთბაშად ბრაზი მოერია.

— მე გეჯავრები? უთხრა გესლიანად: მაშ, შეიძლე-
ბა გყითხო, ვისი სიყვარული ჩაგისვენებია მკერდში?

ვითომ მედავითნეზე გადუკრა სიტყვა.

მაგრამ ესეთ პასუხს-კი არ მოელოდა:

— ვინ მიყვარს? — უეცრად მიუბრუნდა პაულა: გინ-
და გაიგო, ვინც მიყვარს? გინდა? მე გეტყვი!

ისინი აივანზე იდგნენ.

კუკისპირულ წვიმას ეზოში დიდი წუმპეები დაეყე-
ნებინა, რომლებიც წვიმის ცვარებს აებუუბუუებინა.
ისეთი ხუილი გაჭინდა წვიმას, რომ წყნარი ლაპარაკი
არ ისმოდა. ქარიშხალი წვიმის ცვარს აქეთ-იქითა ჰუან-
ტავდა და ცოლქმარსაც პირში აყრიდა.

— მე მ. ივანე მიყვარს! თამამად წასხახა ქმარს.

მ. მათე პირლია გაშეშდა, თვალები დააჭირტა და ცოლს
დააშტერა. ამ სიტყვებმა თავზარი დასცეს... თითქო მათ
შოსაშორებლად რაღაც ხერხი მოიგონა, მაგრამ ხმა ვერ
ამოელო. ის მიხვდა, რომ ქალმა მართალი უთხრა, იმი-
სთანა მართალი, რომელსაც, იქმნება, თავის სიცოცხლე-
ში ადამიანი მხოლოდ ერთხელ იტყვის ისე თამამად, ისე
გულ-ახდილად, როგორც ამ უამად ქალმა წარმოსოჭვა.

ის მხოლოდ ეხლა მიხვდა, რომ ერთბაშად რაღაც
სამუდამოდ დაჭირება და ამ დანაკლისს სიტყვებითა და
ამაო ახვრა-ვიშით ვეღარ შეავსებს. პაულა მოელოდა,
რომ ქმარი გაბრაზდება და გადირევა. იმან-კი ძლივს
წაილუდლუდა:

— იმას?

ქალი აწითლდა, მაგრამ თვალი მაინც არ მოარიდა. მ. მათემ თავი დაღუნა.

ბრაზი და გესლი სულ ჩაუქრა, ერთბაშად და სამუდაშოდ. თავისი თავი შეურაცხყოფილად და უბედურად მიაჩნდა და იმავე დროს იმდონი ძალა აღარ შერჩა, რომ თავისი გულის-წყრომა გამოეთქვა. ულონოდ, ლაჩრად გადაიქცა.

მერე ძლიერ აიღო თავი და ქალს შეხედა.

დიალ. დიალ, მართლა უცხოა! ის ხელიდან გაუსხლტა, თავი გაინთავისუფლა... ეხლა სულ სხვანაირად ლაპარაკობს, სხვანაირად გამოიყურება... თითონ-კი ბნელეთში დარჩა.

მ. მათე ულონოდ დაეშვა. კიბეზე ჩაჯდა და თავი დაქინდრა. ვერა გრძნობდა, რომ წვიმა კაბა-ანაფორას უსველებდა... ქარმა წვიმა გაარღვია. იმ ადგილიდან, ხადაც ბაზრობა იყო გაჩაღებული, თეთრი ოშეივარი აღიოდა. მ. მათეს მოეჩენა, რომ ეს ოშეივარი მის დამწვარ სულის სილრმიდან აღიოდა. აზრები გადეხლართა... იმ ოშეივარისავით, რომელიც ხან სვეტებად იყოფოდა, ხან ერთმანეთს ეხლებოდა და ირეოდა... „გაირყვნენ ერნი თანამედროვენი! და ლვდელიც-კი... ლვდელს!.. როდის ყოფილა ესეთი უსჯულოება!“ მაგრამ ამ ფიქრსა და აზრში ვერავითარი გამამხნევებელი და მანუგეშებელი ძალა ვერ ჰპოვა.

პაულა დასკეროდა საბრალოდ მოდუნებულ და მოკუნტულ ქმარს.

— რას უზიხარ... წვიმაში რას იწუწები?

იმან პასუხი არ გასცა.

ქალს შეეცოდა.

— მათე! — უთხრა ქმარს წყნარად: გამიშვი!

ის კარგა ხანს გაჩუმებული იყო და მერე უაზროდ ჰქონდა:

— სად?

— არ ვიცი... გამიშვი-კი! ხომ ხედავ, აღარ შემოძლიან! იქნება, წავიდე, საღმე სასწავლებელში შევიდე, თითონაც გაუკვირდა, ეს აზრი საიდან მომივიდაო, და ამ აზრს ქალი დაებლაუჭა:

— მე ხომ უსწავლელი ვარ... უმეტარი! არა გამეგება-რა!.. წყვდიადში დავფართატება.

— ფული? — წაიდუდუნა ქმარმა.

ქალმა სევდით გაიმეორა:

— ფუული...

მ. მათე წამოდგა და ოთახისაკენ წავიდა.

— მათე! — დაუძახა ქალმა.

— რაო? რა გინდა? — მობრუნდა ბრაზმორეულა... არ გიჭერ... მიბძანდი!.. არ გიჭერ! წადი... საღაც გენებოს! წადი! რაკი გადაწყვიტე... რაღად მეკითხები! პირში რაღ მახლი... მაგისტანა!.. განა მე...

ისევ გაბრუნდა, წავიდა, მაგრამ დერეფნის კარებში შეჩერდა, მოიხედა და გაბრაზებითვე მიაძახა:

— განა მე ეგეთი, საძაგელი ვარ?!

შავმა ღრუბელმა და ჰკოკისპირულმა წვიმამ სულ ჩამოაბნელა.

მ. ივანე ექიმს ეკითხებოდა:

— როგორ არის? რას ატყობთ?

— არა უშავს-რა, არა უშავს-რა! — სთქვა ექიმმა: კარგა მიღის! ჩინებულია, ჩინებული. ცოტა გვერდი აქვს და-

შავებული, მაგრამ ეგ არაფერი. ადამი უგვერდოდ რავ-
დენ ხანს ცხოვრობდა!

თან იცინოდა და მ. ივანეს შესკეროდა.

— ეს კია, რომ... სამოთხე დაჰკარგა! ადამმა-მეთქი.
ჰა? მაგრამ ის ხომ გვერდის გამო არ მოხდა... ვაშლისა-
თვის... არა უშავს-რა, არა უშავს-რა! ამ ბავშვმაც
ცხოვრების ვაშლი იგემა... ეცოდინება, სად კეთილია,
სად ბოროტება. იქნება გამობრუნდეს და სამოთხის გზა
იპოვოს, როცა დავაუკაცებდა.

ოთახში ფთხილად ბლალოჩინმა შემოიხედა.

— მიხაილ ვასილიჩ! ვერ მოიცალეთ? ურიადნიკუთან
გთხოვენ.

— წავიდეს ეშმაკებთან... მე რაში მეკითხება!

— ამბობენ; გვერდი აქვს ჩამტვრეულიო.

— კარგი, კარგი, ეხლავ!

ექიმმა სთხოვა მ. ივანეს, ავადმყოფთან დარჩენილიყო,
და გაპირდა, მალე დავბრუნდებიო.

იქანე მარტო დარჩა.

ოთახში ბინდ-ბუნდი და სიჩუმე იყო. დაჭრილი
ნელნელი ისუნთქავდა ჰაერს, ხანდახან კვნესოდა და
ჰელებს აქნევდა. ივანე ხელებს უჭერდა და უმოძრაოდ
იჯდა.

ფანჯრებში წვიმა აკაკუნებდა.

ოთახში სავარძლები იდგა, შავ კლემანკით გადა-
კრული. ვინ იცის, ვინ არა მჯდარა ამ სავარძელზე?
სად წასულან. განჯინებიდან მეტრიკების დავთრები გად-
მოიყრებოდნენ, რომლებიც მკვდართა საიღუმლოებას
ონახავდნენ. მოვარაყებულ ყდიანი ქადაგებანი მდუმა-
რებლნენ, თითქო რაღასაც შეუშინებიაო. ამ ბინდ-ბუნდსა

და სიწყნარეში მარტოდ დარჩენილ მ. ივანეს წარმოუდგა-
უკანასკნელ დღეებში ნანახი, გაგონილი, ნაგრძნობი და-
ჩადენილი. იმის სულში რაღაც ძალა შეზღუდულიყო, რო-
მელსაც ის თავს ვეღარ უჭერდა, წინააღმდეგობას ვეღარ
უწევდა. ეს ძალა მთლად მისი არსება იყო, თუმცა თავის-
თავს ვეღარ იცნობდა, თითქო აქამომდე ის საღლაც იყო
ჩაჩქმალული, შებორკილ-შებოჭილი: კვალად დაიწყო
ბრძოლა ღვლდისა და აღამიანისა. მაგრამ ღვლელი თამა-
მად ვეღარ იღებდა მაღლა თავის გაფითრებულ სახეს და
მის ხმას წვიმის შხუილიც-კი ახშობდა.

— იოვანე! — ამბობდა ღვლელი: იოვანე! გაიხსენ ე იობი,
ღვთის მოქიშპე. განა აღამიანის გონებას გულთ-მხილავ-
თან ქიშპობა შეუძლიან? მან არ განუწესა საზღვარი
ლებიათანს? მან არ შეზღუდა ზღვა ნაპირებით? შმაგია
ზღვა, რომელიც ცდილობს ნაპირების გადალახვას. ის,
ღრუბელთა შინა მქუხარი, თავის წმიდა. მრისხანებით
დაშლის ტალღებს და გაასწორებს! მან განუწესა აღამიანს
ცხოვრების კანონი, როგორც ზღვას — კალაბოტი. ვაი
შენ, კანონთა მორჩილო აღამიანო, თუ ამაყად აღიღე
თავი ზეცისკენ და შემოქმედს შეეკამათ!

კაცი-კი მედგრედ და უინით ჰგლეჯდა და ანაკურწებდა
ამ აზრთა კვანძებს.

— კამათი შემოქმედთან! განა მე ვეკამათები, ვექიშ-
პები? მე მხოლოდ ვსუნთქამ და ვაზროვნობ. განა ცოტა
რიდი და შიში გამოვიარე! განა ჩემს მკერდს მე თითონ
არ ვავიწროებდი, რომ ჰაერი თავისუფლად არ მიმელო?
აი, მის წინ ვდგევარ... მაგრამ რა ვარ? ვისთვისა ვარ
საჭირო? შევძინე ვისმე მცირეოდენი ბედნიერება? რის-
თვის ვცხოვრობდი, რისთვის ვცოცხლობდი? ვის რა-

შევმატე? ყველასათვის უცხო ვიყავი... ყველასთვის! ყველა რაღასაც ეძებს ცხოვრებაში, რიღასთვისაც იბრძვის, თავის წმიდათა-წმიდას ემსახურება, რაც თვით ცხოვრებაზე უტკბესად მიაჩნია... მე რიღასთვის ვიბრძოდი, ან ვისთვის? მე ცივს, ღვთაებას და შორებულ ქვეყნად დავდიოდი, თვით ცივი, თითქო გული ამოუცლიათო... ვინ ამომგლიჯა გული? აი, იმათ გაუქიშვდეს უფალი... მე კი სულაც არ ვეკამათები. მე უკვე ჩავისუნთქე ქარიშხალის მონაბერი, რომელიც ჩემს გარშემო დაჰქრის... და აღარ შემიძლიან, დარც მინდა სხვა ჰაერი ჩავუშვა მკერდში. ჩემს გარშემო ყველა რაღაც სინათლეს კენ მიისწრაფება, მზისკენ, ცხოვრების სიმართლისკენ... მე-კი არ ვიცი, რა არის სიმართლე ცხოვრებისა. და ეს მეტად მაწუხებს, მამპიმებს. მეტი აღარ შემიძლიან. ნუ შემომფარგლავს ღვთაება, ნუ შემავიწროებს... მე ლებიათანი არა ვარ, მაგრამ ყველაფერს გადავაბიჯება, გადავლახავ!

დაჭრილმა ამოიკვნესა.

მ. ივანემ თავი დაიღო და დააცქერდა.

ყმაწვილს სიცხე ჰქონდა და ქაქანებდა. ტუჩები უთროთოდნენ, თითქო რაღასაც ბოდავდნენ. მ. ივანემ ყური ახლო მიიტანა, უნდოდა გაეგო რამე და იშედი ჰქონდა, ისეთ რამეს გაიგონებდა გულუბრყვილო ბავშვის პირიდან, რაც იმის აზრებს თავს მოუყრის, გაარკვევს და მომავლის გზას გაუნათებს... რა არის მისთვის ეს ყმაწვილი? რად ეწვოდა მისთვის გული, თითქო ის-კი არ დაუჭრიათ, თვით მ. ივანეს მძლავრად ჩარტყეს დაწყლულებულ იარაში!.. ყმაწვილის სახე მეტად იზიდავდა, თითქო დიდი ხნის ნაცნობი, მახლობელი, საყვარელი

თავისიანი არისო. ხოლო არ აგონდებოდა, ვერა სცნობდა, ვინ არის? და თან რაღაც დიდი აზრი უტრიალებდა რომელიც ვერ გამოერცვია, ვერ დაესურათებინა სახელი ვერ მოეძებნა.

ექიმი რომ შემოვიდა, მ. ივანე სასტუმრო ოთახში გავიდა.

იქ ისევ ის სტუმრები იყვნენ, გარდა ერობის უფროსისა, შიროკუთხატოვისა და მის ქალისა, მაგრამ წინანდელი მხიარულება, ოხუნჯობა დი თავდაუჭრილი ლაპარაკი აღარ იყო. ყველა ამრეზილიყო, თავს აქნევდა ჩუქჩულებდა და უხმოდ სვამდა. სახლს თითქო რაღაც სიმძიმე დასწოლია და აი, ამ წუთში, ჩაჰულებუ-ჩანგრევსო. ბლალოჩინი ხან შედიოდა, ხან გადიოდა, ერთ ადგილს ვერ ისვენებდა, ყველას თვალს ავლებდა, უგონდ და უაზროდ; იმის გაშტერებულა თვალები მ. თაბორელსაც-კი აშინებდა.

— მიტრო სად არის? მიტრო სად არის? — თავის-თვის. ბუტბუტებდა ბლალოჩინი.

და ისევ შედიოდ-გადიოდ.

მხოლოდ მთავარი ივანოვსკი იყო კარგს გუნებაზე-თავ-ალებული დადიოდა ოთახებში და ხან ერთს გამოეღაპარაკებოდა, ხან მეორეს.

— მე ვიცოდი, წინადვე ვიცოდი! დიალ, დიალ! ვერძნობდი, რომ ნაზაროვის განთავისუფლება უნდათ. და, აი, გაანთავისუფლეს კიდეც! დიალ, დიალ! ნაზაროვი მოთავეა, მაგათი წინამძლოლი, მეთაური. ამბობენ, აქ ავაზაკური ერთობა დაუარსებიათ... დიალ, დიალ!.. გაირყვნა ხალხი, მეტად გაძრყვნა. მე ეს კარგა ვიცოდი-

სეკიროვი ჩუმად და სევდიანად იდგა ფეხთან და
შუბლ-შეკრული ივანოვსკის უბლვეროდა.

— გუშინ რა დეპეშა გაგზავნე!

ივანოვსკი თოფ-ნაკრავივით მიტრიალდა და შიშით
ხელები გაასავსავა.

— რა დეპეშა! რის დეპეშა!

სეკიროვმა აუჩქარებლად ზურგი შეაჭუია.

— საქმეც ეგ არის! შენ განა ამ სახლში შემო-
გესვლება, შე საზიზლარო!

ყველამ ივანოვსკის დააშტერა თვალი.

ის დაფაცურდა, აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდა, მიყიდა
მაგიდასთან, არაყი დაისხა, ვითომ აქ არაფერია, და ენა
ამოიდგა:

— ეს კარგი უნდა იყოს გულის გასანელებლად!
არა, მამანო და ძმანო? თქვენ რას იტყვით?

არავინ პასუხი არ გასცა.

წვიმამ ფანჯრებში კაკუნი მოუხშირა, თითქმ ვინმებ
თითის ფჩხილები აათამაშა შუშაზეო. ელვა-ქუხილი ისევ
გრევინავდა. და ვერავინ მიმხვდარიყო, რომ სხვა ქუხი-
ლიცადამიანის სულსა და გულში მზადდებოდა. მამა-
მათე, საცოდავად დაგორგლებული, სავარძელში. იდო.
მამა ივანე ფანჯარასთან წვიმა-ნიაღვარს შესხერებოდა.

— მაინც ეგრე უზო-უკვლოდ სად გადიკარგა ნა-
ზაროვი! — დაარღვია სიჩუმე მ. სილიბისტრომ.

— მე ვიცი, საცა! მე ვიცი! — წელში გასწორდა
ივანოვსკი: ჩემთვის რომ ყური დაეგდოთ, დიდი ხნის
ნაპოვნი იქნებოდა. ეხლა-კი თავს უშველა... სამუდამოდ
დაიმალა! ის მდინარემ მწვალებლების სოფლამდე ჩაიყვა-

ნა. იქ-კი ეშმაკიც ველარ იპოვის, ისე დაიმალ-ჩაიმარხება.
იქ ლილით-პატარამდე სულ შეთქმულები არიან.

— ვითომც! — ეჭვი შეიტანა მ. სილიბისტრომ:
იქამდე როგორ მიაღწევდა?

— როგორ! — გადიხარხარა ივანოვსკიმ: როგორ-და,
ნავით... ძალიან ადვილად.

მ. ივანე მიბრუნდა და მთავარს დააცეკერდა.

— განა ტყუილად ვიყურებოდი სამრეკლოდან! —
ყბელობდა მთავარი: გამჭრიახი თვალები მაქვს, შორს-
მხედავი! ნავი დავინახე, ნავი... იქვე ვიღევებიც დღგნენ.
მათგან ორი ვიცანი, მესამე-კი ვერ გავარჩიე. მაგრამ ეს
სულ ერთია! მაშინ ვერ მივხვდი, ნავს იქ რა უნდოდა...
ვიფიქრე, ვიფიქრე, ვერ მივხვდი. ეხლა-კი ვი-ციი!

და მხიარულად მ. ივანეს შეხედა,

იმას თავში რალაც აზრმა გაუელა. იმწამსვე მიხვდა,
ალექსისა და სტუდენტს ნავი რისთვის დაემზადებინათ
და თოფიც რისთვის დაემალათ. ერთბაშად აწითლდა და
ისევ ფანჯარას მიუბრუნდა.

— შენ სულ უნდა იცრუო, მთავარო! — უთხრა მ.
სილიბისტრომ.

— ვიცრუო? მოწმებიცა მყავს! აი, მ. ივანესა ჰკი-
თხეთ. მ. ივანე! თქვენ არ დასეიირნობდით მინდორში
წყლის პირს?

მ. ივანემ მძულვარებით გადახედა.

— მერე? მე დავსეიირნობდი... მერე რა?

— შენ და დიმიტრი?

მ. ივანემ შუბლი შეიკრა.

— შენ რაში გეკითხება, ვისთანაც დავსეიირნობ?

— ნავი ხომ ნახეთ? თქვენ სწორედ იმ ნაეთან არ.

იდექით? — ჰკითხა მთავარმა და ნისკარტიანი ცხვირი გა-
მარჯვებულსავით მისკენ შეათამაშა.

მ. ივანე აირია, აქეთ-იქით იყურებოდა. ყველა
იმას მისჩერებოდა და ცნობის-მოყვარეობით პასუხს ელოდა.
კარგბში პაულა იდგა, აღელვებული და აშფოთებული.
ისიც მ. ივანეს შესტეროდა და პასუხს ელოდა. იმის
სახის გამომეტყველებაში ივანემ ამოიკითხა, რომ ქალმა
იცის ნავის ამბავი.

— მე ნავისა არა ვიცი-რა! — დაიყვირა ბრაზმორე-
ულმა და თან გრძნობდა, რომ სისხლი ცხელ ტალღასა-
ვით სულ თავში აუვარდა: იქ ნავი არ მინახავს და მო-
მშორდი, გამეცალე... ჯანაბას, შე ჯაშუშო! ეხლა სხვა-
გან იჯაშუშე!

ივანოვსკი წამოხტა და მოიკუნტა, როგორც განა-
ბული კატა, გადახტომას რომ აპირობს.

— რას ილანძლებით, მერე! — მკვახეთ უთხრა მთა-
ვარმა: ეგეთი ლანძლვა როგორ შეიძლება... ოქვენ ღვდე-
ლი ხართ!

მ. ივანე რაღამაც აიტაცა:

— მე ღვდელი არა ვარ? — უკნაურად დიიძახა და
ხელები მხრებზე დაივლო, თითქო ანაფორა უნდა ჩამო-
იფლითოსო. — მე ღვდელი აღარა ვარ! შენ-კი მომშორ-
დი, რომ თვალი ვეღარ მოგკრა, შე გამცემელო!

და რავდენიმე ნაბიჯი წასდგა მისკენ, თითქო უნდა
გაგლიჯოსო. ღვდლები მისცვინდნენ მ. ივანეს და შეა-
ჩერეს.

ის კი ყვიროდა:

— გამაცალეთ ეგ საზიზლარი! თავს გავუნარცხავ!
ივანოვსკი დაფთხა, დერეფანში გავიდა და იქიდან

მუქარით რაღასაც დუდუნებდა. სეკიროვი შივიდა და
კარი მიაჯახუნა..

სახლის თავზე ქუხილმა გადიგრიალა. წეიმას ხუილ-
შხუილი გაუდიოდა. კაცს ეგონებოდა, ეს სახლი გემია
და ოლელვებული ზღვა აქეთ-იქით აქანებსო.

მ. ივანე აშფოთებულ და გაოცებულ ღვდლების
აგუფში იდგა და ხმამაღლა ამბობდა:

— მე გადავწყვიტე! მტკიცედ გადაწყვიტე! უცვ-
ლელად, სამუდამოდ!.. მივდივარ! კმარა!!

— რა დაგმართვიათ?! — შფოთავდნენ კაბები და ანა-
ფორები და პაერში განიერი სახელოები დაფრიალებდნენ:
საიდან? რად? რა იყო? რა მოხდა?

— ის მოხდა, რომ მე შიში განვაგდე და ეხლა
უშიშრიად ვაზროვნობ. ემცონარეობდი, ვითა მწერი! მატ-
ლისავით დავცოცამდი წყვდიადში. ვცხოვრობდი ისე,
როგორც ნაბძანები მქონდა, და არა ისე, როგორც ადა-
მიანს შეჰვერის... კმარა! მე თქვენ გარწმუნებთ: კმარა!
განა თქვენ ვერა ხედავთ, რომ ესეთი ცხოვრება არ გა-
მოდგება, შეუძლებელია... სამარცხვინოა. ცხოვრება
ჩვენგან ბრწყინვალე სივრცეში გარბის... ჩვენ გარჩერე-
ბულვართ, გავქვავებულ კერპსავით, ფეხს არ ვიცვლით და
გზაზე სხვასაც ველობებით, რომ წინსელი არავის შეე-
ლოს, არავინ გაბედოს. ცხოვრებისთვის ათასნაირი თვალთ-
მაქცური შელოცვები მოგვიგონია და საბურველი. გადა-
გვიფარებია, რომ იმათი თავნებობა გავამათრლოთ, ვინც
ცხოვრებას ამახინჯებს, და მოთმინებას ვუქადაგებთ მხო-
ლოდ იმათ, ვინც უიმისოდაც დიდხანს მორჩილად და
უსაყველუროდ უველაფერს ითმენს. ჩვენს გარშემო ყვე-
ლა ჭეშმარიტების სამოთხეს ეძებს, სამოთხეს სამარ-

თლიანობისას, თავგამეტებით და მედგრად იბრძვის თავის იდეალის, აზრისა და მისწრაფების განხორციელებისათვის... ჩვენ-კი?! კმარა!!

— ტვინი შერყევია! — წაიჩურჩულა სილიბისტრომ.

მ. ივანემ საჩქაროდ იბრუნა მისკენ აღზნებული სახე.

— ჩვენ ყველანი ტვინ-შერყეულები, შეშლილები ვართ! ვცხოვრობთ უგონოდ, შეუგნებლად! ვაზროვნობთ სხვისაგან ჩანერგილ აზრებით... მონათა აზრებით! ჩვენ ბავშობილანვე ვსტყუვდებოდით და ეხლა ჩვენც სხვას ვატყუებთ, მატყუარებად გადავქმნილვართ... ჩვენ და-წყლულებულნი, დაკოდილნი ვართ, როგორც ის ბავშვი.

ხელი კაბინეტისკენ გაიშვირა.

— ბავშობაშივე დაკოდილნი ვართ... ხოლო ვერ გაგვიგია. ტვინი და გული დაკოდილი გვაქვს! და მაშინდელი წყლული იარად გადაქცეულა, რომელიც სულს გვიმწვავებს! არა, არა! მთელი ცხოვრება უნდა შეიცვალოს. იცხოვროს, ვისაცა სურს, ბრმად, ძალად თვალი დაიხუჭოს... მე-კი აღარ შემიძლიან! კმარა!

გულზე ხელს ივლებდა და კაბა-ანაფორას მძლავრად იწევდა, თითქო უნდა დაფხრიწოსო.

— მე მინდა თავისუფალი კაცი ვიყო, თავისუფალ-ლმერთს ვემსახურო!

გარედ ზარმა დაიწკრიალა.

წკრიალი და ქლარუნი მოისმა დერეფნიდან.

ერთბაშად კარი დაჯახუნდა და ბლალოჩინი გაჩქარებით შემოვიდა, გაფითრებულ-გალურჯებული და პირ-დაღებული. ისე ქშინავდა, თითქო უსტვენსო. ხელებს აცახცახებდა და რალაც უნდა ეთქვა:

— უა... უა... უან...

სიტყვა ველარ დაასრულა. გაბრუნდა და ბარბაცით, გავიდა.

ყველანი ბლალოჩინს აედევნენ, ფერნაურავნი.

მ. ივანე კაბინეტში შევიდა. იქ არავინ იყო. თავი
დაიღო და ყმაწვილს დააცქერდა. იმას გალაპლაპებული
თვალები დაეჭირა.

— გტკივა, ჩემო კარგო?

ბიჭის ტუჩები მოებრიცა.

— მტკივა!

და უეცრად მ. ივანეს იმ დიდმა აზრმა გაუელა
თავში, რომელიც აქამომდე აწუხებდა-

— ტკივილია. ყველას სტკივა... ყველას სტკივა
და შებოჭილია! საშინლად არის შებოჭილი! გულსა
სტკივა, გონება შევიწროებულია! ადამიანი დაჩაგრულია!..

მ. ივანეს წარმოუდგა, ვითომც ის დილა-ადრიან
მზის სხივებით ოქროს-ფრად გაბრწყინებულ მაღალ ქედზე
ასულა და იქიდან ვაკეს დასცქერის: იქ, ქვემოდ, ტანჯ-
ვაა. ტანჯულებმა არ იციან, რისგან იტანჯებიან და რა
აზრი აქვს ამ ტანჯვას? იკრუნჩხებიან, იკვლანჭებიან,
ტალახში დაცულცავენ; ერთმანეთს აწვალებენ, ტანჯავენ,
ნაკუწ-ნაკუწად სჭრიან და ვერ გაუგიათ, რა აზრი აქვს
ამ ხოცვა-ულეტას. უშვერნიერეს ყვავილთა შორის, რომ-
ლითაც დედამიწის ზურგია მოფენილი, აუარებელ სიმ-
დიდრეში, რომელიც ბუნებას უხვად გაუჩენია, უილა-
ჯოდ დაბარბაცებენ და დაღასლასებენ გამათრახებულნი
და ნაქენჯნი მონები, მათხოვრებისავით აკონკილ-დაბ-
რანძულნი, სამარცხვინოდ შებორკილნი.

გამჭრიახის თვალით ყველა ეს გაარჩია და გაარკვია.
გამახვილებულ გონებით ყველაფერს მიხვდა და გაიგო,
რისგან რა წარმომდგარა. და გადასწყვიტა, სხვებსაც
თვალი აუხილოს და გააგებინოს... მაღლობიდან ისეთი

რამ გადასძახოს და უბძანოს, რომ მის რიხიან ხმას ყველამ თავის გულში გალვიძების დოლ-ნაღარა ააყოლოს!.. მაგრამ რა? რა გადასძახოს?.. ეს კი ჯერ თითონაც არ იცის... მაგრამ, ფიქრი არ არის, ამასაც მალე გაიგებს... .

ერთბაშად პაულა შემოვარდა ოთახში.

— მაშ მართალია?! მითხარ! კიდევ გაიმეორე!

ისე იყო აღელვებული და აღზნებული, რომ ლაწვები ცეცხლად ქცეულიყო და ტანი უთროთოდა. თითქო შავი კარი, რომელსაც აქამომდე ცრემლითა და გოდებით არახუნებდა, ანაზღეულად გაიღო, და წინ გადაეშალა თვალ-გულ წარმტაცი ახალი ცხოვრება.

კაცმა ხელები გაუწოდა.

— მართალია!

და ქალმა ჟინის ალი-კი ალარ წაუკიდა, არაშედ ბრწყინვალე განთიადის და მრავალ-ფერად იყვავებულ ახალ ცხოვრების მომასულიერებელი სიო მიუნიავა.

ავადმყოფი ყმაწვილი ალაპლაპებულ თვალებით გაოცებული შესცეკროდა ამ ორს, მაგრად გადაჭდობილს, გაერთიანებულ არსებას.

გარედ ელვა-ქუხილი მძვინვარებდა.

ქარმა უხვად მოაყარა ფანჯრებს წვიმის ცვარი, რომელიც მაღლა ცაში, შავ ღრუბელში ისახებოდა, საღაც ქუხილი გრვენავდა და ელვა ბრწყინავდა, თითქო ახალი გზა უნდა გააპონ-გაანათონ განუზომელსა და განუსაზღვრელს სივრცეშიო.

73838
1905

საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ი ვ ე რ ი პ“.

1905 წ.

გამოდის ყოველ-დღე.

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის-მომწერლებს

პრემიაზ 12 ჭიბნე

საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა“, რო-
მელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სა-
მეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო
მწერალთა.

გაზეთის ფასი: 1 ნოემბრიდან წლის დამლევამდის
2 გან.

ცალკე ნომერი გაზეთისა ლირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრთალინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო აღრესი: თიფლისი, რედაქცია გაზ. „Иверия“.

სტატია ამხანაგობისა „შრომა“.